



ჩვენი მწერალი

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

6 თებერვალი 2015

№ 3 (237)

**ნინო დარბაისელის ლექსი
ლორდ ბაირონის „დონ ჟუანი“
გია ხოფერია ლაშა იმედაშვილზე
გურამ პეტრიაშვილის სცენარი ილიაზე
გიორგი სოსიაშვილის დოკუმენტური ნოველა
კონსტანტინე ზ. გამსახურდია გიორგი სააკაძეზე
ქეთევან მეგრელიშვილის პარიზული ჩანახატი
კარლო ფაჩულია, როგორც მოჭადრაკე
მურმან ჯგუბურია გენო კალანდიაზე
დიალოგი დინი ვირსალაძესთან
ვანო ჩხიკვაძის ლირიკა**



შინაარსი

არი და პეინინა	2	იკა ქადაგიძე ეროვნული აზროვნების გვირგვინი (ამბროსი ხელაიას „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“)
ამსარან-ინბარვი	9	მიხეილ ჩარკვიანი „მეტი სიკეთე“ (მომზადდა ანა კოტრიკაძემ)
დრამატურგია	10	გურამ პეტრიაშვილი ილია ჭავჭავაძის პირადი დაცვა (სცენარი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის)
პოეზია	20	ვანო ჩხიკვაძე წიგნიდან „ლაქსაპი 2014“
პოეზიის ერთი ლექსი	24	ნინო დარბაისელი ვამგობდი, მიყვარხარ!
ლიბრეტოპოეზიის სხვაობა	25	ზეინაბ ბუაჩიძე, თამაზ დევიძე, მაია მიქაია, შოთა გოლუბიანი, ეკა ქურხული ლიტერატურული კონკურსისათვის „ოდეონი“
დოკუმენტური ნოველა	28	გიორგი სოსიაშვილი ბერიძის სამრეკლო
დრამატუგის გახიზნა	30	იკა თევზაძე სენსიტი (ედოგავა რამპო და მისი ბედი)
ლილოგი	32	ჰარმონიისა და კომპოზიციის სამცხრე-ჯავახეთის კოლაჟი (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება დინი ვირსალაძე)
ლიბრეტოპოეზიის პორტრეტი	35	ვასილ კვიციანი სიზრძელი ზედროულია (პოლიკარპე კაკაბაძე)
შტრინგის პორტრეტისათვის	38	ემზარ კვიციანი მარადიული მხედარი (გურამ რჩეულიშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო)
რეპორტაჟი	40	ეკა ბუჯიაშვილი „დაკარგულ საფლავს ვეძებდი“ ... (განხილვა თემურ ამყოლაძის მხატვრულ-დოკუმენტური რომანისა „დადემქელიანების ამბავი“)
მრავალმხრივი მორა მხარასა	44	გურამ გოგიაშვილი ის არავისგან მოთვინიერებული არ ყოფილა, თავად იყო სიტყვის სტილისტურად მომთვინიერებული („კოლხეთის ცისკრის“ ავტორმა მეორე საუკუნეს უკვე ათი წელიწადი ჩამოატეხა)
მხარული მხარა	46	მურმან ჯგუბურია პოეტის აღსარება, აღდგომის მზის საგალობელი (გენო კალანდიას პოეტური კრებული „საგალობლები უფლისთვის“)
ისტორიის სამსახური	49	კონსტანტინე ზ. გამსახურდია გიორგი სააკაძე
ახალგაზრდად, ან კი თქვენ	50	ქეთევან მეგრელიშვილი რომორ შიშვლი ჟაკს ანუ Bonjour, Mademoiselle!
რეჟისორთა საზურაღდაოდ	52	ნატა ვარადა ზაზა აბზიანიძე — ამბავი დე ლა მელანი ანუ ქართულ-ევროპული ზღაპრისა და მასხარადა, ფსიქო დელია ვრანსი
გამონათქვამი	54	გია ხოფერია შიმშარაპი ქრონიკა (ლაშა იმედაშვილის მოთხრობა „გასროლის ხმა“)
მომგონებათა სივრდი	55	ლეილა მესხი ფიქრის კრიალოსანი
სხვა რაპორტი	61	ლევან ბრეგაძე პარლო ფანულია (ციკლიდან „მხატვრები და ჭადრაკი“)
ჩანახატი	63	ეკატერინე ტუკვაძე ესპანელი ექიმები
ახალი თარგმანები	64	ლორდ ბაირონი ლონდონისაკენ (მეათე თავი „დონ ჟუანიდან“)
ამ მთისა და იმ ბარისა	71	ვის სიტყვებზე მნარე ჰქონდა...



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 20 თებერვალს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თვაი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: იკა ქადაგიძე
ზამთარი იაპონიაში

იკა ქადაგიძე

ეროვნული აზროვნების ბპირბპინი

ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს ჩვენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირანყვეტილი სიხარბეა მტვისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც ითხოვს.

მიხეილ ჯავახიშვილი

პოლიტიკურად ხელმოცარული ხელისუფლების ხელნერა მრავალგზის ნაცად ფორმულას ემყარება: გაუსაძლისი გარე და შიდა ფაქტორებით დაუძლურებულ ერს რელიგიური „ბუმი“ თავზე ხელოვნურად მოახვიოს, უამრავ მახინჯ წარმონაქმნს გზა გაუხსნას და თანმდევი მოვლენების არსი გეგმაზომიერად გააყალბოს.

ჩვენ თვალწინ ეროვნული ღირებულებანი დაიგმო და დაკნინდა. ბურჯის საყრდენი გამოეცალა. უძველესი მიწა-წყალი ცხვირწინ უბოდიშოდ აგვაცალეს. საბედნიეროდ, ათასწირგამოვლილ ქართველობას მამა-პაპური სარწმუნოება არასდროს დაუთმია და, ღვთის შეწევნით, არც მომავალში დათმობს!

რთულია, როდესაც, შოპენჰაუერის თქმისა არ იყოს, „სახელმწიფო ბოროტების მანქანაა“ და კეთილდღეობის ნაცვლად გაუსაძლისი წნეხში გსრესს. ფილოსოფია ფილოსოფიად და ამ გავრცელებული შეხედულებისა და სახიფათო გამოცდილების მიუხედავად, რიგმა ქვეყნებმა, მაგალითად, რუსეთმა და საბერძნეთმა, თავიანთი სარწმუნოება სახელმწიფო რელიგიად დააკანონეს და უმძიმეს განსაცდელთა შორის ყველაზე საშიშ და ვერავ სექტანტურ ძალმომრეობას ჩინური კადელი დაუხვედრეს.

ჩვენ ამ თვალსაზრისით ერთმორწმუნე სახელმწიფოებს გვარიაანდ ჩამოვრჩები. აქაოდა, უხსოვარი დროიდან ტოლერანტობა დაგვებდა, ბაბილონის გოდოლის როლი თავმომწონედ მოვირგეთ, პირწინდად დავივისყეთ, რომ ქრისტიანობა ქართველობასთან იყო გაიგივებული და რჯულის შესანარჩუნებლად ჩვენს წინაპრებს სამსხვერპლოზე სიცოცხლე უყოყმანოდ მიჰქონდათ. მამა-პაპური სარწმუნოების დაცვის თანადროულად, სხვა რელიგიის აღმსარებლებსაც პატივს მივაგებდით, თუმცა ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

თბილისში, რომელსაც ოთხასი წლის განმავლობაში მაჰმადიანი ამირები განაგებდნენ, XVI საუკუნემდე მეჩეთი არ არსებობდა. 1522 წელს შაჰ-ისმაილმა პირველი მეჩეთი დანერგული ეკლესიის საძირკველზე ააგო. მოგვიანებით როსტომ ხანის მიერ აშენებული მუსლიმანური საკულტო ნაგებობა მინარეთითურთ ერეკლე II-ის მეფობის დროს დაანგრეს. ეს ისტორიული ფაქტებია, თუმცა ამის შესახებ რატომღაც არავინ ლაპარაკობს, მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებლის გულმონყალების საილუსტრაციოდ უცხო აღმსარებლებისადმი სახელოვანი ქართველი მეფის მიერ გამოვლენილ კეთილგანწყობაზე ყველა დაუზარლად ჭიკჭიკებს. მედალს ორი მხარე აქვს და სრული სიმართლის ცოდნა ჩვენს თავზე დაკიდულ დამოკლეს მახვილს უკეთ დაგვანახებს და მიგვითითებს, ბედუკულმართობის დროს (გაბრწყინების ჟამი ახლაც არ გვიდას!) ჩვენს მამაპაპურ სარწმუნოებას უთავადი მტრის განუწყვეტელი შემოსევების დროს როგორ ვიცავდით, ჩვენს თვითმყოფადობასა და მეობას რა გზით ვინარჩუნებდით და, რადგან სადღესო პროპაგანდა ამ მხრივ ყოვლად გამოუსადეგარია, მომავალში ახალი საფრთხის პირისპირ რამდენად პირნათლად, სათანადოდ მომზადებულები წარვსდგებით.

ამწინააღმდეგობის საფრთხიდან დასაცავად

„მშვიდობიანობის დროს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დაიკარგა იმდენი საეკლესიო სიმდიდრე, რამდენიც მთელი რვა საუკუნის განმავლობაში მაჰმადიანთა მძლავრობის დროს არ დაკარგულა“, — ეს ჟრუანტელისმომგვრელი, სასტიკი ფაფრთხილება უადრესად პატიოსანი მამულიშვილის გულისტკივილის გამოძახილია. იგი დღესაც ძალშია და განგამის სახით საფეთქლებში რეკს, გვაიძულებს დროთა განმავლობაში გადაუჭრელი საკვანძო და საჭირობოროტო საკითხები გონივრულად გავიხზოთ და ნაკლოვანებათა შესასუსტებლად რაიმე ვილონოთ. დანაკარგის მიღმა, რაც ჯერ კიდევ შეგვრჩენია, დავინარჩუნოთ და თუ წინაპართა დანატოვარს ვერ გავზრდით და ვერაფერს მივუმატებთ, ყველაფერი დაუნანებლად მაინც არ გავაცამტვეროთ.

ამ სავალალო ფაფრთხილების ავტორი უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად მერაცხული ამბროსი ხელაიაა, რომელსაც ქართული ეკლესიის პატრიარქობა განგებამ ბოლშევიკების ზეობის ჟამს არგუნა წილად. 1921 წლის სექტემბერში აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონი) ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელად აირჩიეს. უღმერთოთა მძვინვარების ჟამს მან იცოდა, რომ უმძიმეს განსაცდელს შეამთხვევდნენ, მაგრამ უკან არ დაუხვივია.

ამბროსი ხელაიას ბიოგრაფია ღვთის მიერ ხელდასხმული რჩეულის ეკლიანი გზაა, რომელზეც ღირსეულად ვიდოდა. იგი ძველი დროის მონაშენების შთამომავალია, ვინც თავის დროზე ქართველი ერის ხსენისა და გადარჩენის სიმძიმე მხრებზე განუხრელად იტვირთა.

ორჯერ გადასახლებულ და დევნილ პატრიარქს სასამართლო სხდომაზე ჰკითხეს, ვისთვის გადამალა განძეული.

„ეკლესიისთვის და ქართველი ერისთვის!“ — წმინდანის პასუხი მრავლისმეტყველია, ისევე როგორც მისი დაუზოგავი ბრძოლა საქართველოს დამპყრობელთა წინააღმდეგ, რასაც მან 37 დაძაბული წელი შეაღია. 1918 წლის 27 ივნისს ამბროსი ხელაიას შეუდრეკელობით გაცოფებულმა მტრებმა იგი მოსაკლავად გაიმეტეს, მაგრამ ღვთის ნებით მას ძალადობრივი გზით აღსრულება არ ეწერა.

თხემით ტერფამდე ქართველი მოღვაწე ამბროსი 1896 წელს ყაზანში გაემგზავრა და სასულიერო აკადემიაში სწავლისას უფლება მოიპოვა, წირვა ქართულად ჩატარებინა, სადაც თანამემამულე სტუდენტები მშობლიურ ენაზე გალობდნენ. რუსეთის იმპერიაში ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო. ეს ფაქტი ამბროსი ხელაიას პიროვნულ სიმტკიცესა და მიზანსწრაფულობას წარმოაჩენს.

ამბროსი პირველად 1905 წელს აქტიური „ავტოკეფალისტობის“ გამო გადასახლეს. ერთმორწმუნე რუსეთის მეოხებით 111 წლის მანძილზე ქართული ეკლესია რუს ეგზარქოსთა დიქტატს ექვემდებარებოდა, რასაც ერისკაცთა მხრიდან უწყვეტი პროტესტი ახლდა თან.

მომავალი პატრიარქი თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეებთან ერთად ავტოკეფალიის აღსადგენად შეუპოვრად იბრძოდა.

1907 წელს თბილისში ქართველ მღვდელმთავართა საეკლესიო კრება ჩატარდა. სასულიერო ნოდებამ სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში ქართული ენის დამკვიდრება ოფიციალურად მოითხოვა. რუსი ეგზარქოსის, ნიკონის ბრძანებით, კრების მონაწილეებს მათრახით დაერივნენ. უმწვავესი დაპირისპირების ფონზე 1908 წელს ნიკონი მოკლეს, ხოლო მტრებს საშუალება მიეცათ, ამბროსი ხელაია მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით ხელახლა გადაესახლებინათ. უდანაშაულო მღვდელი სამ ციურენლოვან შეილთან ერთად უმცაცრეს პირობებში იმყოფებოდა. ქართველ მოღვაწეს წირვა-ლოცვისა და მღვდელმსახურების უფლებაც წაართვეს!

1917 წლის 12 მარტს ქართველ მამულიშვილთა მრავალწლიანმა ბრძოლამ სასურველი შედეგი გამოიღო: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოცხადდა, მაგრამ ბოლშევიკების მიერ ანექსირებულ საქართველოს კვლავ უსასტიკესი დრო დაუდგა.

1922 წლის 7 თებერვალს ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთი საქართველოს დაპყრობაში დაადანაშაულა. გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი საპროტესტო მემორანდუმით ამბროსი ხელაიას უმაგალითო სიმამაცე და თავგანწირვა გაცხადდა.

კათალიკოს-პატრიარქმა ბოლშევიკები უღმერთობასა და ქართული კულტურის შებილწვაში აწხილა და საქართველოდან რუსე-

თის საოკუპაციო ჯარის გასვლა მოითხოვა. ბუნებრივია, საბჭოთა იმპერიის მესვეურნი მსოფლიოს თვალში თავლავის დასხმას არავის აბატიებდნენ და ხალხის მტრად შერაცხულ „კონტრრევოლუციონერს“ თავს უმკაცრესი რეპრესიები დაატყვეს.

სასამართლოდან გამოსულ პატრიარქს აქტივისტები მიუსიეს. ლანძღვისა და ფურთხის თანხლებით მაცხოვარებით ჯვარცმული მიაბიჯებდა ღვთის რჩეული. სატანის ნაშიერთა დაცინვას უდრტვინველად იტანდა. უდიერთა ცილისწამების კვლავდაკვლამის შესახვედრად შეკრებილი მამულიშვილებიც იხილა, ცრემლიანი, ტკივილიანი თვალებით რომ უმზერდნენ. ამბროსი ხელაიამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ხალხს მიმართა და გონწართმეული ჩაიკეცა. მას შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. გმირულად აღესრულა კაცი, რომლის ღვანლი ქვეყნისა და ერის წინაშე განუზომელია. ამბროსი ხელაიას მადლცხებული, მრავალმხრივი ნიჭი ყველგან გამოვლინდა, სადაც სამშობლოს უჭირდა და დაცვასა და მოვლა-პატრონობას გადაუდებლად საჭიროებდა.

„ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ — ამ შეუდრეკელი, თავდადებული ბრძოლის საუკეთესო ნიმუშია. 1901 წელს რუსულ ენაზე შექმნილმა საკანდიდატო დისერტაციამ რუს სწავლულთა ყურადღება და მოწონება დამსახურა. პროფესორ მალოვის სასულიერო პირისთვის უთხოვია, ნაშრომი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად წარედგინა.

წმ. ამბროსი აქ წარმოიჩინდა არა როგორც ოდენ ფართო ერუდიციის მკვლევარი, სერიოზული ეთნოგრაფი, გამოცდილი ისტორიკოსი და მხატვრული სიტყვის ოსტატი, არამედ უპირველესად ეროვნული მსოფლმხედველობის უდრეკი დამცველი, მოღვაწე, რომელმაც გადამწყვიტა რუსული იმპერიის თვალში გამოექვეთა ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიის დიდი როლი ქრისტიანობის დაცვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით.

მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით სცადა ისტორიულ ჭრილში გადაეჭრა მოუგვარებელი, ფეთქებადი საკითხები, რასაც რუსები საკუთარი ძალებით ვერ გასწვდებოდნენ. მან ერთმორწმუნე „უფროს ძმას“ შეახსენა, თუ რა ურთულესი გზა განვლო ქართველმა ერმა მართლმადიდებლობის შესანარჩუნებლად და უძლეველ დამპყრობლებთან მრავალსაუკუნოვან ჭიდილში მამაპაპური სარწმუნოება უზარმაზარი მსხვერპლის ფასად დაიცვა და შემოინახა.

ნაშრომის შექმნის თარიღი მიუთითებს, რა უწყვეტ დაძაბულ ბრძოლას აწარმოებდა მომავალი პატრიარქი ავტოკეფალიის მოსაპოვებლად. ამბროსი ხელაიას სტრატეგია მართლაც განსაცვიფრებელია. იგი ყველა მძაფრ საკითხს სიღრმისეულად აანალიზებს და გადაუჭრელი პრობლემების მოსაგვარებლად უნივერსალურ გამოსავალს გვთავაზობს. უნივერსალურ ნააზრევში ქართული ჭირ-ვარამის მოუშუშებელი ტკივილი მიუკერძოებლადაა განფენილი.

ნაშრომში კავკასიის ადგილმდებარეობა, სპეციფიკა და გეოპოლიტიკური როლი ღრმადაა წარმოჩენილი.

„კავკასია ენათა მრავალფეროვნებითა და სიუხვითაა განთქმული, რის გამოც „ხალხთა ჭიანჭველების ბუდე“ ეწოდა. არაბი ისტორიკოსი ალ-აზარი კავკასიას ენათა მთას უწოდებდა“.

ავტორი შესავალში ქართველების უძველეს სამოსახლოს მონიშნავს და სახელგანთქმულ ისტორიკოსთა და მოგზაურთა ცნობებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ კავკასია უხსოვარი დროიდან ქართველთა სამკვიდროა. ქართლის გაქრისტიანების თარიღიც მართებულია დადგენილი. აქ ამბროსი ხელაიას უტყუარი გუმანი და ენციკლოპედიური ცოდნა მჟღავნდება, სერიოზული მიდგომა ე.წ. წერილმანებისადმი, რაც ურღვევ კავშირს ქმნის რეალური სურათის განსაზღვრისათვის.

ძალზე საინტერესოა აღწერილი საქართველოს ურთიერთობა ერთმორწმუნე ბიზანტიასთან. ბიზანტიურ პოლიტიკაზე მსჯელობისას მომავალი მწყემსმთავარი იმუაზინდელი პატრიარქის, კირიონის მოსაზრებებს ყურადღება და ითვალისწინებს. სიღრმისეულად აღწერს, იმპერიის დაცემა რამ განაპირობა. შინაომში ჩათრეულ ბიზანტიელებს ახალი მტრის, თურქ-სელჩუკთა გაძლიერება გამოეპარათ. იმის ნაცვლად, მაჰმადიანების აგრესიის



ამბროსი ხელაია

შესასუსტებლად ერთმორწმუნე საქართველოსთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება დაემყარებინათ და სახიფათო მოქიშპის წინააღმდეგ ერთობლივი ძალით გაელაშქრათ, ბიზანტია კარზე მომდგარ საფრთხეს ვერ აცნობიერებდა და კვლავინდებურად ცდილობდა, საქართველოს მინა-წყალი დაეკავებინა, დიდგვაროვანთა ნაქეზებით სამთავროები ერთმანეთისგან გაეთიშა.

ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ოდესლაც ძლევამოსილ იმპერიაში ძალაუფლების მისასაკუთრებლად უსასტიკესი ბრძოლები არ წყდებოდა. მეფობის პრეტენდენტთა ძალადობრივ მოკვდინებას ბოლო არ უჩანდა. შუღლითა და უგუნური ქმედებით დაუძლეურებული ბიზანტიელები ახალ, მრისხანე ძალას ველარ გაუმკლავდნენ და საბედისწერო მარცხიც იწვნის.

ბიზანტია — ქრისტიანობის უმთავრესი ციტადელი — დაცვა და მის ნაცვლად იმპერიის ტერიტორიაზე თურქ-სელჩუკები გაბატონდნენ. მსოფლიო რუკა მკვეთრად შეიცვალა.

ავტორი ბიზანტიელთა არასწორ პოლიტიკას სათანადოდ აფასებს. მათი უგუნურება იმდენად თვალშისაცემი იყო, „ბერძნების ეს თავდასხმა ისე აუტანელი იყო, სამღვდლოებაც კი იძულებული გახდა, მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერატორთა ჯარებისგან სამშობლოს დასაცავად იარაღი აეღო“.

ვითარება განსაკუთრებით ბაგრატ IV-ის მეფობის დროს დაიძაბა, რომელსაც იმპერატორის მსტოვრებმა მესხი დიდაზნაურები ორგანიზებულად აუხმედრეს.

ამბროსი ხელაია მართებულად ასკვნის: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიელ იმპერატორთა ეს არაგონივრული პოლიტიკა გახლდათ ყველა იმ უბედურების მიზეზი, რაც როგორც საქართველოს, ისე თვით ბიზანტიას დაატყვეს თავს ეკლესიის მტრებმა — მაჰმადიანებმა“.

მართლაც, კონსტანტინოპოლის დაცემით საქართველო მთლიანად მუსლიმ მეზობელთა ალყაში მოექცა და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად გაჩაღებულმა ბრძოლამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

თურქების გაუნელებელი აგრესიის მაგალითია 1726 წელს ახმედ II-ის მიერ გაცემული ბრძანება, რომლის თანახმადაც ისაყ-ხან ახალციხელს წმ. სოფიის ტაძრის მსგავსად, თბილისის სიონის ტაძრის მეჩეთად გადაკეთება დაევადა. თავად გივი ამილახვრის მუქარითა და ძალისხმევით თურქეთის სულთნის ოდიოზური ჩანაფიქრი ჩაიშალა.

ნაშრომში მეცნიერული სიზუსტითაა ასახული ის უსასტიკესი დევნა და ნაშემა, რასაც ქართველი ქრისტიანები მაჰმადიანთა ურდოების შემოსევისას მუდმივად განიცდიდნენ.

ცნობილია, რომ სისასტიკით განთქმულმა თემურლენგმა „ურჩ“ ქართველთა დასამონებლად საღვთო ომი ანუ ჰაზავათი გამოაცხადა, რაც ნიშნავდა, რომ გაიურების ნინაღმდეგ ყველა მორწმუნე მაჰმადიანს უნდა გაეღაშქრა. ჰაზავათი ისლამის ყველაზე მებრძოლი რელიგიის აუცილებელი ატრიბუტია. იგი „ურჯულუობისადმი“ სრული შეუწყნარებლობით ხასიათდება.

თემურლენგი საქართველოს რვაჯერ შემოესია, არნახულებლად ააოხრა და გააჩანაგა, სისხლიანი კალოს სახელით ცნობილი ხოცვა-ჟლეტა გახმაურებული ისტორიული ფაქტია და მომხდურთა ფანატიკურ დაუნდობლობაზე მიუთითებს. ველური რბევის დროს მან რუისის, სამთავისის, სიონისა და სამშვილდის სახელგანთქმული ტაძრები მიწასთან გაასწორა.

„უსამღველედი კირიონის თქმით: „ყველაზე საშინელი ხანახავი გახლდათ მაშინ საქართველო: ქალაქები და სოფლები ნანგრევებად იყო ქცეული, გვამები გროვებად ეყარა ქუჩებში. მათი ლობის მყრალი სუნი ჰაერს ნამლაგდა და ადამიანებს პირვანდელი საცხოვრისიდან ერეკებოდა. ასობით ვერსზე ადამიანის ხმას ყურს ვერ მოჰკრავდი...“

ცოცხლად დარჩენილ მამაკაცებს მაჰმადიანი დამპყრობლები სამხედრო სამსახურში, ყველაზე რთულ საომარ ექსპედიციებში ერეკებოდნენ, რაც ისედაც დაქცეული ქვეყნის განსხვავებულ მოსახლეობას არანაკლებ ამცირებდა.

შეუძლებელია ამ ნუსხაში ირანის ხელმწიფის შაჰ-აბას პირველის მიერ განხორციელებული რეპრესიები არ მოვიხსენიოთ. 100 ათასი კახელის აყრა და სპარსეთის პროვინცია ფერიდანში გადასახლება, თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, კლასიკური გენოციდის მაგალითია.

„შაჰ-აბას I-ის შემოსევა ისე საზარელი იყო, გაცივებას იწვევს, დარბევის შემდეგ როგორ მოახერხა აღმოსავლეთ საქართველომ გადარჩენა. რანაირად შეძლო შეენარჩუნებინა საკუთარი რწმენა და ეროვნულობა?“ — მომავალი პატრიარქის მიერ დასმულ კითხვას მასობრივი გათავრების საგანგებო პოლიტიკა სარჩულად გასდევს, რასაც თურქი, არაბი და მონღოლი თუ სპარსელი დამპყრობლები ისლამის მიმდევრები ახორციელებდნენ.

XVIII საუკუნის დასაწყისში თურქეთსა და სპარსეთის სამხედრო ინტერესთა დასაცავად შორეულ ლაშქრობებში განვლული ქართული ჯარის არყოფნამ აღმოსავლეთ საქართველოში სათარეშოდ დალესტენლ მთიელებს, იგივე ლეკებს გზა გაუხსნა. მათი თავდასხმებით განსაკუთრებით კახეთი ზარალდებოდა. დალესტანი — ყოფილი მოხარკე ქვეყანა — დაუსტებულ საქართველოს რბევასა და ძარცვას შეუდგა. შესაბამისად, ყმადნა-ეციობისა და კეთილ მეზობლობის დრო წარსულს ჩაბარდა. გამაჰმადიანებული ლეკები მუსლიმთა კოალიციას შეურდოდნენ და ქრისტიანულ საქართველოს უწყალოდ ანიოკებდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიული სინამდვილე მსგავს მაგალითთა სიუხვით გამოირჩევა და სწორედ ამ გაუსაძლისი მტრობის ფონზე მართლაც განსაცვიფრებელია, ქართველების შემწყნარებლობა. ბედუკულმართობამ ძვრა რომ ვერ უყო და აგრესიის წილი ძალადობა არ გამოიწვია. ქართველთა ტოლერანტული ბუნება თანამედროვე ლიბერალებისთვისაა „შეუმჩნეველი“, მაშინ როცა ამ თვისებას ყველა ეპოქაში მოღვაწე არაქართველები, მაჰმადიანი თუ სხვა რელიგიის აღმსარებელი მკვლევარები ერთხმად აღნიშნავდნენ.

მუსლიმი მწერლის ელ-ანის სიტყვით, სახელოვანი მეფე დავით აღმაშენებელი მაჰმადიანებს მეტი პატივისცემით ეპყრობოდა, ვიდრე თავიანთი მბრძანებელი. დავითი მსოფლიოში დაქსაქსულ სომხებსაც სწყალობდა. როდესაც მან მაჰმადიანთა ხანგრძლივი ბატონობისგან ანისი გაათავისუფლა, გადაწყვიტა, მეზობელი ერი კვლავ მართლმადიდებლობაზე მოექცია. მეფის ყოველ ღონისძიებას კეთილი ნება ედო საფუძვლად. ისტორიული ნყაროები ღალადებენ, რომ დავით აღმაშენებელს

უცხო რჯულის აღმსარებლებისთვის მართლმადიდებლობა თავზე ძალით არასდროს მოუხვევია. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერ მკვლევარს უფლება არა აქვს, ვინმეს გულის მოსაგებად, რაიმე მიჩქმალოს ან შეგნებულად გააუკუღმართოს, რაც უკვე საბჭოთა ისტორიოგრაფიის ურყევი ხელწერაა!

ნაშრომის მესამე თავი მაჰმადიანთა ნინაღმდეგ მებრძოლი ქართული სამღველოებისა და ბერმონაზონთა ღვანლის წარმოჩენას ეთმობა. ისლამის მიმდევრებთან გამკლავებას მუდამ სასულიერო წოდება და მეფეები მოთავებოდნენ. ამ თვალსაზრისით, ეკლესიის როლი განუზომელია. იგი ეროვნული იდენტობისა და სარწმუნოების შესანარჩუნებლად ოდითგანვე მუხლჩაუხრელად იბრძოდა. მრავალრიცხოვან მაჰმადიანებთან უთანასწორო ომში ჩაბმული სამღველოება გაძარცვული და დანგრეული ეკლესიების აღდგენის პარალელურად, ცეცხლითა და მახვილით შემოჭრილ მტერს ხშირად ცოცხლად ეჩირებოდა.

ბუნებრივია, ქვეყნის ძნელბედობის ყამს სასულიერო პირები მხოლოდ საგანმანათლებლო მოღვაწეობით ვერ შემოიფარგლებოდნენ და მრისხანე ძალას იარაღსხმულნი უპირისპირდებოდნენ.

ამბროსი ხელაია ამ მოსაზრების დამადასტურებელ ფაქტებს უხვად გვანვდის. განუწყვეტელი შემოსევებით გაჩანაგებულ საქართველოში სამღველოება გულხეხელდაკრეფილი ვერ იჯდებოდა და ქვეყნის განადგურებას მოსიერე მასურების თვალთ ვერ აღიქვამდა. მომავალი პატრიარქი ამ ფაქტორს ხაზგასმულად წარმოაჩენს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე დემაგოგთა ყალბი ლოზუნგები: თითქოს სამღველოება ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად არასდროს მონაწილეობდა, და თითქოს ის მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს განაგებდა, ეს გეზმიმართული მონაჭორია და ამგვარი განაცხადები სასულიერო წოდების დაკნინებას ემსახურება. მავანს ქართული ეკლესიის უზარმაზარი ავტორიტეტი გუნებას უწამლავს და ტენდენციური შეხედულებების გავრცელებით სინამდვილეს განზრახ აყალბებს.

თბილისის მიტროპოლიტი, თარხნიშვილთა გვარის შთამომავალი, იოსებ II ბაზალეთის ბრძოლებში მონაწილეობდა, სადაც მოკლეს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. კათალიკოსმა ევდემონმა მეფე თეიმურაზი მაჰმადიანებული როსტომ ხანის ნინაღმდეგ განაწყობა. იმავე საუკუნის შუა წლებში კახეთში ჩასახლებული თათრები ქრისტიანებს სასტიკად სდევნიდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. მათ ალავერდის ტაძარში ღვთისმსახურება აკრძალეს და უფლის სახლი პირუტყვთა სადგომად აქციეს, ძარცვავდნენ და შეურაცხყოფდნენ ეკლესიებს, მართლმადიდებლურ ტრადიციებს აბურზად იგდებდნენ.

შექმნილი ვითარებით შეწუხებული ერთი პრესვიტერი ზაალ ერისთავს ეახლა და მაჰმადიანთა თარემის ასალაგმად თავისი მოვალეობა შეახსენა. ერისთავმა სასულიერო პირის რჩევა ყურად იღო, თუმეტი, ხევსურები და ფშაველები შეკრიბა და გაერთიანებული ლაშქრით თავგასულ მტერს კუდით ქვა ასროლიანა.

ქართლის მეფე ლუარსაბს ბრძოლაში მუდამ თან ახლდა მანგლისის ეპისკოპოსი იოანე, რომელიც მცხოვანი ხელმწიფის ვაჟკაცურ აღსასრულს თავადაც შეესწრო.

„ეს ყველაფერი ეკლესიისა და სახელმწიფოს მტრების ნინაღმდეგ საომარ მოქმედებებში ქართველ სამღველოებათა მონაწილეობისა და ღვანლის წარმოსაჩენად ზღვაში წვეთია. კათალიკოსსა და ზოგიერთ ეპისკოპოსს თავისი ლაშქარი ჰყავდა, ვახუშტი ბატონიშვილის რწმუნებით ამგვარი ჯარები საქართველოს მე-80 მეფე დავითის (1505-1525) დროს უნდა შექმნილიყო, თუმცა არის იმის დამამტკიცებელი ფაქტებიც, რომ ისინი ჯერ კიდევ XIV საუკუნეში არსებობდა“.

სამონასტრო გლეხებისგან შედგენილ ჯარს კათალიკოსი ან რომელიმე ეპისკოპოსი სარდლობდა. სასულიერო პირები ბრძოლის წინ ლაშქარს ჯვრით წინ მიუძღოდნენ და მეომრებს ლოცავდნენ.

სასულიერო წოდება ერის ზნეობრივ სადარაჯოზე იდგა და მეფეებს აიძულებდა ტყვეთა სყიდვის უძძიმეს და სამარცხვინო

ჩვევაზე ხელი აეღო. სახელმწიფო საქმეებშიც აქტიურად მონაწილეობდა და მეფისა და მსხვილი ფეოდალების მიერ გატარებულ არასწორ რეფორმებს მკაცრად ამხელდა და ეწინააღმდეგებოდა.

სასულიერო წოდების უზარმაზარი ავტორიტეტის დასტურია 1776 წელს შედგენილი აქტის შინაარსი, სადაც მკაფიოდ წერია, რომ „საქართველოში არავის არასდროს სმენია ვინმეს უარი ეთქვას საეკლესიო გადასახადებზე“.

ნაშრომში საგანგებო ყურადღება ეთმობა აფხაზეთს. ამბროსი ხელაიას განსაკუთრებული ინტერესი ამ კუთხისადმი სახსრებით ბუნებრივია, რადგან მამამისი აფხაზეთში წლობით ცხოვრობდა და ღვთისმსახურებას აღასრულებდა. ამბროსის აქაურობისადმი სიყვარული გენეტიკურად გამოჰყვა.

1885 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი აფხაზეთში გაემგზავრა, სადაც მღვდლად აკურთხეს. მომავალი მწყემსმთავარი სოხუმში, ახალ ათონსა და ლიხნში მოღვაწეობდა და იქაურ სკოლებში ქართულს ასწავლიდა.

შესაბამისად, ამბროსი ხელაია აფხაზეთს ზედმინებით კარგად იცნობდა. ადგილობრივი მოსახლეობის ჭირ-ვარამში სათანადოდ გარკვეული, ამ კუთხის სპეციფიკურ სიძნელეთა გადასაჭრელად ხელისუფლებისგან ქმედითი, ხალხისთვის სასიკეთო რეფორმების გატარებას ითხოვდა. იგი საკვანძო საკითხების მოსაგვარებლად იმ სინამდვილეს ღრმად და მიუკერძოებლად აანალიზებდა, რაც რუსეთთან შეერთების შემდეგ აფხაზეთში წარმოიშვა. მას გულწრფელად ადარებდა რუსული იმპერია თავის მფარველობაში შესულ კუთხეს როგორ განაგებდა და XIX საუკუნის განმავლობაში გავრცელებული მაჰმადიანობის აღსაკვეთად სასულიერო წოდება რამდენად აქტიურად იბრძოლებდა.

ქრისტიანობის განმტკიცებას ამ ძირძველ ქართულ სამოსახლოში სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამბროსი ხელაია ამ მოვლენის მნიშვნელობას შესანიშნავად აცნობიერებდა და სანდო ცნობებზე დაყრდნობით ქრისტიან მისიონერთა მოღვაწეობის ხელშეწყობის აუცილებლობაზე მიუთითებდა.

აქედან გამომდინარე, ნაშრომში რუსეთთან მიერთებული აფხაზეთის ხელახალი გაქრისტიანება დანვრისგან ითხოვრებულია მოცემული.

კერძოდ, 1810 წელს აფხაზეთის მთავარმა საფარ-ბეიმ გაქრისტიანება რუსეთის ქვეშევრდომობით აღიარა. აფხაზეთში ქრისტიანულმა ორიენტაციამ იმდღავრა. საფარ-ბეის ძმა მაჰმადიანი ასლანი დამარცხდა.

ამ კარდინალურ ცვლილებათა ფონზე, ამბროსი გამოყოფს სამეგრელოს მმართველის ნინო გიორგის ასულ ბაგრატიონის განსაკუთრებულ ღვაწლს, როგორც აფხაზეთის მართლმადიდებლობის, აგრეთვე ამ კუთხეში რუსეთის გაბატონების თვალსაზრისით.

ნინო, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ასული, დიდი ნებისყოფით, ენერგიულობითა და გამბედაობით ხასიათდებოდა. საფარ-ბეიმ, რომელიც სამეგრელოს მმართველს სიძედ ეკუთვნოდა, სიდედრის რჩევით რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ნინომ საფარ-ბეისგან წერილობითი თანხმობა მოიპოვა, რომ აფხაზეთში მართლმადიდებლობის აღდგენის თანადროულად ყველა ეკლესია ამოქმედდებოდა. სამეგრელოს გამგებელმა თურქული ორიენტაციის მიმდევარ ასლან-ბეის წინააღმდეგ მანუჩარ შერვაშიდის მეთაურობით თავისი ჯარი გაგზავნა.

ნინომ საფარ-ბეი მოშულარ ბიძაშვილებთან შეარჩია, რის შედეგადაც აფხაზეთში მშვიდობამ დაისადგურა, შემდეგ კი ნებულდელი მარშანიები (ისინი შერვაშიძეებს არ ემორჩილებოდნენ) დაიყოლია, რუსეთის ბატონობა ეცნოთ. „ნინო გიორგის ასული თავის შვილთან, ლევან დადიანთან ერთად იბრძოდა ფოთის სიმაგრის ასაღებად, სადაც თავისი ლაშქარი ამ სიმაგრისთვის ალყაშემორტყმული ჯარების მოსახმარებლად გამოიყენა და მისივე გულმოდგინებით მეგრელთა ლაშქარი ახალციხისა და თურქების ხელში მოქცეული სხვა ადგილების სანაღმდეგო ექსპედიციებში მონაწილეობდა!“

სამეგრელოს მმართველის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ერთი შეხედვით, პარადოქსული მოვლენა განვითარდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ ქრისტიანობამ აღმავლობის ნაცვლად, პოზიცია ვერ გაიმყარა. მომავალი პატრიარქი ამ ცვლილების მიზეზად თურქეთთან აფხაზ თავადთა სავაჭრო ინტერესს ასახელებს, ხელსაყრელი გარემოებით მაჰმადიანობის პროპაგანდისტები სარგებლობდნენ და ხალხს რუსული მმართველობის წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

გარდა ამისა, თურქები, რუსებისგან განსხვავებით, აფხაზეთის საშინაო საქმეებში ნაკლებად ერეოდნენ, რაც აფხაზებს თავიანთი ადათ-წესების შენარჩუნებაში ხელს არ უშლიდა. ახალი წყობილების დამყარებამ კი მათი მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია. გარუსების საგანგებო პოლიტიკამ აფხაზები უკიდურესად გააღიზიანა.

რთული ვითარებიდან გამომდინარე, 1830 წლამდე აფხაზეთი ეკლესიურად არცერთ ეპარქიას არ ეკუთვნოდა.

ამბროსი ხელაია ასეთ არასტაბილურ დროს აფხაზეთში ცალკეულ სასულიერო პირთა მისიონერული მოღვაწეობით ინტერესდება.

ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ცნობა ბიჭვინთის ტაძართან დაკავშირებით, რომლის განახლებასაც ცაგერის მონასტრის წინამძღვარი, მოგვიანებით აფხაზეთის ეპისკოპოსად არჩეული ანტონი მოთავაზობდა. რუსები ამ წამოწყებას იმ მიზეზით აფერხებდნენ, აღდგენილ ტაძარში ადგილობრივი მოსახლეობა არ ივლისო.

წმ. ამბროსი რუსი მალაჩინოსნების ცდომილებას ააშკარავებს და დასძენს, რომ გამაჰმადიანებული აფხაზები ტაძარს პატივისცემით ეპყრობოდნენ. ბიჭვინთის ტაძრის დასაცავად საგანგებო მცველიც ჰყავდათ, ვინც სიძველეებს უფრთხილდებოდა. რუსის ჯარის მიერ ბიჭვინთის ალების შემდეგ ტაძრის ტრაპეზზე XIII საუკუნის ქართული სახარებები აღმოაჩინეს. მიურიდინების ჩამოყალიბებისა და გაძლიერების შემდეგ აფხაზეთში კვლავ ისლამის ზეგავლენა განმტკიცდა.

ამბროსი ხელაია სახიფათო ვითარებას გრძნობს და აფხაზეთის, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი, ძირძველი კუთხის შესანარჩუნებლად ძალდონეს არ იშურებს. კავკასიის, როგორც არამდგრადი რეგიონის, რელიგიური სხვაობა საბედისწერო როლს ასრულებდა და ამ საფრთხეს უწყვეტი მისიონერული მოღვაწეობა თუ აღმოფხვრიდა.

ამას თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილები კარგად აცნობიერებდნენ და აფხაზეთში რთული მდგომარეობის განსამუხტად თავდაუზოგავად ირჯებოდნენ.

კავკასიელი მთიელების გასაქრისტიანებლად განსაკუთრებული ღვაწლი უდიდეს ქართველ ერისკაცს, იმერეთის ეპისკოპოსს, გაბრიელ ქიქოძეს მიუძღვის. ეს ის ლეგენდარული სასულიერო პირია, ვისი უზარმაზარი ნიჭი და ავტორიტეტი პატივმოყვარე ეგზარქოსს მოსვენებას უკარგავდა. ევსევი ეგზარქოსი ხვდებოდა, რომ უმაღლესი ტიტულის მიუხედავად, ქართველი ერი მასზე წინ გაბრიელს აყენებდა. უპირველეს სასულიერო მოღვაწედ იმერეთის ეპისკოპოსს სცნობდა და აღიარებდა.

თავისი რისხვის გამოსავლენად ეგზარქოსმა გაბრიელ ქიქოძის მნიშვნელოვანი ნაშრომი: „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ სარეცენზიო კომისიის ნებართვის გარეშე დატოვა. ევროპაში მოწინააღმდეგე ნაშრომი თავმოყვარეობას უღაბავდა და ცდილობდა, „მონიშნავდეს“ აკრძალული მეთოდებით შერბოლებოდა. მის ნება-სურვილს ვერც ვერავინ გადავიდოდა, მაგრამ საქმეში იაკობ გოგებაშვილი ჩაერთო და, უარის მიუხედავად, სარეცენზიო კომისიის წევრებისგან ნაშრომის დაბეჭდვის უფლება გამოითხოვა. ევსევი ეგზარქოსი დამარცხებას შეურიგდა.

გაბრიელ ქიქოძე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად თავგანწირვით იბრძოდა და, ბუნებრივია, ამ დაძაბულ ომში აფხაზეთს რუს მოხელეებს საჯიჯგნად ვერ დაანებებდა.

იმერეთის ეპისკოპოსმა საქართველოში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ქუთაისის

ტადრის ამბიონიდან პროტესტის ნიშნად შესძახა: „შესდექ, რუსეთის ხელმწიფე!“ ქართველმა მწყემსმთავარმა იმპერატორს საქართველოს სულისკვეთება გაბედულად ამცნო და დაადგინა, დაუფარავად პირში მიახალა, რომ იგი რუსეთის მეფეა და საქართველო მისგან სხვაგვარ მოპყრობას იმსახურებს. არსად თქმულა, უზარმაზარი იმპერიის გამგებლისთვის „კოლონიის“ სასულიერო პირს ჩადენილ საქციელზე პასუხი საჯაროდ მკაცრად მოეთხოვა.

გაბრიელ ქიქოძე გაუტყუებელი ნების სიმბოლოდ იქცა და რა გასაკვირია, ამ გაქანების პიროვნებას აფხაზეთის გასაქრისტიანებლად მისიონერული მოღვაწეობა დაენყო.

ამბროსი ხელაია უდიდესი ქართველი ეპისკოპოსის ღვანლს სათანადო პატივს მიაგებს და აღნიშნავს, რომ „კავკასიელი მთიელებისთვის ნამდვილ მოციქულად ან განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსი უსამღვდელოესი გაბრიელი უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც კავკასიაში სახელი გაითქვა საგანმანათლებლო და გონიერული მოღვაწეობით. მან სამისიონერო მოგზაურობა დაიწყო აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და ამ ადგილების მაჰმადიანურ მოსახლეობას სახარებას უქადაგებდა.

იგი, როგორც სახელგანთქმული მქადაგებელი, მჭევრმეტყველებით არა მარტო ქრისტიანს, არამედ მაჰმადიან მსმენელთა მასებსაც იზიდავდა. სამისიონერო მოგზაურობისას უაღრესად თავგანწირული ვახლდათ და არავითარი წინააღმდეგობა და გაჭირვება არ აშინებდა“.

გაბრიელი უღრან ტყვებსა და მთების ნიაღვრებისგან წარმოქმნილ ვიწრო ხეობებში სიარულსაც არ ერიდებოდა. ერთგან უშიშარი ეპისკოპოსი მთის წვერიდან ნაბდით დაეშვა.

გაბრიელ ქიქოძის ძალისხმევამ სასურველი შედეგი უმოკლეს დროში გამოიღო. 1868 წლიდან მოყოლებული 1877 წლის ჩათვლით, მცირე გამოწვევის გარდა, 18 ათასი აფხაზი მონათლა. ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო, რასაც პროგრესულად მოაზროვნე რუსი მწერლებიც აცნობიერებდნენ. ერთერთი, ა. მურავიოვი, ეპისკოპოს გაბრიელს ესოდენ ფართოდ დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობისთვის მხურვალე მადლობას სწირავდა. მას განმანათლებელს უწოდებდა და ნატრობდა, ახალციხესაც გაბრიელის მსგავსი ქადაგი მოვლენოდა, რომლის მჭევრმეტყველების ძალმოსილებითაც აფხაზეთი სრულიად გაქრისტიანდა.

ის, რაც იმპერიამ მთელი თავისი რესურსებით ვერ შეძლო, გაბრიელმა სულ რამდენიმე წელიწადში მოახერხა. ეს „წერილმანი“ იმერეთის ეპისკოპოსის უსაზღვრო მადლმოსილებასა და უდრეკ ნებისყოფას მონიშნავს.

გაბრიელ ქიქოძის ღირსეულმა მემკვიდრემ, იაკობ გოგებაშვილმა წერილების აფხაზურ ციკლში დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ დაცარიელებულ აფხაზეთში ძირითად მოსახლეობას მეგრელები, ბარის გურულები და იმერლები შეადგენდნენ. რუსი მოხელეები იაკობის უაღრესად გაბედულ შეფასებას უარყოფითად გამოეხმაურნენ, თუმცა სოხუმის მხარის უფროსმა ვედენსკიმ „დედა ენის“ ავტორის რკინისებურ არგუმენტებს ბოლომდე ვერ გაუძლო და პოლემიკა შეწყვიტა. მეტიც, მან იაკობ გოგებაშვილის პროექტს, რომელიც აფხაზეთში ამ კუთხის მკვიდრი მოსახლეობის: მეგრელებისა და გურულების ჩასახლება სისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით ასაბუთებდა, მხარი დაუჭირა. შავრაზმელი კატკოვის ჩარევით რომ არა, იაკობ გოგებაშვილის პროექტის განხორციელების შედეგად აფხაზეთს აღარ დაეკარგავდით. სამწუხაროდ, იმპერიული იდეოლოგიით მონამულული მაღალჩინოსნის საბედისწერო გადაწყვეტილებამ დაცარიელებულ-გაუკაცრიელებული აფხაზეთის ქართველებით დასახლების გეგმა საძირკველშივე მოსპო.

იმპერიასთან შეჭიდებულმა მოღვაწეებმა საბოლოოდ უზარმაზარ სახელმწიფო მანქანასთან ვერაფერი გააწყეს.

ამბროსი ხელაია გულისტკივილით აღიარებს, რომ გაბრიელის შემდეგ აფხაზეთში ქრისტიანობა კვლავ შესუსტდა და

იმერეთის ეპისკოპოსის მოღვაწეობის დროს გაქრისტიანებული სოფლები ერთიანად გა-მაჰმადიანდა. თურქული ორიენტაციის აღდგენას რუსეთ-თურქეთის უკანასკნელმა ომამაც (1877-78) დიდწილად ხელი შეუწყო. იქიდან დაბრუნებული აფხაზები უკან ფანატიკოს მაჰმადიანთა თვისებებს ამჟღავნებდნენ. საბოლოოდ აფხაზეთი კვლავ სახიფათო კერად რჩებოდა. რუსეთმა ხისტი პოლიტიკის მიუხედავად, ამ კუთხეში მართლმადიდებლობის განმტკიცება ვერ უზრუნველყო.

თურქთა ექსპანსიის მუდმივ სამიზნედ სამცხე-საათაბაგო იქცა. ამბროსი ხელაია ამ კუთხის დახასიათებისას ჩვეულ კეთილსინდისიერებასა და საფუძვლიან ცოდნას ავლენს და აღნიშნავს, რომ კონსტანტი-ნოპოლის აღებიდან ასი წლის შემდეგ თურქები სამცხის სამთავროს უტყვევენ. აჭარის ხელში ჩაგდებისთანავე იპყრობენ ტაოს, შავშეთსა და კლარჯეთს.

სამცხეში გამაჰმადიანებული საფარ-ფაშას ძალისხმევით მოსახლეობის შევიწროება გაძლიერდა. მართლმადიდებლობის აკრძალვის საპირწონედ მუსლიმური წეს-ჩვეულებები ინერგებოდა, ურჩებს კი აუტანელი გადასახადი დაეკისრა, რამაც სასულიერო წოდების პირები აიძულა თავმესაფარი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ეძიათ. ეკლესია-მონასტრები დაცარიელდა. სინმინდეები და განძი სამცხედან განადგურების შიშით გაიზიდა. საეკლესიო ღვთისმსახურება პრაქტიკულად ჩაკვდა.

როსტომ-ფაშას დროს მაჰმადიანურ ზნე-ჩვეულებათა დაცვა არისტოკრატებს ევალებოდათ, უმძიმესი ვითარების მიუხედავად, XVIII საუკუნის მრავალი აქტიდან ირკვევა, რომ ხალხი ქრისტიანობას ინარჩუნებდა და მაჰმადიან მქადაგებელთა ზეგავლენის ქვეშ იზვიათად ექცეოდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებითაც დასტურდება, რომ წარჩინებულთაგან განსხვავებით, გლეხობა ქრისტიანობას მტკიცედ იცავდა, თუმცა ხშირად ქვეყნის მმართველი ფაშები ისლამს ფორმალურად აღიარებდნენ. სახელდობრ, ამის საუკეთესო მაგალითია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ახმედ-ფაშა, რომელიც გადმოცემით ფარულად მონათლა და ქრისტიანულ ტრადიციებს ადასრულებდა. მაჰმადიანები მას ეჭვითა და უნდობლობით ეკიდებოდნენ.

1772 წელს მან ახალციხის სიმაგრეში მართლმადიდებლური ეკლესიის გეგმის მიხედვით მეჩეთი ააშენა, ვინაიდან ითვალისწინებდა, რომ ახალციხის ალექსის შემდეგ მეჩეთი მართლმადიდებლურ ტაძრად გადაკეთდებოდა. ამ „მკრეხელობისთვის“ თურქეთის მთავრობამ ახმედ-ფაშას თავი მოკვეთა. მეჩეთს შიგნით ჯვრის ფორმა ჰქონდა და როცა 1828 წელს რუსის ჯარმა ახალციხე დაიკავა, ტაძრის სიღრმეში მართლმადიდებლური საკურთხეველი ადვილად გაიმართა. ახმედ-ფაშას წინათგონობა ასე აცხადდა.

„იმისათვის, რომ ქართველებისთვის თვალი ედევნებინათ, თურქებმა ახალციხეში ართინისა და სხვა ადგილებში მათ სომხები ჩაუსახლეს. ჩასახლებულ სომხებს თავისუფალი ღვთისმსახურების უფლება მისცეს იმ პირობით, რომ ქართველებისთვის ეთვალთვალათ და თურქეთის ხელისუფლებისათვის მათ შესახებ ყველაფერი მოეხსენებინათ“.

ამ სამწუხარო ფაქტიდან ბევრი რამ ირკვევა. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებული სომხების საქმიანობის უარყოფითი შედეგი აშკარაა. დროთა განმავლობაში ამ რეგიონის ავტონომიის დასმის მიუღებელ პრეტენზიაში გადაიზარდა აგრეთვე ე.წ. რეგიონული ენის სტატუსის მოთხოვნა, რომლის პრეცედენტიც მსოფლიოს არ ახსოვს.

ამბროსი ხელაია ამ საფრთხეზე ჯერ კიდევ 1901 წელს მიუთითებდა. იგი რუსულ ენაზე რუსეთის იმპერიის მესვეურთ თვითმპყრობელური პოლიტიკის გატარებაში უშიშრად ამხელდა, უმტკიცებდა, რომ კავკასიაში „გათიშე და იბატონეს“ პრინციპიდან გამომდინარე, სარწმუნოებასაც პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად იყენებდნენ. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით უსაბუთებდა, რომ ხიშტის დამკვიდრებამ კავკასიაში მაჰმადიანობის ბუმი გამოიწვია და სწორედ რუსეთთან შეერთების შემდეგ XIX საუკუნის მეორე ნახევარში თავისუფალ თემებად

მცხოვრები კავკასიელები ერთ მუშტად შეიკრნენ და საძულველი მმართველობის წინააღმდეგ ისლამის დროშის ქვეშ დაირაზმნენ. თურქეთმა ამ მიზეზით მოიპოვა დასაყრდენი და, შესაბამისად, ვითარება მკვეთრად გაუარესდა. მიურიდიზმის ჩასახვა-აღმავლობა რუსეთთან შეუთავსებლობის გამოძახილად იქცა.

„ასეა თუ ისე, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთთან საქართველოს დიდი ნაწილის მიერთების დროიდან ქართველებით დასახლებულ დაპყრობილ მიწებზე მაჰმადიანობა ძლიერდებოდა“, — ეს ამონარიდი საბრძოლველ დასკვნასავით მჭრელია.

მომავალი პატრიარქი თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად გრაფინია უვაროვას ჩანაწერებს იმონებს. იგი აცნობიერებს, რომ ქართველებისგან სასულიერო პირის მეშვეობით გაცხადებულ შეულამაზებელ სიმართლეს რუსები „მოვინისტის“ იარაღის მიაკერებენ და ამიტომ ეროვნებით რუსი ქალბატონის შეხედულებებს ამზერებენ, რომელიც მეჩეთებსა და მაჰმადიანური თემების დაარსებაში თურქ ხელისუფალთა აშკარა მხარდაჭერას ხაზს უსვამს, რაც შეუძლებელია „არ იყოს სამი ნებისმიერი ხელისუფლებისათვის, არ იყოს ნამქუზბელი მცირე მოძრაობისა და კი, სულ მცირე პოლიტიკური ბრძოლის გასაჩაღებლად. სადა აქვს ძალა მართლმადიდებლობას, — კითხულობს გრაფინია, — რომელსაც არა აქვს საკმარისი ეკლესიები და არა ჰყავს საკმარისი ეკლესიის მსახურები, რომელსაც არა აქვს სკოლები, რომლის წარმომადგენლებს თავიანთ მოვალეობად არ მიაჩნდათ, დაეუფლონ ადგილობრივ ენას, ადგილობრივ ადათ-წესებს?“

ნმ. ამბროსი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესთა სრულ უგულვებლყოფაში იმპერიის მესვეურებს ღიად ადანაშაულებს და შესაფერისი მისიონერული მოღვაწეობისთვის საგანგებო პირობების შექმნას მოითხოვს.

ბუნებრივია, ფაქტების ნუსხა (ნაშრომს მოღვაწის ეროვნული მსოფლმხედველობა მაგისტრალურ ხაზად გასდევს) ერთი, თუნდაც უაღრესად მნიშვნელოვანი და მაღალმხატვრული ნაშრომის ფარგლებს სცილდება და ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის ქრისტიანულ-ეროვნულ მრწამსს გაბედულად და მიუკერძოებლად წარმოაჩენს.

აქ ამბროსი ხელაიას მეზობლი სულისკვეთება ცხადდება, სამშობლოს დაცვის მოქალაქეობრივი მოვალეობა ყველაფერს ჩრდილავს და წინდახედულების მუხტს ახშობს. მას სხვაგვარად არ ძალუძს. მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას დაჩაგრული ქვეყნისა და მამა-პაპური სარწმუნოების დაცვასა და აღდგენას ახმარს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ვახტანგ VI-ის პოლიტიკას ზედმეტი რევერანსების გარეშე აფასებდეს. სწავლულ მეფეს ლიტერატურულ ნიჭსა და ამაგს არ უკარგავს, რაც სრულებითაც არ უშლის ხელს ვახტანგის გა-დანყვეტილად მკაცრად, თუმცა სამართლიანად გააკრიტიკოს.

„უნდა შეინიშნოს, რომ კარგი ლიტერატორი და სწავლული ვახტანგ VI შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არ იყო. ამას აღნიშნავს დავით გურამიშვილი — XVIII საუკუნის პოეტი. იმის მაგივრად, რომ საქართველოში დარჩენილიყო და ხალხის ჭირ-ვარამი გაეზიარებინა, ოჯახთან ერთად რუსეთში გადასახლდა. ამას გარდა, ქვეყნის საუკეთესო ძალები, ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები თან წაიყვანა: რუსეთში ვახტანგთან ერთად 1500 ქართველი გადასახლდა, ხოლო ქვეყანა მმართველებისა და თავისი საუკეთესო შვილების გარეშე დარჩა!“

ესოდენ მიუკერძოებელი, წრფელი, სამართლიანი და სამშობლოს ბედით გულმტკიცებული მოღვაწის შეფასება გულის სიღრმემდე ატანს და ხვდები, ილიასი არ იყოს, რამდენი ვარამი მსჭვალავს კაცს, ვისაც გულში მამულის ხსნა ამოუჭრია და მზად არის, ნებისმიერ ავტორიტეტს წინ აღუდგეს. თუ სამშობლოსა და სარწმუნოების გადარჩენა ამ „მოუთმენელი“ პატიოსნების გაცხადებაში ვლინდება!

ვახტანგ VI-ის ამ საბედისწერო გადაწყვეტილების უარყოფით შედეგს ხომ დღემდე ვიმკით. როგორი ასატანია, ქვეყნის საუკეთესო შვილები ოფლს სხვისი კეთილდღეობისთვის

ღვრიდნენ. მათ არა მხოლოდ გენეტიკურად, კულტურულად და მატერიალურად აძლიერებდნენ და ამდიდრებდნენ, მაშინ, როცა ჭირ-ვარამიდან გამოუღწეველ სამშობლოს თითოეულის დახმარება ფეხზე წამოაყენებდა და სულს მოათქმევინებდა!

ამ ტრაგედიას ნამდვილი ქართველები მუდამ სიღრმისეულად, მტკივნეულად და გულწაკლულად განიცდიდნენ.

„რუსეთში მრავალი ქართველი ცხოვრობს. ზედმეტი ინტელიგენცია გვყავს“, — დიდი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის უბის ნიგნაკში ეს ჩანაწერი მძიმედ სუნთქავს, სათქმელი თითქოს შეკუმშულია, მაგრამ სიტყვა „ზედმეტი“ ყველაფერი გაცხადებულია. ვახტანგ VI-ის მიერ უცხოეთში განწვეულ ქართველთა მონაგარი ეროვნულ ნიადაგს მონყვეტილა და ვინც ამ მწარე სიმართლეს უარყოფს, მას საამისოდ ალბათ პირადი ინტერესი ამოძრავებს, რაც ქვეყნის ინტერესთან არ არის გადაჯაჭვული. ზედმეტი ინტელიგენციის ყელყელაობისა და უსაფუძვლო თავმომწონეობისა თუ ლიდერობის მანიას „პროვინციულ სამშობლოში“ ამჯერად არ გამოგვიკიდებთ.

გადასახლების სიმკაცრენაწვენი ნმ. ამბროსის პოზიცია შეუვალაია. მას მიაჩნია, რომ საქართველოს იმის ფუფუნება არა აქვს, თავისი შვილები სხვა სახელმწიფოთა სამსახურში გაამწესოს. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ამ თვალსაზრისით ნებისმიერი რეკორდი მოხსნილია! შედეგიც შესაბამისია — საქართველო უქართველებოდ ათასი ჯურის ავანტიურისტისა და უცხოტომელის უცვლელი სამიზნეა!

ნიგნაში ცნობილი კონდოტიერის თემაც ძალზე მოკლედ, თუმცა სახიერად შემოდის. საბჭოური მითოლოგიური გმირის, გიორგის სააკაძის სახე ნაშრომში ძუნხად, მაგრამ რელიეფურად იკვეთება.

ლუარსაბ მეფის მონამეობრივი აღსასრულით გამხნეებულ ქართველობა მართლმადიდებლურ რწმენას უმძიმესი წნეხის პირობებშიც ინარჩუნებდა. ნმ. ამბროსის თქმით: „უბედურებათა ჟამს მუდამ გამარჯვებული მართლმადიდებლური რწმენა ამ დროისთვის ქართველებში კიდევ უფრო განათდა და თვით სიკვდილში სიცოცხლის დაუმრეტელი წყარო აღმოაჩინა“.

ამით გალიზიანებული მაჰ-აბასი უარესად გაცოფდა. „გიორგი სააკაძე და სხვა ქართველი დიდებულები აქამდე სპარსელებს ხელს რომ უწყობდნენ, ახლა მწარე სინამდვილედ დააფიქრა. სამშობლოს მოღალატეებში სინდისმა გაიღვიძა“.

გიორგი სააკაძისადმი მომავალი პატრიარქის დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითია. ბევრ თანამედროვე ინტელიგენტს გალაკტიონი მოხსრებულად ინტელიგენტებს რომ უწოდებდა, ამის გაგონება დი-დად ემცხებოდა. ქართლის მოურავის სინდრომი ორმაგი სტანდარტის სახელითაა დამკვიდრებული და დიდი გასავალითაც სარგებლობს. სააკაძის გაფეტვილებაში იმ ადამიანების შიში ჩაბუდებულია, ვისაც სარკემი ჩახედვისა ეშინია და რეალობას ათასმაგი ნიღბის მორგებით ეტმასნება.

შერეული ქორწინების თემა ნაშრომში პოლიტიკურ რანგში აყვანილ მოვლენადაა გააზრებული. ამბროსი ხელაია ჩვენი თანამედროვე რომ ყოფილიყო, ჯიშის სინმინდის ქადაგებისთვის მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციები სულ ცოტა „ორლობის ფაშისტის“ ან „ფუნდამენტალისტი მართლმადიდებლის“ სტატუსს მიაკუთვნებდნენ. ბედის ირონიაა, რომ შერეული ქორწინების აპოლოგია, ტოლერანტობისა არ იყოს, ჩვენი ურყევი „საკუთრება“ თუ „პრივილეგიაა“. მისი დაცვა და აღიარება განუხრელად მხოლოდ ქართველებს გვევალება! ფაქტია, ეს უძველესი კოზირი დასუსტებულ ქვეყნებში მცხოვრები „არასრულფასოვანი ცნობიერების მქონე“ მოსახლეობის „უმტკივნეულო“ ასიმილაციისთვისაა განკუთვნილი. ეს მომაკვდინებელი საფრთხის ძალა ამბროსი ხელაიას, როგორც ნამდვილ ქართველს, შეგნებული აქვს და ამის თაობაზე პირდაპირ, „მოურიდებლად“ მიუთითებს:

„ცნობილია, რომ ოჯახური ცხოვრება ყველაფერს გადახარშავს. შერეულ ქორწინებათა წყალობით ეროვნული გადმოცემები, რწმენა, წეს-ჩვეულებები თუ საერთოდ არ ქრებოდა,

იცვლებოდა, ახალ იერს, ახალ ფორმას იძენდა, კარგავდა პირველყოფილ სინონიმებს და ენიხალმდებებოდა ნიშნებს. ასეთი შერეული ქორნიენტებით გაჩენილი ბავშვები უეჭველად მაჰამადიანური სარწმუნოების მიმდევრები უნდა ყოფილიყვნენ“.

ერთს დაჰძენ, შერეული ქორნიენტების „კოზირს“ ყველა იმპერიის წარმატებით მიმართავს და ვაი იმ ერის ბრალი, ვინც წითელ ნიგნში შესატან გადაჯიშებულ ეგზემპლარად დაახარისხეს!

ნაშრომის ბოლო ნაწილში ანტიმაჰამადიანური ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების განხილული. ტომის შემდგენელ-რედაქტორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მიხეილ ქავთარიას საყურადღებო დასკვნის თანახმად:

„ქართულ სინამდვილეში ანალოგიური შრომა ამ პერიოდში არ დანერგა. მიხეილ საბინინის მიერ გამოქვეყნებული იყო ძეგლები, ალ. ხახანაშვილის, მ. ჯანაშვილისა და სხვათა მიერ ძეგლებიდან მოძალადე მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდები აქცენტირებული იყო, მაგრამ ეს იყო მაინც ცალკეული ეპიზოდების წარმოჩენა. ერთადერთი, ზოგადი მოთხოვნით ერის საერთო განწყობის ჩვენებით, მთელი მასალა XIX ს-ის მინურულსა და XX ს-ის დამდეგს არავის არც წარმოუდგენია და არ განუხილავს. ეს მომენტი ამბროსი ხელაიას საკვალიფიკაციო ნაშრომში არგუმენტირებულად არის წარმოდგენილი და ამით იგი განსაკუთრებულია ქართული მწერლობის ისტორიაში“.

ძალზე სასიხარულოა, რომ ნაშრომის ორიგინალობა და თვისობრივი სიახლე მნიშვნელოვან მიღწევად შეფასებული, რაც მოღვაწის უნივერსალურ ნიჭს ააშკარავებს და თხზულების მაღალმხატვრულ დონეს განსაზღვრავს. ცნობილი ჰაგიოგრაფიული ძეგლების ანალიზის გარდა, ამბროსი ხელაიამ 1880 წელს გამოცემული ნიგნის „პოლემიკური საუბარი ღვდლისა ინგილო ეფენდისთან“ ავტორის, მღვდელ სიმეონ ბეგიევის (ბეგიაშვილის) შესახებ მართებული მოსაზრება გამოთქვა. იგი განსაზღვრავს, რომ მრავალფეროვანი მასალის მიუხედავად, თხზულებას კონკრეტული ავტორი ჰყავს. ამბროსი ხელაიას შეხედულება მეცნიერებათა გაიზიარეს, ეს გარემოება გამოჩენილი მოღვაწის უტყუარ ალღოსა და ფართო ერუდიციას ამჟღავნებს.

ძალზე ყურადსაღებია წმ. ამბროსის მსჯელობა ისლამზე, როგორც რელიგიაზე, სადაც იგი უამრავ წყაროს ეყრდნობა. მათ შორის, იმ ქართველთა მოსაზრებებს, ვინც მაჰამადიანობის არსს საუკეთესოდ იცნობდნენ და მათ აღმსარებლებს მუჰამედის განანესთა დარღვევაში ამხელდნენ. ამის საილუსტრაციოდ კი ყურანის იმ ადგილს მიუთითებდნენ, სადაც ქრისტიანული ეკლესიების წერევა და ღვთისმსახურთა დევნა აკრძალულია (XXII, 41).

სამეცნიერო სტატიაში ანტიმაჰამადიანური საპოლემიკო თხზულების სრული ჩამონათვალი აუცილებელია, მაგრამ ეს ისედაც ვრცელი ნერილის მოცულობას ხელოვნურად გაზრდის, ამიტომ მოკლედ დაჰძენ, რომ ამბროსი ხელაიამ იმუამად ხელმისაწვდომი ყურადსაღები წყაროები გამოწვლილვით შეისწავლა და გააანალიზა. ნაშრომის უნივერსალურობიდან გამომდინარე, იგი თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მწერლობის, ისე ისტორიისა და ეთნოგრაფიის თვალსაზრისითაც.

თავს უფლებას მივცემ, შესანიშნავ მწერალს, გამომცემელსა და მთარგმნელს აკაკი ბრეგვაძეს გამოვცხამაურო. იგი XIX საუკუნის მოღვაწის უანგარობითა და თავდადებით დიდი ხანია ქართულ მწერლობას ემსახურება და, რომ არა მის მიერ ჩინებულად გამოცემული მრავალტომეული სერია: „მნიგნობრობა ქართული“, ამბროსი ხელაიას ამ ეპოქალურ, უაღრესად საჭირო, ფასდაუდებელ ნაშრომს ქართველი საზოგადოება, ვინძლო, როდის იხილავდა!

ამაგდარი მოღვაწისა და მთარგმნელის არჩევანს გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება და ძალზე სასიხარულოა, ბ-მა აკაკიმ ესოდენ ძვირფასი საჩუქრით რომ გავგანებვირა. „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ ზნობრივ საქართველოს ღირსეულად დაამშვენებს და ჩვენს უკუღმართ დრო-

ში სულიერებადაქვეითებულ ადამიანს გამოაფხიზლებს, მომავლის რწმენასა და სამშობლოს სიყვარულს გაუღვიძებს.

ამბროსი ხელაიას ნამუშევარი ტკივილამდე ნაცნობი და განდევნილი მრწამსის გამოძახილია „მამული, ენა, სარწმუნოება“ თავიდან თუ არ შევისისხლხორცეთ ქართველებმა, ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანა ხელიდან გამოგვეცლება! გამართული დარბაისლური ენა ტექსტის შესამეცნებლად ნდობით განგანყობს, რაც მწერლისა და მთარგმნელის ზურაბ თორიას უდავო ოსტატობის მაჩვენებელია. ეს გარემოება საკმაოდ რთული შინაარსის ნაშრომის ათვისებას აადვილებს და მკითხველს თავდაჯერებულად მიუძღვის იმ უზენაეს საუფლოში, სადაც „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან...“

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCL) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს კონკურსს

გრიგოლ კიკნაძისა და გივი გაჩეჩილაძის სახელობის სამეცნიერო პრემიების მოსაპოვებლად პრემიები, ორ წელიწადში ერთხელ, ენიჭება საქართველოს უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს თვალსაჩინო ნაშრომისათვის ლიტერატურისმცოდნეობის სფეროში და ამავე დარგში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო თარგმანისათვის.

„გრიგოლ კიკნაძის სახელობის პრემია“ გაიცემა ორ ნომინაციაში:

- ა) სამეცნიერო მონოგრაფია;
- ბ) სამეცნიერო სტატია;

„გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემია“ გაიცემა ორ ნომინაციაში:

- ა) სამეცნიერო თარგმანი (ქართულიდან უცხო ენაზე)
- ბ) სამეცნიერო თარგმანი (უცხო ენიდან ქართულ ენაზე)

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას ბოლო ორ წელიწადში (2013-2014 წ.წ.) გამოცემული შრომები.

პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომის წარმოდგენა შეუძლია:

- ა) ავტორს;
- ბ) გამომცემლობას;
- გ) ორგანიზაციას.

პრემიების მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი (სამ ცალად);
- ბ) ავტორის (ან ავტორთა) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV).

საკონკურსოდ შემოსულ ნაშრომებს აფასებს ანონიმური კომისია, რომელიც დარგის ექსპერტებისგან (სულ – ხუთი წევრი) შედგება.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, მხარდაჭერის ნიშნად, საპრემიო კომიტეტს გამოუყო სივრცე. ამიტომაც პრემიაზე წარსადგენი ნაშრომების დატოვება მსურველებს სწორედ ინსტიტუტის შენობაში შეეძლებათ. მასალები მიიღება **2015 წლის 12 იანვრიდან 20 მარტის ჩათვლით**, მისამართზე: **კოსტავას ქ. 5, მე-2 სართული (მედია მუსხელიშვილთან ან მარიამ ნებერიძესთან).**

პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონია გაიმართება მისში. გამარჯვებულებს გადაეცემათ შესაბამისი პრემიები და ფულადი ჯილდო.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის პრემიის დებულება (<http://geclaorg.ge/premia.pdf>)

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით ელექტრონული ფოსტის მისამართზე: **geclaorg@gmail.com**

მიხეილ ჩარკვიანი

„მეტი სიკეთე“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- პრობლემა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- ყველგან სადაც საჭირო და აქტუალური ვიქნები.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- თეატრი.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ოიდიპოსი, მაკბეტი, უოლტერ ფაბერი, გეშე გოტფრიდი, პეტრა ფონ კანტი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- არ მყავს ასეთი პერსონაჟები. ჟანა დ არკი ალბათ. ან რომელიმე სხვა მებრძოლი ქალი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ედვარდ მუნკი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- იოჰან სებასტიან ბახი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- ერთგულებას, სიკეთეს, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, პუნქტუალურობას, თვითკრიტიკას.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ამ შემთხვევაში კაცს და ქალს შორის მანინც და მანინც დიდი განსხვავებას ვერ ვხედავ.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- ქველმოქმედება.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- თეატრი. საჭირო თეატრი. თეატრი ხალხის სამსახურში. მართალი თეატრი. „გარემოების საყვირი“ თეატრი. თეატრი, რომელიც აფხიზლებს საზოგადოებას და იბრძვის მისი უმჯობესი მეტამორფოზისკენ.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- რაინერ ვერნერ ფასბინდერი, ჯიმ მორისონი, მარლენ დიტრიხი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- ოპტიმიზმი და შრომისმოყვარეობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- უნდა ვუყვარდე ჩემს მეგობარს. სხვანაირად ჩემი მეგობარი ვერ იქნება. ამაღ ვაფასებ.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- ჯიუტი და ფიცხი ვარ.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- ბედნიერება სასტიკად მარტივი რამეა. უბედურებას ისიც კი ვიხიბა, რომ ადგე და ბედნიერების ილუზია შეიქმნა.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- კიდურების ამპუტაცია.
- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- როგორიც ვიქნები, ისეთი.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- შავი, წითელი, თეთრი.
- ყვავილი რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- კესანე.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ყვავი.
- თქვენი საყვარელი მწერლები?
- ევრიპიდე, სოფოკლე, იბსენი, შექსპირი, დოსტოვესკი, ფასბინდერი, ბულგაკოვი, ფოლკნერი, ვაჟა-ფშაველა, მარკ

ტვენი, ჯ. ქ. როულინგი, პრუსტი, ორუელი, ფრიში და კიდევ რამდენიმე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— როზა აუსლანდერი, მარინა ცვეტაევა, დიანა ან-ფიმიადი და კიდევ ერთი-ორი, ისე არა ვარ მაინც და მაინც პოეზიის მოყვარული.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მედეა, კლიტემნესტრა, ლედი მაკბეტი, გეშე გოტფრიდი, ფრუ ალვინგი და სხვა დანარჩენი, რომლებიც საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძვიან.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ჩემი სუპერგმირი მეგობრები, ჩემი შეყვარებული და დედაჩემი

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— როზა ლუქსემბურგი

— საყვარელი სახელები?

— ჩემი სახელი მომწონს ძალიან. სახელიც და გვარიც. მე რომ არ მერქვას, ჩემს შვილს დავარქმევდი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— დროის კარგვას. უფრო სწორად ამის მეშინია და ვერ ვიტან იმ ადამიანებს ვინც დროს მაკარგვინებს.

— ისტორიული პიროვნება რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— ლავრენტი ბერია

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— არავითარი ალტაცება აქ არ შეიძლება იყოს. ომი არის დანაშაულებრივი ცირკი და მეტი არაფერი. კულტურული მემკვიდრეობის და გენოფონდის საშლელი. აი ეს არის ომი და არავითარი ალტაცების ღირსი არ არის. არც ეგ და არც მისი მოთავეები. განსაკუთრებით გულის ამრევია ომი მშვიდობისთვის. ომს მშვიდობა არ მოაქვს და ესაა სიმართლე.

— რეფორმა რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რეფორმები უნდა არსებობდეს იმისთვის რომ შეფასება მიეცე. ჩვენს ქვეყანაში რეფორმები არ არსებობს.

— ნიჭი რომელსაც გინდათ ფლობდით?

— ლევიტაცია მინდა რომ შემიძლოს

— როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მინდა რომ ნითელ ხავერდის ტახტზე ვინვე სასტიკად ბებერი, ისეთი ბებერი რომ მარტო მე მწყებოდეს საკუთარ სიკვდილზე გული :)))))) მინდა რომ ირგვლივ ჩემი თვალცრემლიანი მონაფეები მესხდნენ და ლა კრიმოზას მიმღეროდნენ ხმებში თან თითა ყურძენს მაჭმევდნენ უკბილო ხახაში :)))))))) ვხუმრობ. მინდა მოვკვდე ძალიან ბებერი და წარმატებული. მშვიდად, უმტკივნეულოდ. ჩემი ოჯახის გარემოცვაში.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად.

— შეყვარებული ვარ.

— ქმედებანი რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— სინანული და ქველმოქმედება.

— თქვენი დევიზი?

— არ მიფიქრია. ასეთი ზუსტი ფორმულირება არ მაქვს, მაგრამ ალბათ სიკეთე იქნებოდა ჩემი დევიზი. ყველამ უნდა აკეთოს ბევრი კეთილი საქმე. მეტი სიკეთე. მეტი ქველმოქმედება.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მშვიდად! გეჩვენები.



„დასურვეს“ ღმერთს „პრემია“ ნიუისონი. დანამის დანაშაუნი თეატრალური

გურამ პეტრიაშვილი

ილია ჭავჭავაძის პირადი დაცვა

(სცენარი სრულმეტრაჟიანი
მხატვრული ფილმისათვის)

ახალგაზრდა ადვოკატი გიორგი ქართველიშვილი, თავი-
ცი კაბინეტის ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას.

ქუჩაში წვიმდა.
ზაფხულის წვიმა იყო. ასხამდა კოკისპირულად.
ჩაიარა „კონკამ“.
გიორგიმ ჩაფიქრებულმა გააყოლა თვალი, მერე შემობ-
რუნდა.

მაგიდასთან ორი კაცი იჯდა.
ერთი ინტელიგენტი ჩანდა, მეორე კი გლეხი იყო.
გიორგიმ გლეხს მიმართა:
— მამ თქვენ ამბობთ, რომ გცემათ ილია ჭავჭავაძემ.
გლეხს ცბიერი გამოხედვა აქვს.
სწრაფად მიუგო:

— დიას, ბატონო გიორგი.
— რითი გცემათ?
გლეხმა ჯერ ინტელიგენტს შეჰხედა, მერე გაიღრჩია.
— რითი უნდა ვეცემე, ხელითა მცემა.
— მუშტები გირტყათ? თუ სილა გაგანნათ?
— ერთიცა და მეორეც, რალა მახსოვს, იმდენი მცემა...
საუბარში ინტელიგენტი ჩაერია.
— ეგ შეკითხვები ზედმეტია, ბატონო გიორგი, საჩივარში
წერია, რომ თავადმა ილია ჭავჭავაძემ ჯოხი დაარტყა გლეხს,
თანდილა ბაიაშვილს.

გლეხმა მაშინვე დაამატა:
— ჰო, ჯოხიც მირტყა.
— ჯოხი თუ მუშტი? — ჰკითხა მოლუშულმა გიორგიმ.
— უკაცრავად, ბატონო გიორგი, ასე მგონია, რომ თქვენ
არა გჯერათ ეს ამბავი — უცებ გაცხარდა ინტელიგენტი.
— მართალი გითხრათ, არა მჯერა.
— იქნებ არც ამასაც დაუჯეროთ — ინტელიგენტმა გაზე-
თი დაუდო წინ გიორგის და სტატიას დაადო თითი.
გიორგიმ სწრაფად გადაავლო თვალი სტატიას.
— არა, არც ამისი მჯერა.
— ძალიან სამწუხაროა, — თქვა ინტელიგენტმა და ფეხზე
წამოდგა, — მე კი მითხრეს, რომ ხალხი გიყვართ და მის მხა-
რეზე ხართ.

— მართალი უთქვამთ.
— მერე, რატომ არ უჯერებთ ხალხს — ინტელიგენტმა
გლეხისკენ გაიშვირა თითი.

გიორგიმ მშვიდად გაიღიმა.
— რატომ გგონიათ, რომ ქართველი ხალხის წარმომად-
გენელი ეს ცრუპენტელაა და არა ილია ჭავჭავაძე?
— ვინ არის ცრუპენტელა, მე ვარ ცრუპენტელა? — წა-
მოხტა გლეხი და ინტელიგენტს ამოუდგა გვერდით.
— ნავიდეთ აქედან, — ინტელიგენტი შებრუნდა და კა-
რისკენ გაემშურა, — **тоже мне гуманист!**

გიორგიმ გაიცინა:
— ქართულად ეგ ვერ ითქმის?
ინტელიგენტი მობრუნდა და გლეხს გადააწყდა. კინაღამ
წაიქცა. გაბრაზებულმა რაღაც ნაიბურტყუნა და გავიდა.
გლეხიც უკან მიჰყვა.

გიორგიმ ერთხელაც და-
ჰხედა გაზეთს. მერე უჯრა
გამოაღო. იქიდან გაზეთე-
ბის დასტა ამოიღო, წინ და-
იდო და ჩაფიქრდა.

წვიმას უკვე გადაეღო.
გიორგი მიდიოდა ქუ-
ჩაში.
— გიორგი, — მოსმა
ხმა ზევიდან.

გიორგიმ აიხედა. მეო-
რე სართულის ღიაფანჯა-
რაში მის საცოლეს, წინოს
გამოეყო თავი, ხელს უქ-
ნევედა და უცინოდა.

გიორგიმ სწრაფად აი-
რბინა კიბეზე.
კარი ღია დახვდა.
წინო გამოეგება.

გადაეხვივნენ ერთმანეთს და გიორგიმ ნაზად აკოცა ლო-
ყაზე.

მერე წინომ სასადილო ოთახში შეიყვანა.
— დაჯექი. კარგ ამბავს გეტყვი, — უთხრა წინომ და კე-
დელთან სავარძელში ჩასვა გიორგი.

— მითხარი.
— მამამ თქვა, რომ ერთ კვირაში შეგვიძლია ნიშნობა გა-
დავიხადოთ. ერთ კვირაშიო, გესმის?..

— ვაშაა...
— რომ იცოდე, როგორ ეძნელება მამაჩემს... ხომ იცი,
როგორ ვუყვარვარ. გასაგებიცაა. მზარდა, მზარდა, თავს
მეგლებოდა და ახლა ვილაც გადამთიელმა უნდა წამიყვანოს.
— მამაშენს ვილაც გადამთიელად მივაჩნივარ?

— არა, ეს ისე ვთქვი, სიტყვის მასალად. განა არ იცი, მა-
მარეში პატივს რომ გცემს?

— ჰო, ვიცი... წინო, მოდი რაღაც უნდა გაჩვენო.
გიორგიმ სასადილო მაგიდაზე გაზეთები გაფინა.

— აი, ნაიკითხე, რაც წითელი ფანქრითაა აღნიშნული.
წინომ კითხვა დაიწყო და სწორედ ამ დროს ოთახში წინოს
მამა შემოვიდა.

— ოოო, სასიძოს გაუმარჯოს! — ნაძალადევი მხიარულე-
ბით მიესალმა გიორგის.

— გამარჯობათ, ბატონო ნიკოლოზ, — ხელი ჩამოართვა
გიორგიმ.

— წინო, რას ჩასჩერებხარ მანდ?
— გაზეთები მოვუტანე, — წინოს ნაცვლად უპასუხა გი-
ორგიმ.

— გაზეთები ხომ ჩვენცა გვაქვს.
— ეს გაზეთები ერთი ნიშნითაა შეკრებილი, ბატონო ნი-
კოლოზ, აქ ყველგან ილია ჭავჭავაძეს ლანძღავენ.

ბატონმა ნიკოლოზმა უცებ გადაავლო თვალი გაზეთს.
— ეს სტატიები ნაიკითხული მაქვს. რატომ შეაგროვეთ.


— ერთად რომ ნაიკითხავს ადამიანი, უფრო მიხვდება,
ვინ მართალია და ვინ მტყუანი.

— ვინაა მართალი? — ჰკითხა ბატონმა ნიკოლოზმა და
დაკვირვებით შეჰხედა თვალეში გიორგის.

— მამა, განა არ იცი, რომ გიორგის ილია ჩემზე მეტად უყ-
ვარს, — ისე უთხრა წინომ მამას, რომ იგრძნობოდა, სურდა
მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აეცილებინა.

— ვიცი, როგორ არა, მაგრამ იქნებ მაინც აღიაროს ბა-
ტონმა გიორგიმ, რომ ზევრ რამეში ცდება მისი ილია ჭავჭა-
ვაძე.

— ილია, ჩემი არაა, ის საქართველოსია.



— არის, როგორც მწერალი. კი, ბატონო, მაგრამ რას ეჩრება ყველაფერში. რა მწერლის საქმეა პოლიტიკა. ვინ ჰკითხავს მწერალს, საით უნდა წავიდეს საზოგადოება.

— ქართველ მწერალს ყველაფერი ეკითხება.

— ჰოდა, იმიტომაც მივიდა მაგისი საქმე აქამდე.

— სადამდე?

— სადამდეც... აურ-დაურია მთელი ქვეყანა. ააფორიაქა... ტვინი აუმღვრია ხალხს, — ბატონი ნიკოლოზი საშინლად გაბრაზებული ჩანდა.

გიორგიმ კი მშვიდად მიუგო:

— ილია თავისუფლებისაკენ მოუწოდებს ხალხს.

— არა გვჭირდება ჩვენ მაგისი თავისუფლება — მიახალა ბატონმა ნიკოლოზმა.

— თავისუფლება არა გჭირდებათ? — გაეღიმა გიორგის.

მისმა სიმშვიდემ ბატონი ნიკოლოზი მთლად გააცეცხლა.

— არა გვჭირდება... რას გეტყვი, იცი...

ერთხანს ეძებდა, რა ეთქვა, აღშფოთება არ აძლევდა საშუალებას, რომ აზრი მოეკრიბა და უცებ წამოიძახა:

— მოსაკლავია ეგ შენი ილია ჭავჭავაძე.

თავისმა ნათქვამმა თვითონვე გააოგნა. ერთ წამს იდგა, მერე კი შებრუნდა და გვარდა ოთახიდან.

წინოს ტირილი აუვარდა და გიორგის მიეყრდნო მკერდზე.

გიორგიმ ხელი მოხვია.

— დაწყნარდი, წინო, ტირილი არას გვარგებს. რამე უნდა ვიღონოთ.

წინომ მტირალმა შეჰხედა.

— რა თქვი?

— მამაშენის ნათქვამმა მიმახვედრა, თუ რატო შემაშფოთა ამ გაზეთებმა. აქ სწორედ ისა ჩანს, რომ მზადდება ილიას მკვლელობა. ეს საზიზღარი სტატიები წინასწარ ამართლებენ ილიას მკვლელებს.

— მამაჩემს არა სძულს ილია, — მუდარით შეჰხედა წინომ გიორგის.

— ვიცი, — ალაღად უპასუხა გიორგიმ, — ვიცი, მაგრამ უნებლიეთ მან თქვა ის, რისი შესრულებაც სხვებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ.

წინო გაჩუმდა და შეძრწუნებულმა შეხედა გიორგის. მის გონებაში ახლა მივიდა საშინელი აზრი.

— შენ ფიქრობ, რომ ილიას მკვლელობა მზადდება?

გიორგიმ ჩუმად დაუქნია თავი.

და გაახსენდა...

დიდი კაკლების ქვეშ, გრძელ მაგიდაზე ქართული სუფრაა გაშლილი.

ლამაზად გამოწყობილი ქალები და კაცები უსხედან სუფრას და ქეიფობენ.

პატარა გიორგი მამას უზის მუხლებზე.

სუფრის თავში ილია ჭავჭავაძე ზის.

ილია იცინის ვილაცის ოხუნჯობაზე.

გიორგისთან მისმა ტოლმა ბიჭმა მიიბრინა.

— წამოდი, გინდა წყაროდან წყალი მოვიტანოთ?

— წავიდეთ, — უპასუხა გიორგიმ და მამის მუხლებიდან ჩამოხტა.

პატარა დოქებით ხელში მიიბრინეს ბიჭებმა ტყის წყაროსთან.

აავსეს დოქები და მხიარულად მორბიან უკან.

უცებ გიორგი გაჩერდა.

მის წინ შტოზე ზის ლამაზი პეპელა.

გიორგიმ დოქი დადგა და პეპელასკენ გაიწოდა ხელი.

პეპელა აფრინდა და ხეებს იქით მიიმაღა.

გიორგიც იქით გაიქცა.

ახლა დიდი ხეების იქით გაიეღვა პეპელამ.

მიიბრინა გიორგიმ დიდ ხეებთან.

მიიხედ-მოიხედა და მოშორებით ბუჩქთან მდგომი კაცი დაინახა.

კაცმა გიორგი ვერ შეამჩნია, ის დაკვირვებით იყურებოდა კაკლებისაკენ.

მერე უცნაური რამ ჩაიდინა: მარჯვენა ხელი ისე დაიკავა თვალებთან, თითქოს ვილაცას რევოლვერს უმიზნებდეს. საჩვენებელი თითი წინ ჰქონდა გაშვებული.

გიორგიმ იმ საჩვენებელ თითს გააყოლა თვალი.

ილია ისევ იცინოდა.

— გიორგი! — მოესმა გიორგის ძახილი. გამოერკვა და მოკურცხლა.

სალამო იყო.

გიორგი ეტლით მიდიოდა.

აფიშების ტუმბასთან ორი კაცი დაინახა.

ერთი მამამისი იყო, მღვდელი იასე, მეორეს კი ასევე ხნიერ კაცს, პროფესორის შესახედაობა ჰქონდა.

მღვდელი რალაცას უმტიკიცებდა პროფესორს.

გიორგიმ ეტლი გააჩერებინა მეეტლეს, საფასური გადაუხადა და მამისკენ გაემშურა.

სწორედ ახლა იასე მღვდელი ეუბნებოდა პროფესორს:

— ღმერთს ამაოდ ნუ შევანუხებთ ბატონო ალექსანდრე. ღვთით კურთხეული საქმეც მხოლოდ მაშინაა ნამდვილად კურთხეული, თუ შენს სამშობლოში აკეთებ მას.

— გამარჯობათ! — მიესალმა გიორგი.

— გიორგი!.. გამარჯობა ჩემო ვაჟო, — გაიხარა მამამ. — რა კარგია რომ შეგხვდით.

გიორგი გადაეხვია მამას. მამამაც გადაკოცნა შვილი.

— შენთან მოვიდი, — უთხრა გიორგიმ.

— კარგი გიქნია. ბატონო ალექსანდრე, გაიცანით ჩემი ვაჟი, ადვოკატი გიორგი ქართველიშვილი. კარგი ადვოკატია.

ბატონი ალექსანდრე ჯანდიერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

— ძალიან სასიამოვნოა, — ჩამოართვა პროფესორმა ხელი გიორგის, — თუ ნებას დამრთავთ, დაგტოვებთ მამა-შვილს.

ჩანდა, რომ პროფესორმა შემთხვევა იპოვა დასხლტომოდა იასეს.

— ჩვენ კვლავ შეგხვდებით, ბატონო ალექსანდრე, — მიაძახა იასემ აჩქარებით მიმავალ პროფესორს, — კვლავ შეგხვდებით და ერთად დავდგებით. სხვა გზა თქვენ არა გაქვთ.

პროფესორმა შორიდან ისე გაიქნია ხელი, რომ ამით თქვა, ვნახოთ, როგორ იქნებაო.

— მეცოდება ასეთი ხალხი. ქართული უნივერსიტეტის იდეა სასაცილოდ არ ეყო. ღმერთს იშველიებს, იქაც კეთილ საქმეებს ვაკეთებთ, აქ ჩამოსვლა რა საჭიროაო. გულისგულში კი საქართველოს მომავალზე ხელი აქვს ჩაქნეული.

— ღმერთი რატომ შეანუხა?

— ღვთის წინაშე ყველა თანასწორი ვართ, რა მნიშვნელობა აქვს ვის ვასწავლი რუსს, გერმანელს თუ ქართველსო. თანასწორნი კი ვართ, მაგრამ რაცა ვართ, იმად უნდა დავრჩეთ, უფალს სხვის ენაზე არ უნდა დაელაპარაკო-მეთქი. ეჰ, საცოდავია ნამდვილად. აქ ისე ჩამოდის, როგორც პროვინციაში... შენ რა გინდოდა, შვილო?

— უცებ გეტყვი. ილიას მოკვლას უპირებენ.

იასემ არაფერი ჰკითხა, მხოლოდ თვალებში მიაჩერდა შვილს.

გიორგიმ გაზეთების დასტა აჩვენა.

— აი, აქ ამოვიკითხე ეგ ამბავი.

მამამ თავი დაუქნია.

— რას აპირებ, — ჰკითხა უცებ.

— შენ უკვე მიხვდი — უპასუხა გიორგიმ.

— რაზმში ბევრნი ხართ?

— ჯერ მხოლოდ მე ვარ.
 — არა უშავს, იპოვი მოძმეებს.
 — მეც ეგრე მგონია... მამა, ამ გზაზე შეიძლება კაცის სისხლის დაღვრაც მომიხდეს.
 — ჰო, შვილო, ეგრეა. მაგრამ მაგ სისხლს შეგინდობს კაციც და ღმერთიც.
 იასემ შუბლზე აკოცა და პირჯვარი გადასწერა შვილს. დიდ რესტორანში ხალხმრავლობა იყო. ერთ კუთხეში რამდენიმე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ქეიფობდა.
 ერთი ვაჟი გიტარაზე უკრავდა და ჩუმად მღეროდა:
 „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...“
 შორს, კუთხეში პატარა მაგიდასთან გიორგი ვახშობობდა. მეორე კუთხეში მაგიდები შეეერთებინათ ლოყებლაჟღაჟა კაცებს. ხორხოცებდნენ და სვამდნენ.
 გიორგიმ დანახა, რომ რესტორანში მისი ნაცნობი შემოვიდა. ნაცნობმაც დანახა გიორგი და მისკენ წამოვიდა.
 გიორგი წამოდგა და ხელი ჩამოართვა მოსულს. გადაკოცნეს ერთმანეთი.
 — როგორ გამიხარდა შენი დანახვა, ივანე, ნანატრივით გაჩნდა.
 — მართლა? ალბათ გულმა მიგრძნო, რომ გჭირდებოდი, სწორედ დღეს ჩამოვედი მოსკოვიდან.
 — მოსკოვში რა გინდოდა?
 — მე ხომ იქ დავრჩი სწავლის გასაგრძელებლად.
 — არ ვიცოდი. კი ვფიქრობდი, სად დაიკარგა მეთქი. ოფიციალტი მოვიდა.
 — რას მიირთმევთ?
 — მოიტანეთ, რაც გემრიელი გაქვთ საჭმელიც და სასმელიც. თან ყველაფერი ბლომად, — უთხრა ივანემ ბატონკაცურად, — ვიქეიფოთ არა? — მიუბრუნდა გიორგის.
 — მართალი გითხრა, ქეიფის გუნებაზე ვერა ვარ.
 — რატომ?
 — პირდაპირ გეტყვი. შენი დანახვა იმიტომ გამიხარდა, რომ შენი დახმარება მჭირდება.
 — მითხარი.
 — ილიას მოკვლას უპირებენ. უნდა დავიცვათ. ივანე უცნაურად მოიქცა.
 ჯერ ჩუმად უცქეროდა, მერე კი უცებ ხარხარი აუტყდა, თან ხარხარებდა, თან დროდადრო ხმამაღლა ამბობდა:
 — ილია ჭავჭავაძეს!
 და უმატებდა ხარხარს.
 გიორგი ერთხანს გაოცებული უცქერდა ივანეს, მერე ხმადაბლა ჰკითხა:
 — რა გაცინებს, ვერ გამოიგია.
 ივანემ უცებ შეწყვიტა ხარხარი და მანაც ჩუმად უპასუხა.
 — სასაცილოა, აბა რა არი, ვინ და რატომ უნდა მოკლას პოეტი ილია ჭავჭავაძე? თუ ძმა ხარ, აკაკი წერეთელს არ უპირებენ მოკვლას?
 — შეიძლება უპირებენ კიდეც, მაგრამ მე არ ვიცი ამის თაობაზე რამე.
 ამ დროს ლოყებლაჟღაჟების მაგიდის ერთი წევრი მობანცალდა გიორგის მაგიდასთან, დადგა, დონდონი შემოირტყა და ხმამაღლა დაიღრიალა:
 — ილია ჭავჭავაძის დედა ვატირე!
 — როგორ ბედავთ! — წამოხტა გიორგი.
 — გესმით, ბიჭებო! — გასძახა ლოყებლაჟღაჟამ თანამეიხანებებს, — როგორა ბედავო.
 იმ სუფრაზე ღრიანცელი ატყდა. წამოიშალნენ.
 ამ ლოყებლაჟღაჟამ საყელოში ჩაავლო ხელი გიორგის:
 — მე შენ გიჩვენებ!
 გიორგიმ აღარ დაახანა და ლოყაში სტკიცა. ატყდა ორომტრიალი.

ლოყებლაჟღაჟა კაცები მიესივნენ გიორგის და ცემა დაუნყეს.
 ახალგაზრდები გიორგის მიეშველნენ.
 ივანე გაიპარა.
 ერთ მაგიდას ორნი უსხდნენ: შუახნის კარგად ჩაცმული კაცი და ჩოხაში გამოწყობილი, წვერგაბურძენული გოლიათი, რომელსაც ცალი თვალი შავი ნაჭრით ჰქონდა ახვეული. კარგად ჩაცმულმა ხელით ანიშნა გოლიათს და ისინიც ჩაერივნენ ჩხუბში.
 მათ უცებ მიმოფანტეს მოჩხუბრები.
 გოლიათმა რამდენიმე ლოყებლაჟღაჟას ისე ჩასცხო, რომ ველარცერთი ველარ ადგა.
 მერე აიყვანა გიორგი და კარისკენ წავიდა.
 ახალგაზრდა ქალ-ვაჟების კამპანიამ ალტაცებული ხმები დაადევნეს.
 გოლიათი რესტორნიდან გამოვიდა და იქვე მდგარი ეტლისკენ წავიდა. ჩასვა გიორგი ეტლში და თვითონ კოფოზე დაჯდა. გიორგის გვერდით მიუჯდა კარგად ჩაცმული კაცი.
 ის იყო უნდა დაძრულიყვენ, რომ რესტორნიდან გამოვიდა მაღალი კაცი, რომელიც მთელი ჩხუბის განმავლობაში ჩუმად იჯდა კედელთან მდგარ მაგიდასთან.
 — მოიცადეთ, მეც წამოვალ თქვენთან, — დაუძახა მან კარგად ჩაცმულს.
 კარგად ჩაცმულმა ხელით ანიშნა გოლიათს, მოიცადეთო. მაღალი კაცი ეტლში ჩაჯდა და ხელი გაუწოდა კარგად ჩაცმულს.
 — ექიმი დავით ჯანდიერი. ვიცი თქვენ მოსამართლე ვახტანგ მესხიშვილი ბრძანდებით.
 — დიახ. მეც მსმენია თქვენზე.
 ვახტანგმა გოლიათს ანიშნა, წავიდეთო.
 ეტლი დაიძრა.
 გიორგიმ თვალი გაახილა.
 ექიმმა გაუღიმა.
 — როგორა გრძნობთ თავს, ბატონო გიორგი.
 — აი, აქა მტკივა, — კეფასთან დაიდო ხელი გიორგიმ.
 — არა უშავს, მოგარჩენთ, — უთხრა ექიმმა და საექიმო ჩანთა გახსნა.
 გიორგი იჯდა სავარძელში. ექიმი თავს უხვევდა დოლბანდით. კედელთან ყრუ-მუნჯი გოლიათი იჯდა.
 ვახტანგი ბოლთას სცემდა ოთახში და ლაპარაკობდა:
 — შენ, ჩემო გიორგი, ერთი რამე გეშლება. ისეთ რამეს არ უნდა შეეჭიდო, რასაც ვერ მოერევი. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი გარდუფალია და მას აუცილებლად მოკლავენ.
 — ვერ მოკლავენ — თქვა ჯიუტად გიორგიმ.
 — მოკლავენ. შეიძლება აი, ამ წუთსაც ჩახმახია შეყენებული და საცაა თითს გამოჰკრავს ვიდაც არამზადა.
 — მამ გულხელდაკრეფილები ველოდოთ გასროლას? — წამოიწია გიორგიმ სავარძელში.
 — დანყნარდი, — უთხრა ექიმმა, — ხელს ნუ მიშლი.
 — არა, გასროლას კი არ უნდა დაელოდო. იქით უნდა დაუნყო სროლა, — უპასუხა გიორგის ვახტანგმა.
 — რომელ ერთს? — თქვა სევდიანად ექიმმა.
 — აი, საქმეც ეგაა — უპასუხა ვახტანგმა, — ილია ჭავჭავაძე განწირულია მას შემდეგ, რაც თავის მოხვევს ათქმევინა „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“.
 თავისუფლებისკენ მომნოდებელი იმ ხალხში, ვისაც თავისუფლება არ უნდა, სასიკვდილოდ განწირულია.
 ექიმმა თავი შეუხვია გიორგის. ნელში გაიმართა და ჯიქურ ჰკითხა ვახტანგს:
 — ნამოხვალთ თუ არა ილიას დასაცავად?
 — არა. თქვენ კი უკვე გადაწყვიტეთ?
 — გადავწყვიტე.

— ეგ თამაში თავიდანვე ნაგებულია.
— მაგრამ თუ არ ვითამაშეთ, მერე როგორღა ვიცოცხლოთ. ვიცოდეთ, რომ ილიას საფრთხე ემუქრება და არაფერი გავაკეთოთ? — ისევ გაფიცვდა გიორგი.

— მართალი ბრძანდებით — დაუდასტურა ექიმმა და უცებ ყრუ-მუნჯ გოლიათს მიუბრუნდა, — ბატონო გაბრიელ, განა თქვენ კი არ წამოხვალთ ჩვენთან?

— წამოვალ, აუცილებლად წამოვალ, — გაიცინა გოლიათმა და სახტად დარჩენილ ვახტანგს მიუბრუნდა, — მასპინძით, ბატონო ვახტანგ, რომ აქამდე არ გაგიმხილეთ ჩემი ვინაობა. თქვენ ისეთი სანდო კაცი ხართ, რომ თქვენთან მოსვლის მეორე დღესვე მინდოდა გამოვტყუილიყავი ჩემს ვინაობაში. მაგრამ შემეხატრა, რადგანაც თავიდან ყრუ-მუნჯად გავასაღე თავი. მე ის გაბრიელ რატიანი ვარ, რომელზეც ხმა დავარდა თურქეთში გაიქცაო.

— ჟანდარმები რომ დახოცა ქუთაისში? — იკითხა გიორგიმ.
— დიას, ბინაში შემომივარდნენ და სხვა გზა აღარ მქონდა, — თქვა გაბრიელმა და შავი სახვევი ჩამოიხსნა თვალიდან. — როგორ მიცნაო? — ჰკითხა ექიმს.

— ოცი წლის წინათ დამწყებმა ექიმმა ტყვია ამოგაცალეთ ბარძაყიდან. ყველა პაციენტი მახსოვს და რაც მთავარია, სახით კი არა როგორღაც მთლიანად ვიმახსოვრებ ადამიანს და ნილაბიც რომ ეკეთოს, მაინც ვიცნობ. მაგრამ დავანებოთ ამას თავი... ჩვენ უკვე სამნი ვართ. წამოდით ჩვენთან, ბატონო ვახტანგ.

— ვერ წამოვალ. დამალა ქართულმა უაზრო და უშედეგო ფუსფუსმა. გიორგი, ერთი ეს მითხარი, სროლა თუ იცი?

— აბა, რა გითხრათ, ჯერ არ მიცდია.
— იარაღი გაქვს?
— არა.

ვახტანგმა მაგიდის უჯრა გამოსწია. იქ რამდენიმე სხვადასხვა ზომის რევოლვერი იდო. ამოიღო ნაგანი და გაუნოდა გიორგის. მერე ექიმს ჰკითხა:

— თქვენ?
— მაქვს.
— ბატონ გაბრიელს აღარ ვეკითხები... ისე უცნაურია ცხოვრება. რამდენიმე წელს გაბრიელ რატიანი მყავდა მსახურად. იმედი მაქვს, ჩემით უკმაყოფილო არ დარჩით.

— არა, ბატონო. მეც ვიმედოვნებ, ცუდად არ მიმსახურია.
— სირიქით — უთხრა ვახტანგმა და ხელი გაუნოდა გაბრიელს.

ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.
— გზა მინდა დაგილოცოთ, — უთხრა ვახტანგმა სამივეს.
— გმადლობთ, უნდა ვიჩქაროთ, თქვენ მართალი თქვით წელან, ყოველ წუთს შეიძლება გავარდეს ტყვია. ექიმმა ჩანთა დაკეტა და წასასვლელად გაემზადა.

— მხოლოდ თითო ჭიქა, — ვახტანგმა ჭიქები შეავსო წითელი ღვინით. — თქვენ გაგიმარჯოთ, ნამდვილი ვაჟკაცი ისაა, ვინც იცის, რომ წააგებს, მაგრამ მაინც მიდის ომში.

შესვეს. სამივემ ხელი ჩამოართვა ვახტანგს.
— ჰო, — გაახსენდა უცებ ვახტანგს, — სანერი მაგიდიდან პანია სავიზიტო ბარათი აიღო, — აი, ამ მისამართზე მიდი, ჩემო გიორგი. ეს კაცი სროლის ოსტატია.

— რად უნდა, მე ვასწავლი — გაიცინა გაბრიელმა.
— ის კაცი თქვენზე მაგარია — უთხრა ვახტანგმა.
— აბა ვნახოთ, — დაიქაუნდა ხუმრობით გაბრიელმა.

ქუჩაში გამოვიდნენ. — ახლა რა ვქნათ? — იკითხა გიორგიმ. გაბრიელმა შეჰხედა გიორგის დოღბანდს და გაიცინა.

— ღამეში მთვარესავით ანათებთ მაგ დოღბანდით. თქვენთან ერთად დამალვას ვერ შესძლებს კაცი. ნადით შინ და ამაღამ დაისვენეთ. ექიმო თქვენც შეგიძლიათ წახვიდეთ. ამაღამ მე ვუყარაულვებ ილიას სახლს.

— კი, ბატონო, — დაეთანხმა ექიმი.
— მარტო იქნებით? — ჰკითხა გიორგიმ გაბრიელს.

— არა უშავს, — გაიღიმა გაბრიელმა, — აქამდე სულ მარტო ვიყავი. თანაც წინათ მხოლოდ თავის დაცვაზე ვფიქრობდი, ახლა კი ილია ჭაფჭავაძის სიცოცხლეზე უნდა ვიზრუნო. უუჰ! იმათ ვუჩვენებ!

ვეება მუშტი შემართა გაბრიელმა.
— უჩვენებს? — ჰკითხა ექიმმა ემპაკურად გიორგის.
— უეჭველად! — უპასუხა გიორგიმ.
სამივემ გაიცინა.
— ხვალ დათქმულ ადგილას შევხვდებით — ხელის ანევით დაემშვიდობა გაბრიელს და წავიდა.

გიორგიმ პატარა კარზე დააკაკუნა. რალაც გაჩხაკუნდა და კარი გაიღო. გიორგი ბნელ, ვინრო დერეფანში შევიდა.
— აქეთ, აქეთ, — მოისმა საიდანღაც.
გიორგიმ გაიარა დერეფანი, მერე მოუხვია და გრძელ, დაბალ სარდაფში აღმოჩნდა.

სარდაფის იქით, ბოლოში სამიზნეები იყო კედელზე აკრული. აქეთ კი ხნიერი კაცი იჯდა და ხელში რევოლვერი ეჭირა.
— გამარჯობათ, — მიესალმა გიორგი და სავიზიტო ბარათი გადასცა.

— გამარჯობა, — უპასუხა კაცმა და სავიზიტო ბარათს დაჰხედა.

— გაგიმარჯოს, — მოესმა გიორგის. შემოსვლისას მან ვერ შეამჩნია, რომ კუთხეშიც იდგა თურმე ვიღაც.

კუთხეში მდგომს შლაპა ჰქონდა ჩამოფხატული და თვალები არ უჩანდა.

მან მოიმარჯვა ნაგანი და უცებ დააყარა ტყვიები სამიზნეებს.

მერე ხნიერი კაცის გვერდით მდგარ სკამზე ფული დააგდო და სწრაფად გავიდა.

შორს კარი რომ გაჯახუნდა, ხნიერმა კაცმა უთხრა გიორგის:
— შენი სახელი?

— გიორგი.
— მე უბრალოდ მასწავლებელს მეძახიან.

— ის ვინ იყო? — ჰკითხა გიორგიმ.
— არ ვიცი. თავისით მომძებნა. მე არავის ვეკითხები თუ ვინ ვინაა.

— არ გაინტერესებთ, თუ რისთვის სჭირდება კაცს სროლა?

— მაინტერესებს, როგორ არა, მაგრამ ამით რა შეიცვლება, მე ვიცი თუ არა, ვინ ვინაა. ავს არ უნდა ვასწავლო სროლა? მაინც ისწავლის. თუ გინდა ბოროტებას აჯობო, მასზე უკეთ უნდა ისროლო.

— ესე იგი იცით, რომ ის კაცი ბოროტი იყო?

— ვიცი. ვინც თავის ან ვინმეს დასაცავად სწავლობს სროლას, მას უბრალოდ დაკვირვებული მზერა აქვს სროლისას, ხოლო ბოროტს თვალწინ უდგას ის ადამიანი, ვისაც უნდა ესროლოს და ამიტომაც ავი აქვს თვალები.

— მაგას ავი ჰქონდა — თქვა ჩაფიქრებულმა გიორგიმ. მასწავლებელმა ჩუმად დააქნია თავი, ამოიოხრა და უთხრა:
— აბა მაჩვენე, რა გაქვს.
გიორგიმ ნაგანი გაუნოდა.
— ვახტანგმა შეგაიარაღა? ეს ნაგანი მე ვაშოვნინე.

გვიანი ღამეა. გიორგი თავის ეზოში შევიდა და სახლისკენ გაემართა. ამ დროს ვიღაცამ ჩუმად დაუძახა.
— გიორგი!
გიორგიმ იცნო წინოს ხმა.
— წინო? სადა ხარ?

ნინო ხეს ამოჰფარებოდა. გამოვიდა და გიორგის გადაეხ-
ვიდა.

— თავი გაგიტყუებს?

— ჰო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართალი ვიყავი — გაიცინა გიორგიმ, — სიმართლისთვის ასეთი ჯილდოა ჩვენში. აქ რა გინდა?

— უცებ გაახსენდა გიორგის, რომ ასე გვიან აქ ნინოს მოსვლა არ იყო ჩვეულებრივი ამბავი.

— შენთან მოვედი.

— მაგას კი მივხვდი, მაგრამ ასე გვიან?

— დღეს ჩვენ ჯვარი უნდა დავინეროთ, — თქვა ნინომ და თავი ჩალუნა.

გიორგიმ ნაზად აკოცა ლანზე, ხელი მოჰხვია და მიიხუტა მკერდზე.

— შენც ჩემთან ხარ, — უთხრა ჩუმად.

— იპოვე ვინმე?

— შენი ჩათვლით ოთხნი ვართ უკვე.

— ოთხი კაცი ცოტა არაა.

— სამი კაცი და ერთი ქალი.

— ქართველი ქალი, — დაამატა ნინომ, მერე კი უცებ ხელი ჩაყო ჩანთაში და პატარა ნაგანი ამოიღო, — აბა, ვის უნდა რომ შემებრძოლოს?

— სად იპოვე, სროლა იცი? — ჰკითხა გაოცებულმა გიორგიმ.

— ხომ გახსოვს მარიამი რომ გაგაცანი, ჩემი მეგობარი. იმან და მე ვიყიდეთ ნაგანები ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ.

— რად გინდოდათ?

— გიმნაზიაში ვსწავლობდით და წიგნში წავიკითხეთ, ქართველი ქალი ერთი ხელით აკვანს რომ არწევდა, მეორეში ხმალი ეჭირაო. განა მას მერე რამე შეიცვალა? განა ისევ არ გკებრძვის მტერი?

— იარაღს ცოდნა უნდა... — დაიწყო გიორგიმ.

— და კიდევ გული, მამაცი გული, — დაამატა ნინომ და გაიცინა.

გიორგიმ გაოცებულმა შეჰხედა. მერე თვითონაც გაეცინა.

— მაშ შენც დადიოდი მასწავლებელთან?

— ჰო, მე და ჩემი მეგობარი მარიამი დავდიოდით.

— მაინც უმჯობესია, ქალი არ ჩაერიოს ბრძოლაში.

— თუკი გამოვა, კი ბატონო — უპასუხა ნინომ.

გიორგიმ სადარბაზოს კარი გააღო, ნინო წინ გაატარა და უკან მიჰყვა.

სკამის საზურგეზე ხატი იყო მიყუდებული.

სკამის წინ კი ნინო და გიორგი დარჩილიყვნენ და ჩუმად ლოცულობდნენ.

ილიას ეზოს ერთ ბნელ კუთხეში გაბრიელი იდგა და სდარაჯობდა სახლს.

იარალი შემართული ეჭირა და ყოველ გაფაჩუნებაზე მზად იყო საკადრისი პასუხი გაეცა მომხდურისთვის.

გაბრიელმა არ იცოდა, რომ მას უთვალთვალებდნენ.

ილიას მეზობელ ეზოში დიდი ხის ტოტზე ორი კაცი იჯდა და ხშირი ფოთლებიდან უცქეროდნენ გაბრიელს.

— ნამდვილად გაბრიელ რატიანია?

— ისაა.

— აკი თურქეთში მოკლესო?

— არ ვიცი ვინ მოკლეს თურქეთში, მაგრამ ეს ნამდვილად გაბრიელია.

— ამ საქმეში რაღას შემოეტენა?

— ყოველთვის ეგრე იქცევა. კაკო ყაჩაღია, სიმართლეს იცავს. დიდი ხანია მოსაკლავია, მაგრამ ყისმათი აქვს ოხერს.

— ვნახოთ ერთი, ჩემთან ყისმათი არა ჭრის...

დილაა.

ფარდებიდან შემოსულ შუქზე ჩანს საწოლი.

საწოლში ნინოს და გიორგის სძინავთ.

ნინოს გიორგის მკლავზე უდევს თავი.

გიორგიმ გაიღვიძა.

ფრთხილად ადგა.

ჩაიცვა. პატარა წერილი დაწერა და სასთუმალთან დაულო ნინოს.

ის კი ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ ნინომ თვალები გაახილა.

— მე მტოვებ?

— საღამომდე დავბრუნდები.

— კარგი, აქაურობას მივალაგებ.

გიორგი მობრუნდა, აკოცა ნინოს და გავიდა.

გიორგის ნაგანი ეჭირა და სამიზნეებს ესროდა ტყვიას.

კედელთან მასწავლებელი იჯდა.

— მშვიდად, გიორგი. კარგ მსროლელს უნდა შეეძლოს იმ წამის მეთედში, როცა ჩახმახს გამოჰკრავს, მშვიდი იყოს.

გიორგიმ კიდევ გაისროლა რამდენჯერმე და სკამზე ჩამოჯდა.

— ახლა მშვიდობა რომ იყოს საქართველოში, შენ და შენს ნინოს ოლიმპიის ჩემპიონებს გაგხდით. გატარებდით შეჯიბრებაზე და ვიქნებოდით არხენად.

— მშვიდობა მანამ არ იქნება, ვიდრე თავისუფალი არ გახდება საქართველო.

— გახდება კი?

— გახდება, თუ ყველა თქვენი მოსწავლე ერთ მხარეს შეაბრუნებს იარაღს.

— ეჰ, ჩემი მოსწავლეები ქართველებია, გიორგი. და ალბათ იმაზე ძნელი არაფერია ქვეყნად, ვიდრე ის, რომ ყველა ქართველმა ერთი სამიზნე აირჩიოს.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ მაინც უნდა მოხერხდეს ეგ უძნელესი საქმეც.

— მე ალარა მაქვს მაგისი იმედი — ამოიოხრა მასწავლებელმა.

— ისე კი მართლაც ნიჭიერი ხალხი ვართ. ილია ხომ დავბადეთ, ამაზე ვერ შევჩერდებით. გერმანელებმა გოეთე რომ გააჩინეს მერე ველარაფერი მოიფიქრეს და უნიჭო ეკერმანი მიამატეს, ჩაინერე, რასაც გოეთე იტყვისო. ჩვენ კი, ნიჭიერებმა ილია დიდ სამიზნედ ვაქციეთ და ყველა ცდილობს ამ სამიზნეს მოარტყას გულში.

— ახლა თვით გადავარდი უიმედობაში, გიორგი, ყველა არ ებრძვის ილიას.

— მართალი ბრძანდებით, ღმერთმა ნუ ქნას. უბრალოდ, ბევრი არიან რწყილებივით, — უთხრა გიორგიმ და უცებ გაეცინა, — თქვენ თუ იცით, რა თემაზე დაწერა პირველი ლექსი ილიამ.

— არა, არ ვიცი.

— რწყილებზე... ღამით დაესივნენ ყმანვილ ილიას სტუმრად ყოფნისას რწყილები... — გიორგი ჩაფიქრდა და მერე დაამატა, — ილია გაიზარდა, გადიდდა, გადაიდა და რწყილებიც გაიზარდნენ. ეჰ!..

ნამოდგა, ნაგანში ვაზნები ჩაანყო და ერთად მიაყარა სამიზნეს.

— რწყილებო, მე თქვენნი!..

— აი, ეს მესმის! — შეაქო მასწავლებელმა, — უკვე სწავლო მყისიერ სიმშვიდეს.

შუადღია.

ქალაქის ბაღში სკამზე სხედან ექიმი და გიორგი.

— რა გითხრათ მასწავლებელმა, მაგარი მსროლელი დადგებითო? — ჰკითხა ექიმმა ღიმილით.

— კარგისა რა მოგახსენოთ, მაგრამ არა უშავს, რომ ჰქვია, ისეთი გამოხვალო.

— თუ დაგვაცადეს, კი — უცებ დანაღვლიანდა ექიმი.

ამ დროს გაბრიელიც მოვიდა.

— გამარჯობათ, ძმებო. ილია ახლა ბანკშია. იმედი მაქვს, იქ არ დაესხმიან თავს. წავალ, ცოტას წავუძინებ.

— სად წახვალთ, — ჰკითხა ექიმმა.

— მოვძებნი ადგილს.

— ჩემთან წავიყვანთ.

— მე კი ამასობაში ილიას ვადევნო თვალი, ხომ? — ჰკითხა გიორგიმ გაბრიელს.

— კი, ბატონო. სალამოს ილიას სახლთან შევხვდებით.

— წუხელის რაიმე შეამჩნიეთ საექვო? — ჰკითხა გიორგიმ.

— თითქმის ისეთი არაფერი, მაგრამ...

— რა, მაგრამ? — შეშფოთდა ექიმი.

— დილით ერთი-ორმა გამვლელმა ზედმეტად უდარდელი სახით გაუარ-გამოუარა ილიას სახლს.

— იქნებ მოგეჩვენათ?

— შესაძლოა. თუმცა, არა მგონია, — თქვა ჩაფიქრებულმა გაბრიელმა.

გიორგი ორსართულიანი სახლის სამეორცხურიდან იყურებოდა და მოპირდაპირე სახლში ილიას კაბინეტს ხედავდა.

ილია რაღაცას წერდა, იქვე რამდენიმე ქალიც იჯდა. ვიღაცები შემოდიოდნენ და გადიოდნენ.

ყველაფერს ძალიან ჩვეულებრივობის იერი ჰქონდა.

— ტყუილად ხომ არ ავტეხე პანიკა? — ჩაილაპარაკა გიორგიმ თავისთვის.

სწორედ ამ დროს ილიამ წერას თავი ანება და ტელეფონთან მივიდა. ყურმილი აიღო და ლაპარაკი დაიწყო.

გიორგიმ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც სულ კაბინეტში იყო, ერთხანს უსმენდა ილიას ლაპარაკს და მერე ოთახიდან გამოვიდა.

გიორგიმ ქუჩაში გადაიხედა და დაინახა, რომ კაბინეტიდან გამოსული კაცი ვიღაცას ელაპარაკებოდა. იმან თავი დაუქნია და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

გიორგი ჩამოვიდა სხვენიდან, ჩაირბინა კიბეები და ქუჩაში გავიდა. მერე ეტლი აიყვანა და დაელოდა, რა მოხდებოდა.

ცოტა ხანში ილია გამოვიდა და თავის ეტლში ჩაჯდა. ილიას ეტლი რომ დაიძრა, გიორგიმ თავის მეეტლეს ანიშნა ნადიო.

ილიას ეტლი თბილისის ბოტანიკურ ბაღში შევიდა და შუშაბანდიანი შენობისაკენ გაემართა.

გიორგის ეტლი შორიახლოს მიჰყვებოდა.

ილიას ეტლი შენობასთან რომ მივიდა, გიორგიმ თავისი ეტლი გააჩერებინა მეეტლეს. ფული გადაიხადა და ეტლი გაუშვა. მერე მიიხედ-მოიხედა და იმ შუშაბანდიანი შენობის მოპირდაპირე ფერდობისაკენ წავიდა.

ბუჩქებს ამოფარებული გიორგი შუშაბანდიანი შენობას უცქეროდა. შენობიდან ილია გამოვიდა ვიღაც კაცის თანხლებით.

კაცმა ილია ლამაზი ხეებისაკენ წაიყვანა.

მივიდნენ ხეებთან და კაცმა ლაპარაკი დაიწყო. თან ხელს ხან აქეთ და ხან იქით იშვერდა. ეტყობა, რაღაცას უხსნიდა ილიას.

ილია მომღიმარი უსმენდა.

გიორგიმ მიმოიხედა და ფეხაკრეფით წავიდა პატარა, ნახევრად დანგრეული ფარდულისაკენ.


უხმაუროდ მიიპარა და შეიხედა ფარდულში.

არ შემცდარა.

ვიღაც კაცი ჩაჩოქილიყო დაბალ ფანჯარასთან და ის იყო თოფს იმარჯვებდა.

გიორგიმ აღარ დაახანა. შევარდა ფარდულში და ნაგანი დაუმიზნა კაცს, თან დასძახა: ხელეები მაღლაო.

კაცი სწრაფად შემობრუნდა თოფიანად.



მხატვარი ვასო იდლევი (ბასიაშვილი)

გიორგიმ ტყვია დაახალა. კაცმა გამოჰკრა ჩახმახს თითი. გიორგის ასცდა ტყვია. კაცი კი თავგახვრეტილი პირქვე წავარდა.

სროლის ხმაზე შორს იმ კაცმა შეწყვიტა ლაპარაკი.

ილიამაც მიაყურა, ეს რა ხმა იყოო.

შემდეგ ანიშნა, განაგრძეთო და კვლავ ღიმილით უსმენდა კაცს.

გიორგი დასცქეროდა კაცს, რომელსაც სახე სისხლით მოთხვროდა. სისხლი კვლავ გადმოიღოდა ნატყვიარიდან.

კაცს ჯიბიდან ცხვირსახოცი გადმოჰკიდებოდა სანახევროდ. ეტყობა ამოღებას აპირებდა და სიჩქარეში გადაიფიქრა.

გიორგი წაბარბაცდა. გამოვიდა ფარდულიდან და იქვე დანვა ბალახზე.

ერთხანს ინვა, მერე თავს მოერია და ადგა.

ილიას კვლავ ელაპარაკებოდა ის კაცი.

ილია ახლა ჩაფიქრებული უსმენდა.

ილიას ეტლი რომელიღაც ქუჩაზე გაჩერდა.

ილია გადმოვიდა ეტლიდან და შევიდა სახლში.

შორიახლოს სხვა ეტლი გაჩერდა. იქიდან გიორგიმ გამოიხედა.

ცოტა ხნის შემდეგ, ილია გამოვიდა სახლიდან. ის გზადაგზა ელაპარაკებოდა ორ კაცს, რომლებიც რაღაც ქალაქებს უჩვენებდნენ.

ილია ამათაც მომღიმარი უსმენდა.

მერე ორივეს ხელი ჩამოართვა და ეტლში ჩაჯდა. ეტლი დაიძრა.

ახლა სულ სხვა ქუჩაზე გაჩერდა ილიას ეტლი.
ილია შევიდა შენობაში.

გიორგიმაც გააჩერებინა ეტლი და გაუშვა. მერე იქვე აფთიაქში შევიდა და სთხოვა, თუ შეიძლება ტელეფონზე დავერეკავო.

ექიმის ბინაში ტელეფონი აწკრიალდა.

ექიმი სწორედ მაშინ პატარა ბიჭუნას სინჯავდა. ბიჭუნა გამხდარი იყო და დიდი შავი თვალები უელავდა. იქვე, ტახტზე ბიჭის ბებიას იჯდა და ცრემლიან თვალებს ცხვირსახოცი თმშრალავდა.

ექიმმა მოიბოდიშა და ყურმილი აიღო.

— ბატონო... ჰო, გამარჯობა გიორგი... „ივერია“... ჰო, მანდ ალბათ დიდხანს დარჩება... კარგი ნადი... სალამოს შეგხვდებით... ნახევარ საათში მანდ ვიქნები... მოხდა რამე?.. ხმა გაქვს შეცვლილი... ჰო, ნახვამდის...

საუბარი დაასრულა თუ არა, ისევე ბიჭუნას მიუბრუნდა:

— შენ, გატყობ, მაგარი ბიჭი ხარ?

ბიჭმა გაიღიმა და თავი დაუქნია.

— მაშინ ბებიასაც უთხარი, რომ გამაგრდეს.

ექიმმა პატარა ფურცელს რალაც წაანერა, კონვერტში ჩაღო და ბებიას გაუწოდა.

— აი, ქალბატონო ეფემია, ბორჯომში უნდა ჩაიყვანოთ თქვენი ირაკლი და ეს წერილი მიუტანოთ ექიმ შალვა სარაჯიშვილს, დანარჩენი იმან იცის. თქვენც იქ იქნებით თქვენს ირაკლისთან ერთად. სამ თვეში კაჟივით ბიჭი გახდება... აბა, ჩამომართვი ხელი.

ბიჭმა ვაჟკაცურად ჩამოართვა ხელი.

— აი, ხომ ვამბობდი, მაგარია-მეთქი, — გაიცინა ექიმმა.

ბებიასაც გაუწოდა ხელი. იმან ჯერ ჩამოართვა, მერე კი ანიშნა, თავი დასწიო და შუბლზე აკოცა.

გიორგიმ კარი გააღო და ბინაში შევიდა.

ნინომ გამოიხედა დერეფანში, გახარებული გამოვარდა და გადაეხვია.

გიორგი ჯერ ჩუმად იდგა, მერე კი უცებ თქვა:

— ნინო, მე უკვე მოვკალი კაცი.

ნინომ ხელი ჩაჰკიდა და ოთახში შეიყვანა.

— დაჯექი, დაისვენე. შენ მკვლეელი მოკალი და არა კაცი.

გიორგი სავარძელში ჩაჯდა.

ნინო ოთახიდან გავიდა.

გიორგის სავარძელში ჩასძინებოდა.

პიჯაკის კალთა გადასწოდა და საქამრეში ჩატყული ნაგანი მოუჩანდა.

ეტყობა, ნაგანი ანუხებდა, გიორგი იშმუშნებოდა ძილში.

ნინო პატარა ბაღში იჯდა ხის ქვეშ და უყურებდა, თუ პანია შადრევნიდან წყალს როგორ სვამდნენ ჩიტები.

ღამეა.

ილიას სახლის შორიანხლოს, ქუჩის კუთხეში, მოფარებული დგანან გიორგი, ექიმი და გაბრიელი და ჩუმად უცქერიან ილიას განათებულ ფანჯარას.

— ახლა რამდენი წლისაა? — იკითხა უცებ ექიმმა.

— სამოცდაათის, — მიუგო გაბრიელმა, — უკვე მოხუცი კაცია ილია ჭავჭავაძე.

— უცნაურია, მოხუცი ილია, — თქვა ექიმმა.

— მართლა უცნაურია, ოღონდ უცნაური ისაა, რომ დღეს მის დეენაში ოფლად გავიღვარე, მოხუცი სულაც არაა.

— ღმერთი აძლევს ძალას, — თქვა ჩაფიქრებულმა გაბრიელმა.

— ჰო, მხოლოდ ღმერთის რჩეულს შეუძლია ამდენი, — დაეთანხმა ექიმი.

უცებ ვილაც ძალიან საეჭვო კაცი დაინახეს. ის ფეხაკრეფით მიიპარებოდა ილიას სახლისკენ. ქვის ლობესთან დადგა და თვალთვალი დაუწყო.

გაბრიელი ჩუმად წავიდა იმ კაცისკენ. მიუახლოვდა და უბრძანა, ხელები ასწიე და აქეთ წამოდიო.

იმ კაცმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ხელებანეულმა, მერე კი უცებ ადგილს მოწყდა და გაიქცა.

გიორგი გამოვარდა საფარიდან და ნაგანი დაუმიზნა გაქცეულს, მაგრამ გაბრიელმა დაუყვირა:

— არ ესროლო, გიორგი! ცოცხლად გვჭირდება.

სამივენი გამოუდგნენ გაქცეულს.

სირბილში გიორგიმ მაინც მოახერხა ეთქვა მეგობრებისთვის:

— მაგ კაცს ვიცნობ. გუშინ მასწავლებელთან იყო.

— მაშინ ფრთხილად იყავით, შეიძლება...

უცებ გაისმა ბრძანება:

— ხელები მაღლა! დაყარეთ იარაღი!

გაბრიელი და ექიმი წინ იყვნენ რამდენიმე ნაბიჯით, ისინი ოცამდე კაცის ალყაში მოხვდნენ.

— თავს უშველე გიორგი, შენ საჭირო ხარ — მოესმა გიორგის გაბრიელის ხმა.

გიორგი შედგა, მისკენ გამოქანებულ სამ კაცს სასწრაფოდ დაახალა ტყვიები და გაიქცა.

ამასობაში გაბრიელმა და ექიმმაც ატეხეს სროლა.

დამხვდურებმაც დააყარეს ტყვიები.

— მომკლეს, ძმაო გაბრიელ, — წაიჩურჩულა ექიმმა და მკერდგახვრეტილმა ჩაიჩოქა.

გოლიათ გაბრიელსაც მოხვდა რამდენიმე ტყვია, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა.

— მესროლეთ, სულ მე მესროლეთ, რომ ტყვია აღარ დაგრჩეთ ილიასათვის. მესროლეთ, თქვე ძაღლებო! — უყვიროდა გაბრიელი.

ისინიც ესროდნენ გაბოროტებით.

გაბრიელი რალაც სასწაულით ფეხზე იდგა.

— მესროლეთ... — ერთხელაც თქვა და ერთობლივმა ზათქმა დაფარა მისი ხმა.

ვინრო ქუჩებით გარბოდა გიორგი.

მდეურები შორიანხლო მოსდევდნენ.

გიორგიმ ერთ ჩიხში შეუხვია, ეზოში შევარდა და პატარა კარზე დააკაკუნა.

კარი მაშინვე გაიღო.

გიორგი შევარდა და კარი მიხურა.

გაირბინა ვინრო, ბნელი დერეფანი და სარდაფში შევარდა. კედელთან პატარა მაგიდას მისჯდომოდა ორი კაცი: მასწავლებელი და ბატონი ვახტანგი. პურმარილობდნენ.

— ოო, ვინც მოვიდა გაუმარჯოს — ჭიქა ასწია ბატონმა ვახტანგმა გიორგის დანახვაზე.

— გაუმარჯოს — თქვა მასწავლებელმაც.

— გამარჯობათ, — თქვა გიორგიმ და გაჩუმდა.

ისინი შეზარხოშებულები ჩანდნენ.

— სუფრა დაგვილოცე, — უთხრა ვახტანგმა გიორგის და იმავ წამს ბრახუნი ატყდა კარზე.

— არ გაულოთ, მე მომდევნე, — უთხრა გიორგიმ მასწავლებელს.

— მოგდევნე? მამ უკვე დაიწყო ბრძოლა? — თქვა ვახტანგმა და წამოდგა, — მეც სწორედ ეგ მინდოდა. აბა, ვაჩვენოთ როგორ უნდა სროლა.

მასწავლებელმა გიორგი პატარა ნიშთან მიიყვანა. კედელს ხელი ჰკრა და იქ კარი აღმოჩნდა.

— გვირაბი მტკერისპირას გაგიყვანს. მერე შენ იცი, არ დაიბნევი.

— თქვენ? თქვენ არ წამოხვალთ?

— ნადი გიორგი, ჩვენ იქნებ ამ ბრძოლას ველოდით.

— ნადი, ნადი, — უთხრა ვახტანგმა. მას იარაღი მოემარჯვებინა. მეორე ხელში კი ჭიქა ეჭირა, — ჩვენს საქმეს გაუმარჯოს, გიორგი.

— ნახვამდის, — თქვა გიორგიმ და გვირაბში შევიდა.

— მშვიდობით! — ერთად დაემშვიდობნენ ვახტანგი და მასწავლებელი.

მასწავლებელმა კარი მიხურა.

ამასობაში კარზე ბრახუნი ძლიერდებოდა.

— ყოვლად წმინდა ანგელოზები შეგვენიოს, — თქვა ვახტანგმა და ჭიქა მიუჭახუნა მასწავლებელს.

— შეგვენიოს, — თქვა იმანაც.

დალიეს და იარაღმომარჯვებულები დადგნენ.

მომხედურებმა კარი შემომამტვრიეს. უცებ შემოცვივდნენ დერეფანში, გამოირბინეს და სარდაფის შემოსასვლელში რომ შემოუხვიეს, მათ ზალპით დახვდნენ ვახტანგი და მასწავლებელი.

სამი კაცი წაიქცა, სხვებმა დერეფანში დაიხიეს უკან.

ვახტანგს და გიორგის ორ-ორი რევოლვერი ეჭირათ და ისე იდგნენ სუფრასთან.

დერეფანში თათბირობდნენ.

ოთხნი იყვნენ.

ერთი მათგანი ის კაცი იყო, მასწავლებელთან რომ იყო ადრე შლაპჩამოფხატული.

ეს უფროსობდა.

— თქვენ ორნი შევარდებით, მაშინვე წაიქცევით და ისე აუტეხავთ სროლას. მაშინვე შენ შევარდები, — უთხრა მესამეს, — მე რე კი მე ვიცი.

იმათ თავი დაუქნიეს.

სწრაფად გაცვივდნენ სარდაფის შესასვლელში, წაიქცნენ და სროლა დაიწყეს. ვახტანგმა და მასწავლებელმა ც შეაგებეს ცეცხლი.

შემდეგ მესამეც შემოვარდა.

მისი ტყვია ვახტანგს მოხვდა მკერდში.

ვახტანგი დაეცა.

მასწავლებელიც დაიჭრა მკერდში, თუმცა სამივე მომხედურს მოულო ბოლო მისმა ნასროლმა.

მასწავლებელი სუფრასთან დაჯდა სკამზე და მკერდზე ხელი მოისვა.

იმავე წამს შლაპჩამოფხატული გამოჩნდა სარდაფის შემოსასვლელში.

მასწავლებელმა დაინახა, მაგრამ ძალაგამოცლილმა ვეღარ ასწია იარაღიანი ხელი.

შლაპჩამოფხატულმა ორი ერთად დაახალა.

მასწავლებელი სკამიდან გადმოვარდა.

შლაპჩამოფხატული ახლოს მივიდა და რამდენიმეჯერ კიდევ ესროლა ვახტანგსაც და მასწავლებელსაც.

გიორგი გვირაბიდან გამოძვრა და მიმოიხედა.

პანია ჭალაში იყო.

გვირაბის შესასვლელს მაყვლის ბურქები ეფარებოდა.

გიორგიმ მიაყურა.

სროლა აღარ ისმოდა.

ნაგანი მოიმარჯვა და აღმართს აუყვა სახლებსაკენ.

გიორგიმ ფრთხილად გააღო ბინის კარი, ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი და საძილე ოთახში შევიდა.

სანთელი აანთო.

ნინოს ეძინა.

გიორგი ერთხანს დასცქეროდა ნინოს, შემდეგ სანერ მაგიდასთან მივიდა და ფურცელზე წერა დაიწყო.

დანერა, მივიდა ნინოსთან, ფრთხილად აკოცა თმაზე და სანთელი ჩააქრო.

კარი გამოიხურა და ქუჩაში გავიდა.

ნინომ თვალი გაახილა, წამოდგა და სანერ მაგიდასთან მივიდა.

სანთელი აანთო და წაიკითხა გიორგის წერილი:

ნინო!

მივდივარ ილიას სახლის სადარაჯოდ. დილით მოვილაპარაკოთ, თუ როგორ მოვიქცეთ შემდეგ. ჩვენი რაზმიდან მხოლოდ მე და შენ დავრჩით.

გვიანი ღამე იყო.

გიორგი მიდიოდა ქუჩაში. ძალიან ფრთხილობდა. აქეთ-იქით იყურებოდა და ხშირად მიუგდებდა ხოლმე ყურს, საექვო ხმაური ხომ არ ისმისო.

ასე მივიდა ილიას სახლთან.

დაინახა, ილიას ფანჯარაში სინათლე ენთო.

შვებით ამოისუნთქა.

ფრთხილად გადაძვრა ლობეზე და სათვალთვალოდ ის ადგილი ამოირჩია, სადაც წინა ღამით გაბრეილი იდგა.

აკვირდებოდა განათებულ ფანჯარას.

უცებ უკნიდან ხმა მოესმა:

— ნუ გეშინია, მანდაა. დღეს არ ვერჩით.

გიორგი შემობრუნდა და მკერდზე მიბჯენილ ნაგანს შეეფეთა.

მის წინ ის კაცი იდგა, მასწავლებელთან რომ ნახა ერთხელ შლაპჩამოფხატული.

კაცმა გაიმეორა:

— დღეს არ ვერჩით

და მე რე დაამატა:

— აი, ხვალ კი ვეღარ გადავირჩება.

მომორებით ორნი იდგნენ ნაგანმომარჯვებულები.

შლაპჩამოფხატულმა გიორგი გაჩხრიკა და ნაგანი ამოუღო ჯიბიდან.

— ვიცოდი, რომ ისევე აქ დაბრუნდებოდი, — ამ სიტყვებზე ხელები შეუკრა თოკით.

— სწორად გცოდნიათ, — მიუგო გიორგიმ.

— ხვალდან შეგიძლია აღარ მოხვიდე, — გაიღრჩია შლაპჩამოფხატული.

— მაგას ვნახავთ.

— ბევრსა ლაპარაკობს, არა? თქვენ რას იტყვით, ბიჭებო?

— ჰო, ბევრსა ლაპარაკობს, — თქვა ერთმა და გიორგიმ იცნო ის გლეხი, მასთან რომ იყო მოსული ილიაზე საჩივრით.

გლეხი გიორგის მიუახლოვდა.

შლაპჩამოფხატულმა ისევე გაიღრჩია.

— ეს იყო არა, შენი საჩივარი რომ არ მიიღო.

— ჰო, ეს იყო.

— როგორ არა გრცხვენიათ, ბატონო გიორგი, საწყალ გლეხს აწყენინეთ.

— ჰოო, მანყენინა, — თქვა გლეხმა და უცებ მუშტი ჩასცხო გიორგის სახეში.

— აღარ აწყენინო საწყალ გლეხს, — უთხრა შლაპჩამოფხატულმა გიორგის და მუცელში ჩაარტყა წიხლი.

გიორგი წაიქცა.

— იცით ბიჭებო, ვინ მოგვიკლა ამ არამზადამ? ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, ჩვენი საუკეთესო მსროლელი, გამოცდილი პარტიული „ჩორნა ბეგო“.

— ბეგო მოკლა? რაღას ვუყურებთ, აქვე ჩავაძაღლოთ, — გაინია გიორგისკენ გლეხმა.

— არა, ცოცხლად უნდა წავიყვანოთ. უნდა ვაყურებინოთ, როგორ მოვუღებთ ბოლოს ილია ჭავჭავაძეს.

— მაშ, ბეგო მოკლა? მე ამისი, — წაისისინა გლეხმა და წიხლი ჩააზილა გიორგის.

— მაშ, როგორ ემზადებოდა „ჩორნა ბეგო“, ჭავჭავაძე ჩემზე ამბობდა... კარგი ნავიდეო.
გიორგი ნამოყენეს და ნათორიეს.

ბნელ ქუჩაში მიათრევდნენ გიორგის.
შორიახლოს ვიღაც მისდევდათ უხმაუროდ. ის ხეებს ეფარებოდა, ხან კედელს აეკვროდა და ხან სადარბაზო შესასვლელს აფარებდა თავს.
ეს ნინო იყო. თავისი პატარა ნაგანი ჩაებლუჯა და ფრთხილად მისდევდა უკან.

ვინრო ქუჩიდან ერთ დიდ ქუჩაზე გაიყვანეს გიორგი და ოთხსართულიანი სახლის სადარბაზოში შევიდნენ.
ნინომ კაბა გაისწორა, ნაგანი ჩანთაში დამალა და მანაც მიაშურა სადარბაზოს.
აიარა კიბე, მეორე სართულზე ერთ კართან ორნი იდგნენ და პაპიროსს ენეოდნენ.
ნინომ თავი დახარა და ისე გაუარა გვერდით.
— ლამაზო! ასე გვიან სადა ყოფილხარ, — გაელაბუცა ერთი.
— მოდი, ჩვენც გაგვილამაზე ლამე, — დაამატა მეორემ.
ნინომ ხმა არ გასცა, ჩქარა აიარა კიბე.
ის იყო მესამე სართულზე ავიდა, რომ გაიღო კარი, რომლის წინაც ორნი იდგნენ და შლაპაჩამოფხატულმა გამოიხედა.
— რასა ხმაურობთ აქ?
— ბარიშნამ გაიარა და... — დაიწყო ერთმა, თან ზევით აჩვენა.
— ბარიშნამ? რა დროს ბარიშნაა, — შლაპაჩამოფხატული ადგილს მონყდა და კიბეებს აუყვანა ნაგანმომარჯვებული.

სახლის ფასადს მკრთალად ანათებდა ფარნის შუქი.
მესამე სართულის ერთ ფანჯარასთან ნიშაში ქანდაკების გვერდით ნინო მიყუყულიყო. ხელში ნაგანი ეჭირა.

შლაპაჩამოფხატულმა აირბინა კიბეები. მერე რკინის პანია კიბით სხვენშიც მოინდომა ასვლა. მაგრამ ასასვლელს დიდი ბოქლომი ედო.
შლაპაჩამოფხატული ჩამოვიდა მეორე სართულზე.
იმ ორს ნაგანი მოუღერა.
— დოყლაპიებო! აღარავინ შემოუშვავთ სახლში. დაიჭირეთ და მე მომიყვანეთ, — უთხრა ეს და კარი შეაღო.

ნინო დიდი გაჭირვებით გადმოძვრა თავისი სამალავიდან. ერთ ნამს ფეხიც დაუცდა და კინალამ ჩამოვარდა კიდეც. ბედად ქანდაკების კაბის კალთას ჩააელო ხელი.
გადმოძვრა, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და აკანკალებული ხელები ერთიმეორეს ჩასჭიდა.

ხელებშეკრული გიორგი სკამზე იჯდა.
მის წინ სავარძელში ფეხიფეხზეგადადებული იჯდა მისი სტუდენტობისდროინდელი ამხანაგი, რომელიც რესტორანში შეხვდა გიორგის — ივანე.
— არც შენ და არც შენს ილიას აღარაფერი გეშველებათ, მაგრამ სიკვდილის წინ მინდა გაგაგებინო, რომ ცდები, — უთხრა ივანემ გიორგის და შამპანური მონრუპა მალალი ქიქიდან.
— თავისუფლებისკენ მიმავალი გზა არ შეიძლება მცდარი იყოს, — უპასუხა გიორგიმ.
— ვისი თავისუფლებისთვის ცოდვილობთ, ეს მითხარი.
— ქართველი ხალხის თავისუფლებისთვის.
— მერე უნდა ხალხს ეგ თქვენი თავისუფლება?
— უნდა.
— არა, ხალხს სასმელ-საჭმელი უნდა.

— ეგ თეორია მცდარია. სასმელ-საჭმელს გემო მხოლოდ მაშინა აქვს, როცა თავისუფალი ხარ.
— კარგი, ვთქვით გათავისუფლდით, მერე რაღას იზამთ, ხომ შიმშილით ამოსძვრება სული ამ შენს საქართველოს. მხოლოდ დიდ მეზობელთან ერთად შეგიძლიათ არსებობა, როგორ ვერა ხვდებით ამას, საოცარია.
— ეგ მეზობელი კი არა, ბატონია.
— იყოს ბატონი, თუკი კარგად მაცხოვრებს.
გიორგის გაეცინა.
— რა გაცინებს? — გაუკვირდა ივანეს.
— ერთი არაკი გამახსენდა.
— არაკი?
— ჰო, გახსოვს, მშვიერი მგელი რომ შეხვდა მაძლარ ძაღლს.
— არა, არ მახსოვს.
— არ გეხსომება, შენნაირები ამ არაკს ვერ იმახსოვრებენ.
— ვინ ჩემნაირები?
— სოციალ-დემოკრატები.
— მაინც რა ხდება იმ არაკში?
— ძალი მაძლარი იმიტომ იყო, რომ პატრონი აჭმევდა.
— ჰოდა, ძალიან კარგი.
— მაგრამ სამაგიეროდ ჯაჭვით ჰყავდა დაბმული. მგელი კი თავისუფლად დანავარდობდა.
— მშვიერი?
— ჰო, მშვიერი. მგელს არ უნდა ჯაჭვი და არც ჯაჭვით მიღებული სალაფავი. იცი რას დავიძახებ სიკვდილის წინ? მგელს გაუმარჯოს, ქართველებო, მგელს!
— ეგ მხოლოდ სიტყვებია. ძლიერ რომ მოშვივა, მგელიც გაპყოფს თავს საყელურში.
— ეგრე ის ფიქრობს, ვინც მონაა.
— კი, მაგრამ რა განსხვავებაა ჩვენს შორის? გადავდოთ გვერდზე ჩვენი მოსაზრებები. განა შენც და მეც ერთნაირად არ ვცხოვრობთ. ობიექტურად ორივე თანაბარ მდგომარეობაში ვართ, ამიტომაც თუ მე მონა ვარ, შენც მონა გამოდიხარ, — დამცინავად გაიღიმა ივანემ.
— ეტყობა, მართლაც ვერ გაიგებ ვერაფერს, ისე ჩახვალ სამარეში.
— სამარესთან, მე მგონი, შენ უფრო ახლოსა ხარ.
— ობიექტურადო ამბობ, არა? როდესაც ვინმე თავისუფლებას მოგვისპობს, ამით ჩვენ მონები არა ვხდებით. ტყვეები ვხდებით, ტყვეები. მონობა კი უკვე ჩვენი ბრალია. მონა არის ის ტყვე, ვინც კმაყოფილია, თუ სალაფავს აჭმევს ბატონი და მას ხელზეც ჰკოცნის ლაქუცით. მონა არის კმაყოფილი ტყვე, ხოლო უკმაყოფილო ტყვე, ტყვედ რჩება. ტყვეობა სამარცხვინო რამაა. სამარცხვინო მონობაა. შენ მონა ხარ!
— ივანე სწრაფად წამოხტა და სილა გაანწა გიორგის.
— ძლიერი საბუთია, მაგრამ მე მართალი ვარ, — გაიღიმა გიორგიმ.
— ივანე ოთახიდან გავიდა.
გიორგისთან შლაპაჩამოფხატული დარჩა. ის ნელ-ნელა ნაგანს უმიზნებდა გიორგის, მოაცილებდა და ისევ უმიზნებდა. ასე ერთობოდა.

ნინო ფეხაკრეფით ჩამოიპარა მესამე სართულზე და ჩაიხედა.
ორნი ისევ იდგნენ კართან.
ნინო დაბრუნდა მესამე სართულზე, კუთხეში დაჯდა კიბის საფეხურზე და მოიბუზა.

გიორგი თვლემდა.
მეორე ოთახის კარი გაიღო, გაბოროტებულმა ივანემ გამოყო თავი და დაიღრიალა:

— წინამურთან მოვუღებთ ბოლოს თქვენს განმათავისუფლებელს და შენც ზედ დაგაკლავთ. დაიმახსოვრე, წინამურშია თქვენი ბოლო!

შლაპაჩამოფხატულმა ისევ დაუმიზნა ნაგანი გიორგის.

განთიადისას ოთხსართულიანი სახლიდან გამოიყვანეს გიორგი და ეტლი ჩასვეს.

ორნი წინ დასხდნენ, ორნიც გიორგის მოუსხდნენ აქეთ-იქიდან.

ეტლი დაიძრა.

ამას ხედავდა წინო მესამე სართულის ფანჯრიდან.

წინო სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში.

მოშორებით ცხენზე მჯდომი პოლიციელი დაინახა და იქით გაეშურა.

პოლიციელმაც დაინახა წინო და გაკვირვებული დააცქერდა, ამ დროს სად მიდისო.

ასეც ჰკითხა:

— სად მიბრძანდებით, ქალიშვილო ქალბატონო?

— გამარჯობათ! — მიესალმა წინო, — ცხენს არ უჩივით?

— მოგეწონათ? მართლაც კარგი ცხენია, ხომ არ გინდა გაგასეირნოთ?

— რატომაც არა, — გაეღიმა წინოს, — მინდა.

— მაშინ მოდით, დამიჯექით და გაგაქროლებთ.

— მირჩევენია უკან შემოგიჯდეთ.

— ნება თქვენია, — უთხრა პოლიციელმა და ხელი შეაშველა წინოს.

წინო უკან შემოუჯდა.

— საით წავიდეთ? — ღიმილით უთხრა პოლიციელმა.

წინომ კი მოულოდნელად ჰკითხა:

— ქართველი ბრძანდებით?

— დიახ, — კითხვით გაოცებულმა უპასუხა პოლიციელმა.

— მაშინ ცხენი უნდა მათხოვოთ, საქმისთვის მჭირდება, ქართველ კაცს უჭირს.

— მერე მე?

წინომ ნაგანი მიაბჯინა ზურგში.

— ჩადით.

პოლიციელი ხვნეშით ჩამოვიდა ცხენიდან.

— ნახვამდის, — უთხრა წინომ.

— ქართველი ხარო, რაღა შუაში იყო?

— ქართველი რომ ხართ იმიტომ ვითხოვე ცხენი თქვენგანს, სხვა რომ ყოფილიყო, სულ წაგართმევდით, — უთხრა წინომ ღიმილით და ცხენი გააჭენა.

— მაგარი გოგო ყოფილხარ, — გაეცინა პოლიციელს, — ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— გამადლობთ, — გამოსძახა წინომ.

მცხეთაში, ერთი დუქნის ეზოში იდგა ეტლი.

ეტლი ხელეშეკრული გიორგი იჯდა და ეზოს დაგმანულ დიდ კარს შესცქეროდა.

ეზოში, მაგიდასთან სამნი ისხდნენ.

შლაპაჩამოფხატული ნაგანმოღერებული დასდგომოდა მზარეულებს, რომლებსაც ეტყობოდათ, რომ ჯერ წესიერად ვერც გამოვფხიზლებულიყვნენ.

— აბა, ჩქარა გვაჭამე რამე, თორემ დაგცხრილეთ იცოდე,

— ყვიროდა შლაპაჩამოფხატული.

ეზოში მსხდომთა სმენას ცხენის ფლოქვების თქართქური მისწვდა.

წამიცი და ლობეს თეთრ ცხენზე ამხედრებული წინო გადმოვივლო.

მან ნაგანი დაუმიზნა სამეულს და უბრძანა:

— დაყარეთ იარაღი!

იმათ იარაღი დაყარეს.

წინო ჩამოხტა ცხენიდან, მაგიდიდან დანა აიღო და ისე, რომ თვალი არ მოუცილებია სამეულისთვის, ეტლში ავიდა და თოკი გადაუჭრა გიორგის. გიორგი წამოდგა.

სწორედ ამ დროს სამზარეულოდან შლაპაჩამოფხატულმა გამოყო ნაგანი და ისროლა.

ტყვია ბეჭში მოხვდა გიორგის.

წინოს საპასუხო ნასროლმა შუბლი გაუხვრიტა შლაპაჩამოფხატულს. ის ისე დაეცა, კრინტი არ დაუძრავს.

ამასობაში სამეულმაც წამოავლო ხელი დაგდებულ იარაღს და სროლა აუტეხა ეტლში მდგომებს. წინოს სამმა გასროლამ სამივე დაანგინა, მაგრამ მასაც მოხვდა ტყვია მკლავში.

— წინო! — შესძახა გიორგიმ.

— მკლავში ვარ დაჭრილი.

— მოდით, თუ ღმერთი გნამთ, ქალს უშველეთ, — დაუძახა მზარეულ ცოლ-ქმარს გიორგიმ.

ცოლ-ქმარი მოცვივდა და ეტლიდან ჩამოიყვანეს წინო.

გიორგი ეზოს დიდ კარებს ეცა და ძლივას გაალო ცალი ხელით, მეორე ხელს ვერ სძრავდა.

მტკვრის პირას მიაგრილა ეტლი გიორგიმ.

წყალშიც შეაგდო ცხენები, მაგრამ გაჩერდნენ ისინი.

გიორგი გადმოხტა ეტლიდან და წყალში შევიდა.

მიცურავდა გიორგი.

გაჭირვებით უსვამდა ცალ ხელს.

როგორც იქნა, გავიდა ნაპირზე.

ბარბაცით აიარა ფერდობი და გაიქცა.

— წინამური... წინამური..., — იმეორებდა ჩურჩულით.

ქვას წამოჰკრა ფეხი და წაიქცა. დაჭრილი მხარი დაარტყა და ტკივილმა თვალი დაუბნელა.

ვიდრე გონს დაკარგავდა, გიორგის მოეჩვენა, თუ როგორ წამოდგა და გაიქცა.

ახლა უფრო მხნედ გარბოდა.

დაინახა, რომ ეტლი მოდიოდა გზაზე.

თეთრი იყო ეტლი და თეთრებში გამოწყობილი ილია და მისი მეუღლე ისხდნენ შიგ. მეეტლესაც თეთრები ეცვა.

გიორგიმ ხელი აუწია.

ილიამ ღიმილით ანიშნა მეეტლეს, — გააჩერეო.

გიორგი ავიდა ეტლში და მეეტლეს ამოუდგა უკან.

მიდის ეტლი.

— წინამური... წინამური..., — ჩურჩულებს გიორგი.

აი, ის ადგილიც.

ბურჩქებში ჩასაფრებული ბანდიტები დაინახა გიორგიმ.

მოიმარჯვა ნაგანი და ესროლა ზედიზედ.

ორნი პირალმა გადავარდნენ ბურჩქებში.

მესამე გამოვარდა გზაზე და თოფი დაუმიზნა ილიას.

ეს ივანეა — გიორგის სტუდენტობისდროინდელი ამხანაგი.

გიორგი მკერდით აეფარა ილიას, თან მიზანში ამოიღო თოფიანი.

ერთდროულად გავარდა თოფი და ნაგანი.

თოფიანი ჰაერში შეტრიალდა და პირქვე დაემხო.

გიორგის მკერდში მოხვდა ტყვია და ილიას მუხლებზე დაეცა გულალმა.

ილია და მისი მეუღლე თვალცრემლიანნი დასცქეროდნენ გიორგის.

ილია გადარჩა, — ამბობს გიორგი, ელიმება და ხუჭავს თვალებს.

გიორგი კვლავ იქა გდია, სადაც დაეცა.

გდია პირალმა და მოლიმარი ჩურჩულებს:

— ილია გადარჩა!

შორს კი, სწორედ ამ დროს გაიარა ეტლმა და მიეფარა ბუჩქებს.

გაისმა თოფის სროლა.
რამდენჯერმე გაისროლეს და სიჩუმე ჩამოწვა.

გიორგი გამოფხიზლდა.

ერთხანს წევს უძრავად. მერე შეტოკდა, რადგან გაახსენდა სიტყვა „წინამური“.

„წინამური, წინამური“, — ჩურჩულებს გიორგი, გაჭირვებით დგება და ბარბაცით მიდის.

გიორგი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ესროლეს ილიას. აქ ფუსფუსია.

ჟანდარმერიის თანამშრომლები ინერენ მეეტლის ჩვენებებს.

ილიას ცხედრისთვის სუფთა ზენარი გადაუფარებიათ, მაგრამ იქ სადაც ილიას შუბლია, იზრდება სისხლის ლაქა.

იქით ილიას ქვრივთან ტრიალებენ ჟანდარმები.

გიორგი უცქერის ყველაფერ ამას.

მერე ფხვს წამოჰკრავს ხის ფესვს და ნაიქცევა.

ნაქცევისას ბუჩქებს გამოედება და ხმაურით დაეცემა.

ჟანდარმები ყურს მოჰკრავენ ხმაურს და რამდენიმე მათგანი აქეთ გამოეშურება.

მოვლენ, ნახვენ გიორგის და ერთი მათგანი გასძახებს თავიანთ უფროსს:

— ბატონო ივან ნიკოლაევიჩი! აქ ვილაც კაცია. სავარაუდოდ, სწორედ ესაა მკვლეელი.

მოვა ივან ნიკოლაევიჩი, დაჰხედავს გიორგის, უცქერის მის ახალ ნატყვიარებს და ჩუმად ამბობს:

— ალბათ ესაა!

მერე იმათკენ გასძახებს, ვინც ილიას ცხედართან ფუსფუსებს:

— ბერმუხა მოვიდეს ჩემთან.

იმ ჯგუფს გამოეყოფა გიორგის ნაცნობი ივანე, რომელიც ილიას დასდევდა მოსაკლავად.

ის მოვა, დაჰხედავს გიორგის და იტყვის:

— ვიცნობ ამას, შეიძლება მართლაც ეს აღმოჩნდეს მკვლეელი. თუმცა კი ეცდება თავი დაიძვრინოს და რალაცები მობოდოს...

— ვნახოთ... ჯერ მოვარჩინოთ და მერე დავეკითხავთ...

საავადმყოფოს პალატის წინ უფროსი არიგებს რიგით პოლიციელს:

— დღეს ასაფლავებენ ილია ჭავჭავაძეს და დასაფლავებას უამრავი ადამიანი დაესწრება. ეს თუ მანამდე მოვა გონს, არავითარ შემთხვევაში არ მიუშვით ფანჯარასთან.

— არის! — მიუგებს რიგითი.

და აი, მოდის ილიას დამკრძალავი პროცესია. ზღვა ხალხი მოჰყვება ილიას კუბოს.

საავადმყოფოს ფანჯრიდან პროცესიას უცქერის ის რიგითი პოლიციელი.

მას ცრემლითა აქვს თვალები სავსე.

შემობრუნდება და გიორგის სანოლთან მივა.

ნელა შეანჯღრევს.


გიორგი თვალებს გაახელს. და კითხვით შეაჩერდება.

— გაიღვიძე გიორგი. ვიცი ვინცა ხარ და ისიც ვიცი, რომ იცავდი ილიას. გაიხედე ფანჯარაში. შენ უნდა ნახო რამდენი ხალხია.

გიორგი იყურება ფანჯარაში. გვერდით პოლიციელი უდგას. ხედავენ ზღვა ხალხს.

თვალცრემლიანი ჩურჩულებს გიორგი:

— ვერა, ვერ მოკლეს...



ვანო ჩიქვაძე

ნიმნიდან „ლექსები 2014“

* * *

ჩაფიქრებული სხედან მისნები,
თეთრი მთები და ლურჯი ნისლები,

მიდი-მოდინა.
გალმა-გამოღმა,
დაჭკნა იელი. ტევრი ჩამოხმა.

მტაცებს ხმელ ფოთოლს ხელისგულიდან,
დავინყებისკენ ქარი მიაფრენს.
იმ სამოთხიდან,
იმ წარსულიდან,
ჩემს სიზმრებს ისევ აფორიაქებ.

მოვდივარ. შენი ნატვრით ვიცვები.
ისევ მთები და ისევ ნისლები...

* * *

მიდის უამი უყამო,
ტალღა ნაპირს მილოკავს.
ვხედავ, უნგი ედება,
ჩემს მშობლიურ კილოკავს.

ისევ გზაგასაყარი,
ისევ გზაჯვარედინი,
ოთხივ მხრიდან მიყურებს
ლანდი ჯალალედინის.

მინდა წუთისოფელი
მეც არ გამოვიღამო —
საით უნდა წავიდე,
ღმერთო, რომ არ ვინანო!

წიგმა

უსმინე, ვიდრე არ ამღვრეულა
იმ სიყვარულის წმინდა სათავე.
ვიდრე ზაფხულის მშვიდი დღეები
მხრებს ცხელი კოცნით დაგიდაღავენ.

ყველა სიზმარი უცებ ახდება,
ველები, თითქოს მწვანე ფრთები,
შურისძიების ნაზი ნაღმებით —
ყაყაჩოებით აფეთქდებიან.

სახურავებზე გადარბის წვიმა —
მალაღწივება, მკვირცხლი იაბო.
ხვალ ცხრა მთას იქით სხვებს მოუყვება
ზღაპარს, რომელსაც ახლა გაიმბობს.

სამშობლო

არსად არ წასულა, ის სადღაც აქ არის,
ლამეში ჩამდგარი ლამპარის პარპალით.

გვიანი ზედაშე და ჭიქა ნათალი,
ხეშია, ბურქშია, მტევანში ჩამტკბარი.

აქ არის, ყვავილის ღიმილში ვიცანი.
დაჭორფლილ ზეციდან მომყვივის ციცარი.

მეძახის ბავშვობის პირველი წიგნიდან,
შავ-თეთრი ნახატის სიმშვიდე, სინმინდე,
რამდენჯერ, მალულად, ცრემლი მოვიწმინდე,
რამდენჯერ შეგთხოვე,
უფალო,
იქ მინდა.

თუმც თოვლის ბილიკი
ნისლს გადაუბინდავს,
ენძელა წივნივებს თებერვლის უბიდან.

ოქროსფრად იეღვებს სხივების ფაფარი —
არსად არ წასულა,
აქ არის,
აქ არის!

* * *

ხსოვნა ჯავრობს და ქუფრობს,
ავ მოგონებებს არ შლის —
მოჭქონდათ თეთრი კუბო,
კუბოში — თეთრი ბავშვი.

ტირის ხარდანზე ვაზი,
მშვიდი, ლაბუა გნოლი,
სადღაც, კახეთის გზაზე,
ხელში იების კონით

მახსოვს უმწეო პეშვი,
ახლაც თვალნათლივ ვხედავ,
მწუხარებისგან შეშლილ,
ახარხარებულ დედას.

შეაგებებენ ხენი
ნაქარგს მზიანი მარტის,
ღობეზე გადმოფენილ
თეთრი ტყემლების მანდილს.

ლურჯი იების —
ხსოვნა
ფრთებს ყორანივით გაშლის —
მიაქვთ უფალთან კონა
თითებს გაცრეცილ ბავშვის.

* * *

ისე ახლოს და ისე შორს არის,
დრო — საპყრობილე ცრუ იმედების.
წელში იმტვრევა ყელი — შრომანი,
ქარვისფერ წყალზე თეთრი გედების.

მერე ღამდება.
მერე მგონია,
შენს ნაფეხურებს ითვლის ზღვისპირი
და უგუნებო თეთრი თოლია
უკან გაქცეულ ტალღებს მისტირის.

* * *

შემოგვიტყუა გზების ქარაგამი,
საარაგოზე ბოლავს დუქანი.
ბოლოს აქ რჩება ჯიბის ბარაქა,
პატიოსანიც და ნაქურდალიც.

წვიმის სიმღერას ხმას შევუბანებთ,
ნისლებს გასჩრია „ტრუბა“ ყალივნის.
ამ გზას ვერავინ ველარ უგანებს —
ზოგი აივლის, ზოგი ჩაივლის.

გადიფურცლება წვიმის რვეული,
ქრება მყინვარი ნისლს ჩახვეული.
სტეფანწმინდიდან არ მოჯაყჯაყებს
„პოვოსკა“ დიდი თერგდალეულის.

წყალს გამოტოპავს ჩრდილი მამონტის —
თავჩაქინდრული მოდიან მთები —
ხტუნავს ზარფუში.
ორთქლი ამოდის.
ვსვამ წინწანაქარს —
ვთვრები და ვთბები.

ბრტყელდება ცომი.
გვაფხიზლებს ვაჟა.
უცხოტომელი გვმოდღვრავს ლაო-დი.
მოლუშულ შუბლზე გუბდება ჯავრი
და ემატება ხინკალს ნაოჭი.

ბუხარი

*დიკენსის გმირივით
ცეცხლთან ჩაფიქრება.
გალაკტიონი*

მიყვარს ბუხარი.
ვიცი, ბუხართან,
მრავალზე მრავალს გამოუღამდა.

მუხლებზე პლედი.
პლედი თბილია.
მესსა.
ორლანი.
წუხს პასტორალი.
მთვლემს.
მუხლისთავზე გადაშლილია
302-ე გვერდზე რომანი.

ცეცხლის ყანაში საკბილოს ეძებს,
დაუცქვეტია ყურები სეტერს.

წევს მონყენილი უამინდობით
და ენატრება სეტერს მინდორი.

მეძებარს შუბლზე ფრთების სავსავით,
აზის ნიშანი, პეპელასავით.

ზარის წკარუნი.
შეაგვიანდათ —
სტუმრებს უფენენ კართან ფიანდაზს.

ოთახში უცებ იცვლება ჰავა.
დეკოლტი.

ფლირტი
და საუბრები.
მსახურ გოგონას შემოაქვს ყავა,
აბრუებს სეტერს მძაფრი სურნელი.

ლიმილს და ფინჯნებს ჩამოარიგებს,
ლამაზ თეძოთა ცეცხლი გუგუნებს,
და გრძნობს ხალიჩა გოგოს ნაბიჯებს,
ფაჩუჩის სითბოს და სიმსუბუქეს...

გატყდა ლამბაქი.
გაქრა მწვეარი,
ჩემს ილბალს თავი ვერ დავუკარი.
აკრძალულ კართან დარჩა მხევალი,
მორჩა რომანი.
ჩაქრა ბუხარი.

გოგლაურა

იქნებ სამოცდაერთი,
ანდა სამოცდაორი,
ახვევია ჯეჯილი
ახალგაზრდა თაობის.

ბევრის ხსოვნა, ჩიტვივით,
ყინვას გაუთოშია,
მაგრამ დღესაც ჩამესმის:
— ლეონიძე გორშია!

აზარფეშა დაცლილი,
ყანნი გადახუხული,
ქალაქს აფორიაქებს
ლექსის ლომის ბუხუნი.

ილოცება ვისთვისაც
ქართლი ქვეყნის ფუძეა,
ვინც სამშობლოს აკვნები
ლექსით გადაურწია.

იქნებ სამოცდაერთი,
ანდა სამოცდაორი,
ახვევია ჯეჯილი
ახალგაზრდა თაობის.

ამაღლდა და თალივით
იმ ხმას ვერ ჩამოშლიან:
— ლეონიძე გორშია!
— ლეონიძე გორშია!

* * *

ნამგალები თბილისის ცაში!
აქ რა გინდათ — სმოგის აღმურში,
როცა რიყეზე გართხმულ მტკვარსაც კი
ძლივს უტოკავს ზვირთის ლაყუჩი.

ჟანგით დაჭორფლილ სახურავებზე,
ჩამომდნარ მზეს რომ გაუპოხავს,
როგორ დასხდებით.
ვიცი, უკან დაბრუნდებოდით,
მაგრამ სადღა აქვს საქართველოს მინდვრები,
ანდა შუალამის წვიმით პირდაბანილი ტყეები...
გაიყიდა, გაიყიდა თქვენი წილი ცა,

ბელტ-ბელტ,
მიჯნა-მიჯნა,
მეტრობით და ჰექტრობით —
თქვენთვის აღარ იშლებიან ის ყვავილები,
როგორც ციცქნა ფიალები,
წყურვილის მოსაკლავ ნამს რომ გიგროვებდნენ...

ფული — ღმერთია, გვმოდღვრავენ ჩვენი
ახალი მეგობრები —
ფული სახადია, — ვამბობ მე —
ბაზრადქცეულ ქვეყნის შვილებს
უკურნებელ სენად რომ შეჰყრიათ...

ნამგალებო,
ახლა თქვენი ქანდარიდან ჩამოჰყურებთ
აბსურდის თეატრს,
გაყინულთვალეზა მენეჯერებს,
ბიზნესმენებს,
საქმიან შეხვედრებს,
დედუგაციების მოძრავ კუნძულებს,
კონტრაცეპტივით გაჯერებულ დედაკაცებს,
ყვითელი მაკიაჟით —
როგორც კუბოში წამომჯდარ მიცვალებულებს,
ცალ ხელში საჭე და
მეორეში „აიფონი“ რომ ჩაუბლუჯავთ...

ნახეთ, უყურეთ,
კიდევ ერთხელ რომ გული მოგიკვდეთ,
არაყის და ლუდის დაცლილი ბოთლებით —
ჩვენი შვილების უმწეო პროტესტით,
როგორ მოფენილა დედაქალაქი...

ნეტავ მეც შემეძლოს, როგორც ბავშვებს,
თვალეზზე ხელი აგაფაროთ და,
მძიმე კადრები დაგიმალოთ...

აქეთ რა გინდათ —
ისე ირევით,
თითქოს ვილაცამ დანაკუნებული ნოტივი
მალღა აყარა —

არავის ესმის არც თქვენი სტვენა,
არც გულის დარდი,
არც ფრთების ტაში...

მალე იქუხებს, „სკოლის დაფაზე“,
სეტყვის მრისხანე ღრუბელი ნაგშლით.

ნამგალები თბილისის ცაში...
ცაში...

ნატირალი

არღუნო, ჰოი, არღუნო,
შენი ლალატით გიცანი,
გულმა, მჯილი რომ დავიკარ,
ამოიგმინა — ის არის!

კლდეებზე დაჯახებულს,
ყალყზე შემდგარო ულაყო,
უნდა საქვეყნო სირცხვილი
თაობებს შემოვუნახო.

არღუნო, ჰოი, არღუნო,
შენი გზა ემამ დალახვრა —
დედა-წული რომ მოგვტაცე,
შენც მარბიელი არა ხარ?

არღუნო, ჰოი, არღუნო!..

* * *

ნავიდა კაცი,
რომლის ჭკვიანურ ხლართებს,
ამოუცნობ სვლებს,
არდანდობის და განირვის უნარს,
ალტაცებაში მოვყავდით და
ავი ჩრდილივით ადევნებული მეტსახელიც,
ზღაპრის უარყოფითი გმირისა,
ამაოდ ცდილობდა, ბომბორა კუდით,
ნაეშალა ცოდვების კვალი...

ნასულზე ან კარგი უნდა თქვა და
ან — არაფერი..
მე არაფერს ვამბობ!..

ნავიდა კაცი.
მის უკანასკნელ თავშესაფართან,
სიტყვის თქმა რომ მევალებოდეს,
ან მარცხენა მკლავზე ტრაურით,
წითელი მოედნის ქვაფენილით,
კრემლის კედლისკენ მივაცილებდე,
სადაც ეპოქალური ურჩხულები წვანან,
ეგებ სიამაყითაც კი აღვსილიყავი...

ნავიდა კაცი!
სწორედ მაშინ, როცა უფალმა
ფიქრის სარკესთან
მარტო დატოვა..
მცირეა ჩემი სამშობლოს მიწა,
მათთვის, ვინც ზემოდან დაჰყურებს და
იმათთვისაც, ვისაც მკერდზე აყრია.
აღბათ, ამიტომ
კავკასიონის მოაჯირზე გადაკიდული
საფენივით ბერტყავენ,
შოლტსა და სახრეს უჟაპუნებენ
და ღდინს აცლიან..

ერთი მათრახი ამ ბატონმაც არ დაამაღლა,
ისე მწარედ, რომ მისი კვალი
ბევრმა საფლავეში თან ჩაიყოლა,
ხოლო ვინც დავრჩით,
ჯვარედინი ნაიარევით,
ზურგზე წოლა არ შეგვიძლია...

მიდის უწყინარი ბერიკაცის
ფლასში გახვეული,
მიდის სამშობლოს
ალაღი ცრემლით დაუტირებელი
და გეხვეწები,
გემუდარები,
ვინც ხვალ სამშობლოს სისხლზე
უნდა დაიგემოს,
ასე ნუ დაამთავრებს თავის სიცოცხლეს —
ეს მიდი-მოდი,

ეს ჟიჯივი უცხო ჩიტების,
აკუნული თევდორე მღვდლის ფრჩხილად არა ღირს...

ვაი, შენ, სამშობლოსგან დაუტირებელო,
უფლის ბოძებული სიყვარულის ზღვიდან
ერთი პეშვი მაინც როგორ არ გერგო..

ნავიდა კაცი!
(ვინ და რატომ, არაფერს ვამბობ)
დარჩა საფლავი,
გარღვეულ მინის
კიდევ ერთი საკერებელი..

ნავიდა კაცი.

* * *

ეს ქალი შენი სასჯელი იყო!

დაიმსახურე,
იმ შემკრთალი თვალებისათვის,
რომ უღალატე,
ზურგი აქციე,
მიატოვე გზაგასაყარზე,
როგორც მწვანემკლავება ტირიფი...

გეკუთვნოდა-მეთქი...
ოცი წელი... ბოლო წუთამდე...
რომ მოიხადე...

ხოლო სტუდენტურ ოთახში
დაბნეული გოგოს თვალები —
ერთგულების უმწეო მსხვერპლი —
დრო და დრო გახსენებდა,
რატომ ამოგდეს ლაგამი,
რატომ მოგწამლეს
ეჭვისა და ღალატის შხამით...

ეს ქალი შენი სასჯელი იყო!

ოცი წელი, როგორც საკანი,
ურდულგაყრილი რკინის კარით,
ქვის იატაკით,
მონოტონური წვეთის კაკუნით,
როცა მზადა ხარ სხეულიდან ამოვარდე,
ოღონდ ამ სატანჯველს გაექცე...
უარყოფილმა სიყვარულმა შური იძია,
და შენმა ზურგმაც,
მიტოვებული თვალების სანაცვლოდ,
ქანცის გამწყვეტი ტვირთი ატარა...

მერამდენე წელიწადია,
თავისუფალი პატიმარი ხარ,
მაგრამ მაინც კვალში გიდგას და
გაავეებული გიყფს წარსული...

ვერავინ ქვეყნად
შენს ტკივილებს ვერ წაიკითხავს,
რადგან გულის ყრუ კედელზეა ამოკანრული.

ეს ქალი შენი სასჯელი იყო!



ნინო დარბაისელის სტილი კარგად არის ცნობილი — უჩვეულობა, მოულოდნელობა, სიმკვეთრე, უშუალოება. არაორდინარულია თემების არჩევაშიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უცნაურია ეს ლექსი — „ვამბობდი, მიყვარხარ!“ — მიმართვა უფალს: არა ლოცვა, არა გალობა, არა ეგზალტაცია, უბრალოდ მიმართვა. თითქოს მეორე მე-ს ესაუბრება.

კაცმა რომ თქვას, რა არის პოეზიის მიზანი? ძალიან უბრალო, მარტივი, ადამიანური რამ — საკუთარ თავს პირდაპირ უთხრა ის, რისი თქმაც გსურს. ამისათვის სიტყვების სწორად შერჩევაა საჭირო. სათქმელად ყველა სიტყვა არ გამოდგება და არც ყველა იდგა ივარგებს გადმოსაცემად. ფორმაც თავისით უნდა მოვიდეს, სულის შინაგანი განვითარების კვალად. არსებობს სიტყვები, არსებობს ემოციური არსენალი, არსებობს შემოქმედებითი ნებელობა, ანუ ყველაფერი ის, რაც ცალ-ცალკე არაფერია, ერთად კი ყველაფერი და ამ ყველაფრის ერთად შეკრებისათვის გარჯა არის პოეტური ქმნადობის წესი, რომელიც თანდაყოლილი უნარი, ბუნებრივი მოცემულობაა.

პოეტური რეზონი არის იმაშიც, რომ ნინო დარბაისელი თემას უახლოვდება არა მისტიკური, არამედ ეთიკური მხრიდან. ამ დროს რაღაც ითხოვს სიცარიელის შევსებას, რაღაც მთლიანდება, რაღაც იკავებს თავის ადგილს იქ, სადაც მას არ ველოდით, მაგრამ იდეაში იგულისხმებოდა როგორც ფაქტორი, დასაშვები, პროგნოზირებადი რეალობა.

სწრაფვა ამაღლებულისაკენ — ესაა სულის თვისება, მთლიანობის განცდის რომანტიკული იდეა, მარადიულობის შეცნობის ინტერესი, სიცოცხლის, როგორც უმაღლესი ფასეულობის აღიარება, რწმენის გასაგნება და ინდივიდუალური არსის გადარჩენა სიტყვით, სიტყვაში, სიტყვისგან.

ნინო დარბაისელი
ვამბობდი, მიყვარხარ!

დრო იყო, ჯერ არც კი გიცნობდი,
და მაინც გეძებდი, გიხმობდი,
იმ წარსულს ცოდვა ვით ვუთვალო,
უყურო ვიყავ და უთვალო,
და მაინც, არ ვიცი,
რის გამო
ვამბობდი: - მიყვარხარ, უფალო!

და ერთხელ სიზმარში გიხილე,
შევერთი და ვერა გაგიხილე,
ან უფალს რა როგორ უფარო,
მის წინ ულონო ხარ, უფარო...
ვიდექ დაბნეული,
ვთრთოდი და
ვერ გითხარი: - მიყვარხარ, უფალო!

სიკვდილ-სიცოცხლესთან ვცილობდი,
მიჭირდა და ახსნას ვცდილობდი,
დღე მედგა, გულთან მოუბარო,
უმზეო, უმთო და უბარო...
-მიშველე, მომხედე,
შემინდე! -
გიხმობდი - მიყვარხარ, უფალო!

შენდობას, ო, როგორ ველოდი!
გთხოვდი და არაფერს მშველოდი,
გაგიხდი მე უარმყოფელი,
ვირჩიე ეს წუთისოფელი
და მაშინ გითხარი:
არ ვიცი,
მიყვარხარ თუ არა, უფალო!

არ იყო შენდობა ადვილი?
შენ ახლო ვერ ვპოვე ადგილი.
„ძვირფასი - არის სულ უფასო“,
ელოდე, შენსას ულუფასო! -
რატომ-ღა მასმინე,
მანანე!
გითხარი: - არ მყავხარ, უფალო!

ან გული ვის უნდა ვუხარო,
ან თავი ვის უნდა ვუხარო,
ვარ უქონელი და უფალო.
ვერ გპოვე გზავ, სავალ-უვალო,
შენ ჩემსას ვერასდროს
გაიგებ
უფალო, უფალო, უფალო!

ჰოდა,
რაკი ახლა,
როგორც იქნა, მისმენ,
გეტყვი,
რასაც მივხვდი ამასობაში:
მე, ასე თუ ისე, მესმოდა შენი,
განვიცდიდი შენს ტკივილებს,
და ყოველ გახსენებაზე მეტირებოდა.
იმას კი ვერ ვხვდებოდი,
რომ ჩემსას შენ ვერაფერს გაიგებდი,
რადგან მცირე ტკივილის მცნობელს
დიდის წარმოდგენაც შეუძლია და თანაგრძნობაც,
შენთვის კი,
შენთვის,
სამყაროსხელა ტკივილის გადამტანისთვის,
აბა, რა იქნებოდა ჩემი ქალღური სატკივარები!
შენ ეკალ-ბარდებიდან და მორევიდან,
ცეცხლიდან და კლდისპირიდან უფნებელი გამოგყავდი,
მე კიდევ, ნაკანრები მენვის და თან სული შემიბერე-მეთქი...
და
ამის აღმომჩენმა შვებით ამოვისუნთქე...
რას ვიზამთ,
ასეთი გამოდგა ჩვენი სიყვარული:
ორივე მხრიდან - ცალმხრივი.

შენ, ძალო, გამძლებო მრავლისა,
შენ, გზაო შენივე მრევლისა,
ყოფილხარ კეთილისმყოფელი,
გულში გაქვს ადგილ-სამყოფელი,
ხმითა და უხმოდაც
მოგიხმობ:
- მიყვარხარ, მიყვარხარ, უფალო!





ზეინაბ ზურაიძე



თამაზ დავითაშვილი



მაია მიქიაშვილი



შოთა გოლუბიანი



ეკატერინე

ზეინაბ ზურაიძე პონტოს ნაპირი

აპრილის მზეო, ჩამავალო
პონტოს ნაპირს რარიგად ვნატრობ,
მივუახლოვდი ცხოვრების ნაპირს
და ველარ გავძლებ შორეთში მარტო.

ნიტა ოცნების თვალთ გაჰყურებდა ჩამავალ მზეს, ცეცხლოვანი დაისი ფერთა ჯადოსნურ კვალს ტოვებდა ტალღებზე: ყვითელს, მომწვანოს, მოიისფროს, მწვანულს. ტალღები ხმაურით ეხეთქებოდნენ ზღვაში ამოჩრილ კლდეებს, ნაპირისაკენ მოინევენენ ქაფმორეულნი.

გოგონამ ქნარი აიღო და მამისაგან ნასწავლი მზის საგალობელი წაიძღრა: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმია ჩემი“.

ქრისტეშობამდე XIV საუკუნის 70-იანი წლები იდგა. კოლხეთს აქაველთაგან მზის ღმერთ ჰელიოსის ძედ მიჩნეული ძღვევამოსილი მეფე აიეტი მართავდა. ყველაზე დიდი რამ, რასაც ფლობდა, იყო ოქროს სანძისი, ტყავზე დანეროლი ქიმიური გზით ოქროს მიღების საიდუმლო. ნიტას მამა სიენი მეფის მთავარი ქურუმი იყო. კოლხთა ღვთაების, მზის დისკოს, მონა და მეხოტბე. აიეტს სურდა ამ კულტის სხვა ქვეყნებში გავრცელება და ამ გზით სამეფოს ავტორიტეტის გაზრდა.

ნიტას სრული სახელი ნეფერტიტი იყო. ეს სახელი ნიშნავს მშვენიერ ქალს. დედა მასზე მშობიარობას გადაჰყვავდა, დანაღვლიანებულმა მამამ საოცრად ღამაზ და საყვარელ ჩვილს შეურჩია სახელი. მართლაც მშვენიერი იყო 13 წლის ნიტა, ტანმალალი, უნაკლო აღნაგობის, სპილოსძვლისფერი სახით, ნაბლისფერი თმებით, ბრონეულისფერი ტუჩებით და დიდრონი ნუშისებრი თვალებით, რომელთა თაფლისფერი ათინათი მოგზიბლავდათ, დაგატყვევებდათ.

მამას ხშირად დაჰყავდა ტაოში, ბაბახას მთებში აღმართულ მზის ტაძარში, რომელსაც ქურუმი ქალები ემსახურებოდნენ. შესაძლოა მასაც ქურუმობისთვის ამზადებდა. ჩაჰკიდებდნენ ქალები ხელს, მზის დისკოს მსგავს წრეს შეჰკრავდნენ, მერე სხივისებრ, გაშლიდნენ მკლავებს და მღეროდნენ მზის საგალობლებს — თუთა შხა, ბუა შხა..., მზე შინა და მზე გართა..., მზე დედაა ჩემი... — ერთმანეთს ენაცვლებოდა რიტუალური სიმღერები. ქურუმ ქალებს მკერდს უფარავდათ მზის დისკოს ფორმის ოქროს უზარმაზარი ფირფიტები, ამ როკვა-გალობის აუცილებელი ატრიბუტი.

ერთ დღილით მამას უცნაური სიზმარი უამბო ნიტა-ნეფერტიტმა:

— უზარმაზარი მზე ამოცურდაო ცაზე, სხივები შემომაჭდო ნელზე, ამიტაცა ცაში და შორეთის უცხო სასახლეში ჩამსვა. სამეფო ტახტზე მჯდომმა ჭაბუკმა ხელი გამომინოდა და გვერდით მომისვა.

სიენი დაფიქრდა და ხუმრობანარევი კილოთი უთხრა:

— დედოფალი იქნები, უცხო ქვეყნის მეფე შეგირთავს ცოლად, — მამის ხუმრობა სერიოზულად არ მიუღია და მალე ეს ამბავი გადაავიწყდა კიდეც.

სწორედ ამ ეპოქაში ეგვიპტეს XVIII დინასტიის ფარაონი ამენჰოტეპ მესამე მართავდა. მისი მეფობის ბოლო პერიოდში ამონ-რას ტაძრის ქურუმებმა დიდძალი ქონება მოივერდეს და ფარაონი დაასუსტეს. დინასტია დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეს ამბავი არ გამოჰპარვია კოლხთა დიდ მეფეს აიეტს. თავისი ერთგული ქურუმი სიენი ეგვიპტეს გააგზავნა.

ტახტზე დაბრძანებული ფარაონი მწარე ფიქრებს მისცემოდა. სიენმა პირველ შეხვედრაზე სამეფოს გადარჩენის ერთადერთი სწორი გზა დაანახა. ამენჰოტეპს უნდა გაეუქმებინა ამონ-რას (მზის ანთროპომორფული კულტი) და მასთან ერთად ყველა ძველეგვიპტური ღმერთის მსახურება და შემოედო ახალი, მზის დისკოს კულტი, რომელსაც ეგვიპტურად ატონი ერქმევა. „როგორ მიიღებს ამას ეგვიპტე, შვიძლება დიდი აჯანყება დაიწყოს“. — ფიქრობდა ფარაონი, როცა სიენის მეორე ვიზიტის შესახებ მოახსენეს. მათი შეხვედრები გასაიდუმლოებულად ხდებოდა, ერთგული მონების გარემოცვაში. თავისი გულისტკივილი გაუზიარა ფარაონმა. ეგვიპტე აჯანყდება, არ მაჰატიცესო ძველი კერპების გაუქმებას, — საგანგებო მისიით მოვლენილმა სიენმა თავი დახარა, სახე გაუფითრდა, პირზე სიმწრის ღიმილი აუთამაშდა, მერე თავი ასწია და ფარაონს უთხრა:

— ამას მოაგვარებს ახალი დედოფალი, ულამაზესი და უჭკვიანესი, ქურუმთა ცოდნით აღჭურვილი, რომელსაც შეიყვარებს თქვენი ხალხი, რომელსაც დაუფერებს მთელი ეგვიპტე.

— ახალი დედოფალი? — გაკვირვებით იკითხა ფარაონმა.

— დიახ, ის გახდება თქვენი ვაჟის, უფლისწულ ამენჰოტეპის მეუღლე და მისი ქურუმი. და ესენი თქვენსავს ხეობაში შემამზადებენ ნიადაგს დიდი ატონის დასამკვიდრებლად.

ნიტა ისევ სანაპიროს სახლში დაუხვდა მამას. სარკმლიდან გასცქეროდა საყვარელ ნაპირს, პონტოს სილურჯეს და შორეულ იისფერ მთებს.

— აი, აგხნა შენი უცნაური სიზმარი, ეგვიპტის დედოფალი გახდები, — უთხრა მამამ.

ნიტას თვალები გაუფართოვდა, შემდეგ ცრემლებით ავესო, უსიტყვოდ უმზერდა მამას.

— შენ ქურუმი ხარ, კოლხეთს ასე სჭირდება, მეც მოვდივარ და არასდროს მიგატოვებ, — ეუბნებოდა მამა.

ფარაონის სასახლეში ზარზემით იხდიდნენ უფლისწულ ამენჰოტეპისა და ნეფერტიტის ქორწილს. საოცარი სილამაზით ბრწყინავდა პატარძალი. სუსტი აღნაგობის, მსხვილტუჩება, მოგრძოსახიან უფლისწულს ნახვისანავე შეუყვარდა საცოლე,

ნიტა ოცნების თვალთ გაჰყურებდა ჩამავალ მზეს, ცეცხლოვანი დაისი ფერთა ჯადოსნურ კვალს ტოვებდა ტალღებზე: ყვითელს, მომწვანოს, მოიისფროს, მწვანულს. ტალღები ხმაურით ეხეთქებოდნენ ზღვაში ამოჩრილ კლდეებს, ნაპირისაკენ მოინევენენ ქაფმორეულნი.

შესცივინებდა, ეთაყვანებოდა, თავს აყვარებდა ქორწინების შემდგომ და სიცოცხლის ბოლომდე. ნეფერტიტიმა მზის დისკოს კულტი შეაყვარა. შეუღლებიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა ფარაონი და ნეფერტიტის მეუღლე ამენჰოტეპ IV-ის სახელით ავიდა ტახტზე. ამონ-რას ტაძრები ყველგან დაიხურა. ფარაონმა თავის თავს ეხნატონი ანუ „ატონის მსახური“ უწოდა, ნეფერტიტის კი — „ნეფრუ, ნეფრუ ატონი“ ანუ „მშვენიერია ატონის მშვენიება“. სიმამრი, ქურუმის სიენი, ახორციელებდა ამ რეფორმას და მას „ღმერთების მამა“ — ახსენებდნენ დაარქვეს. აშენდა ახალი დედაქალაქი ახეტატონი ანუ „ატონის ჰორიზონტი“. ფარაონს და მის მეუღლეს მიეცათ 6 ასული. ბედნიერები იყვნენ, უსაზღვროდ ბედნიერები. ნეფერტიტის თავიდან აღარც ახსენებდნენ პონტოს ნაპირი, მხოლოდ ღამით, თითქმის ყოველ ღამით, ხედავდა ერთსა და იმავე სიზმარს, კოლხეთის მინას, კლდოვან ნაპირს და იისფერ მთებს. აფორიაქებულს ელვიძებოდა. დღე კი ივიწყებდა ყველაფერს და ოჯახური ბედნიერებით ტკბებოდა. ასე გაიარა 17-მა წელმა. კოლხეთიდან ცუდი ამბები მოდიოდა. „არგონავტებს“ გაეტაცებინათ კოლხური სიბრძნე — ოქროს სანძისი, წაეყვანათ მედეა და მოეკლათ უფლისწული აფსირტი. ეს ამბავი ახარებდათ ამონ-რას ქურუმებს, დაუდგათ შურისძიების ჟამი, რადგან ამდენ უბედურებას დაუძღურებინა მეფე აიეტიც. ძილი მთლად გაუკრთა ნიტა-ნეფერტიტს, წინათგრძნობა ტანჯავდა. და მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. 33 წლის ფარაონი მკვდარი იპოვეს სანოლ ოთახში. ამ უბედურებამ გაანადგურა დედოფალი. ახლა აღარაფერი ახარებდა ეგვიპტეში. „მოვიდაო, მომიახლოვდაო ჩემი სიცოცხლის ნაპირი“, — ფიქრობდა 30 წლის მშვენიერი ქალი.

— ჩემი სამშობლოს ნაპირები მომენატრაო, — ხშირად აგონებდა მამას. თუ მანამდე ძილს გაურბოდა, ახლა ძილშია ხედავდა ერთადერთ შვებას, რადგან ისევე ყოველდღე ესიზმრებოდა კოლხეთი, პონტოს აბოპოქრებული ტალღები, თავისი სახლი, თავისი ფიქრების ერთადერთი ნავსაყუდელი. 13 წელი გაატარა ამ ტანჯვაში. ატონი კვლავ თავისდასაცემი იყო ეგვიპტეში, რადგან დინასტიას ნეფერტიტის სიძეებმა გაუხანგარდოვეს არსებობა. მისი ერთ-ერთი სიძის ტუტენჰამონის ტრაგიკულმა და ნაადრევმა სიკვდილმა საბოლოოდ გაანადგურა დედოფალი, ლოგინად ჩავარდნილი თავის უფროს ასულზე, ტუტენჰამონის ქვრივსა და მოხუც მამაზე ამყარებდა იმედებს, მაგრამ ამონ-რას ქურუმებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს. ტახტი უზურპატორმა ხორემხებმა დაიკავეს. ასე ჩაესვენა მზე XVII დინასტიისა და მასთან ერთად სახელოვანი აღმოსავლელი დედოფლისა, რომელიც შეიყვარა ეგვიპტეში.

ნეფერტიტი აპრილის თბილ საღამოს აღესრულა, როცა ჩამავალი მზე ნილოსის ჭორომებს უკან იწურებოდა. ის ახლა თითქოს ისევე პატარა ნიტად ქცეულიყო. მამისერთა მშვენიერ გოგონად. თვალები შეჰყინოდა, ირეალური მზერით ხედავდა თავისი სამშობლოს ნაპირს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩურჩულით იმეორებდა: — აპრილის მზეო, ჩამავალო, შენ შეინახე სიყვარული ჩემი, ჩემი კოლხეთი, პონტოს ნაპირი, ჩემი ძვალთმესალაგი, ჩემი დაკარგული ძვალთმესალაგი...

თამაზ დევიძე

ნაპირი

- გაგიჟდი, შე კაცო, სად მიდიხარ?
- მივდივარ, — წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმით უკვე მერამდენედ თქვა მამიამ და უღვაშზე წელა ჩამოისვა ხელი.
- სოფელში რომ თავი მოგვეჭრება, ამას არ ფიქრობ?
- ბავშვი ხომ არა ვარ, შე ქალო, — იწყინა მამიამ და თავი გვერდზე მიაბრუნა.
- მერიკო, გესმის რას ამბობს?
- მერიკომ, რომელიც ის იყო შემოვიდა სახლში, ჭილის ქუდი მოიხადა და და-ძმას დაღლილი თვალებით შეხედა.
- საქმე მაქვს, — ფიქრიანად თქვა მამიამ და გაჭირვებით წამოდგა, მუხლი გამართა.
- ძლივს მოიხედე საჩვენოს, დაგავინწყდა? — ანგელინამ რძიანი ქვაბი ცეცხლზე შემოდგა და კარისკენ წაფლარტუნდა.
- გამიგონე, მართლა მიდიხარ? — დაიწყო ახლა მერიკომ.
- მივდივარ, — აღიარა მამიამ.
- აღარ მაქვს უკვე წერვები, — ამოიკვნესა აივანზე ანგელინამ, — მოსავალი დასაბინავებელია, უშობელი გასაყიდა.
- გახსოვს, რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა მერიკომ ძმას.
- სამოცდაცხრამეტი მისრულდება მალე, — ისევე ფიქრიანად თქვა მამიამ.
- მერე ახალგაზრდა ხომ არ გგონია თავი?
- მივდივარ.
- რაღა ვქნა, რას მოვესწარი ამას.

არც მზე იყო, არც წვიმა. გასათხოვარი ქალივით იდგა შემოდგომა და იცდიდა.

ვიდრე მამია ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად გამოაცხადებდა, მივდივარო, მანამდე თითქმის მთელი ორი თვე იავადმყოფა ერთმანეთს შეჩერებული და შებერებული შინაბერები შეშინდნენ. ერთმანეთის სიცოცხლეზე, როგორც ნიაგში ანთებულ სანთელზე, მოფარებული დაკოჭრილი, ნაშრომი ხელები აუკანკალდათ, თვალის უპეები ცრემლით ამოევსოთ. პირველად ამდენი წლის მანძილზე უცნაური სუსხი იგრძნეს. მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი გაუფხილეს. საფიქრალში უფრო ღრმად ჩაიძირნენ, გაყურდნენ.

მერიკო ამ ორი თვის მანძილზე ერთხელაც არ დამჯდარა სარკესთან. მის თითებს ერთხელაც არ მოუნახულებია უპეებჩაცვნილი ღანწები და შუბლი...

მხრებზე მზისსინათლემოკიდებული ანგელინა რამდენჯერმე შედგა ვენახში ვაზსა და ვაზს შორის, მტევანსა და მტევანს შორის, გახედა ცის დასაღიერს და გაირინდა: თითქოს მიხვდა რაღაცას, თითქოს მიაგნო რამესო.

როცა მამიამ მოიხედა, საიქიოდან პირი იბრუნა, დებს იმედი დაუბრუნდათ, ხალისი მიეცათ. კვირის ბაზარსაც აღარ აცდენდნენ და საადრეო ყურძნის მოსაპარად მათ ვენახში შეპარულ ბავშვებს უწინდებურად აყრიდნენ ქოქოლას. მაგრამ მალე შეეყინათ სახეზე ახალგაღვიძებული სიხარული, ხელ-ფეხი გაუცივდათ, გაქვავდნენ.

სამი დღე იტრიალა ამ ამბავმა მათ სახლში, სიტყვაც არ გაპარულა ფანჯრებში დარჩენილი ღრიჭოებიდან, დაუგმანავი ფოსოებიდან. მეზობლებს ფიქრადაც არ მოსვლიათ რამე.

მეოთხე დღეს მამიას კრინტი არ დაუძრავს, დილიდან მოყოლებული დუმდა და გაყვითლებულ თითებზე გაუთავებლად ითვლიდა რაღაცას. შეშინებული დები ლანდებივით დაფარფაბტებდნენ მთელი დღე. ყველა გაფარუნებაზე, ყველა ხმაზე ფრთხებოდნენ და კრთოდნენ. ერთმანეთს ამხნევებდნენ. გული კი შიშისაგან ელეოდათ, ეპარებოდათ.

ვინმესთვის თქმაც დააპირეს, მაგრამ გადაიფიქრეს, მუდამ სხვაზე ლაპარაკს ნაჩვევი ტურებიდან უხმოდ გამოაძვინეს:

- მოგვეჭრება თავი ამ სიბერეში.
- მერე წელანდელზე უარესად ეტკინათ რაღაც გულთან. ანგელინას თვალები აუნყლიანდა და ჩაისლუკუნა.
- დანოლისას, როცა დამჭკნარ, გაყინულ მკერდზე ქათქათა საბნები მიიხუტეს, ისევე ანგელინამ დაიწურჩულა:
- დავილუპეთ...

დებს ეშინოდათ, მამიამ კი იცოდა, რომ მიდიოდა. ორი თვის წინათ გამოენასკვა ეს გრძნობა გულში და ყველა გზა მოუჭრა, გასაქანი აღარ მისცა, აეტორღალა და სადღაც ჩაითრია, ჩაიყოლია, ფიქრი აუშალა.

მიხვდა მამია, რომ როდესაც წავიდოდა, მერიკოს ყველა ნაოჭი გა-
ულრმავდებოდა და ასტიკვდებოდა, ანგელინას კი ისედაც გაძვალე-
ბულ და მოხრილ ბეჭებს უხილავი ტვირთი კიდეც უფრო მოუხრიდა
და მოუქცავდა.

მიხვდა, რომ ანგელინა და მერიკო აღარასოდეს გაიცინებდნენ დამ-
ტყნარი, მომჩვარული ტუჩებით, აღარასოდეს შეიღებავდნენ თმებს...

მიხვდა, რომ ისინი მარტო დარჩებოდნენ უკაცურ შარაზე უამრა-
ვი ავ-კარგის მნახველი, მაგრამ ცარიელი თვალებით. მხრებზე უსი-
ცოცხლოდ დაკიდებული დაღლილი ხელებით, ბალახმოდებული შავი
კაბებით და მკერდაუბურცავი ზედატანებით, სამოციანებში ნაყიდი
ოქროს თხელი ბეჭდებით და დაკოჟირილი, ნაჯაფი თითებიდან წყარო-
დან ამოღებული პემსი წყალივით დაენრიტებოდათ ბრმადნარწმუნე-
ბი იმედი ადამიანის უკვდავებისა.

მიხვდა, რომ მათი ვენახის კვლები დავიწროვდებოდა. ვაზსა და
ვაზს შორის, მტევანსა და მტევანს შორის ჩანსულ ჯაფას მწვანე საბა-
ნი დაფარავდა.

მიხვდა, რომ მისი დები აქამდე სხვაგან ნანახსა და სხვას შემთხვე-
ულს საკუთარ თავზე განიცდიდნენ და ძვლებამდე ეტყინებოდათ.

აქამდე არც ერთი მათგანი არ ყოფილა ასე ახლოს ნაპირთან —
ღმერთთან...

სიბნელეში აფათურებენ დამტყნარ ხელებს შინაბერები. ლოცვა-
ნახავი დუნე მკლავებით ეძებენ შუბლს, მუცელს, მხრებს — ინერენ
პირჯვარს, იხსენებენ აქამდე უნახავ ღმერთს. გულზე აწევთ ყურის-
წამლები სიჩუმე და არ იციან რას მოუტანს განთიადი.

რალაც აგონდებათ, რალაცის პოვნას ცდილობენ. ბორგავენ...

— წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგ-
ვინყალენ ჩვენ, — ჩურჩულებს მამია.

— წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგ-
ვინყალენ ჩვენ, — ჩურჩულებს მერიკო.

— წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგ-
ვინყალენ ჩვენ, — ჩიფჩიფებს ანგელინა.

თენდება...

მაია მიქაია

ნაპირი

(ცხოვრება, ქცეული წამად)

ჩრდილიდან გადმოვა
ჩემი კიკინების ცეკვა,
თბილი სალამოა,
ბაღიდან მოვხტუნავ ცელქად.
მალე დღე სრულდება
და, სადღაც შვიდიდან რვამდე,
მამა დაბრუნდება...
გული ვერ აიტანს ამდენს!
იგივე ფონია,
ოღონდ განენილი დროში,
დედას ნაქონია
სულზე მობრჭყვიალე ბროში.
ნამცვრევი სითბოდან,
თვალეებში ჩაღვრილი მზიდან,
თვითონ დაიკლო და
მე გამომატანა მზითვად.
მდევეს, როგორც თილისმა,
რადგან გონებიდან ვერ ვშლი,
უნდა გავიღვიძო,
თვალეებით ვატარო ჩემში
ნამი ბავშვობიდან.
ცხოვრება, ქცეული წამად,
საიდან მოვიდა,
ან საით წაიღო წყალმა?!
ენგურის ნაპირებს
ცხოვრება ამორებს მთელი,
ბავშვობის აჩრდილი
იქითა ნაპირზე მელის;

აქ — ბუდე დანწული
ახალგათიბული თივით,
იქ — ჩემი წარსული,
ცრემლად დაბნეული მძივი.

...
პანია ნუგეში,
ნახი, აბრეშუმის ძაფივით —
მაქვს უკიდურესი
ორი — საყვარელი ნაპირი.

შოთა გოლუბიანი

ნაპირი

მთვარიან ღამეს ვარსკვლავები დააჩნდა ლაქად,
გათენებამდე ააზვირთებს გრძნობებს ფიქრები,
კუმტი კომპები შელენავენ წარსულის აბჯარს,
მე კი სამშობლოს ტკივილებად დავიფიფქები.

გომენრის ხეებს ალაზანი ჩაახრჩობს ნისლში,
აქ სისხლად ნალვრელ მოგონებებს ნაპირი არ აქვს.
ნაწიკარი, ნალაშქრალი ქართული სული
და ჩემი წილი სატკივარი მეც გულით დამაქვს.

გამგლისფერებს განთიადი ამოშლილ ჯანლებს,
ნისლების უნმო შემოტევას გაუძლებს ახო.
წინაპრის ბრძოლით, სიმამაცით გაჟღერებულ ნივთებს
ბინას დაეუღებ ჩემს თვალებთან, ჩემს სულთან ახლოს.

ნაპირს გადაღმა მზე მოძებნის ნანატრ ფერდობებს,
უცხო სტროფები შემჩნდება კენტად მომავალს
დაბერილ ძარღვებს მოასკდება სათქმელი ღვარად,
ცას შეზრდილ ტაძრებს შევავედრებ ნავკემ მომავალს.

...
გომენრის ხეებს ალაზანი ჩაახრჩობს ნისლში,
გარდა სამშობლოს მერმისისა სხვა დარდი რა მაქვს?!
გამგლისფერებს განთიადი ამოშლილ ჯანლებს,
მე ჩემი წილი საქართველო სულ გულით დამაქვს!

ეკა ქურხული

ნაპირთან

იჩქარე! გესმის ავბედითი ქარის ხარხარი,
სიკვდილი ასაკს არა გკითხავს, არ ენალვლება...
თუ გუშინ ნუშის ყვავილობამ გულში ხანძარი
აატკარცალა, ხვალ არ იცი, თავნება ვნება
სად დამარცხდება... ჰმ, დაიჯერე, ნუთუ, ზღაპარი —
ცხრა მთის გადაღმა ცხრაკლიტული რომ გაიღება?!
ღრუბელი ღამეს გააღვიძებს, ღამე — წკვარამი
მწუხარე წვეთებს დაგანვიმებს რობაიებად...
კარგს რას ელოდი — გაგაფიქრებს ფიქრი-აფთარი,
მარცხნივ თუ მარჯვნივ — სულერთია, ცრუა ცხოვრება...
უფალო, იცი, დავიღალე აღმართ-დაღმართით,
გაღმა ნაპირიც უკვე მოჩანს... უახლოვდება
უკანასკნელი ამოსუნთქვა, როგორც ავდარი
ბოლო სამსჯავროს... უნაპირო იდუმალებად
უღვევი ცოდვა მიაქვს ლეთას, რჩება საყდარი —
სიყვარული და არჩევანი არადანს ნებად
უცხადებს შამათს... ხელავს სადღაც... ხელავს? — აქ არის
ორი ნაპირი: დაბადება — გარდაცვალება...
ჰო, ვჩქარობ, მესმის ავბედითი ქარის ხარხარი,
გამარჯვებული სიკვდილია, რა ენალვლება!..

გიორგი სოსიაშვილი

ბერიძის სამრეკლო



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

მნათე თითქო სადღაც გამქრალიყო. სამრეკლო დუმდა. ვეება ზარი უძრავად ეკიდა. თვლემდა ზარი. არადა, მისი გუგუნი ეფინებოდა მესხეთ-ჯავახეთის კურთხეულ მიწას. მდუმარე სამრეკლოს შესჩვეოდა მრევლი. თითქო არც მნათეს ეარსებოს, არც ზარის ხმა გაეგოთ ოდესმე. ზარის გუგუნმა შეჩვევაც იცის და გადაჩვევაც. თითქო უჩინარი გამხდარიყო მნათე, ვერ ამჩნევდნენ. უხორცოსავით მიდი-მოდიოდა. ვითომც არაფერი. შორიდან შესცქეროდა იმ დალოცვილ სამრეკლოს. შესცქეროდა და ცრემლი ეღვენებოდა ჭარმაგ სახეზე, სადაც ნელ-ნელა ასცოცებოდა სიბერის ხავსი. უნდოდა რომ მისულიყო, სამრეკლოს ქვის კიბეზე აერბინა და ზარი დაერისხებინა. ზარის გარეშე ფასი ეკარგებოდა მის ცხოვრებას. ზარის გარეშე ვერ წარმოედგინა. იტყოდი, რომ ამ ზართან ერთად დაიბადა, ამ ზართან ერთად იშვა. აბლაბუდის ქსელი გაბმულიყო მდუმარე ზარის ვეება უბეში. — მიმიშვით რა, მიმიშვით, ვილაცას ემუდარებოდა, ვილაცას ეხვეწებოდა. ინვედა და რაღაც უხილავი ძალა ხელ-ფეხს უბორკავდა. სამრეკლოს იქით ტაძარი მოჩანდა ძველისძველი ტაძარი, ისიც მდუმარე.

— დრო მოვა და... ჩასჩურჩულებს ვილაცა.

ხმას არ იღებს. მდუმარე შესცქერის ჭულევის ტინით აგებულ სამრეკლოს, რომელიც თითქო ადამიანის თვალეზით უმზერდეს. გეგონება ადგილის დედა გადაიქცა სამრეკლოდ და სწორედ ის უყურებდეს მშობლიური მზერით.

— მოვა დრო და ისევ მიაკითხავ შენს საქმეს. — ხომ გჯერა.

თვალეზით ეფერება სამრეკლოს კედლებს. მის სითბოს გრძნობს მაღლი შემოდის მის არსებაში, გაყინული სისხლი უთბება. „გულს ნუ გაიტეხ მუხა კვლავაც შეიმოსებაო“ ხომ გახსოვს?

— მახსოვს.

— ჰოდა, შეიმოსება. მის წარმოსახვაში უცბად გაჩნდა ვეება, ათასწლიანი ცას შედგმული ხე. ის ის იყო აპრილი სუნთქვას იწყებდა, სიცოცხლის ფოთლები იწვევებოდა მუხის ტოტებიდან. აკი გახმაო...

მივდივარ. კი არ მივდივარ, მივექრევარ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დროში უნდა ვიმოგზაურო. ასე მგონია, საუკუნეები უნდა მოვიტოვო უკან და ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიის წიაღში უნდა ჩავიდე. თითქოს ღირსება მიბრუნდება ღირსებააყრილ კაცს. ვილაცა ალბათ დაინუნებს ამ ფრაზას. ჰო, მე ასეთი შეგრძნება მაქვს მივდივარ და უკან მოხედვა არ მინდა. თითქოს შინ ვბრუნდები. სამშობლოში მივიჩქარი. როგორც უცხოეთში გადაკარგულ კაცს მოგწყურდება შენი მინა-წყლის ხილვა, სიზმარი და ცხადი რომ ერთმანეთში გაქვს არეული და ერთი სული გაქვს ფეხი დაადგა მშობლიურ მიწას, ეგრე მემართება. რაღაცნაირად მგონია, რომ საკუთარ წიაღს ვუბრუნდები. გული ამას გრძნობს. წართმეული საქართველოდან მივიჩქარი სამხრეთისკენ, იქითაც წართმეული საქართველოა. იქითაც დაკარგული მიწებია, იქაც ცრემლგამშრალი ადგილის დედა გველოდება, ხომ ვამბობდი, ასე მგონია, რომ ყველა მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე ვიშვით, ყველა იქიდან ვართ, ყველას საბუდარი იქ არის. მიქრის მანქანა. სამშობლოს შეგრძნება მიმძაფრდება. სისხლის ხმაურს ვგრძობ. საუკუნეების

მანძილზე ხირატოვან გზებზე ნახერხეტები სისხლი ხმაურობს, ცქმუტავს. გრძნობს იმ ადგილის სიახლოვეს, საიდანაც წამოვიდა. სათავეს უახლოვდება სისხლი...

ხანძელთან მიდის დინჯი ნაბიჯით. კოლეგებიც მისდევენ. თითქო რიტუალივით უნდა ჩატარდეს, სანამ თავყრილობა დაიწყება, სანამ კონფერენცია გაიხსნება. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი მასპინძლობს ონომასტიკის კონფერენციას. ონომასტიკა. მერაბ ბერიძის ინიციატივით მესხეთში იმართება ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა სამეცნიერო პაექრობა. კიდევ ერთხელ რომ ჩაგვახედებს წარსულში, კიდევ ერთხელ რომ შეარხევს მიწაში ჩვენს ფესვებს და შეგვახსენებს, ვინ ვართ. თითქოს გლობალიზაციის ცუნამმა წაღვეს ყველაფერი. როგორც წყალიდილობისა და ქარბორბალას შემდეგ რჩება ატილატული ყველაფერი, კაცთა მოდგმის ნახელავს რომ წამში მტვრად აქცევს. ეროვნულ ცნობიერებასაც მოადგა ცუნამი. მერაბ ბერიძეს ჯებირებივით ჩაულაგებია თავისი ეროვნული საქმენი. კონფერენციის დაწყებამდე, როგორც ვთქვი, რიტუალი სრულდება. კრძალვით უახლოვდება დიდი მესხი ხანძელის ძეგლს. გვირგვინს დადგამს და დიდი წინაპრის ქანდაკებას თავმდაბლად შესცქერის. მისი კოლეგებიც იქ არიან: თელავის სახელმწიფოს უნივერსიტეტის რექტორი ავთანდილ ღელაღუტაშვილი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ლავთაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი ავაქიძე და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, თქვენი მონამორჩილი, ამ სტრიქონების ავტორი. ვუმზერ ქვაში გამოკვეთილ ხანძელს. არ ვიცი, ვისი ნახელავია. ვისმა საჭრეთელმა გააცოცხლა მეცხრე საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწე, რომლის ღვანლს ვერაფერი დააკლო დრომ. უამთა სიამემ ჩარეგვა მეუღაბნოე ბერების ნახელავი. ტაო-კლარჯეთში აგებულ ტაძრებს ზოგს გუმბათი ჩამოექცა, ზოგსაც პერანგი გამოუხრა უღმობელმა დრომ თავისი მკვნეტელი ეშვებით, თუმცა სახელს ვერაფერი დააკლო. გრიგოლ ხანძელის ქვის თვალეზით რომ შემოგვეცქერის ლამის თორმეტი საუკუნის შემდეგ მოსულ ქართველებს. მერაბ ბერიძე თავდახრილი დგას ხანძელის ძეგლთან. მერჩულეს გამირს თითქო მდუმარედ ესაუბრება შთამომავალი.

სანამ ერთმანეთის ფასს ვერ გავიგებთ, ჩვენი საშველი არაფერია. ჩვენს სიყვარულშია ჩვენი გადარჩენის საიდუმლო. შეიძლება სადღევრძელოდ მოგეჩვენოთ. ასე სუფრაზე ვლაპარაკობთ ხოლმე. ყანწებს რომ ვატრიალებთ, ბოლომდე

რომ გამოვწვავთ და მერე ვლომნი და ვლომნი ერთმანეთს. სუფრის მერე დავინწყება იცის სიყვარულმა. როგორც თოვლი გავინყდება, შარშანდელ თოვლი, სიყვარულიც ისე გავინყდება. მერე იწყება ჯიჯგნა ერთმანეთისა. სანამ სულს არ ამოვხდით, სანამ სიცოცხლეს არ გავუმნარებთ. მერე ისევ შეგვიყვარდება. მკვდრის ქების მეტს ველარაფერს გაიგებ და სიცოცხლე გამწარებული კაციც რაღას გეტყვის, ენაგაშეშებული წევს მინის მოლოდინში. დარბაზში ვალერი სილოგავაზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს აჩვენებენ. ძველი ქართული წარწერების მესაიდუმლეს სიცოცხლეშიც მერაბ ბერიძემ მიჰხედა და სიცოცხლის შემდეგაც. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ვალერი სილოგავას კაბინეტს გახსნიან. გულისამაჩუყებელი სიტყვებით გამოდიან ბატონი ვალერის კოლეგები, მეგობრები. ბავშვით უხარია მერაბ ბერიძეს მეგობრის უკვდავსაყოფად მისი სახელობის კაბინეტი რომ დაარსდა. ბერიძემ იცის ღირსეული ქართველების ფასი.

ოჯახი? ალბათ ოჯახზე უფრო მეტია. სხვა სიყვარული ტრიალებს. ენა ვერ აღწერს. აი, ისეთი სიყვარულია ქართული სიტყვის მოძებნა რომ გაგიჭირდება მის გადმოსაცემად. ბერიძე, ბერიძე, ბერიძე, თითქოს კედლებიც მის გვარს ბუბუნებდეს. ბერიძე და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი თითქოს ერთი და იგივეა. ახსენებ მესხეთ-ჯავახეთის უმაღლესი განათლების კერას და თმადათოვლილი, ტანწყლიანი კაცი წარმოგიდგება. ახსენებ ბერიძეს და უმალ ამ დიდებული ცოდნის ტაძრის კედლები გაგიელვებს. მოვლილი, ნასათუთები. თვალებში შესცივინებენ, ოღონდ ის არ გეგონოთ, ხელმძღვანელს რომ შეჰყურებენ ხოლმე სამსახურის დაკარგვის შიშით დათრგუნული თანამშრომლები. ოჯახის უფროსის მიმართ რომ სიყვარული და კრძალვაა ღირსეულ ქართულ ოჯახში, სადაც ყველას თავისი ადგილი აქვს და ყველამ თავისი საქმე იცის, ისეთი სიყვარული და მოკრძალებაა.

— მივდივართ! — ბუბუნებს მერაბ ბერიძე
— საით მივდივართ? — ეკითხება გიგა ლავთაძე
— ჭულევი მივდივართ, — თვალბანთებული პასუხობს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის თავკაცი. ჭულევის წმინდა გიორგი უნდა გაჩვენოთ. ჭულევისკენ მიქრის მერაბ ბერიძის ვერცხლისფერი მანქანა და ჩვენც უკან მივდივით. თითქო უსასრულო მესხეთ-ჯავახეთის მინა-წყალი. მივდივართ, მივდივართ, გზა აღარ სრულდება. საით უნდა იყოს ჭულევი. აქეთ-იქით ხრიოკი ადგილებია. სამცხის მცხუნვარე მნათობს გადაუხრუკავს გზისპირა მინდვრები. ბავშვობისდროინდელი

ქართული ფილმის პერსონაჟებმა ამოყვეს თავი მესხიერებიდან. ვაიოს ველზე გამოშაშრულ ქვიან მინას გულმოდგინედ თხრის შუახნის კაცი, რომელსაც თავისი პატარა ბიჭიც გვერდით ჰყავს. როგორი გულმოდგინებით, იობის მოთმინებით ეძებს მამა-შვილი წყაროს. მხოლოდ ეს კადრი იკმარებდა ამ ფილმისა და მისი რეჟისორის უკვდავსაყოფად. ეს არის სიცოცხლის ძიება. ამ ჟინმა, სიცოცხლის ძიების ჟინმა მოგვიყვანა დღემდე, ხრიოკ მინაზეც არ კარგავდა ქართველი სიცოცხლის მასულდგმულელები წყაროს პოვნის იმედს.

„წყალი ვიპოვე, წყალიიი“. მერაბ ბერიძე წყაროს საძებნელად გამოგზავნა სამცხე-ჯავახეთში უფალმა. ხრიოკი ველებიდან გზა მწვანედ ახასხასებული მალრანისკენ მიემართება. ერთი-ორგან გაჩერდით დაბლობს გადავხედეთ. ისტორიული მესხეთის ხილვით დავტკბით. ისევ გავაგრძელეთ გზა ჭულევის მამათა მონასტრისკენ. ბოლოს მწვანე კორომიდან შემოგვანათა ნაცრისფერმა გუმბათმა.

პირჯვარს ვინერთ, უფალს ვავედრებთ ჩვენს მრავალტანჯულ მავთულხლართებიან სამშობლოს. წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათს ისევ ატყვია ბოლშევიკების უსახური ეპოქის ნაკვალევი. ტანში მაჟრჟოლებს. თითქოს წითელფარსკვლავებთან ქუდებით თავშემოსილი და ქამარში მაუზერგარჭობილი ბოლშევიკების ხორხოცი მესმის. ხარხარებენ, სულს ბზარავს მათი ხმაური. მერე სროლაში ეჯიბრებიან. რიგრიგობით უმიზნებენ გუმბათზე ამოკვეთილ ჩუქურთმებს. კვნესის ტაძარი, თუმცა, მათ არ ესმით ღვთის სახლის გოდება. ჭულევის წმინდა გიორგის ტაძარი მერაბ ბერიძის ძალისხმევით იქნა აღდგენილი და ამ ამბავს ტაძრის კარიბჭეზე ამოკვეთილი წარწერაც გვამცნობს: „შენწვინთა ღმრთისათა, ესე კარნი შევაბი და შეწვირე ტაძარს მერაბ ბერიძემ. ივლისი. 2001“.

სული თითქო დარწყულდა. ჭულევის წმინდა გიორგის ტაძარში მყოფი ახალგაზრდა მორჩილის მშვიდი, მადლით სავსე ხმა მოგვაცილებს დაბლობში. „ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა შეგინიროთ“. ჭულევის წყალი მოშხუის ვინრო, ქვიან კალაპოტში. კოპიტების კორომში გაუშლიათ სუფრა. მზე ჩაბუდებულა მესხური ღვინით სავსე ბოცაში. ენკენისთვის მზის ოქრო შერევიან ლალისფერი მტევნების ნაჟურს. შიშხინებს მწვადი და ცვარი იღვენთება ნაკვერჩხალზე. დაბლობს მოუყვება დინჯი ნაბიჯით ჭულევის მეორედ ამშენებელი. ისევ გაცოცხლდა წარმოსახვა. მნათე ნელ-ნელა უახლოვდება მდუმარე სამრეკლოს. შედგება, ზარს ახედავს, სიხარულის და მონატრების ცრემლი გადმოუგორდება. ცისკენ გაექცევა მზერა. სიყვარულით სავსე თვალებით უყურებს ზეცას. მერე სამრეკლოს ქვის კიბეს აუყვება.

აგერ, უკვე თხუთმეტი წელია 11 იანვარი ელიზბარ ერისთავის სახელთან არის დაკავშირებული. გორის საზოგადოება, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იკრიბებიან უნივერსიტეტის შენობის წინ, სკვერში დადგმულ, **ზაზა ოქუაშვილის** ღვანლითა და **გენო ზაქარაიას** სკულპტურული ხელოვნებით შექმნილ ბიუსტთან და აღნიშნავენ ამ დიდი მამულიშვილის ღვანლს. ტრადიცია არც ნელს დარღვეულა. გორის უნივერსიტეტის სტუდენტებს ელიზბარ ერისთავის ღვანლზე ესაუბრნენ გორის უნივერსიტეტის პროფესორები: **ელდარ მამისთვალიშვილი** და **მარინე ცერცვაძე**. შემდეგ გორის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა **მამა გიორგიმ (კარელიძე)**.



ნიკა თევზაძე

სენსიი

(ედოგავა რამპო და მისი ბები)

— ნავიკითხე „ადამიანი-ჩრდილი“, პირველი დეტექტიური ნაწარმოები, რომელსაც თვალი ვერ მოვწყვიტე. ედოგავა რამპო ნამდვილად კარგი-მწერალია! — წერდა რუსი მწერალი არკადი სტრუგაცკი.

ედოგავა რამპო საოცარი ბედის კაცია. სენ-სეი (მასწავლებელი) — დღესაც მას ასე მოიხსენიებენ.

ყვანვილი, რომელიც ედგარ პოე იყო შეყვარებული

დასავლურმა კულტურამ იაპონიაში მხოლოდ მე-20 საუკუნეში შეაღწია. დიკენსის, თეკერის, ჰიუგოსა და ბალზაკის რომანებთან ერთად იაპონელებმა დეტექტივის ოსტატებიც გაიცნეს: ედგარ პო, უილკი კოლინზი, არტურ კონან დოილი, ემილ გაბორიო, ჯილბერტ კით ჩერსტერტონი. ამ მწერლებმა იაპონელ მკითხველზე უდიდესი გავლენა იქონიეს.

— განსაკუთრებული მოწონება ედგარ პოს მოთხრობებს ხვდა. ალბათ იმიტომ, რომ პო-ს წერის მანერა ჩვენს მენტალიტეტთან ყველაზე ახლოა, — წერდა დიდი იაპონელი კინორეჟისორი აკირა კუროსავა.

ნორჩი ტარო ხირაი (1894-1965) ედგარ პოზე პირდაპირ შეყვარებული იყო. იგი პატარა ქალაქ ნაბაროში, ჩინოვნიკის ოჯახში დაიბადა. მამას სურდა შვილი ბიზნესმენი გამოსულიყო, ტაროს კი ენაზე მხოლოდ ედგარ პო ეკერა. მისი მთელი შემოქმედება ზეპირად იცოდა. განსაკუთრებით ედგარ პოს დეტექტიური მოთხრობები მოეწონა:

— ხირაი ჯერაც სკოლის მოწაფე იყო, როცა დეტექტიური მოთხრობის დაწერა სცადა. რამდენჯერმე წერდა, შლიდა, შემდეგ კვლავ წერდა, — წერს იაპონელი ლიტერატურათმცოდნე მანძო გენძა.

ტაროს თავისი ნაწარმოები არ მოეწონა. მართალია მეგობრები ურჩევდნენ, რედაქციაში გაგზავნეო, მაგრამ მტკიცე უარზე დადგა:

— ისე უნდა წერო, როგორც ედგარ პო წერდა!

ხირაიც მოთხრობის ახალი ვარიანტის დაწერას შეუდგა. კვლავ წერდა, შლიდა, ისევ წერდა. ამას მამასთან კონფლიქტი მოჰყვა:

— დროა სისულელეებს თავი მიაწებო!

მამას სულით-გულით სურდა, ტარო ვასადის პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტი გამხდარიყო. იქ მოხვედრა იოლი როდი გახლდათ. ტარო ხირაიც ჯერ მოსამზადებელ კურსებზე ჩაირიცხა, სადაც მას საკმაოდ ძლიერი კონკურსის (ერთ ადგილზე ოთხი კაცი) დაძლევა მოუხდა. ხირაი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

— თუმცა იდეა-ფიქსი, რომ ედგარ პოს სტილის მოთხრობები უნდა დაეწერა, მას მოსვენებას არ აძლევდა, — წერს მანძო გენძა.

გატაცება

უნივერსიტეტში სწავლას ხირაი მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნევდა. პოლიტიკური თუ ეკონომიკური მეცნიერებანი არ იზიდავდა. სამაგიეროდ, ედგარ პოს დეტექტიური მოთხრობებს ლამისაა მეთხრობდა. პოს გარდა კო-

ნან დოილის, გაბორიოს, ლებლანისა თუ სხვა ოსტატთა ნაწარმოებებიც გადააბუღებულა.

— მამას საშუალება არ ჰქონდა დახმარებოდა. მხოლოდ იმას სჯერდებოდა, რომ შვილის სწავლის ფულს იხდიდა. დანარჩენი ტაროს თვითონ უნდა ეშოვა, — წერს მანძო გენძა.

ხირაიც ფულს შემთხვევითი სამუშაოთი შოულობდა. ჯერ მტვირთავად მუშაობდა, თუმცა ფიზიკურად არცთუ ძლიერი იყო, რაც კინალამ საბედისწეროდ დამთავრდა. ერთხელ ბოთლებით სავსე ყუთი გაუვარდა.

— ბოთლები ნამსხვრევებად იქცა. მათი პატრონი ტაროს საცემრად მივარდა. ხირაიმ თავს რის ვაი-ვაგლახით უშველა, — წერს გენძა.

ესნია ტარომ დიდი გაჭირვებით დახურა. ლექტორის შეკითხვაზე, ასე ცუდად რატომ მოემზადეო, უპასუხა:

— პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებანი არ მიზიდავს!

— აბა, რა გიყვართ?

— დეტექტიური მოთხრობების კითხვა.

— მაშინ ფილოლოგიურზე უნდა ჩაგებარებინათ.

— მამას უნდა, ბიზნესმენი გავხდე...

როგორც სკოლაში, ისე უნივერსიტეტში ტაროს საყვარელი გასართობი დეტექტივების კითხვა და საბავშვო ჟურნალების გამოცემა იყო. ამან ყველა დანარჩენი საქმე მეორე პლანზე გადაწია. ტარო რამდენჯერმე კინალამ კურსზე დატოვეს. საარსებო ფულს ხან ჩინური ღვეზელის გაყიდვით შოულობდა, ხანაც-გაზეთებს ჰყიდდა. დიპლომი რის ვაივავლახით აიღო.

ჟურნალისტი

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1916 წელი) ხირაიმ რამდენიმე პროფესია გამოიცვალა. ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდებოდა. ბავშვობისდროინდელ იდეა-ფიქსი, რომ დეტექტიური ნაწარმოები უნდა დაეწერა, მოსვენებას არ აძლევდა. მთელ ხელფასს დეტექტიური ლიტერატურის შექმნაზე ხარჯავდა და მალე უნიკალური ბიბლიოთეკის მფლობელი გახდა. ერთხელ მეგობარმა შესთავაზა, გაზეთისათვის კონან დოილზე ნარკვევი დაეწერა. ტარო დათანხმდა:

— ასე დაიწყო მისი, როგორც ჟურნალისტის კარიერა, — წერს გენძა.

წერდა ნარკვევებს კონან დოილზე, უილკი კოლინზზე, ემილ გაბორიოზე, თუმცა მკითხველთა განსაკუთრებული ინტერესი ედგარ პოს შესახებ დაწერილმა სტატიებმა გამოიწვია. რედაქტორმა ტარო გამოიძახა და უთხრა:

— დეტექტიური მოთხრობის დაწერა არ გიცდია?

— ვცადე, მაგრამ...

— მომიტანე ერთი, რაც სცადა.

— ცოტა დრო მომეცით.

— რამდენი გადროვო?

— ერთი თვე.

ტაროც კვლავ ჩაუჯდა მოთხრობას, რომლის წერაც ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო.

როგორ დაიბადა ფსევდონიმი ედოგავა რამპო

ზუსტად ერთი თვის შემდეგ ტარომ რედაქტორს თავისი პირველი დეტექტიური მოთხრობა მიუტანა. სათაური ფრიად დამაინტრიგებელი იყო: „თუნუქის მონეტა.“ რედაქტორს ნაწარმოები ძალიან მოეწონა:

— ნამდვილი ედგარ პო ხარ, იაპონელი ედგარ პო!

— მაშ იქნებ ნაწარმოებიც მისი სახელით გამოვაქვეყნო?

— გაელიმა ტაროს.


— რაო?
 — ყველა მწერალს თავისი ფსევდონიმი აქვს. ედგარ პო ჩემი საყვარელი მწერალია, ჰოდა...
 — კეთილი, — რედაქტორმა გაიცინა, — ასე უფრო დამაინტრიგებელი იქნება.
 ნაწარმოებსაც ტარომ ფსევდონიმი ედოგავა რამპო მოაწერა. ედოგავა იაპონიზებული ედგარია, რამპო კი — პო.
 — მოთხრობას საყოველთაო მოწონება ხვდა, — წერს რუსი ჟურნალისტი-იაპონოლოგი ცვეტოვი.
 კრიტიკა აღნიშნავდა, რომ ედოგავა რამპოს სახით იაპონურ ლიტერატურაში ნიჭიერი მწერალი-დეტექტივისტი გაჩნდა. წარმატებამ ტაროს ფრთები შეასხა და ისიც თავის პირველ დეტექტიურ რომანს ჩაუჯდა.

გზა პროფესიონალური მწერლობისაკენ

რომანის გამოცემა მაშინდელ იაპონიაში იოლი საქმე როდი იყო. არცერთი გამომცემელი დამწყები მწერლის წიგნს ხელს არ მოკიდებდა. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი: ტაროს თავისი რომანი თვითონვე უნდა დაეფინანსებინა.
 — ფულის შოვნის მიზნით მან ბიზნესმენობა დაიწყო, — წერს ცვეტოვი.
 ხირაი ხსნის წიგნის მალაზიას, სადაც უმეტესწილად დეტექტიური რომანებით ვაჭრობენ. ედგარ პოს, ჩესტერტონის, დოილისა თუ კოლინზის შედევრთა გვერდით აქ შეხვდებოდით „ფანტომასს“, ენტონ ბარკლისა თუ სხვა ცნობილ მწერალთა ნაწარმოებებს. აქვე იყო დიკენსის დეტექტიური რომანი „ედვინ დრუდის საიდუმლოება“, ბალზაკის „მეტრ კორნელიუსი“ და „ბნელი საქმე“. ხირაის მალაზიამ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა.
 — მეგობრები ტაროს ურჩევდნენ, წიგნის წერა რად აგიჩემებია, ძლივს ბიზნესი აანყვე და ამას მიჰყევით, — წერს მანძო გენძა.
 ტარო არავის ეკამათებოდა, თავისი მიზნისაკენ ჯიუტად მიიწეოდა. 1925 წლისათვის პირველი რომანი „მაქციათა თამაშები“ დაასრულა. ის ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით ედოგავა რამპო. მის გამოსაცემად თანხა საკმაოზე მეტი ჰქონდა და რომანის გამოცემა თვითვე დააფინანსა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა თავის წიგნს თვითონვე აფინანსებდა.
 — წარმატება გრანდიოზული იყო, — წერს ცვეტოვი.
 ამიერიდან ხირაი პროფესიონალი მწერალი გახდა.

დეტექტიური გუმი

ედოგავა რამპოს ნაწარმოებებს იაპონიაში უდიდესი პოპულარობა ხვდა. მწერალიც გატაცებით და ინტენსიურად მუშაობს. ერთიმეორის მიყოლებით გამოდის: „ჯოჯოხეთური სარკეები“, „მოჩვენება წყვილიაღში“, „ჯუჯა-მკვლელები“...
 — მათი პოპულარობა იაპონიაში განუზომელი იყო, — წერს მანძო გენძა.
 მართლაც, დიდსა თუ პატარას ენაზე ედოგავა რამპოს სახელი ეკერა. მისი დეტექტიური თხზულებანი დიდი ტირაჟით გამოდის და სწრაფად იყიდება. იაპონური პოპულარული ჟურნალები თავს ვალდებული იყვნენ, თუნდაც წელიწადში ერთხელ ედოგავა რამპოს დეტექტიური ნაწარმოები დაბეჭდონ. მწერალს უამრავი მიმბაძველი გამოუჩნდა. იაპონიაში პირველი დეტექტიური ბუმი დაიწყო.
 დეტექტიურ ჟანრში ბედს ცნობილი იაპონელი ლიტერატორებიც ცდიან (სატო და სხვანი). იაპონური წიგნის ბაზარი დეტექტიური ლიტერატურით გაივსო. თუ აქამდე აქ ამერიკელები, ინგლისელები და ფრანგები დომინირებდნენ, ახლა იაპონელი მწერლები მათ წარმატებით უწევენ კონკურენციას. მათ შორის ედოგავა რამპო უდავოდ პირველია.



ედოგავა რამპო

მილიტარიზმის წინააღმდეგ

ედოგავა რამპო პოლიტიკისაგან შორს იდგა. მისი ნაწარმოებებიც აპოლიტიკურია. აქ გვაქვს დეტექტივის კლასიკური სკოლისათვის დამახასიათებელი სქემა: საიდუმლოებით მოცული დანაშაული და გენიალური მაქებარი, რომელიც მას ხსნის. ედგარ პოს მსგავსად ავტორი მკითხველს სთავაზობს შარადას, რომლის გამოცნობაც ფაქტობრივად შეუძლებელია. ამავე დროს ედოგავა რამპო ოსტატურად იყენებს იაპონურ ფოლკლორს, მომხიბლავად აღწერს პეიზაჟს. მისი სამყაროს აღქმის კრედი წმინდად იაპონურია. ედოგავა რამპოს ყველა ნაწარმოები განუმეორებელი იაპონური კოლორიტითა და ეროვნული სულითაა გამსჭვალული.
 — ამან მწერლის განუზომელი პოპულარობა განაპირობა, — წერს ცვეტოვი.
 სახელმწიფო ლიტერატორის გადაბირება ყველას სურს. ედოგავა რამპოს გამოყენებასაც როგორც მილიტარისტები, ისე იაპონელი კომუნისტებიც ცდილობდნენ. მწერალმა მათ უპასუხა: „თავი დამანებეთ, პოლიტიკურ შეგებულეებში ვარ!“ თუმცა ეს რეალობისაგან გაქცევის სურვილი უფრო იყო და, ბუნებრივია, მარცხით დამთავრდა. მეორე მსოფლიო ომში იაპონია ჰიტლერული გერმანიის მხარეს იბრძოდა. პერლ-ჰარბორზე თავდასხმამ ამერიკასთან ომი განაპირობა. 1943 წლისათვის ცხადი გახდა, რომ ლერძის ქვეყნებმა ომი წააგეს. იაპონიასაც გარდუვალი კატასტროფა დაემუქრა.
 — ედოგავა რამპოც პილიტიკით დაინტერესდა, — წერს ცვეტოვი.
 მწერალი უახლოვდება მათ, ვინც ომიდან იაპონიის გამოსვლას მოითხოვს. მაშინ მისით საიდუმლო პოლიცია (კემპეიტი) ინტერესდება. ედოგავა რამპოს აპატიმრებენ. ხელისუფლებამ პოპულარული მწერლის გასამართლება ვერ გაბედა და გაათავისუფლეს, თუმცა აიკრძალა მისი წიგნი, რომელიც გამოსაცემად უკვე მზად იყო. მალე ედოგავა რამპოს სხვა წიგნებსაც კრძალავენ, თუმცა მწერალი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ის უკვე საკმაოდ მდიდარი და პოპულარულია. იგი ხედავს, რომ მისი სამშობლო გარდუვალი კატასტროფისაკენ მიექანება და მას საკუთარი სიცოცხლის ფასადაც არ ძალუძს ამისი აცილება. ეს ყველაზე სამინელი და დამთრგუნველი იყო მისთვის.

მატრი

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. მილიტარისტული იაპონია განადგურდა. ხიროსიმა და ნაგასაკის ატომურმა ბომბარდირებამ კაცობრიობას ახალი ატომური ერის დაწყება ამცნო.

ედოგავა რამპო ინტენსიურ მუშაობას განაგრძობს. 1947 წელს მისი ინიციატივით იქმნება იაპონური დეტექტიური კლუბი. ედოგავა რამპოს მის პირველ პრეზიდენტად ირჩევენ. მწერალი ახალ დეტექტიურ ნაწარმოებებს ალარ ქმნის, სამაგიეროდ, ერთიმეორის მიყოლებით გამოდის დეტექტიური რომანის ისტორიისადმი მიძღვნილი მისი მონოგრაფიები. ედოგავა რამპო ახალგაზრდა დამწყებ ავტორებთანაც ბევრს მუშაობს. მისი ინიციატივით გამოდის პირველი იაპონური დეტექტიური ჟურნალი. მწერალს ინვევენ უნივერსიტეტში, სადაც დეტექტიური ჟანრის ისტორიის თაობაზე ლექციებს კითხულობს.

— იაპონური ლიტერატურის მეტრი, — ასე ახასიათებს მას ცნობილი იაპონელი მწერალი კენძაბურო ოე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონურ კინემატოგრაფიის აღმავლობა დაიწყო. რეჟისორი მაცუო ონდრეს ეკრანზე გადააქვს ედოგავა რამპოს ნაწარმოებები. ფილმმა „მწვანე ძლიაკვი“ ნამდვილი ფურორი მოახდინა. მან წარმატებით მოიარა როგორც იაპონური, ისე მსოფლიო ეკრანები.

— ამ სურათმა ჟანრის ამერიკული და ევროპული საუკეთესო ნიმუშები დაჩრდილა, — წერს ცვეტოვი.

ედოგავა რამპოს ნაწარმოებები დაედო საფუძვლად პირველ იაპონურ დეტექტიურ სერიას „ანცი მძებრები.“ მისმა ნარმატებამ დიდად განაპირობა დეტექტიური ჟანრის დამკვიდრება იაპონურ ტელეინდუსტრიაში.

ედოგავა რამპოს შემოქმედების მნიშვნელობა

ედოგავა რამპო 1965 წლის 28 ივლისს გარდაიცვალა. შთამომავლობას მან დაუტოვა შესანიშნავი დეტექტიური ნაწარმოებები, ყმანვილებისათვის განკუთვნილი მოთხრობები, დეტექტიური კლუბი.

— ედოგავა რამპოს სახელთანაა დაკავშირებული ჩვენს ლიტერატურაში დეტექტიური ჟანრის დამკვიდრება. მან წლების მანძილზე განსაზღვრა იაპონური დეტექტივის განვითარება. ედოგავა რამპოს სიკვდილიდან მრავალმა წელმა განვლო, იაპონური დეტექტივიც მას შემდეგ ძალზე განვითარდა, თუმცა უცვლელია მისი უმთავრესი მახასიათებლები: პატრიოტიზმი, დემოკრატიზმი, კაცთმოყვარეობა ანუ ის, რაც ედოგავა რამპომ დამკვიდრა. სენ-სეი — ეს მას ჯერ კიდევ სიცოცხლეში უწოდეს. ისტორიაშიც ასე დარჩა, — წერს აკირა კუროსავა.

„ადამიანი უკვდავია თუკი თავის შემდეგ დატოვებს შვილებს, დარგავს ხეს, ან დაწერს წიგნებს,“ — ამბობს იაპონური ანდაზა. ამომავალი მზის ქვეყანაში დღესაც განაგრძობს არსებობას ედოგავა რამპოს მიერ დაარსებული დეტექტიური კლუბი, გაიცემა ედოგავა რამპოს სახელობის პრემია, რომლითაც წლის საუკეთესო დეტექტიური თხზულება ჯილდოვდება. კვლავაც ბესტსელერთა სიაშია ედოგავა რამპოს ნაწარმოებები: „ადამიანი-სავარძელი“, „გამოცანა“, „მოჩვენება წყვდიადში“, „უჩინარი“... ისინი 158 ენაზეა თარგმნილი. კვლავაც გამოდის ფილმები ედოგავა რამპოს რომანებისა და მოთხრობების მიხედვით. ტელეეკრანებმა „ედოგავა რამპოს გამოცანები“ მსოფლიოს ტელეეკრანები ტრიუმფით მოიარა.

ჰარმონიისა და კომპოზიციის სამცარი კოლაჟი

(მაკა ჯიზლაქის ესაუბრა დინი ვირსალაქე)

საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ ერთი ლამაზი და უჩვეულო კონცერტით დაიხურა. სიმფონიური ორკესტრი და თბილისის მერიის ბიგბენდი, ჯაზი და კლასიკა ერთად. ვახტანგ კახიძემ და გივი გაჩეჩილაძემ სიახლეს და საკმაოდ რთულ პარტიტურებს თავი მშვენივრად გაართვეს. ჯაზისა და კლასიკური მუსიკის ერთობლივმა ჰანგებმა დარბაზი გაასახივოსნა. ყველას სურდა ცნობილი კინომუსიკის შედეგებს ლინითა თუ ტაშით აჰყოლოდა. საზეიმო განწყობა ყველას სახეზე ეტყობოდა. ბიგბენდთან ერთად სადღესასწაულო პათოსი უნიჭიერესმა დინი ვირსალაქემ კიდევ უფრო გააღრმავა. გასაოცარი ბგერები, ჯაზური ოსტატობა, საკუთარი სტილი, ორიგინალური ფანტაზია, მუსიკალური დახვეწილი დინამიკა — ამ ბუნების მიერ ბოძებული ულამაზესი შტრიხებით წარსდგა მსმენელის წინაშე და კიდევ ერთხელ გააოცა დარბაზში მყოფნი.

— დინი მოგვიყვით თქვენს ოჯახზე და შემდეგ ვისაუბროთ ახლახან ჩატარებული შესანიშნავი კონცერტის შესახებ?

— დედა და მამა დღემდე მუსიკით არიან გატაცებულები. დედა პროფესიით მუსიკოსია, სვეტლანა ჯიჯიხია-ვირსალაძე, ახალგაზრდობაში სმენით უკრავდა, უფრო პოპულარულ კინომუსიკას ასრულებდა და თან მღეროდა. იმხანად ბევრი მუსიკალური ფილმი შემოდიოდა, მამა ნევროლოგია, მასაც ძალიან უყვარს მუსიკა, შვიდწლიანი აქვს დამთავრებული. სმენით უკრავს, ჯაზურ თემებსაც ასრულებს.

ბავშვობა მუსიკასთან ერთად მახსოვს, შინ ან ჩანანერები ჟღერდა ან ცოცხალი მუსიკა. ჩემზე დიდი გავლენა ბიძამ — დედის ძმამ — კობა ჯიჯიხიამ მოახდინა, ექიმი ენდოკრინოლოგი იყო, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, მუსიკალური დისკეზის დიდი კოლექცია ჰქონდა. იმხანად კარგი ჩანანერების მოპოვება ჭირდა. გამუდმებით ფირფიტებს აგროვებდა, გადამყიდველებთანაც ყიდულობდა, გიჟდებოდა ჯაზზე. მასთან შინ ხშირად ვრჩებოდი, საუკეთესო მუსიკას მასმენინებდა. ამ დროს ოთახში ვიკეტებოდი და ბოთლის რკინის გასახსნელებს ხელში დავიჭერდი, ვითომ მიკროფონი იყო, და ვმღეროდი. ამგვარად ვერთობოდი. შემდგომ ხუთი წლისას გამიჩნდა სურვილი სმენით დამეკრა. თავდაპირველად მელოდიის აწყობა ვცადე, შემდეგ ექვსი წლისას დედამ ამისნა მუსიკალური ანბანი. ძალიან ვცდილობდი დაკვრას. ვგიჟდებოდი ჰარმონიაზე. საოცრად მსიამოვნებდა სმენით ნოტის მოძებნა, ბანიც თუ სწორად დაემთხვეოდა, ვგიჟდებოდი სიხარულისგან. დიდი გავლენა მოახდინა საუკეთესო კონცერტებზე სიარულმა, რაც კი თბილისში ხდებოდა დედას ყველგან დაყვავდი. ყველაფერი მახსოვს. იმხანად რისხვერი ხშირად ჩამოდიოდა სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე, ოპერაში, მახსოვს ბალანჩინის ჩამოსვლა, რა ამბავი იყო ფილარმონიაში. არცერთ კონცერტს არ ვტოვებდით და ძალიან მომწონდა ეს ყველაფერი. შემდეგ ჩავაბარე ათწლეულში და გამოცდაზე შევასრულე ელა ფიცჯერალდის რეპერტუარი. დავამთავრე ათწლედი და ჩავაბარე კონსერვატორიაში, დროდადრო კი მქონდა გატაცებები, ბალეტზე დავდიოდი და ბალერინო-

ბა მინდოდა, ჩოგბურთზეც დავდიოდი, მაგრამ მუსიკის მეცადინეობაში დროის თვალსაზრისით ხელს მიშლიდა, მე-7 კლასში ფიზიკოსობამ გამიტაცა. ათწლეულში ვახო მალლაკელიძე მასწავლიდა, საკმაოდ მკაცრი და კარგი პედაგოგი იყო, მასთან ხუთიანი მივიღე და გადავწყვიტე ფიზიკოსი გავმხდარიყავი. ვგოჟდებოდი ფიზიკაზე, შინ არაფერს მეუბნებოდნენ, შემდეგ ყველაფერმა გადაიარა და მუსიკა დარჩა.

კონსერვატორიაში საფორტეპიანო განხრით ვსწავლობდი, მეორე კურსზე ჩავაბარე საორღანოზე, შიდა სამზარეულო მაინტერესებდა, მაგრამ მაინც ფორტეპიანო უფრო მიზიდავდა, ორღანისთვის რამდენიმე კომპოზიცია მაქვს დაწერილი. მოგვიანებით კინომცოდნეობაზე ჩავაბარე, კინო ძალიან მიყვარს..

— კინომცოდნედ გიმუშავიათ?

— მხოლოდ დიპლომი დავეწერე, მეტი არაფერი.

— ჯაზში როდის გადახვედით?

— ვერ ვიტყვი რომ ჯაზში გადავედი, ჯაზი სულ იყო, სულ თან მდევდა. მეცადინეობის დროსაც კი გადავუხვევდი და ჯაზურ იმპროვიზაციებს ვასრულებდი. შინ სულ კონფლიქტი იყო ამის თაობაზე, დედას ესმოდა სხვა ოთახში და დამიძახებდა, დინი, იმეცადინეო. შავი სამუშაო არცერთ ბავშვს არ უყვარს, ჯაზი სულ მიტაცებდა. ჩარჩოდან გასვლა მსიამოვნებდა. ჯერ ვარიაციები, მერე იმპროვიზაციები მოჰყვა. იმ მომენტში ვერ ვხვდებოდი, რომ ეს ჯაზის მოთხოვნილება იყო, რომელიც სულ თან მდევდა. ოფიციალურად ჩემი დებიუტი ჯაზში გვიან შედგა. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ კამერულ ორკესტრში ვმუშაობდი, შემდეგ კონსერვატორიაში სოლო სიმღერის კათედრაზე კონცერტმეისტერად, ჩემი დიდი ბებუის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში, რომელიც ახლაც არსებობს, იქაც კონცერტმეისტერად ვმუშაობდი. სცენაზე გასვლა შეიძლება კიდევ დიდხანს ვერ გამეხებდა, რომ არა ორი ახალგაზრდა — ქეთევან ჭელიძე და გიორგი კუჭუხიძე. მათ გადაწყვიტეს ფილარმონიაში კონცერტის მომზადება. არცერთი არ არის მუსიკოსი, მაგრამ მოინდომეს კონცერტის პროდიუსერობა, იცოდნენ, ჯაზს რომ ვუკრავდი, ვინრო წრეში ისედაც ყველამ იცოდა, დაბადების დღეზე, ლექციების შუალედში — აუდიტორიაში, ყველგან ვუკრავდი. მათ სცენაზე გასვლა შემომთავაზეს, თავიდან ნინაღმდეგი ვიყავი, მითხრეს, ჩვენ არ გვინდა მართო ცნობილი სახეები, რამდენიმე ახალი სახე გვჭირდებაო. დიდი ყოყმანის შემდეგ — საერთოდ ბიძგი მჭირდება ხოლმე — გავბედი. ვფიქრობდი: არის კი ჩემი ადგილი სცენაზე? რამდენჯერ ბავშვობაში ჯაზფესტივალზე მიოცნებია, ნეტავ სცენაზე ვიყო-მეთქი. ოცნება ოცნებაა, მაგრამ რეალურად რამდენად შეიძლებოდა სცენაზე გასვლა, არ ვიცოდი, მიჭირდა. ბევრი ფიქრის შემდეგ ფილარმონიაში ჩემი დებიუტი შედგა. ამ კონცერტის შემდეგ რეკომენდაცია გამიწიეს და აღმოვჩნდი ძალიან საპასუხისმგებლო საერთაშორისო ჯაზფესტივალზე. მითუმეტეს, დებიუტის მერე ორმაგად საპასუხისმგებლოა და ამის შემდეგ ჩემი ცხოვრება შეიცვალა. ჯაზური ცხოვრება და ეს სამყარო უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ეს არ არის სამსახური ჩემთვის, ეს არის სიამოვნება, ჩემი ცხოვრებაა. დარბაზში როცა ნასიამოვნებ სახეებს ვუყურებ, მაშინ ვფიქრობ, რა ბედნიერებაა სხვას მიანიჭო სიამოვნება. ჩემს ჩანაწერს რომ ვუსმენ, არასოდეს მომწონს და საშინლად მაღიზიანებს. ერთხელ ახალგაჯნობილმა ადამიანმა მითხრა, სცენაზე იცვლები, ასეთი ექსპრესია თუ გქონდა, არ გეტყობოდაო. სიამოვნებისგან სხვა ადამიანი ვხვდები.

— შემოდგომის ფესტივალი მერიის ბიგბენდის, სიმფონიური ორკესტრის და თქვენი მონაწილეობით ერთობლივი კონცერტით დაიხსურა. გარკვეულწილად ეს იყო ზეიმი, სიახლე, ჯაზი და კლასიკა ერთად. ამ შემთხვევაში იმ ახალგაჯნობილ პიროვნებას ვეთანხმები, თქვენ სცენი-



დინი ვირსალაძე და მაკა ჯიბლაძე

დან ბრწყინავდით იმ შინაგანი მუხტით, რასაც ახლა აღნიშნავთ. ვისი იდეა იყო ასეთი კონცერტის ორგანიზება?

— ვახტანგ კახიძემ შესთავაზა გივი გაჩეჩილაძეს, მასაც მოენონა და დათანხმდა, ბევრი ვიმუშავეთ, ერთობლივი რეპეტიციები სულ ორჯერ გვქონდა. ხუთი-ექვსი საათი ვიყავით ხოლმე დარბაზში, რეპეტიციების დამთავრებისას ვხვდებოდი, როგორი დაღლილი და გამოფიტული ვხვდებოდი. შინ მისვლისას დედამ რომ მკითხა, არ გშიაო, არ ვიცოდი, მშობოდა თუ არა, საათს რომ დავხვდე, წესით უნდა მომშებოდა. ძალიან კარგი კონცერტი გამოვიდა.

— მსგავსი კონცერტი სიახლე იყო და ალბათ ამიტომაც გამოიწვია ასეთი ემოცია და ტაში, თან ვახტანგ კახიძე მსმენელმა სულ სხვა ამპლუაში იხილა.

— გეთანხმებით, სიახლე იყო, ვატომ ბევრი რამე შეცვალა, კონცერტი ხომ თავისთავად კარგია, რეპეტიცია კიდევ სხვა სიამოვნებაა, საინტერესოა.

— ელოდით ასეთ წარმატებას? სიახლესთან შეხებას შიშიც დაჰყვება.

— სხვათაშორის ველოდი, ვიდრე ერთად დავესდებოდით, უკვე მივხვდი, ისეთი ფორმით მიმდინარებოდა რეპეტიციები, კარგი კონცერტი გამოვიდოდა. სიმფონიური ორკესტრი რომ ბრწყინვალეა, ისედაც ვიცოდით, ერთობლივ რეპეტიციაზე შედეგი გამოჩნდა, ყველამ მოინდომა და კონცერტს დაეტყო.

— თითქოს დარბაზი და სცენა გაერთიანებული იყო, მსმენელიც და ორკესტრანტებიც ერთობლიობაში იმყოფებოდნენ. მე არ მინდოდა კონცერტის დამთავრება, დილაზე ვიჯდებოდი და მოვუსმენდი მრაველფეროვან რეპერტუარს და სიმფონიური ორკესტრის ჯაზმენ შემსრულებელს ბიგბენდთან ერთად, ვახტანგ კახიძის დახვეწილ დირიჟორობას, რომელიც მთელი გრძნობით ხელმძღვანელობდა საკმაოდ რთულ კომპოზიციებს.

— მართლა კარგი გამოვიდა. პირველად ვატომ ვივიდა რეპერტუარის ასარჩევად, რადგანაც ეს დარბაზი არ არის ჯაზის მოსასმენი და აკუსტიკა როგორი იქნებოდა, არ ვიცოდით, ჟღერადობის მხრივ საპასუხისმგებლო იყო. ბატონმა გივიმ დიდი მუშაობა ჩაატარა, ვიდრე ჩვენამდე მოიტანდა, სამი თვე პარტიტურებს წერდა, დიდი სამუშაოა და როგორი ხარისხი იყო, მოისმინეთ, ჩემთან მუშაობისას რა ენერგია და შრომა დაჭირდა, ამაზე აღარ ვლაპარაკობ. ყველა მუსიკოსს რეპეტიციის და კონცერტის დროსაც ეტყობოდა, რა სიამოვნებით მუშაობდნენ. ყველა ცდილობდა შეძლებისდაგვარად ამ კონცერტში მთელი ენერგია ჩაედო. ამიტომაც წამდვილი დღესასწაული შედგა და ძალიან მიხარია. ბევრმა თქვა, ეს კონცერტი ნებისმიერ სცენას დაამშვენებდაო. მეც ასე ვფიქრობ.

— როგორ ფიქრობთ, ბატონ ჯანო კახიძეს მოენონებოდა მსგავსი სიახლე?

— ის ისეთი ნიჭის პატრონი იყო, შეუძლებელია არ მოსწონებოდა. ვატო თანამედროვედ აზროვნებს. მასხოვს, ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, ბატონმა ჯანომ საქართველოში ერთი ფესტივალი რომ გახსნა, ვატო თანამედროვე იმპროვიზაციებს ასრულებდა, ბატონი ჯანო იუმორით ამბობდა: მამა ვარ და როგორ არ შევეუნყო ხელიო. ეს კონცერტი ძალიან დახვეწილი და დიდი გემოვნებით ჩატარდა. მერე რა, რომ კინომუსიკა შესრულდა, აკადემიური დონის ხელნერა ჰქონდა.

— კინომუსიკას კლასიკური ელფერი აჩნდა არა?

— დიას ასეთი ელფერი გადაჰკრავდა. ბატონი გივი სულ გვეუბნებოდა, არ დაგავინყდეთ რომელ დარბაზში უკრავთ და თქვენსა და იმ ბრწყინვალე ორკესტრს შორის განსხვავება არ უნდა იყოსო.

— რომელიმე ქვეყანაში ჩატარებულა ასეთი კონცერტი?

— ჩანანერი მინახავს, ნამყოფი არ ვარ. არ ვიცი, ალბათ სადმე არის, ბარბარას კონცერტი გამახსენდა ორკესტრთან ერთად რომ მღერის. ასეთ ინსტრუმენტულ კონცერტს ვერ ვიხსენებ. დიდი სიმდიდრეა, რა უღერადობაა. როდესაც ბატონმა გივიმ გვითხრა, როგორ კონცერტს აპირებდა, ძალიან გამიხარდა, ასეთი გამჭვირვალე თემის პარტიტურა ცალკე რომ მომიტანა. ნელ-ნელა კოსმოსში რომ მიდის და ამ დროს სიმებიანი უერთდება, გავგიჟდი. ამ კონცერტის გამო მთელი ზაფხული ვმუშაობდი, დასასვენებლად არ წავედი.

— იყო განსხვავება სხვა კონცერტებს შორის?

— იყო, ყველა კონცერტი ჩემთვის საპასუხისმგებლოა, მაგრამ აქ კლასიკასთან გაიგივდა, მეშინოდა და ფიქრობდი, კლასიკური დარბაზის მსმენელს არ ეთქვა: ესენი რა შუაში არიანო. ორი ორკესტრის უღერადობის შემდეგ მარტო ვრჩებოდი. ეს პარტია რთულია. მე მიმყავდა ყველაფერი სოლისტთან ერთად, მერე სოლო. ძალიან საპასუხისმგებლო იყო და ვნერვიულობდი. მარტო ორი განყოფილება სოლოკონცერტი დამიკრავს მთლიანად, თანაც, უცხოეთში, მაგრამ ამ კონცერტში ბევრი საღებავი მჭირდებოდა — ან პიანოზე გასვლა, ან აქცენტები ან გამოჩენა, სოლოც სპეციფიური იყო. ისე ალვიქვი, რომ კოსმოსში მივექროდი.

— სოლოს დროს დირიჟორი გეხმარებოდათ?

— ვატომ მითხრა, მე განიშნებ, როდის უნდა დაიწყო, მეტი არაფერიო. ამხელა კონცერტში უცებ მარტო რომ რჩები და ამას განდობენ, დიდი პასუხისმგებლობაა. დაკვრას რომ ვინყებ და შევდივარ როლში, თვითონაც ვგრძნობ, სახე ისე მინათდება. ჩემმა პარტნიორმა კახა ჯანაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა როგორც სხვა სოლოები, ისე ესეც, აქ სულ სხვა ბგერით ასრულებდა. სხვანაირად გამჭვირვალედ, თითქოს დაფრინავდა.

— მუსიკის გარდა რამ გაამდიდრა თქვენი სამყარო?

— ხატვამ. მიყვარს ხატვა, ჩემთვის ეს ჰობია, გამოფენებიც მქონია, შერეულ გამოფენებშიც მიმიღია მონაწილეობა. კუს ტბაზე ავსულვარ და იქ დამიხატავს. ნატურმორტიები, პეიზაჟები, მარტო ჩიტები დამიხატავს. საყვარე-

ლი პროცესია. ხატვის გარდა სპორტი ამდიდრებს ჩემს ცხოვრებას. თხილამურები, გუდაური, ცურვა. მიყვარს მრავალფეროვნება. სტუდენტობის დროს სერგო ფარაჯანოვმა გადამიღო „სურამის ციხეში“ წმინდა ნინოს როლში, სამწუხაროდ, კადრები ვეღარ ვნახე, ის ადგილები ამოჭრეს. ძალიან მინტერესებდა, როგორი გამოვიდა. თვითონ კინოში გადაღება ძალიან მიხაროდა.

— თქვენს მეუღლეზე მოგვიყვებით?

— მე და ჩემმა მეუღლემ ჯარჯი მალალაშვილმა 22 წელი ვიცხოვრეთ ერთად. მძიმე დიაგნოზი აღმოაჩნდა, შვიდ დღეში გარდაიცვალა. ამ ტრაგედიის გადატანაში მუსიკა მომეხმარა, ეს რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, როგორ გადავიტანდი. ჯარჯი ჩემი დიდი მეგობარი იყო. მუსიკას რომ დავეწვდით, პირველად ერთმანეთს ვასმენინებდით. არაფერს მიკრძალავდა, მოდებოდაც უნდა მოსინჯო და ფილმშიც უნდა მიიღო მონაწილეობაო, მეუბნებოდა. ინტელიგენტი და ჭკვიანი ადამიანი იყო, იუმორით სავსე. ხელოვნების სკოლაში გავიცანი. ორ როიალზე გვიწვედა დაკვრა და ამით უფრო მეტად დავახლოვდით. ნიჭიერი მუსიკოსი იყო. მიუზიკლი „თეთრი ცხენი“ დანერა, შემდეგ ამერიკაში გასტროლებზე წაიღო. ბევრი მიუზიკლი აქვს, სიმღერებსაც წერდა. თეატრებში სპექტაკლებსაც აფორმებდა. თითქმის ყველაფერზე ერთნაირი შეხედულებები გვქონდა...

P.S. „მარტო კლავიშებსა და ახლოს მსმენელთან, პიანისტი საქართველოდან, რომელიც ყოველთვის ახერხებს აუდიტორიის გაოცებას“ — ასე ახასიათებენ დინი ვირსალაძეს ევროპაში. ბედნიერებაა, იყო საკუთარ საქმეზე შეყვარებული ხელოვანი და დახვეწილად ასრულებდა სხვადასხვა კომპოზიციას. მუსიკა მისთვის ყველაფერია. შინაგანი მდიდარი სამყარო სხვა განზომილებაში ცხოვრების საშუალებას აძლევს. ტკივილს მუსიკაში აქსოვს და ღირსეულად განიცდის მეუღლესთან განშორებას, თუმცა მუსიკის საოცნებო სამყარო ბგერებითა და მოგონებებით მასთან ერთად ყოფნის საშუალებას სთავაზობს. მათი სიყვარული 22 წლის წინათ განგებამ ფუნჯით მოხატა. ეს ულამაზესი ტილო დღეს რეალურ ატმოსფეროსაა მოკლებული, თორემ ისე რომელიღაც განუზომელი სივრცის აბსტრაქციაში ჩვენთვის უხილავად იკვეთება. ლამაზი ფერების წყვილი — დინი და ჯარჯი, სხვადასხვა ორნამენტებით შემკულნი — იდუმალ სამყაროში დღესაც განავრცობს არსებობას და ამ სი-ახლოვეში მუსიკა ეხმარებათ. ალბათ ყოველი კონცერტის შემდეგ ფიქრობს: ნეტავი ახლა ჯარჯი რას იტყობდა?

უმუსიკოდ მისთვის სამყარო ნისლში გახვეული იქნებოდა. ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ფერის შუქ-ჩრდილებს მუსიკალური შთაბეჭდილებები ენაცვლება და ჰაეროვანს ხდის მისი ცხოვრების პეიზაჟს. უამრავი კონცერტი, ბევრი წარმატება, აპლოდისმენტები, მოგზაურობები, ასეთ საინტერესო სივრცეში ცხოვრობს მუსიკოსი, რომელიც თვითონვე, საკუთარი შრომით შექმნა და ყოველდღიურად წინსვლისკენ ისწრაფვის.

მასთან ინტერვიუ ჩემ ერთ-ერთ საინტერესო და შთაბეჭდილებებით სავსე მოგონებად დარჩება, რომელიც შემოდგომის ერთ სუხიან დღეს მყუდრო გარემოში მშვენიერ ქალბატონსა და შესანიშნავ პიროვნებასთან ჩავწერე.

სამშაბათს, 10 თებერვალს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართება განხილვა

ელგუჯა თავბერიძის ახალი წიგნებისა

„ნილოსისფარი პერანგი“ (გამოხმაურებანი)
და
„პით უდაბნოში გზადაბნულას“ (სამსონ თოფურიას ცხოვრების ქრონიკა)

მომხსენებლები **მარინე ტურავა** **ლევან ბრეგაძე**

დასაწყისი 14 საათზე **კოსტავას 5**

ვასილ კიკნაძე

სიბრძნე ზედროულია

როსტომ ჩხეიძის ყოველი წიგნი თუ სტატია ჩემში ათასგვარ ასოციაციას აღძრავს ხოლმე. მიკვირს, ამ ახალგაზრდა კაცმა (ჩემთან შედარებით ჭაბუკმა) როგორ და როდის მოასწრო ასეთი ფართო განათლების მიღება, ზღვა მასალის გააზრება და მონუმენტური შრომის შექმნა, რომელსაც შეიძლება როსტომიანი ვუნოდოთ, ჩემში დიდი ინტერესი გამოიწვია და ათასი ასოციაციები აღძრა როსტომ ჩხეიძის ახალმა სტატიამ „მოქმედების მაგია“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2014, 12 დეკემბერი), რომელიც დიდ მწერალს პოლიკარპე კაკაბაძეს მიეძღვნა.

ახლოს ვიცნობდი ქართული დრამატურგიის კლასიკოსს პოლიკარპე კაკაბაძეს. ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი და უნდა გავიხსენო, რაკი „დამგემა“ ბატონმა როსტომმა.

პოლიკარპე კაკაბაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ხშირად ვესაუბრები ჩემს სტუდენტებს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. როგორ წაიკითხავ ქართული თეატრის ისტორიის კურსს პოლიკარპე კაკაბაძის გარეშე? სტუდენტები განსაკუთრებით დიდი ინტერესით მისმენენ როცა ჩვენი მწერლებისა და თეატრის კლასიკოსებთან ურთიერთობაზე ვსაუბრობ. ჩემი ცხოვრების 85 წელი ხომ უნდა გამომაღგეს ცოცხალი ამბების მოსაყოლად?

როსტომ ჩხეიძე წერს: „გალაკტიონის მზერას რა გამოეპარებოდა და კიდევაც განაცხადებდა დაბეჯითებით. ის არა სიტყვის, არამედ მოქმედების ადამიანია. ქმედება, საქმის გაკეთება ნამდვილად საფუძვლიანია“. აი, მისი სტიქიაო. მოქმედებას „საბრძოლოსაც“ დაურთავდა და „საიერიშოსაც“, რათა ღრმად ჩაეფიქროს მის არსს, საფუძვლად რაც დაედებოდა ხოლმე დიდ საქმეს. რაკილა მარტო მოქმედებას კი არ სჯერდებოდა პოლიკარპე კაკაბაძე, არამედ ხშირად დიასაც საბრძოლოდ გარდაქმნიდა და მისი ასეთი მდგომარეობა გახლდათ რომ აღძრავდა და ამშვენებდა დიდ და რთულ მექანიზმს“.

დახასიათება ზუსტად გამოხატავს პოლიკარპე კაკაბაძის ხასიათის თავისებურებას.

პოლიკარპე კაკაბაძე რუსთაველის თეატრში ჩემი მუშაობის (სალიტერატურო ნაწილის გამგედ) პერიოდში (1954-64) გავიცანი, დავახლოვდი, ხოლო როცა კულტურის სამინისტროში გადამიყვანეს, ჩვენი ურთიერთობა უფრო გაღრმავდა. ბატონი პოლიკარპე ჩემი სტუმარი იყო. თითქმის ყოველდღე მოდიოდა სამინისტროში. მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის ინიციატივით პ. კაკაბაძის პიესები ითარგმნებოდა ინგლისურ ენაზე. ამას გარდა მოსვლისათვის სხვა საბაბიც ბევრი ჰქონდა. ერთხანს მის პიესებს ჯეროვანი ადგილი არ ეკავა ქართულ თეატრში. ვწუხდით, ცვდილობდით სიტუაციის შეცვლას.

ბატონ პოლიკარპეს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. იჯდა ჩაფიქრებული. დროდადრო რეპლიკასავით მოკლე ფრაზას მეტყვოდა, მაგრამ ყოველთვის აფორიზმული და ღრმა შინაარსისა იყო მისი ფრაზა.

როცა ქუთაისის თეატრში დაიდგა „დავით მერვე“ (შემდეგში „კახაბერის ხმალი“ სახელწოდებით. საუკეთესო სპექტაკლი დადგა გიგა ლორთქიფანიძემ), ბატონ პოლიკარპეს ვკითხე: ქუთაისის გაზეთს გაუკრიტიკებია სპექტაკლი. რეცენზია ხომ არ წაგიკითხავთ?

- უცნაური ხალხი ვართ ქართველები, მარტო ქება გვგონია პატრიოტიზმი. შეაქე საქართველო და მეტი შენგან არაფერი არ უნდა, თვითონ შემოგენიერება. მიხეილ ჯავახიშვილს

უფრო მკაცრად აქვს ნათქვამი — ქართველების პატრიოტიზმი მარტო მტრის სიძულვილიაო...

ეს სიტყვები თავისებურად ეხმიანება ერთმანეთს.

ბატონმა პოლიკარპემ ერთ დღეს ჩემს კაბინეტში საუბრის დროს ძალიან გამაღიზიანა, როცა მან გალაკტიონი კრიტიკულად მოიხსენია. ჩვენს შორის გაიმართა საუბარი.

- მითხარი ვასო, გალაკტიონს რამდენი სახე აქვს შექმნილი?

- გალაკტიონი გენიალური ლირიკოსია, სახეების შექმნა არ არის მისი საქმე...

- არ ხარ მართალი, მე სამასი სახე მაქვს შექმნილი. დღეს მთელს ევროპაში რომელ მწერალს აქვს შექმნილი ამდენი სახე?

არ შევეკამათე, მაგრამ გალაკტიონის კრიტიკა არ მომეწონა და ცოტა გაღიზიანებულმა დავინყე ლაპარაკი, მას თავისი პოზიცია ჰქონდა. მეორე დღეს წავედი ლიტერატურის მუზეუმში, სადაც გალაკტიონის პირად არქივზე ვმუშაობდი. გალაკტიონის ჩანაწერებში შემთხვევით ვნახე ბატონ პოლიკარპეზე ჩანაწერი. გადავინერე და სამსახურში წავიღე. ვიფიქრე, რომ ბატონი პოლიკარპე ისევე მოვიდოდა და ნაუწყობხავდი.

მეორე დღეს მართლაც მოზრძანდა. ისევე წამოვიწყე გალაკტიონზე საუბარი და ვუთხარი, რომ გალაკტიონი კარგი აზრისა იყო მის შესახებ. ნაუწყობხე ჩანაწერი.

ბატონი პოლიკარპე ჩაფიქრდა. პაპიროსი მოსწია და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: არა, გალაკტიონს აქვს რამდენიმე კარგი ლექსი, რომლებიც მე დავბეჭდე „მნათობის“ რედაქტორობის დროს.

იმ დღის შემდეგ ბატონ პოლიკარპეს გალაკტიონზე აღარაფერი უთქვამს, თუმცა მე მას ვუამბე, რომ გალაკტიონს ბევრჯერ უცდია პიესის დანერგვა, მაგრამ არ გამოუვიდა. ერთი-ორი პატარა საკმაოდ სუსტი ვოდევილი აქვს დანერილი (რომელიც შემდეგ მე გამოვაქვეყნე).

საერთოდ თეატრისადმი დიდი ინტერესი ყოველთვის ჰქონდა. მოსკოვში ექვსთვიანი სარეჟისორო კურსებიც ჰქონდა დამთავრებული.

დრამატურგმა გენო ქელბაქიანმა საინტერესო ამბავი მიამბო. გენოს პიესა („შესაფერი ჯილო“) იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრში. გალაკტიონს ძალიან მოსწონებია პიესა, რადგან მეორე მოქმედებაში ერთ-ერთი გმირი გახარებული ამბობს, რომ მან იშოვა გალაკტიონის ლექსების კრებული.

გენო ქელბაქიანის პიესას წარმატება არ ჰქონდა და მალე მოიხსნა თეატრის რეპერტუარიდან.

გენომ მითხრა, რომ ამის გამო გალაკტიონს შევჩივლე: ბატონო გალაკტიონ, თქვენ რომ მოგწონდათ ჩემი პიესა, მითხრეს აღარ გადისო.

- მართლა ძამიკო?... მეორე მოქმედებაც მოხსნეს?

გალაკტიონს დღიურში ჩაუნერია, რომ გენოს პიესაში ერთი ადგილი „მაგრად“ არის თქმული, გალაკტიონის ლექსების კრებულში ვიმოვებო.

პოლიკარპე კაკაბაძემ ერთ-ერთ საუბარში მითხრა, რომ მან, მხოლოდ ერთმა კაცმა, უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მის დროს მთელმა ქართულმა ლიტერატურამ. გაზვიადებული იყო და შევეკამათე, მაგრამ აზრი არ შეიცვალა. ფურცელი და კალამი მთხოვა, აგერ დაგინერ ჩემსასაც და სხვისასაცო...

ბატონმა პოლიკარპემ დანერგა (რომელიც ჩემს პირად არქივში ინახება) მეოცე საუკუნის ქართველი მწერლების წარწერებისა და თავისი პიესებისა.

ქართული ლიტერატურიდან დაასახელა:

1. ლ. ქიჩელის „გვადი ბიგვა“;
 2. ი. ნონეშვილის „რუხაძე“;
 3. გ. ლეონიძის „ბერმუხა“;
 4. „ფორთოხალა“;
 - მ. ჯავახიშვილის „კვაჭი“;
 5. კ. გამსახურდიას „კონსტანტინეს მარჯვენა“.
- პოლიკარპე კაკაბაძის პიესები: 1. „კახაბერის ხმალი“; 2. „ყვარყვარე თუთაბერი“; 3. „კოლმეურნის ქორწინება“ (შემდეგ ოფიციალური განცხადებით მომმართა, რომ ამიერიდან პიესას ერქვას „მერიქიფის ქალიშვილი“); 4. „ქარიშხალი“; 4. „ცხოვრების ჯარა“; 6. „ვახტანგ — I“ — დასამთ, 7. დიმიტრი II — დასამთ, 8.

„თეიმურაზი“ — დასამთ. გამიკვირდა, რომ რატომღაც არ დაასახელა პირველი პერიოდის ძალიან საინტერესო სიმბოლისტური პიესები „სამი ასული“, „გაზაფხურდინზე“, „გათენების წინ“.

ქართული ლიტერატურის მიღწევებიდან ჩამოთვლილია მხოლოდ ნაწილი.

პოლიკარპე კაკაბაძის მთავარ პიესებს „ყვარყვარე თუთაბერსა“ და „კახაბერის ხმალი“ თეატრში რთული ბიოგრაფია აქვთ. 1928 წელს, როცა კოტე მარჯანიშვილმა „ყვარყვარე თუთაბერი“ წაიკითხა, დასი შეკრიბა, პიესა ალექსანდრე იმედშვილს წააკითხა. თვით ეს ფაქტიც მოწმობს კოტეს დაინტერესებულს პიესით, რადგან იმედაშვილი შესანიშნავი მკითხველი იყო, გამოირჩეოდა მკაფიო, მაღალი მეტყველების კულტურით.

„დასრულდა პიესის კითხვა, სამარისებური სიჩუმეა, გაურკვეველობის ატმოსფერო სუფევს, თითო-ოროლამ გაბედა კიდევ ერთი-მეორისათვის გადაურჩეულა: რა არის ეს? მოსწონს კოტეს ამაში? კოტეს როგორ გამოეპარებოდა ის ამბავი, რომ თეატრი თითქმის გულგრილი დარჩა ამ ნაწარმოებისადმი?! მინც შეგვეკითხა: აა, რას იტყვით? გამოთქვით თქვენი აზრი! აუდიტორიაში კვლავ სიჩუმე იყო. მცირე პაუზის შემდეგ კოტე წამოდგა, ილიაში ამოიღო პიესა, მეორე ილიაში კი პოლიკარპე კაკაბაძის ხელი და ისევ მოგვიბრუნდა: თავისუფლები ხართ! მხოლოდ რეჟისორები წამოვლენ ჩემთან!“

პოლიკარპე კაკაბაძე თავის პიესებს პოეტურ ნაწარმოებს უწოდებდა. მისი აზრით, „მწერალი უნდა იყოს პოეტიც. ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობით. აზრები, ვნებები, გრძობები უნდა მოითხოვდეს ფორმას, გამოხატვის გზით. შეიძლება გრამატიკულად არ იყოს რომელიმე პოეტის ენა სწორი“, მაგრამ ლექსი მაინც გენიალური იქნება. საილუსტრაციოდ ასახელებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას. სხვათაშორის, ჩემთან საუბარში სრულიად განსხვავებულ პოეტურ გენიად იხსენიებდა ბარათაშვილს და ვაჟას.

პოლიკარპე კაკაბაძის ორიგინალურ, ზოგჯერ პარადოქსულ ნაზრევს გაგება უნდა. საუბარში პიროვნების დასახასიათებლად ერთს ისეთ მოქნილ მეტაფორულ ფრაზას იტყობდა ხოლმე, მთელი მოვლენის არსს გამოხატავდა. ერთ-ერთ საზეიმო დღეს (ზუსტად არ მახსოვს, შვიდი ნოემბერი იყო თუ პირველი მაისი) შემთხვევით შევხვდით რუსთაველის პროსპექტზე. მკლავში გამიყარა ხელი, გვერდზე გამიყვანა და მითხრა: შეიძლება ადამიანს ფაღარათი სჭირდეს და საჯაროდ ყვიროდეს — რა კარგად ვარ, რა კარგადო?..

ეს იყო მისი რეაქცია საბჭოურ ზეიმზე. ბატონი პოლიკარპე წარმოშობით ხონის რაიონის სოფელ კუხიდან იყო. ჩემი სოფელი ახალშენი და კუხი მეზობელი სოფლებია. ამიტომ რაღაც გამორჩეული ყურადღებით მექცეოდა, ვგრძნობდი და მიხაროდა. ერთხელ მე-19 ს-ის 60-იან წლებს კრიტიკულ შეფასებაში არ დავეთანხმე და გამინანწყენდა. მე ჩემს ახლობლად გთვლი, ერთი მინა-წყლის ვართო... გამიხარდა.

ერთ დღეს რუსთაველის თეატრში დოღო ალექსიძის ოთახში ირონიული ღიმილით შემოვიდა. დოღო „ჰამლეტზე“ იწყებდა მუშაობას.

- დოღო, გემდურთან როლებს განაწილებაში, — უთხრა. დოღო უცებ ვერ მიუხვდა ირონიას (თუმცა დოღოს იუმორის საოცარი ნიჭი ჰქონდა).

- ვინ შემოგჩვილათ, ბატონო პოლიკარპე?
- თამარ ჭავჭავაძის ვაგეზუმრე, ოფელიას შენ რატომ არ თამაშობ-მეთქი? — მაგენს ვინ მისცა იმდენი ჭკუა, რომ ოფელიას როლი ჩემთვის მოეცათო...

ერთხანს გიორგი დავითაშვილიც მემდურდა, დოღოს რატომ არ ურჩიეთ ჰამლეტი მეთამაშაო?...

თამარ ჭავჭავაძე მაშინ სამოცდაოთხი წლისა იყო, გიორგი — სამოცდაშვიდისა...

მსახიობებს ასაკის შეგრძნება არ გააჩნიათ, ჰგონიათ, რომ ყველა დროში ყველაფრის თამაში შეუძლიათ.

თუმცა მსახიობისა რა უნდა მიკვირდეს. ერთხელ ბატონმა პოლიკარპემ დოღო ალექსიძეს უთხრა: გირჩევ „მეფე ლირის“ დადგმას, რატომ არ დგამ?

- ლირი არ მყავს! — უპასუხა დოღომ.
ბატონმა პოლიკარპემ მთელი სერიოზულობით უთხრა: ჩემს შვილს შეუძლია ლირის თამაშიო.

მისთვის თამარ ჭავჭავაძის სურვილი, რომ ოფელია ეთამაშა, იუმორის თემა იყო, შვილის მიერ ლირის თამაშის სურვილი კი — სერიოზული. პარადოქსები უყვარდა ბატონ პოლიკარპეს, მაგრამ ვის შეუძლია ჩაიხედოს დიდი ადამიანების სულის უფსკრულში?!

ალბათ არავის.
ურთულესი სამყაროა პოლიკარპე კაკაბაძის თეატრი. ყოველი თაობები ახალ-ახალ სიღრმეებს აღმოაჩენენ მასში. ქართულ თეატრში ხშირად უნდა იდგმებოდეს მისი პიესები. ყველა რეჟისორი იპოვნის თავის სათქმელს.

ბევრს მოვესწარი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. სამსახურებრივი (რუსთაველის თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგე, კულტურის სამინისტროში თეატრალური განყოფილების გამგე და სხვა) მდგომარეობის გამო მუდმივი კონტაქტი მქონდა მწერლებთან, მათ შორის ბატონ პოლიკარპე კაკაბაძესთან.

როსტომ ჩხეიძის წერილმა როგორც იტყვიან, საღერღელი ამიშალა, მოგონებათა „დაბურულ ნისლში“ აქა-იქ გამოანათა დიდი მწერლის სახემ. მჯერა, რომ სანამ ქართული თეატრი იარსებებს, კაკაბაძის სახელიც უკვდავი იქნება. დიდმა ქარიშხლებმა გადაუარა კაკაბაძის სახელს. ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, როცა ერთი აურზაური ატყდა რობერტ სტურუას „ყვარყვარეს“ გამო (1974). მგონი ათჯერ მაინც ჩატარდა სპექტაკლის დახურული გასინჯვა. სტურუამ პიესას ეპოქალური, პოლიტიკური, მეტაფორული გადაწყვეტილება მოუძებნა. მახსოვს დიქტატორების (მაო, პიტლერი, სტალინი) მეტაფორული კომპოზიცია, რომელიც სცენაზე პოლიტიკური თეატრის ემბლემასავით წარმოჩნდა.

უსაზღვროა პოლიკარპე კაკაბაძის თეატრის სივრცე. როსტომ ჩხეიძის წერილი იმასაც მიგვანიშნებს, რომ ქართულმა თეატრმა ხშირად უნდა გაიხსენოს კაკაბაძის სახელი.

პოლიკარპე კაკაბაძის პიესებში დიდი სიბრძნეა გამოხატული, სიბრძნე კი ყოველ დროში თანამედროვეა და ყოველი მთავრობის შემფოთებას იწვევს. განსაკუთრებით საშიში იყო იგი საბჭოთა ეპოქისათვის.

სუკის არქივში „ახმეტელის საქმის“ ტომეულეებში პოლიკარპე კაკაბაძის გვარიც არის მოხსენიებული.

ახმეტელის „მრავალ დანაშაულს“ შორის უპირველესად ნაციონალიზმს (თანაც ბურჟუაზიულს) მიიჩნევდნენ. სწორედ ამ კონტექსტში იხსენიება პოლიკარპე კაკაბაძეც. ახმეტელს განუზრახავს საზღვარგარეთ გასტროლებზე წაელო კაკაბაძის „ბახტრიონი“, გრიგოლ რობაქიძის „ლამარასთან“ ერთად.

იკვრება ნაციონალისტთა წრე: ს. ახმეტელი, პ. კაკაბაძე და გრ. რობაქიძე. მათი ნაწარმოებების გვერდით მოიხსენიება შალვა დადიანის „თეთნულდი“.

1937 წელია. გრ. რობაქიძე გერმანიაშია ემიგრირებული. „ლამარას“ სცენიდან მოხსნის წინააღმდეგ წავიდა ახმეტელი, „თეთნულდი“ უკვე დადგმული იყო, კაკაბაძის „ბახტრიონი“ კი 1929 წელს უნდა დაედგა ახმეტელს. მას შემდეგ სულ ცდილობდა პიესის დადგმას, მაგრამ ვერ შეძლო, თავის გამოსვლებსა და წერილებში ხშირად საუბრობდა „ბახტრიონის“ ორიგინალურ ფორმაზე, მის ხალხურობასა და სიბრძნეზე, მის ქართულ სულზე. სუკს ყველაფერი დაუფიქსირებია და აი, 1937 წელს ახმეტელს ბრალდებდა წაუყენეს კაკაბაძის პიესის დადგმის სურვილი და განზრახვა — პიესა გასტროლებზე წაელო საზღვარგარეთ. თუ რეჟისორს პიესის დადგმის სურვილსაც კი არ პატიობდნენ, ადვილი წარმოსადგენია, რა შეხედულებისა უნდა ყოფილიყო სუკი პიესის ავტორზე. ამ პერიოდ-

დისათვის კი პ. კაკაბაძეს უკვე დანერგილი ჰქონდა სახელგანთქმული „ყვარყვარე თუთაბერი“, „მინისძვრა ლისაბონში“, ე.წ. „მცირე პიესები“. იცნობდნენ მისი სამწერლო მოღვაწეობის სხვა სფეროსაც. ასე რომ, მის წინააღმდეგ საქმის შესადგენად ხელთ საკმაოდ მდიდარი მასალა ჰქონდათ.

ყვარყვარე, როგორც პოლიტიკური ავანტიურისტის დიდი მხატვრული სახე, მწერლის მიერ უკვე აღმოჩენილი იყო და იგი მოსვენებას არ აძლევდა პოლიტიკოსთა ელიტას. ხალხში აფორიზმებად დადიოდა ყვარყვარეს სიტყვები და ხალხის წიაღიდან დაბადებული გმირი უბრუნდებოდა ყვარყვარის სინდრომის სახით.

მაგრამ მწერალს განსაკუთრებით მოსვენებას არ აძლევდა „ბახტრიონის“ ბედი, მუდამ რალაცას ასწორებდა, ამუშავებდა, ამდებდა პიესას, ასე გრძელდებოდა წლებით. „კახაბერის ხმალი“ ვიდრე სრულყოფილ კლასიკურ სახეს მიიღებდა, რომელსაც ჯერ „ბახტრიონი“ ერქვა, შემდეგ „ბალათურის ხმალი“, „დავით მერვე“, და აი, ასე შეფარულად მოაღწია მან 50-იან წლებამდე. დღეს კი გასაგები ხდება, თუ როგორ ცდილობდა მწერალი სუკის მზერისაგან მოეფარებინა „ბახტრიონი“.

ათეული წლები იარა ბენვის ხიდზე პოლიკარპე კაკაბაძემ. მისი პიესების ბიოგრაფია, მათი შექმნის ქრონოლოგიური სისტემა ზუსტად წარმოაჩენს დიდი კომედიოგრაფის ბედს ტოტალიტარულ სამყაროში. ეს არის კაკაბაძის თეატრის ფორმირების პროცესი. მისი თეატრის სცენაზე თანდათან გამოჩნდნენ „სამი ასული“, პირველ მსოფლიო ომში დაღუპული ანდრია, პედრო და ყვარყვარე, ხარიტონი და გოსტაბში, ლიპარიტი, კიკოტე, შოშკობა და ხახული, მანუჩარი, როსტომი და ჯამლე-თი, გვირისტინე და გულქანა, და მრავალი სხვა. სახეთა რა საოცარი მრავალფეროვნებაა. როგორი გამორჩეული და თვითმყოფადი პიროვნებაა ყოველი მათგანი, მაგრამ ამასთანავე რა საოცარი კავშირია ყვარყვარესა და გოსტაბს, პედროსა და ყვარყვარეს, ხარიტონსა და კიკოტეს, ხახულისა და მანუჩარს შორის, ისინი ქმნიან ერთიანსა და მრავალფეროვან თეატრალურ სამყაროს, რომელსაც თითქოს დირიჟორით მართავს კაკაბაძის გმირი ევაგრი. იგი ბერიკების მოხეტიალე დასისაგან შემდგარ საკარნავალო, სამოედნო მორთულ-მოკაზმულ თეატრს ასე მიმართავს: „მამ, ჩემო დასო, მინიერ ცოდვა-მადლის კანონს ნუ გადაუხვევ ხელოვნებაში და ჭიდილითა და ერთიმეორესთან ყველამ თვისება საკუთარი გამოავლინეთ. ცუდი ხელოვანი მრყენელია ერის, თქვენ სულით უნდა იყოთ წმინდა, გონებით ბრძენი, რათა შეიცნოთ კაცთა მანკი თუ უბინობა და გარდაიქმნეთ თეატრონში მაცურებლებად, იმათ სულად და ხორცად, ვისაც წარმოგვისახავთ“.


ეს ვრცელი დიდაქტიკური შეგონება კრედაო, ესთეტიკური მრწამსია პოლიკარპე კაკაბაძის თეატრისა. და მართლაც, პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიაში, მისმა თეატრმა შეუკაზმელად თქვა სიმართლე.

პირველი პერიოდის პიესებმა „სამი ასული“, „გზაჯვარედინზე“, „გათენების წინ“, რომელიც ათიანი წლების მიწურულს დაინერა, ქართულ დრამატურგიაში ახალი სიტყვა მოიტანა. სიმბოლისტური პიესები გარკვეულად დაუპირისპირდნენ ყოფითი რეალისტური თეატრის დიდ ტრადიციას და აქცენტი ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოსახვაზე გადაიტანეს. ადამიანის სულის საიდუმლოების ამოხსნა, რალაც უცნობისა და ბუნდოვანის გრძნობა, ყველაფერი, რაც მიღმისეულია და შეუცნობელი, განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი გახდა.

1929 წელს პ. კაკაბაძეს რუსთაველისა და ქუთაის-ბათუმის თეატრში ახმეტელსა და მარჯანიშვილთან მიაქვს ორი პიესა: „ბახტრიონი“ და „ყვარყვარე თუთაბერი“. ეს არის სრულიად ახალი დრამატურგიის დაბადება, რომელიც თვისობრივად განსხვავებული თეატრალობის საფუძველი ხდება და დიდი კომედიოგრაფის ოსტატობით, სრულქნილი ხალხური ფორმებით სრულ ტრანსფორმაციას განიცდის. თანადროული მოტივები ორგანულად შეენიგებება მწერლის მხატვრულ სამყაროს და თანდათან მეტ მასშტაბებს იძენს და ბოლოს ფეხს იმდენად მოიკიდებს, რომ ყვარყვარე კაკაბაძის თეატრიდან გადადის ხალხში, ყვარყვარის შინაგანი მეტაფორად იქცევა. ხალხი მას ხედავს ყველგან, პარტიულ კლანებშიც და სამინისტროებშიც, სამეურნეო მუშაკებშიც და თვით პარლამენტშიც.

არცერთ ქართველ მწერალს კომედიოგრაფის თვალთ არ დაუნახავს ჩვენი ისტორია.

ნამდვილი გმირობა იყო პ. კაკაბაძის მიერ „კახაბერის ხმალის“ დაწერა. კაკაბაძის როსტომ ბრძენი ამბობს: „კაცის შუბლზე ორი ბედი წერია — ერთი სიზმრებისათვის და მეორე ცხადისათვის“. თითქოს ჩვენი ისტორია სიზმარულს მიაგავს, შორეულს, ირეალურს, სადაც ყველაფერს რალაც მსუბუქი, გამჭვირვალე საბურველი აკრავს. სიზმარი საერთოდ არ არის გაკილვის, დაცინვის საგანი, იგი ხელმეუხებელია, როგორც ჩვენი ისტორია. კაკაბაძემ კი დაარღვია წესი და პირდაპირ, როგორც ცხადლივს, რეალურს, სისხლითა და ხორციით სავსე სინამდვილეს, ისე შეხედა „შეუკაზმავად“ თქვა მანკიერებაზეც, მიგდებულ და დაჟანგულ ხმალებზეც, რომელზეც ხალხს რწმენა არ დაუკარგავს, სინათლის სხივი ანათებს ისტორიის წყვედი-ადმიც. ქართველი ხალხი მუდამ იბრძოდა თავისუფლებისათვის, ზოგჯერ უცნაურ



პოლიკარპე კაკაბაძე

რამესაც ფიქრობს კაცი, ქართველი ხალხი მთლიანია, შემოქმედი და აღმშენებელი. სწორედ ბრძოლის პროცესში (და არა დამოუკიდებლობის ჟამს) ყველაფერი სწორედ მაშინ შეუქმნია, როცა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უბრძოლია, მისი შემოქმედებითი გენია მხოლოდ ბრძოლებში იწრთობოდა.

ესეც პოლიკარპე კაკაბაძის თეატრის სამყაროს განეკუთვნება!

„მინისძვრა ლისაბონში“ პირველად 1924 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრში. პ. კაკაბაძემ შემდეგ ოცი წელი იმუშავა პიესის სრულყოფაზე. მრავალი წლის მანძილზე აღარ დადგმულა (ეს პიესა ახლახან განახორციელა მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ „პორტოპოლოს ტუსაღების“ სახელწოდებით). რატომ მოხდა ასე? ქართულ თეატრს მუდამ სჭირდებოდა ორიგინალური პიესები. ფიქრობთ, აქაც იგივე ფაქტორი მოქმედებდა, რაც „ბახტრიონის“ მიმართ. პიესის მთავარი გმირი პედრო შინაგანად გაორებული რევოლუციონერის სახეა. მის ხასიათში ზუსტად გამოიხატა რევოლუციის დამანგრეველი ძალა. ციხეებიდან გამოსული რევოლუციონერები სახელმწიფოს სათავეში რომ ექცევიან, საოცარ უკანონობასა და ძალადობას სჩადიან. ისინი უმწეონი არიან ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, მათ მხოლოდ ნგრევა შეუძლიათ, ნგრევის დროს კი ქვეყანა თავზე ექცევა, ჭუჭყი და ნალექი იწყებს საზოგადოების დემორალიზაციას. ეს კონცეფცია, რომელიც პიესაში ძვეს, ზუსტად გამოხატავდა ბოლშევიკური რევოლუციის სულს, მის არსს. გასაგებია, რომ ასეთ პიესას გზა არ ექნებოდა სცენისაკენ, თუმცა ამაზე ოფიციალურად არავინ ლაპარაკობდა.

როგორი თანადროული ჟღერადობა შეიძინა პიესამ, როცა ციხეებიდან გამოსული უკვე ინტელექტუალი რევოლუციონერები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, ქვეყანაში დადგა ნგრევისა და ღირებულებების გაუფასურების ფაზი, სახელმწიფოს მართვა აბსურდის თეატრს დაემსგავსა. თვით მართვის სისტემა იქცა ყვარყვარის მეთაფორულ სახედ.

სიბრძნე მუდამ თანამედროვეა, ცხოვრების დიდი სიბრძნე უდევს საფუძვლად პოლიკარპე კაკაბაძის თეატრს.

დრომ დაადასტურა დიდი დრამატურგის აზრის სისწორე. ახლა ხომ ნათელი გახდა, რომ ჩვენს ისტორიაზე ხშირად არასწორი წარმოდგენა გვქონდა. არ კმარა მარტო იმის ჩვე-

ნება, თუ როგორი უნდა ვიყოთ, არამედ ისიც უნდა აისახოს, თუ როგორი არ უნდა ვიყოთ. სწორედ ასეთ მრავალმხრივობაშია დანახული ჩვენი ისტორია კაკაბაძის თეატრში.

უკვდავია პოლიკარპე კაკაბაძის თეატრი და დღეს განსაკუთრებით ესაჭიროება მისი ფხიზელი გონება ქართველ ხალხს.

ვრცელთა პოლიკარპე კაკაბაძის თეატრალური სამყარო. სინანულით უნდა ვთქვა, რომ თანამედროვე ქართულმა რეჟისურამ ახლებურად ვერ გაიაზრა პოლიკარპე კაკაბაძის დიდი მემკვიდრეობა.

სიბრძნე ზედროულია და მასში ყოველი ახალი თაობა იპოვის თავისი ფიქრებისა და გრძნობების გამოძახილს.

ემზარ კვიციანი

მარადიული მხედარი

(გურამ რჩულიშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო)

გაგრამი 1960 წლის 23 აგვისტოს მომხდარი თავზარდამცემი ტრაგედია რომ არა, გურამ რჩულიშვილი, ვისაც დაბადებიდან 80 წელი უნდა შესრულებოდა (იგი სრულიად უცნობი ადამიანის გადარჩენას შეენირა), დღეს უთუოდ მსოფლიო სახელის მწერალი იქნებოდა. მისი შემოქმედებითი ნვა სულ ოთხ წელიწადს გაგრძელდა (1956-1960) და ამ ოთხ წელიწადში იმდენი შექმნა მოასწრო, უკვდავებისათვის სავსებით საკმარისია. ნაყოფიერებასთან ერთად, განცვიფრებას ინვესტაჟირებდა მრავალფეროვნებას (მოთხრობები, ნოველები, დღიურები, წერილები, პიესები, ლიბრეტოები, სცენარები, რომანის მონახაზი ხევესურთა ცხოვრებაზე, ლექსები...), რასაც ახალგაზრდა კაცი ასე უხვად იჩენდა.

გურამ რჩულიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელსაც სამაგალითო მეურვეობა გაუწიეს მწერლის დამმარინე რჩულიშვილმა და სიყრმის მეგობარმა, პოეტმა ნუგზარ წერეთელმა, ექვს ტომში განთავსდა, ხოლო ამ უნიკალური ექვსტომეულის გამოცემა ფინანსურად უზრუნველყო ჩვენი დროის გამოჩენილმა მხატვარმა-მონუმენტალისტმა და უშურველმა ქველმოქმედმა ზურაბ წერეთელმა, რისთვისაც იგი გულწრფელი მადლობის ღირსია.

საყოველთაოდ დამკვიდრებული აზრია, რომ გურამ რჩულიშვილის ასე უდროოდ დაღუპვა სამოციანელთა უმძლავრესი თაობის ყველაზე უფრო აუნაზღაურებელი დანაკარგია. სამწერლო ასპარეზზე მისი გამოსვლა დავითხვა ახალგაზრდობის საყვარელი ჟურნალის, „ცისკრის“ დაარსებას, რომლის პირველსავე ნომერში (1957) გამოაქვეყნა პირველი და უჩვეულო სიახლით აღბეჭდილი მოთხრობები.

გურამს საუკეთესო შეფასება მისცა და გზა დაულოცა ქართული პროზის გამოცდილმა, უზადო ოსტატმა გიორგი შატერაშვილმა, ხოლო შემდგომ მისი შემოქმედების გამო აღტაცებას გამოთქვამდნენ მეოცე საუკუნის აღიარებული კლასიკოსები — რევაზ ინანიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე... განსაკუთრებულ მზრუნველობას ამჟღავნებდა გურამ რჩულიშვილისადმი „ცისკრის“ პირველი, ამაგდარი რედაქტორი — გამოჩენილი მწერალი, ესეისტი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე, ვინაც მთელი ახალგაზრდობის გზის გამკვლევი და მოძღვარი იყო.

თავისი ესოდენ ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე გურამ რჩულიშვილმა შექმნა ისეთი ძალისა და ზემოქმედების მოთხრობები, რომელთაც ბევრი დიდი მწერალი უყოყმანოდ მოანერდა ხელს. ამათგან შეგვიძლია დავასახელოთ: „სალამურა“, „თვითთვითა“, „უსახელო უფლისციხელი“, „სიკვდილი მთებში“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, „ირინა“, „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“, „ალავერდობა“, „ბათარეკა ჭინჭარაული“, „დევების ცეკვა“, „ნათელა“...

გურამ რჩულიშვილი უნაკლოდ ფლობს დიალოგის ურთულეს ხელოვნებას და ამ დროს მის მოთხრობებსა თუ ნოველებში მცირედენ სიყალბეს, ზედმეტობას ვერსად იპოვით. თხრობაში თამამად შემოაქვს დოკუმენტური პროზის ელემენტები, რაც მის უტყუარ ალლოსა და დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს. ეს ცალკე წერილის თემა გახლავთ. უშელავათო, დაუნდობელი სიმართლის წერაში იგი ძალიან გავდა ჯეკ ლონდონს. ამაზედაც საჭიროა დაფიქრება.

იგი თვეობით ცხოვრობდა და მუშაობდა ხოლმე ორმოცდაათიანი წლების მოსკოვში, ოთახი ჰქონდა დაქირავებული. კარგად იცნობდა იქაურ ლიტერატურულ ბოჰემას, ხშირად იმყოფებოდა კავებებსა თუ სალუდებში, აკვირდებოდა იმ უცნაურ თავშესაყრელებში მოხვედრილთ, რამაც მის დღიურებში ჰპოვა თავისებური ასახვა. რუსულ თემას საკმაო ადგილი უჭავია მწერლის ნოველებსა და ესკიზებში („რუსი გოგონა ზღვაზე“, „პირველად ტრამალებში“, „როგორ გამოიცვალა იგორ კაბლუკოვი“, „სიქსტის მადონა მოსკოვში“, „დღიური“, „კიდევ ჩრდილო კავკასიაში ჰყვებოდნენ“, „შპილა“...).

ნამიკითხავს სრულიად ყმანვილი გურამ რჩულიშვილის დღიურები, სადაც იგი უღრმეს აზრებს, ძალზე საყურადღებო დაკვირვებებს გამოთქვამს რუსული და მსოფლიო პროზის ორ გიგანტზე — ტოლსტოისა და დოსტოევსკიზე. ეს და სხვა დღიურებიც სასურველია რუსულად ითარგმნოს.

თუ რაოდენ მახვილი, მრავალთაგან განსხვავებული თვალის აქვს გურამ რჩულიშვილს და რამდენად პოეტური, დინამიკურია მის მიერ აღქმული გარე სამყარო, ბუნების გრანდიოზული სურათები, ამის ნათელსაყოფად ორიოდ აბზაცის ამონერაც იკმარებს:

„მზემ ხეობა მიატოვა საღამო ხანს, ბნელში დარჩა მოკლული ჯიხვი, რომელიც ეხში ჩამქრალი ნაკვერჩხლების წინ დააგდო ვაჟმა, სხივები ქედის გასწვრივ განვხენ და დააბრმავეს თავისი სიმშვენიერით მონადირე. მთის დატეხილ ხერხემალზე ხეობიდან ავარდნილ ხარ-ირემს გამოუდგა, მთელი ღამე სდია გონებაგამავეებულმა და დილით დაენია. ისრის სასროლად მოზიდულ მშვილდს მზის პირველი სხივი დაეცა ოჩოპინტრეს თვალთან ერთად. ხელიდან გაუვარდა ფიცის გამტეხს სასროლი, მოსაზიდად მოხრილი მკლავი გაუშეშდა, აეყარა ძარღვები წყრთასა და მხარს შუა. არფის სიმბივით გაება და დაეჭიმა, ტანი ცხენს შეეზარდა, რომ არ გაჩერებულიყო მისი ჭენება ნადირის საძებნელად და მეტი მწუხარება მიეყენებინა ნადირო-

ბის უნარს მოკლებულისათვის; მხოლოდ საისრე მარჯვენა ხელი დარჩა თავის ნებაზე მოძრაობა; ჩამოჰკრავდა იმ ხელს სიმებად ქცეულ ძარღვებს და მღეროდა, რადგან არაფერი შეეძლო ნადირობისა და იმ ვნების გამოხატვის გარდა, რომელსაც მასზე მოგონებით სიმებს ათქმევინებდა“.

(„ბათარეკა ჭინჭარაული“)

„ძილი არის ბუნების მშვენიერება! ხოლო ყველაზე კარგი ძილი მთებს შორის თეთრულდმა იცის. ის იცდის ყველაზე მეტ ხანს, ზურგს უკან მალავს თავისი სილამაზის სარკეს და როცა ყველაფერი შეწყვეტს მის გარშემო მოძრაობას, იხდის თავის საფარველს, მაღლა სწევს ნელი, ჰარმონიული მოძრაობით აქამდე დამალულ მთვარეს, ლამისაგან გაბრუნებული იხედება შიგ, იმშუმნება, ქულა, ქათქათა ღრუბლის ბალიშზე მისდებს თავს და სიზმრებად იქცევა“.

(„დევეების ცეკვა“)

დანარჩენ შედეგებს აღარ მოვიხმობ. ისედაც ცხადია, როგორი გამოგნებელი ხილვები, რა ძალისა და სიღრმის მითოსური აზროვნება აქვს ამ სტრიქონების ავტორს.

გურამ რჩეულიშვილის ხელნაწერები, მწერლის დალუპვის შემდეგ, მრავალი წლის მანძილზე, საგულდაგულოდ, დანვრილებით შეისწავლა მისმა დამ, ჩვენმა ერთ-ერთმა საუკეთესო გერმანისტმა, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ჩინებულმა მცოდნემ მარინე რჩეულიშვილმა. სწორედ მისი დაუღალავი გარჯის ნაყოფია, რომ ჟანრულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განლაგებულ თვითუფილ ნაწარმოებს ხსენებულ ექსტრემულში ვრცელი, ამომწურავი და ყოველმხრივ სანდო კომენტარები ერთვის, რაც მთელი სისრულით წარმოგვიჩინა გურამ რჩეულიშვილის ფრიად ორიგინალურ ფენომენს, მისი, როგორც შემოქმედის, არაერთ თავისებურებას.

თითქმის ყველაფერი, რაც ამ ტომეულებშია შეტანილი, მარინე რჩეულიშვილის თვალწინ იქმნებოდა, იგი უშუალოდ აკვირდებოდა სათაყვანებელი ძმის წერის პროცესს და კარგა ხანია მუშაობს დიდ წიგნზე (ცალკეული თავები გამოქვეყნებულიც არის), რომელიც საბოლოოდ ბიოგრაფიული რომანის სახეს მიიღებს და ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, ქართული დოკუმენტური პროზის მშვენიერება იქნება.

კულტურის ისტორიამ იცის კურიოზული შემთხვევა, როცა და უკიდურესად გადამეტებულ ინტერესსაც კი იჩენდა გარდაცვლილი ძმის დანატოვარის მიმართ, მაგრამ ამას სავალალო შედეგი მოჰყოლია. ასეთად ცნობილია, მაგალითად, უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს და ელიზაბეტ ფიორსტერ-ნიცშე, რომელმაც, მემკვიდრეობის უფლებით, ხელთ იგდო გენიალური ძმის არქივი, ხელი მიჰყო ყოვლად აღმასფთვებელ ფალსიფიციერებას, უამრავი ფაქტი და წერილი თვითნებურად გადააკეთა, შეგნებულად დაამახინჯა ნიცშეს ბიოგრაფია და, ამდენად, შემდგომი დროის მკვლევარები, ფილოსოფოსები აშკარა უნდობლობას უცხადებენ მის მრავალტომიან მონაწილას ნიცშეს ცხოვრებაზე, „შთაგონებული უსინდისობის“ გამოვლინებად მიიჩნევენ. თვით ნიცშეს ზოგიერთი ჩანაწერიდანაც ირკვევა, რომ იგი ელიზაბეტს თავისი აზრთა წყობისა და ფილოსოფიის შეურიგებელ მონინალმდებელ რაცხდა.

აქვე საგანგებოდ მინდა აღვნიშნო — გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებასა და ცხოვრებას განუზომელი ამაგი დასდო პოეტმა და მეცნიერმა ნუგზარ წერეთელმა, ვინაც ზედიზედ სამი მშვენიერი წიგნი უძღვნა დაუვინყარ მეგობარს. ადრეც მითქვამს, მან იგივე გმირობა ჩაიდინა, რაც მაქს ბროდმა გააკეთა თავისი გენიალური მეგობრის, ფრანც კაფკას მიმართ.

მე საგანგებო წერილი გამოვაქვეყნე ნუგზარ წერეთლის მესამე, მრავალმხრივ საყურადღებო, ანგარიშგასაწევ წიგნზე „გურამ რჩეულიშვილის ლეგენდა გრძელდება“ (2012). მასში ბევრი ისეთი რამეა ნათქვამი შეულამაზებლად და თამამად, რასაც უმკაცრესი საბჭოთა ცენზურის პირობებში ავტორი ვერასგზით იტყოდა. აქ აღარ მოვიყვან გატაცებით საკითხავ ცოცხალ, დრამატულ ეპიზოდებს, რითაც აღსავსეა ეს ფათერაკებიანი მონათხრობი.

ხანგამოშვებით, როცა შესაფერისი განწყობილება ეწვეოდა, გურამ რჩეულიშვილი თავისუფალ, ურითმო ლექსებს წერდა. აქაც ლაღად, ძალდაუტანებლად ავლენდა საკუთარ მანერას, უშიშარ, რაინდულ სულს. დალუპვის წინააღმდეგ, გაგრძედა, უკანასკნელი, ნაღველმოძალბებული ლექსი ჩა-



გურამ რჩეულიშვილი

უნერია. მასში იგი ღვთისმშობლის სახელის მოზიარეს და თავისი გულის უპირველეს მესაიდუმლეს, საფიცარ დედას, ქალბატონ მარიამ ნიჟარაძეს, ავი წინათგრძნობით შეპყრობილი, ასე მიმართავს:

**დედა, ნუ ჩამოხვალ ზღვაზე,
ზღვა ძალიან ღელავს,
შენ სუსტი ხარ, დედა,
ზღვა დაგახრჩობს შენ,
მე თოლია ვარ,
ქარს და ტალღებს ვეთამაშები.**

ჩვენდა სავალალოდ, ტრაგიკულად, საბედისწეროდ დამთავრდა აბორგენულ სტიქიასთან ეს წრეგადასული თამაში.

სხვა ძვირფას მასალებთან ერთად, ხსენებული წიგნის ერთ-ერთი მშვენიერებაა გურამ რჩეულიშვილის უკანასკნელი ფოტო, 1960 წლის აგვისტოს გაგრაშივე რომ გადაუღია, რათა ასე გაცისკროვნებული, ბედთან მოთამაშე დარჩენილიყო ჩვენს ხსოვნაში — მძლავრი, დაუმარცხებელი ხელის მტევნები თქმელებზე აქვს შემონყობილი, შავი ხალათი გადაუღვლია და, თავშიშველს, სახეს ღვთაებრივი, ანგელოზური ღიმილი უნათებს. ამგვარად გალიმება მხოლოდ მარადისობის, უკვდავების კარიბჭესთან შეიძლება.

ისიც მიფიქრია — ცაში ავარდნილი ალავერდის ტაძრის გრძელსარკმელებიანი გუმბათის მორკალულ, ხორკლიან კედელს სამუდამოდ შერჩება მისი მხარბეჭიანი, ხელეშაშვერილი, სანთლების ალზე მოცანცახე ლანდი.

ბოლოს ამასაც ვიტყვი — ჭაბუკად დარჩენილ გურამ რჩეულიშვილს და მის დაუოკებელ, აწყვეტილ ვნებებს როცა ვისხენებ, იგი ყოველთვის წარმომიდგება, როგორც ალავერდობის დღესასწაულის დროს მოტაცებულ ცხენზე ხელმართული და უსასრულობისკენ ყიჟინით გავარდნილი მარადიული მხედარი.

ეკა ბუჯიაშვილი

„დაკარგულ საფლავს ვეძებდი“...

1857 წლის ოქტომბერი.

წირვანზე მყოფს მიაკითხავენ პოლიციელები.

უარს განუცხადებს:

— მოგახსენებთ, რომ როცა ლოცვადა ვდგევარ, ჩემთვის სხვა საქმე, გარემო ლოცვისა, არ არსებობსო.

ძვირად დაუჯდება ეს ფრაზა კონსტანტინე დადეშქელიანს.

გენერალ-გუბერნატორის ალექსანდრე გაგარინის კაბინეტში დატრიალებულ ტრაგედიას სვანეთის მთავრის დახვედრა და მისი სამთავროს გაუქმება მოჰყვება, კონსტანტინეს მამული „სახაზინოდ“ გამოცხადდება, მის ძმებსა და მემკვიდრეებს საქართველოდან გაასახლებენ, ეს ამბავი კი, ლამის მითოსის საბურველში გამოხვეული, ათწლეულების განმავლობაში ლეგენდასავით ვადმოეცემა თაობები.

ანდრეზის გმირივით იტრიალებს კონსტანტინე დადეშქელიანის სახელი ხალხში და არაერთი მკვლევარი შეეცდება საუკუნოვანი ბურუსით მოცულ ლაბირინთებში გზის გაკვლევასა და რეალური სურათის აღდგენას.

მათ შორის თამაშობს ანტონოვიჩი, ვისი წიგნიც „დადეშქელიანთა ამბავი“ როსტომ ჩხიძიძე უწერდა „ჩვენი მწერლობის“ — იმავე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების — მორიგ თავყრილობაზე წარუდგინა შეკრებილთ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში:

...„და ამაყყალი ჯავრისა“

— თემურ ამყოლადე — ადამიანი, რომელიც იმთავითვე მონაწილეობდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავყრილობებში.

უწერდა „ჩვენი მწერლობის“ პრემიის ლაურეატი კრიტიკის დარგში.

მრავალმხრივი შემოქმედი, რომელმაც ყველა ჟანრში მოსინჯა შესაძლებლობანი — პროზაშიც, პოეზიაშიც, სალიტერატურო კრიტიკაშიც, დოკუმენტურ პროზაშიც... და ყველგან საგულისხმოა მისი ნაწარები.

და აი, როგორც იქნა, განვიხილავთ მის წიგნს, რომელიც ძალიან კი დაგვიანდა, მაგრამ გამორჩეულია არამარტო ბატონი თემურის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ სამწერლო ცხოვრებაშიც.

ეს არის XIX საუკუნის ქართული ქრონიკა, მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის წიგნი, რომანი, ძალიან სანდო და ობიექტური, ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი საქართველოს ისტორიაში, რომელიც ასახავს სვანეთის სამთავროს გაუქმებას, მისი ბატონ-პატრონის კონსტანტინე დადეშქელიანის დაპატიმრება-გადასახლების მცდელობას — როცა შეურაცხყოფილი და უფლებაყრილი მთავარი იძულებულია ხანჯალზე წამოაგოს გუბერნატორი და ამით კიდევ გადადოს თავი სიკვდილით დასჯისათვის.

ათასგვარი ლეგენდითაა შებურვილი ეს ამბავი და ბატონი თემური ის ადამიანია, რომელიც ამ ათასწიერ ჭორს არ დაგიდევს და ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენს რეალურ სურათს.

თავიდან არც ეგონა, რომ რომანს დაწერდა.

უბრალოდ სურდა, ეს ეპიზოდი დაეხატა და წარმოეჩინა მიუკერძოებლად და რაც შეიძლება სრულად.

მერე უკვე დადეშქელიანთა ისტორიითაც დაინტერესდა, გვარისა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წი-

ნაშე. აღადგინა იმ პიროვნებათა პორტრეტებიც, რომელთაც გამორჩეული კვალი დააჩნიეს საქართველოს ისტორიას და ასე შეიქმნა ეს დიდი წიგნი — ფორმატივით და შინაარსითაც.

მოგვიანებით, როცა მანანა კვატაია, ვისაც საზოგადოება იცნობს, როგორც საინტერესო ლიტერატორს, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მკვლევარს, ვრცელი და საგულისხმო აქცენტებით გამორჩეული მოხსენებით მიმოიხილავს ამ წიგნს და თემურ ამყოლადის კინემატოგრაფიულ ხედვასაც აღნიშნავს, როსტომ ჩხეიძე ამასაც იტყვის:

— არა მხოლოდ კინოში, სცენაზეც კარგი იქნება ამ რომანის გაცოცხლება, თუკი დაინტერესდებიან თეატრის რეჟისორებიც.

მითუმეტეს, რომ ამბავი ამბად და... მეტად ტრაგიკული ფონიც იხატება ეპოქისა.

— გაუქმებულიყო უკანასკნელი ქართული სამთავროები, აფხაზეთილა რჩებოდა და შვიდიოდ წელიწადში იმასაც გააუქმებდნენ — 1864 წელს კავკასიის სრულ დამონებას უპატიჟებდა მეფისნაცვალ იმპერატორს, — ასე შეგვახსენებს ამ ტკივილს თავის სიტყვაში ნანა კუცია.

ტკივილს, რომელსაც კავკასიურ ეპოპეად „ელისოს“ ამოაჭრიდა ალექსანდრე ყაზბეგი.

ვაჟას ხმალი დაიჩივლებდა — „არა ჩანს ხელის შამქცევი და ამამყრელი ჯავრისაო“.

ჩანდა — კონსტანტინე დადეშქელიანი — ხელის შამქცევიცა და ჯავრის ამამყრელიც, მითოსის გმირი, რანდი, ჩინოვნიკთა, კარისკაცთა საუკუნეში იმისთვის რომ ამოჩენილიყო, ქვეყნისთვის ღირსების განცდა დაებრუნებინა.

— აი, წიგნის ღირსებათა დასტურად კი მთელი ტექსტის გადმონერა იქნებოდა უპრიანი. მარტო ის რად ღირს, ქუთაისში სვანთა და აფხაზთა ორმოცდაათკაციანი რაზმის გამოჩენა, აკი ამდაც აჩქარდა გაგარინი, ვინ იცის, რას მოიმოქმედებენ შეიარაღებული სვან-აფხაზებიო.

თუნდა ამ პასაჟისთვის უნდა ითარგმნოს და გაიგზავნოს „დადეშქელიანთა ამბავი“ გაგარინ-უსლარ-ბარიატინსკების არჩივად მთენილ აფხაზეთში, — იტყვის ქალბატონი ნანა, ვისთვისაც თემურ ამყოლადის ეს წიგნი მეხსიერებაში „ჯაყოს ხიზნების“ ქრესტომათიულ პასაჟსაც აღვიძებს — „თემურაზი სხვენე ჩრჩილნაჭამ სიგელ-გუჯრებს რომ იპოვის და ჩაულრმავდება, ხელნაწერებში კი არაფერი აღმოჩნდება, გარდა ხევისთავთა უთავბოლო ბრძოლისა ამილახვრებს, ერისთავებს, მაჩაბლებს, ამირეჯიბებსა თუ სხვა მახლობელ თუ შორეულ ქართველ მეზობლებთან.

კიდევ ამიტომ ეპატრონება საქართველოს ჯაყოო, — გამჭვირვალედ მიანიშნებს მიხილ ჯაყახიშვილი.

იგივე მინიშნება კრთება „დადეშქელიანთა ამბავშიც“, სიგელ-გუჯრებზე, „სულთა მატანეებზე“, ლეგენდებზე, ხალხურ ლექსებზე, საარქივო ქალაქებზე, იმპერატორთა რესკრიპტებზე, მთავარმართველ-მეფისნაცვალთა დასკვნებზე, ჩინოვნიკთა პატიკებზე, მამულიშვილთა თუ მედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით ეპიკურ თხზულებად რომ აუკინძავს „მონაღვლე“ ავტორს“.

ეს ეპიკური თხზულებაც „მონაღვლე ავტორის“ ძალისხმევაცა და შუა საუკუნეებიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე მოყოლებული ამბებიც, წიგნში კონკრეტულ პიროვნებათა ხვედრიდან ქვეყნის ბედისწერამდე რომ განზოგადდება, ასე შეაფასა მომხსენებელმა მანანა კვატაიამ:

— წიგნის ავტორი გამოცდილი მკვლევარი და მწერალ-დოკუმენტალისტი გახლავთ, — იტყვის ქალბატონი მანანა და ნიმუშად მოიყვანს მის სხვადასხვა დროს გამოცემულ წიგნებს: „დავინყებული ამბავი“, „ყაჩალი დვალისვილები“,

„ოცი წლის წინათ“, „ზღვარი“... ასევე ქრონიკები: „მიტროპოლიტი ნაზარის უკანასკნელი დღეები“, „წმიდა გიორგის ეკლესიის ნეკროპოლი“ და ა.შ.

„დადემქელიანების ამბავს“ კი, თემურ ამყოლაძის მრავალწლიანი სამეცნიერო და ლიტერატურული შრომის შედეგს, თავების მიხედვით მიმოიხილავს — ექსპრესიულ დასაწყისიდან ფინალამდე, კონსტანტინე დადემქელიანის საფლავის ძიებამდე.

მისი თქმით, პირველი ნაწილი დადემქელიანთა ისტორიაა, ამ ძირძველი გვარის ფესვების ძიება, რომლის დროსაც ავტორი კრიტიკულად აფასებს უკვე გავრცელებულ შეხედულებებს ამ გვარის წარმომავლობის შესახებ. ქალბატონი მანანა მოხსენებაში ამ თვალსაზრისით რამდენიმე საინტერესო პასუხსაც გამოარჩევს წიგნიდან.

მეორე ნაწილი ასახავს პერიპეტიებს, რომლებიც მოჰყვა სვანეთის გადასვლას რუსეთის მმართველობაში.

წიგნის მესამე ნაწილი კი — დადემქელიანებისა და დადიანების ისტორიული დავის ამბებს, რომლის უმთავრესი მიზეზიც სამურზაყანო გახლდათ.

ძალზე დრამატულად მიიჩნევს იმ მონაკვეთს, თავისუფალი სვანეთის, კერძოდ, უშგულის, დამორჩილების მოსურნე ფუთა დადემქელიანის ტრაგიკულ ისტორიას — სვანეთში დღესაც რომ ცოცხლობს გადმოცემა, თუ როგორ მოკლა მთელმა სოფელმა ფუთა, მისი სისხლი ერთ კაცს რომ არ დაბრალებოდა, საერთო ძალისხმევით ჩამოსხმული და ერთიანი ძალით გასროლილი ტყვიით, და ფუთას შთამომავალთა ისტორიის აღწერით იწყებს დადემქელიანთა ახალ ეპოპეას.

თუმცა წიგნის, როგორც მხატვრულ-დოკუმენტური რომანის ქარგა მაინც კონსტანტინე დადემქელიანის ამბავია, გაგარინის მკვლელობა, ტრაგიკული საველე მოვლენები, რომლებიც მოჰყვა ამ ფაქტს და საბედისწეროდ ექცა საქართველოს.

მათ შორის ისიც, თუ როგორ გამოიძახეს 1857 წელს სამეგრელოს დედოფალი პეტერბურგს უმაღლესი რესკრიპტით.

— ეკატერინეს ამ წლის 25 ოქტომბერს უნდა დაეტოვებინა საქართველო და ფოთში გემის მომზადება უბრძანებია. ამავე დროს კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკი სადადემქელიანო სვანეთზე სამხედრო შეტევას ამზადებდა. სისხლისღვრის აცილება ძმებს — ალექსანდრე და კონსტანტინე დადემქელიანებს — სვანეთიდან გარიდებით მოუხერხებიათ: ისინი ნებით ჩაბარებიათ ხელისუფლებას.

ქალბატონი მანანას თქმით, წიგნში საინტერესოდ იკითხება ქვეთავი „როგორ გაიყვანეს სამეგრელოსა და აფხაზეთის უკანასკნელი მთავრები“, ასევე, ძალზე დეტალურად, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობითაა აღწერილი ქუთაისის წმიდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა, სადაც საბოლოოდ გადაუსვენებიათ კონსტანტინე დადემქელიანის ნეშტი;

მეცნიერული სიზუსტითაა აღწერილი დადემქელიანთა მონაცემები, საარქივო და დოკუმენტური წყაროებითაა დადგენილი მათი ბედი; ავტორს არ გამოორჩენია მონამეთას მონასტრის კოშკის ისტორიაც, რომლის ამბებიც მურზაყან დადემქელიანის სახელს უკავშირდება; დიდ მეცნიერულ ინფორმაციას მოიცავს თავი „დადემქელიანთა გვარის გენეალოგიური ტაბულები“...

თემურ ამყოლაძის, როგორც მწერალ-დოკუმენტალისტის ოსტატობა კი ნათლად ჩანს IX თავშიც „ალექსანდრე (ციოყ) დადემქელიანის მკვლელობა“, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისის სკანდალურ ისტორიას აღწერს — მოკ-



თემურ ამყოლაძე, როსტომ ჩხეიძე, მანანა კვატია

ლულის მეუღლისა და უჩა დადიანის სამიჯნურო ამბავს და მის ტრაგიკულ შედეგებს — და საამისოდ არ ღალატობს საკუთარ გეზს: კვლავ უხვად მოიხმოს და შეაჯეროს არსებული დიდძალი ფაქტობრივი მასალა.

ქალბატონი მანანა თემურ ამყოლაძის წერის მანერასა და სტილზეც ისაუბრებს და ასე დაასრულებს გამოსვლას:

— კვლავ გრიგოლ რობაქიძის სიტყვები გამახსენდა: „ქართული რასსა რაინდული სისხლით არის აცეცხლებული... ვალმერთებთ სიცოცხლეს, როგორც ცეცხლის მოთაყვანე წარმართები და ყველაზე მეტად უდარდებობას ვაფასებთ. გვიყვარს ლაგამახსნილი ქეიფი და გვათრობს ალესილი ხმლის სისხლიანი სიმღერა... ჩვენ რასას ჯერ წვეთი არ დასცემია... არც სიკვდილის გვეშინია“.

ეს შესანიშნავი გამოცემა ცნობილ კონცეპტსაც მახსენებს და მკაცრ ბედისწერას შერკინებულ ზვიად დადემქელიანებზე შექმნილი წიგნის ლაიტმოტივი ამგვარად მესახება:

Amor Pati — გვარის ისტორიული გენეტიკური კოდი.

„მთვარე ერთია, მზა ერთი, მზრზაყანც ერთადერთი“...

ჯერ კიდევ წიგნად გამოცემამდე, ჟურნალ „განთიადის“ ფურცლებზე რომ იბეჭდებოდა ამონარიდები, დიდი გამოხმაურება მოჰყვა თემურ ამყოლაძის რომანს.

— ეს ბუნებრივიცაა — ასეთი ნაშრომები ყოველთვის იწვევს მეცნიერულ კამათს. შემხვევითი არ არის, რომ მერაბ კეზევაძე გამოეხმაურა რომანს, ვინც მიიჩნევს, რომ კონსტანტინე დადემქელიანი სხვა ადგილას დახვრიტეს.

ელგუჯა თავბერიძეც აპირებს ჩაერთოს ამ დისკუსიაში ჟურნალ „მწვანეყვავილას“ ფურცლებზე... და ლიტერატურული პროცესიც ეს არისო, — დასძენს ბატონი როსტომი, ჟურნალ „განთიადის“ რედაქტორი რეზო ქვიშვილი კი შეხვედრაზე იმაზე ისაუბრებს, როგორ გამოორჩეულ პატივს სცემდნენ კონსტანტინე დადემქელიანის ხსოვნას ქუთაისში, დათემიძის (დადემქელიანთა გვარის განაყოფი მშო) გორის სახელობით ცნობილ ადგილსაც შეახსენებს შეკრებილთ და ამ პიროვნების შესახებ ქალაქში გავრცელებული ლეგენდის მისთვის ცნობილ ვერსიასაც.

— მე ასე მსმენიაო... — იტყვის და ცალკეულ ეპიზოდებს მოგვითხრობს. კერძოდ, კონსტანტინეს დაკავებისა და დახვრეტის ტრაგიკულ სურათს აღწერს.

დასასრულ კი:

— თემურ ამყოლაძემ დიდი შრომა გასწია ამ გვარის კვლევისა და კონსტანტინე დადეშქელიანის სახელის უკვდავყოფისათვის.

უკვდავი კი ლექსიც უძღვნა აკაკი წერეთელმა „მურზაყან შავსედიანი“.

აბა, ახლა დაწერონ ასეთი სტრიქონებიო, — და ცალკეულ სტროფებსაც წაუკითხავს შეკრებილთ:

„მთვარე ერთია, მზე ერთი, მურზაყანც ერთად-ერთიო...“
ლექსები კი ამ შეხვედრაზე კიდევ გაიჟღერებს.

ჯერ გენო კალანდია წაიკითხავს სტრიქონებს საგალობელთა ციკლიდან: „მინანერი თემურ ამყოლაძის წიგნზე „დადეშქელიანთა ამბავი“, იმასაც იტყვის, თემურს ვიცნობ, როგორც შესანიშნავ პოეტს, კრიტიკოსს, ლიტერატორს და, მართალი გითხრათ, ცოტა გამიკვირდა, რამდენი უშრომია და რამხელა წარმატებებისთვის მიუღწევია მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაშიცო. მერე კი, როგორც თვითონ აღნიშნა, „მეგრული სეპარატიზმით“, იმასაც ინატრებს, ნეტა ასეთი წიგნი დადიანებზეც შეიქმნასო.

დოკუმენტური პროზის მნიშვნელობას გამოარჩევს თავის სიტყვაში **გია ბენიძე** და იტყვის, რომ დღეს ლიტერატურულ სივრცეში სწორედ ის ხანაა, როცა წინა პლანზე სწორედ ეს ჟანრი იწევა, რადგან მხატვრულ რეალობას მკითხველი არსებული სინამდვილის შეცნობას არჩევს. თემურ ამყოლაძემ კი საკუთარ თავში მწერალი და მკვლევარი გააერთიანა და თაობებს დაუდო ძალიან მნიშვნელოვანი წიგნი, რომელშიც მთელი ეპოქა გაცოცხლებული, თანაც ისე, თითქოს შედისარ იმ სივრცეში, იქაურობის სულს გრძნობ, მაჯისციემას... და ამ ადამიანთა პიროვნულ თუ ეპოქალურ ტრაგედიას მათთან ერთად განიცდი.

თავისი გამოსვლა ლექსით დაასრულა ბატონმა გიამაც და შეკრებილებს თემურ ამყოლაძე პოეტური ასპექტით წარუდგინა.

ყველაზე ჭკვიანი ცხოვრება

ლექსები ლექსებად და... რომანი კი თითოეული დადეშქელიანის ამბავზე შეიძლება დაინეროს, — ასე ფიქრობს **თემურ ქორიძე**, ვის სიღრმით გამოარჩეულ გამოსვლებსაც არაორდინარულობის ხიბლიც აქვს ხოლმე და ახლაც ასევე ექსპრესიულად განუმარტავს შეკრებილთ, რომ სწორედ ასე ინერებოდა ისტორია, რომელსაც სწორედაც გვარები და პიროვნებანი ქმნიდნენ და არც ის არის შემთხვევითი, რომ სვეტონიუსმა იულიუს კეისრისა და რომის 11 იმპერატორის ბიოგრაფია შექმნა, ზოგის ჩრდილი დღემდე რომ აწევა რომსაც და, საერთოდ, ევროპულ კულტურასაც, ზოგიერთი კი ახლაც ბრწყინავს თავისი პირვანდელი ბრწყინვალეობით.

კონსტანტინე დადეშქელიანის ამბავი კი, ბატონი თემურის თქმით, ნიმუშია იმისა, რომ ადამიანები ყველაზე მნიშვნელოვან წუთებში ყველაზე ძვირფასს — სიცოცხლეს გაიღებენ ხოლმე მსხვერპლად.

და ეს უნარი, უნარი მსხვერპლშენიერვისა, რომელიც ყველას და ყველაფერს გააბრწყინებს ისტორიის პირისპირ დგომისას, გვირგვინად ადგას დადეშქელიანების ამბავსაც.

ეს ის გვირგვინია, ეკლის გვირგვინამდე რომ აიზიდება თავისი მნიშვნელობით და გაცილებით ღირებულთა ისტორიისათვის, შთამომავლობისთვის, მთელი ქვეყნისა და, მეტიც, კაცობრიობისათვის, ვიდრე ნებისმიერი მონარქის თავზე გაბრწყინებული სამეფო ატრიბუტი.

— ჩვენ გადავეჩვიეთ ისტორიის მართალ წაკითხვას.

სამწუხაროდ, ეს ჩვენი დროის (თუმცა ალბათ არა მხოლოდ) სენია... და ზოგჯერ ისტორიკოსებიც ხელს გვიწყობდ-

ნენ იმაში, რომ ჩვენ-ჩვენი სამზერიდან დაგვენახა გარდასული ამბები.

მაგრამ ხანდახან დგება ის დროც, როცა ძალიან მოგენატრება ხოლმე ბრძნული სიჩუმე — რაზეც წერდა კონსტანტინე გამსახურდია — როცა შეგიძლია განმარტოვდე ასეთ ისტორიებთან, რათა კიდევ ერთხელ იშვას ქართველი თავის თავში... და რაც უფრო ხშირად მოხდება ეს, მითუფრო ხანგრძლივი და შინაარსიანი იქნება ჩვენი, როგორც ერის სიცოცხლე.

მითუმეტეს საგულისხმოა ეს ყველაფერი ერისთვის, რომელმაც 70-წლიან იმპერიას დააღწია თავი. სწორედ ამიტომ აღნიშნა **თემურ ნადარეიშვილმა**:

— არც კონსტანტინე დადეშქელიანს ეუბნებოდა ვინმე, რომ პატიმარი იყო, არადა რეალობა ეს გახლდათ. თითქოს ამ ადამიანის ბედში გასიმბოლოებულიყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაც — 70 წელი ჩვენც პატიმრები ვიყავით და არავინ გვეუბნებოდა ამას. შექსპირისა არ იყოს, „ჩვენ ვიკვებებოდით დაპირებებით“...

პოლიტიკური ვითარების შეცვლამ კი შეიძლება ადამიანი ისე აქციოს დამნაშავედ, თვითონაც ვერ მიხვდეს ამას. როცა ამხელა იმპერია გიპყრობს, ადამიანი, რომელიც იმ რეალობისათვის მიუღებელია, შესაძლოა დამნაშავედ იქცეს.

ამხელა სამთავროს ბატონ-პატრონი ხარ?

ეროვნული კაცი ხარ?

უკვე დამნაშავე ხარ მაშინ.

მაგრამ ყველაზე ჭკვიანი თვითონ ცხოვრებაა, რომელიც თავისთავად ალაგებს ყველაფერს...

და ეს წიგნი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ამაზე.

მეტიც:

სვანეთში ნამყოფი ვარ.

დადეშქელიანების კომპიც მინახავს.

მაგრამ თემურ ამყოლაძის რომანის წაკითხვის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა თვალთ დავინახავ იქაურობასო.

უფრო მეტი, ვიდრე გვირგვინი

— ამაყად უნდა იარო კაცმა, რომელიც ამ წიგნის წაკითხვისას წამიერად მაინც დადეშქელიანად იგრძნობ თავს, — ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა **თემურ ქორიძემ** და, წარმოიდგინეთ, როგორი განცდა დაეუფლებოდა **ბიმურზა დადეშქელიან-აფრასიძეს**, მემკვიდრეს ასეთი დიდი წინაპრებისა. აკი იტყვის კიდევ:

— თითქოს ჩემი ბავშვობა ცოცხლდება, როცა ამ წიგნს ვკითხვლობ.

დიდი შრომა გაუწევია ბატონ თემურს, იგი არ კარგავს არც თავის პოზიციას და არც სხვებისას. ეს რომანი დოკუმენტურ მასალაზეა აწყობილი და სრულად ამართლებს ივანე ჯავახიშვილის შეხედულებას, რომ ისტორია ვერ იტანს გაზვიადებებს და იგი ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს.

ამ ისტორიის ნაწილია ბატონი ბიმურზაც, ეროვნული ტრაგიზმით გაჯერებული ისტორიის ნაწილი, როცა რუსეთი თავისი ფილიგრანული პოლიტიკით ახერხებდა ქართველობის ერთმანეთთან წაკიდვას და ძირის გამოთხრას ეროვნული საფუძვლისათვის.

ბატონი ბიმურზის თქმით, წიგნში არ არის გაუღერებული ის, რომ 1858-64 წლები ჩრდილო კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ეროვნული მოძრაობის ხანაა. კონსტანტინე დადეშქელიანს კი თავისი დიდი კავშირებით ჩაფიქრებული ჰქონდა ამ მოძრაობის გაშლა, იცოდა, რომ დიდი იმპერიის წინააღმდეგ მხოლოდ სვანეთის სამთავროს —

თუნდაც მთელი საქართველოს — ძალებით ვერ მოახერხებდა გალაშქრებას და სჯეროდა, რომ მთელ ჩრდილო კავკასიასთან ერთად შეძლებდა რუსეთის დამარცხებას.

ბატონმა ბიმურზამ ამ მხატვრულ-დოკუმენტური რომანის ავტორსაც და იმ მკვლევარებსაც, რომლებიც მომავალში დაინტერესდებიან ამ ისტორიით, შეახსენა კირილ თუმანოვის წიგნი „კვლევები ქრისტიანული კავკასიის ისტორიაში“, რომელიც ვაშინგტონში გამოიცა და საინტერესო ცნობებს მოიცავს დადემქელიანთა გენეალოგიის შესახებაც. აღინიშნა ისიც, რომ ყველა არქივი ამ გვარის შესახებ ცნობილ ეთნოგრაფთან, პუბლიცისტთან და სვანეთის მკვლევართან ეგნატე გაბლიანთან ინახებოდა, ვინც იმ მძიმე წლებში მოახერხა ამ მასალების გატანა და თავის შვილს, გივი გაბლიანს გადასცა.

ბატონმა ბიმურზამ ისაუბრა იმ დაპირისპირებებზეც, რომლებიც არსებობდა უშუალოდ დადემქელიანთა გვარის შტოებს შორის.

— ჩემმა წინაპრებმაც შესცოდეს ამ მხრივ, თუმცა დამსახურებებიც აქვთ ეროვნულ მოძრაობაში.

1921 წლის ივნისში წმიდა ამბროსი ხელაიას მოთხოვნა — ვიდრე მას ერთა ლიგაში გაგზავნიდა — პირველად სვანეთში გაჟღერდა და ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ჩემი უშუალო წინაპარი როსტომ დადემქელიანი თენგიზ დადემქელიანთან ერთად.

შეიძლება ითქვას, რომ გვარზე ამხელა ნაშრომი ძალიან იშვიათობაა და მადლობელი ვარ ბატონი თემურისა.

როგორც ამბროსი ხელაიამ დაადგა გვირგვინი თავის გვარს, ასევე გააბრწყინა ჩვენი გვარი კონსტანტინე დადემქელიანმაო.

ლევან ქურციკაშვილმა კი დასძინა:

— დადემქელიანების საქმე გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი გვარის, ერთი კუთხის, თუნდაც ერთი სახელმწიფოს თავზე გაბრწყინებული გვირგვინი და ეგებ მოვახერხოთ ყველამ ერთად ის, რომ კონსტანტინე დადემქელიანის ძეგლი ან ბარელიეფი მაინც არსებობდეს სვანეთში.

მადლობა კი ბატონ თემურს დადემქელიანთა გვარის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა — **მარიკა დათეშიძემაც** გადაუხადა:

— თქვენ, ფაქტობრივად, დაგვიბრუნეთ ის სახელი და პატივისცემა, რომელიც აქამდე მხოლოდ ქუთაისელებს ჰქონდათ ჩვენ მიმართ.

„არაბული ცხენის გული“

„ბატონი არ გვეოლია და არც გვეყოლება. ეს ბევრმა მოინდომა, მაგრამ ვერაფერ შეძლო!“ — სვანების ასეთი ცალსახა და მუქარანარევი, მკაცრი და კატეგორიული პასუხი ვორონცოვისადმი კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ რუსეთის იმპერიის დაუოკებელ სურვილსა და სწრაფვას, საბოლოოდ მოესპო საქართველოში ადგილობრივ მთავართა ხელისუფლება, ფესვებიანად ამოეგდო და ამოეშანთა ეროვნული თავისთავადობის ყოველგვარი გამოვლინება, ახდენა არ ენერა, — ეს **ამირან არაბულია**, ვინც ამ სულისკვეთების მხრივაც გამოარჩევს თემურ ამყოლაძის წიგნს, მერე კი იტყვის, რომ „მშრალი ფაქტებისა და დოკუმენტების, კოლოსალური საარქივო ცნობებისა და საქმიანი ქალაქების, ხალხური ლექსების, გადმოცემებისა და სულთა მატთანების, თარიღების, სასისხლო სიგელებისა და მოხსენებათა დეტალების უსიერ ტევრსა თუ ლაბირინთში გარკვევა და გზის გაგნება დიდ მონდომებას, მოთმინებას, მკვლევრისეული ალღოსა და მწერლური თვალის სიმახვილეს საჭიროებდა და დაბეჯითებით ვამბობ: თემურ ამყოლაძემ წარმატებით გაართვა თავი ურთულესი ჩანაფიქრის ხორცშესხმას...

წინამორბედ მკვლევართა, მწერალთა და ისტორიკოსთა ნებით თუ უნებლიე შეცდომების, უზუსტობების, ხარვეზებისა და კონიუნქტურული ლაფსუსების ჩაძირისძირება, კრიტიკულად შეფასება და შეძლებისდაგვარად გასწორება...

და ეს ყველაფერი — დაყრდნობილი და დაშენებული მყარ ფაქტოლოგიაზე...

თხრობაში, მსხვილი პლანით თუ ეპიზოდურად, ეკატერინე ჭავჭავაძისა და ანასტასია ორბელიანის სახეხანცი გაიღვებენ, გაკრებიან, გამოჩნდებიან და მერე ისევ ჟამთაბრუნვის უსასრულობაში გაუჩინარდებიან.

წიგნში კი ვეცნობით არა მხოლოდ დათეშიძეების, აფრასიძეების, კვარიშვილებისა და დადემქელიანების სისხლისმიერ ერთობას, არამედ იმ განადაგებულ შფოთსა და გაიშვიათებულ სიმშვიდესაც, რაც მაშინ სვანეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროებში სუფევდა; დარიალის ლეგენდარული ხეობისა და ნებელდის დრამატულ ამბებს; სვანეთთან ვორონცოვის, ბარიატინსკის, ბეზუთოვისა და ბაგრატიონ-მუხრანსკის დამოკიდებულების ცალკეულ პერიპეტიებს.

— რამდენიმე თაობის საქართველოს ქრონიკაა აღწერილი, — **ვახტანგ ბახტაძე** გამოეხმაურება, ქრონიკა, რომელიც შენი ქვეყნის ტრაგიზმთან ერთად, სიამაყესაც გაგრძნობინებს. ამიტომაც იტყვის ბატონი ვახტანგი:

— არსებობს ბედნიერი წუთები, რომლებიც არასოდეს გავიწყდება.

ასეთი უზომო სიამაყის შეგრძნება მეც დამეფულა მაშინ, როდესაც დედა — ძაძუ დადემქელიანმა ჯერ კიდევ ყმანვილს მომიყვა უბატონო სვანეთის, დადემქელიანთა ლეგენდასავით შემორჩენილი ამბების შესახებ.

მეორედ — პარიზთან ახლოს, დაბა ლევილში, ძმათა სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ ჩვენი ქართველი თანამემამულენი, გიორგი ნერეთელმა მოსოსტორ დადემქელიანის — სვანეთის ანტისაბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი მოთავე, რომელიც ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშეს — საფლავთან მიმიყვანა და მესაუბრა ამ გვარზე.

მესამედ — ნიუ-იორკში, ღრმად მოხუცებულ დავით დადემქელიანთან საუბრისას, როცა არაერთი საგმირო საქმე მომიყვა თავისი წინაპრებისა.

...და კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ, როცა თემურ ამყოლაძის წიგნს ვკითხულობდი:

როდესაც დადემქელიანთა ისტორიას ვეცნობით...

ქართული მთისა და ბარის ადათ-წესებზე ვსაუბრობთ...

ქართულ სიმღერას ვუსმენთ და ქართველი კაცის პატრიოტიზმზე ვლაპარაკობთ... გული ისე ფეთქავს, გრიგოლ რობაქიძე რომ იტყოდა — როგორც არაბული ცხენის გული, რომელიც შედგ კილოგრამს ინონის და არაფერი შეედრება მის ფეთქვას.

თეთრი ლაქები და მთავარი ღვრიტა

იყო დრო, მუშნი ზარანდიასხელა გავლენა ჰქონდა მას იმპერიული რეჟიმის წლებში.

ამიტომაც თავისი კარიერის მანძილზე არაერთ საგულისხმო ფაქტთანაც ჰქონია შეხება. მკითხველი ამ ამბებს მისი ავტობიოგრაფიული წიგნებიდანაც იცნობს, თუმცა შესხვედრებზე დროდადრო ახალ-ახალ ისტორიებსაც გვიამბობს ხოლმე.

ამჯერად **ჯემალ ფოცხვერიამ** იმ ხანაზე ისაუბრა, როცა ქუთაისში მუშაობდა და მისი კაბინეტი იყო, მხოლოდ ამ ქალაქში კი არა, მთელ საქართველოში არქიტექტურული მნიშვნელობით გამორჩეულ შენობაში, რომელიც პრინც ოლდენბურგის სასახლის სახელითაა ცნობილი.

ბატონმა ჯემალმა ისიც აღნიშნა, რომ მან, გადმოცემით, ასეც უთქვამთ, თითქოს სწორედ ამ კაბინეტში დატრიალებულიყო კონსტანტინე დადეშქელიანის ტრაგედია. ამ ვერსიის გაჟღერებას თემურ ამყოლაძე გამოეხმაურა, შეკრებილთ რეზო ჭიჭიშვილის წლებისწინანდელი ესეი შეასხენა ამ ცნობილი სახელის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს ამბავი ამ შენობაში ვერ მოხდებოდა ერთი მარტივი მიზეზის გამო — ის 1885 წელს აშენდა, კონსტანტინე დადეშქელიანი კი 1857 წელს დახვრიტეს.

ბატონმა ჯემალმა კი ისიც გვიამბო, თუ რა დამსახურება მიუძღვის მას ამ შენობის გადარჩენაში — 70-იან წლებში, ძერჟინსკის 100 წლის საიუბილეოდ ქუთაისში უნდა დაედგათ მისი ძეგლი სწორედ ოლდენბურგის სასახლის წინ და ამ საჭირო მომენტში, საჭირო ადგილას, საჭიროებისამებრ მოუთხოვია ბატონ ჯემალს: ძეგლს ასეთი ფასადი არ შეშენისო, და რესტავრაციისათვის 15 000 მანეთი გამოუყვიათ.

— ცხადია, ეს შენობის მთლიან აღდგენას არ ეყოფოდა, მხოლოდ გადარჩენა მინდოდა ამ უნიკალური არქიტექტურული ნიმუშისა და ეს კი მოხერხდა.

თემურ ამყოლაძემ კი წიგნზე მუშაობის რთული პერიოდი გაიხსენა და აღნიშნა:

— ამ მასალების გაცნობისას ნავანყდი ერთ დიდ პრობლემას:

თითქოს ყველაფერი ვიცოდით, ყველაფერი ხელთ გვქონდა, მაგრამ ამ ცნობებში იყო მცდარი დეტალები, რომელთაც დაზუსტება და გასწორება სჭირდებოდა.

ცხადია, უამრავი თეთრი ლაქა დარჩება კიდევ, რომლებიც უნდა შეიფაროს და ეს წიგნი წაადგება ყველას, ვინც ამ ისტორიით დაინტერესდება — ისევე, როგორც მე დავეყრდენი სხვების ნამუშევრებს.

ჩემი მიზანი არ ყოფილა დადეშქელიანთა გენეალოგიის კვლევა. პირველ რიგში, კონსტანტინე დადეშქელიანის საფლავის პოვნა მინდოდა — ის დაკრძალულია წმიდა გიორგის ეკლესიაში, მაგრამ ზუსტად რა ადგილას, დასადგენია.

ეს ისტორია კი საგულისხმო უნდა იყოს ჩვენთვის ახალ ათასწლეულშიც, რადგან ის, რაც ხდებოდა სვანეთში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, ყველგან... მთელ საქართველოში, დღესაც ხდება; ის უბედურება, რაც საუკუნეების განმავლობაში გვჭირდა, დღესაც გვჭირს და ამ მხრივ კვლავ არაფერი შეცვლილა.

წიგნის ფინალს კი მანამდე თავის სიტყვაში **ნანა კუცია** შეეხმიანა:

— ტრაგიკული და „დამაფიქრებელი“ ღია ფინალი, უკანასკნელი თავის სათაური — ავტორის „მალალი მოშრომის“ მიზეზი და მიზანი, მთელი წიგნის დვრიტაც — „ვეძებ კონსტანტინე დადეშქელიანის საფლავს“. როგორც ყოველი „საყვარელი საფლავი“ საქართველოში, რასაკვირველია, კონსტანტინე დადეშქელიანის საფლავიც დაკარგულია...

და რა სამწუხაროა, რომ მას მხოლოდ თემურ ამყოლაძე ეძებო.

გურამ გოგიაშვილი

ის არავისგან მოთვინიერებული არ ყოფილა, თავად იყო სიტყვის სტილისტურად მომთვინიერებელი

(„კოლხეთის ცისკრის“ ავტორმა გიორგი საუკუნეს უკვე ათი წელიწადი ჩამოატახა)

ფრანგი ჟორჟ ლუი ლეკრეკ ბუფონის სიტყვები, სუფოველი ადამიანი სტილიაო, ჩემი დაკვირვებითა და გაგებით ზედგამოჭრილია კონსტანტინე ლორთქიფანიძეზე როგორც ქართულ სიტყვასთან გამიჯნურებულ მწერალზე, რომელიც ამ ქვეყანას 110 წლის წინათ უფლის შობის დღეს მოევიწინა... და ქარიშხლიანი მეოცე საუკუნის სამოცდაათიდან იმ ორმოცდაათწლიანი მონაკვეთის ასახვა მოუხდა, ბევრს შეგნებულად და ბევრსაც შეუგნებლად არა მარტო გულზე რომ არ ახატია, არამედ მთელი არსებით სძულს და მზად არის, ჩვენი წინა საუკუნე დროის უამონაკვეთოდ დატოვოს.

ეს შეგნებული თუ შეუგნებელი სიძულვილი უწინარესად იმ ადამიანთაგან, ვინც „ბალახის ძოვას აპირებდა“, ოღონდ „საქართველო ენახათ თავისუფალი და დამოუკიდებელი“, შხამიანი ისარივით მიმართულია სწორედ მეოცე საუკუნის ზემოხსენებული ორმოცდაათწლიანი მონაკვეთის ამსახველ მწერალთა წინააღმდეგ, რომელთაგან კონსტანტინე ლორთქიფანიძე უთუოდ გამორჩეულია და ამიტომაც დასაზინყებლად გამეტებულთა რიცხვშია სრულიად უსამართლოდ მოქცეული. მაგრამ, საბედნიეროდ, ძალით არც ღირსეულის დაზინყება შეიძლება და არც არაღირსეულის არდაზინყება.

„კოლხეთის ცისკრისა“ და „ნატურისთვალის“, აგრეთვე არაერთი ჟამგამძლე უტყუარი მოთხრობის ავტორმა ბევრზე კარგად იცოდა (ამიტომაც იყო გამორჩეული), რომ იმჟამინდელი სოციალიზმის მთელი არასრულიყოფილების მიუხედავად, კაცობრიობა ეზიარა ფასდაუდებელი გამოცდილებას, რომელსაც უკვე გვერდს ვერ აუვლის XXI საუკუნის მსოფლიო ცივილიზაცია.

აი, თუნდაც ამიტომ როგორც „ბალახის მჭამელები“, ისე „არამჭამელები“, თუკი საღი აზრით შევხედავთ ბევრის ვინრო თვალში ჩვენს გუშინდელ გადენაცვლებულ წარსულს, რომელსაც ვერ გადმოვახტებოდით და რომლის გამოუვლელად ამჟამინდელ კალენდარს დღევანდელ ფურცელს ვერ ჩამოვახვედით, ვალდებულნი ვართ, რომ საკადრის პატივს მივაგებდეთ ყველას, ვინც ნიჭიერად, უტყუარი მემბტიანის ძალისხმევით ალბეჭდა და მოიტანა ჩვენამდე წინა თაობათა ზემოხსენებული მართლაც ფასდაუდებელი გამოცდილება.

როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კონსტანტინე ლორთქიფანიძეში ნამდვილი მწერალი რომ არ დაენახა, განა მიხეილ ჯავახიშვილი არა მარტო დანერდა, არამედ გამოაქვეყნებდა კიდევ, რომ „ამ ახალგაზრდა კალმოსანს კარგად გამართული ქართული ეხერხებაო, ძალიან მჭრელი თვალი აქვსო, ნივთიც კი ისე, როგორც ადამიანი, იმისი გავლენის ქვეშ არის მოქცეულიო, იმისი მხატვრული სახე სუფთაა, მკაფიო, სრულიად ახალწიარად არის მოჭრილიო“. და, ბოლოს, „ლორთქიფანიძე შოლოხოვს არ ჩამოუვარდება ზოგიერთ რამეში უეჭველად“.

მიხეილ ჯავახიშვილზე არანაკლებ აფასებს თავის ასევე ახალგაზრდა სეხნიას კონსტანტინე გამსახურდიაც, რომლის აზრით, მუდამ ბევრი „ეფოხრიჯებოდა მწერლობას“, მაგრამ „ბოლოს და ბოლოს სულ რამდენიმე მწერალია შემოგვრჩა“. „მთვარის მოტაცების“ ავტორი ერთ ასეთ, ცოტა არ იყოს, დონკიხოტურ ამბავსაც იხსენებს: „ერთხელ სახამეში ვიჯექით. პაოლო იაშვილი და იმისი მოსკოველი სტუმარი კიტრის ნაფცქვენებს მესროდნენ. მე მივედი იმათ მაგიდასთან. ჩემი სატყეარი, რკინისა და ძვალთა მჭრელი, გავაშიშვლე და მივეჭერი მთვარალებს. პაოლო აყვირდა: მე მომკალი, ოღონდ მაიაკოვსკი დაზოგეო. ბოლოს ისინი გაიქცნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდნენ კონსტანტინე (ლორთქიფანიძე) და ორი ამხანაგი იმისი. დასხდნენ და ნებეირად მიერთვედნენ საუზმეს. კონსტანტინემ მარჯვენა მოიხრდილა თვალებზე. ბოლოს მე მომეჭრა, ძმურად გადამკიცნა და თავის სუფრაზე მიმინჯა. ასეთი გულტფილი იყო იგი ჩემ მიმართ, თუმცა მე ეს იმხანებში არ დამიმსახურებია...“ და განაგრძობს „ჩვენმა კონსტანტინემ სახელი გაითქვა როგორც საბჭოეთში, ისე ევროპაში. ჩემი აზრით, მწერალთაგანი, განსაკუთრებით პროზაულ ქმნილება-

თა ავტორი, კავკასიონს თუ ვერ გადასცდა, იგი ამოადა და მამოშრალი შინაც. კონსტანტინე უცხოეთშიც გაითქვა კარგი, შესანიშნავი სახელი, და იმისმა ნოველებმა და რომანებმა რეზონანსი იპოვნა... საერთოდ მე მომწონს კონსტანტინეს ენა...”

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, აღარაფერს ვამბობ არაგონისეულ და სხვა დიდ ევროპელ სიტყვის ოსტატთა შეფასებებზე. და საერთოდ ამ ქვეყნის თვანკარა ქართულის დიდოსტატს სულაც არ ესაჭიროება ვისიმე ნაძალადევი ქება-დიდება ან დაცვა, მით უმეტეს, ჩემი.

მაღლობა ღმერთს, მიუკერძოებელი გონიერი მკითხველი ჯერ კიდევ ბევრია და, ალბათ, არც არასოდეს არ დაიღვევა საქართველოში.

ერთი რამ კი აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო. კონსტანტინე ლორთქიფანიძის რჩეული ორ ტომად ბოლოს ამ ათი წლის წინათ გამოვიდა მწერლის დაბადების ასი წლისთავზე. რჩეული დიდი სიყვარულით აქვთ შედგენილი მწერლის ან გარდაცვლილ ვაჟიშვილს, ყველა ჩვენგანისთვის ძვირფას გოგის (გიორგის) და რძალს, ჩინებულ ქალბატონს ლილის.

იმედია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაც მძიმე დროისა და ვითარების გამო ერთგვარად შეზღუდულია, მაინც იზრუნებს და, შეძლებისამებრ, მოახერხებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემას, რაც უთუოდ უებარი ნამალივით წაადგება ამ ქვეყნის სამაგალითო სტილისტის გამოცდილება კალამთან არცთუ ყოველთვის ფაქიზად „მოარშიყე“ მწერლობის ძნელად შესაღებ ქიშკართან უხვად თავმოყრილ ლიტერატურული ჟინით შეპყრობილ ახალგაზრდებს...

ქვემოთ ერთ ჩემს ძველ ჩანაწერს ამ შობა დღეს (რაც სიმბოლურად მეჩვენება!) მოკრძალებით ვთავაზობ დღეს უკვე კომპიუტერთა და ინტერნეტით განებივრებულ მკითხველს.

კიდევ კარგი, ცოცხალთა შორის ჯერ კიდევ ბევრია, ვინც ირწმუნებს ჩვენს ნათქვამს და უტყუარ სიმართლედ აღიქვამს. ვინაიდან ქართული სიტყვის ამ უდავოდ დიდოსტატის სახელთან სისხლხორცეულად დაკავშირებულია ჩვენი სამიათასწლოვანი ისტორიის გამონაკლისად რთული და არც ერთი წინა ასწლეულის ოდნავადაც არამსგავსი მეოცე საუკუნის თითქმის ორმოცდაათწლიანი დროის მონაკვეთის მაღალმხატვრული მემკვიდრეობა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მწერალი რას ასახავს, მაგრამ უპირატესი მაინც ის არის, როგორ ასახავს, რა ხარისხით ასახავს დროისეულ ეროვნულ სულსა და ფსიქოლოგიას... ასე რომ არ იყოს, არც ერთი წინა დროების მწერლობა მომდევნო თაობისთვის საგულისყურო არც იქნებოდა. მწერლისა რა ბრალია, სად და როდის მოუხდა ცხოვრება. ყველანი ჩვენ-ჩვენი დროების შვილები ვართ. როგორც დედ-მამას არცვინ არ ირჩევს და ვერცვინ ვერ გამოიცვლის, ამაზე ფიქრიც კი აშკარა სისულელეა, ასევე თავის დროებასაც პიროვნულად ვერვინ ვერ შეიცვლის სხვა დროებით. შენ ის მითხარი, თუ მართლა შემოქმედი ხარ, როგორ შვილობ შენს წილხვედრ დროებას, შენს ამქვეყნად ყოფნას... დანტემ, ცხადია, სულაც შემთხვევითად არ დახატა ჯოჯოხეთი. მამ, ავდგეთ და უარი ვთქვათ „ღვთაებრივ კომედიასზე“, არ გვინდა, რა გვეყოფოხეთება! იღია ჭაჭაჭაძემაც თავისი დროის ჭაობიდან ამოაყურეულავე ლუარსაბ თავთარიძე. იცოცხლე, ბევრი აუყყანდა „მეჭაობე“ მწერალს, სულაც არ გვეთათქარიძებო! დაახლოებით ასე დაემართა ჩვენში ერთ-ერთ ფრიად გონიერ და თავისი დროის მიმართ რატომღაც აუტანელი სიძულვილით გამორჩეულ მეოცესაუკუნელს (თუმცა, იმ დროის ძუძუთი კარგა გვარიანად იკვებებოდა. რა დასამალია, და ბევრზე უკეთესადაც!), როცა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედება „მოთვინიერებული მწერლობის“ საზღვრებში მოაქცია.

ვინც კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მოსწრებია და იცნობდა (ხასიათოროკლიანს გენაკვალე და შენი ჭირიმე მაინცდამაინც ხშირად არ ეკერა ენაზე!), იქნებ ყველას არა, მაგრამ ბევრს ესხომება, რომ, ერთ ძველ ანდაზას თუ მცირედ გადავასხვავებთ, ის სულაც არ იყო დროისმიერად ისე შიშობილი „მესაფქვავე“, რომ სათქმელი გადაეყლაპა და „მენისქვილისთვის“ ვერ გაეხედა პირში თქმა, ნუ მიროხავ, მსხვილად ნუ მიფქვავ, წვრილად დამიფქვიო. „მენისქვილე“ კი, კარგად მოგესხენებათ, საკმარისად ავიც იყო და არც კიდევ იშვიათად მიმართავდა ძალმომრეობას. „კოლხეთის ცისკრისა“ და „ცაბუნისა“ ავტორი, ამ თვალსაზრისით, არასოდეს ყოფილა „მოთვინიერებული“ მწერალი. როგორც იტყვიან, ის თავისი გულის კარნახით ასახავდა ქალაქის თეთრ უდაბნოებზე თავის



გურამ გოგიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე გენაღი სანაიას ფოტო (1975)

წილხვედრ დროს, მუდამ ცხოვრების კვალში იყო ჩამდგარი, არავითარი სასიკეთო სიახლე არ გამოეპარებოდა, ნარკვევსაც კი ისეთივე პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, როგორც რომანს ან მოთხრობას. გახსოვთ, ალბათ, ფრიად შორს გამიზნული და ამ მხრივ დიდად გახმაურებული „რა მოხდა აბაშაში?“ რომელი სათაურითც მალე მთელ საქართველოში საზოგადო გამოთქმად იქცა. და ბარემ ამა-საც აქვე ვიტყვი, — თუ, ჩვენი მწერლობის ისტორიაში გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონებსაც“ კი თავისი ადგილი აქვს მიჩენილი (ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს დაკნინებისგან), განა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ისეთი რა მიუტყვებელი ცოდვა აძევს, რომ ამ ქვეყნის მწერლობის რჩეულთა შორის რჩეული მესიტყვისა და მართლაც პიროვნული, იშვიათი მოღვაწის სახსენებელზე ხელოვნურად ავაბიბინეთ დავინყების შავი ბალახი.

ავი იყო თუ კარგი, ის დროება ყველამ ერთად გამოვიარეთ (საერთოდ, ვინმემ თუ იცის, რომელია სოციალურად საყოველთაოდ საუკეთესო დრო?), შეიძლება, რომ კაცმა სხვა ყველაფერი გამოტოვო, მაგრამ დროის გამოტოვება შეუძლებელია. ის დრო ჩვენშიც და მთელ მამინდელ უზარმაზარ ქვეყანაშიც ბევრმა მწერალმა ასახა. თვით დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამაც კი სცადა იმ დროებისთვის ხარკის გაღება და „ვაზის ყვავილობა“ დაწერა. მაგრამ, პიროვნულად თუ ვიტყვით, „დიდოსტატის მარჯვენის“ უკვდავ ავტორს ეს რომანი არ გამოუვიდა, თუმცა, ასევე მწერლის დროიანდელ ცხოვრებაზე ადრე შექმნილი „მოთვინის მოტაცება“ მუდამ იქნება ქართული პროზის ერთ-ერთი მწვერვალი (რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ისიც ითქვას, რომ დიდოსტატი კონსტანტინე პირველი იყო უაღრესად მაღალი შეხედულებისა დიდოსტატ კონსტანტინე მეორის შემოქმედებაზე, რაც ნაწილობრივ ზემოთ უკვე ვთქვით).

ქართველი კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ისევე როგორც რუსი მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, არა მარტო იმ საერთო ცხოვრების, არამედ იმ საერთო დრო-ჟამის უტყუარი

მურმან ჯგუზურია

პოეტის აღსარება, აღდგომის მზის საბალობელი

მატიანეც არის, რომელიც გონიერ ადამიანთ ყოველთვის მოუკლავს გარდასულ დროთა შეცნობის ნყურვილს. რაც იყო, როგორც იყო, მთელი თავისი ეროვნული, სულიერი მღელვარებით — დრო აქცია მწერალმა ცხოვრების მრავლისმთქმელ წიგნად. ის კი არაა, რა სიმკაცრითა და მომთხროველობითაც არ უნდა შედგეს ოდესმე, ერთი მოთხრობის მსოფლიო ანთოლოგია, ეჭვი არ მეპარება, რომ „ცაბუნია“ თავისი მხატვრული ენერჯით არც ერთს, თუნდაც ცოტათი მაინც, არ ჩამოუვარდება. მთელი მეორე მსოფლიო ომია დიდოსტატურად ჩამუხტული ამ პატარა მოთხრობაში, თანაც ჩვენებურად, ქართულად დანახული.

და, რაც ყველაზე მთავარია, ძველთუძველეს ქართულ ენას, ქართული ენის სტილისტიკას, ჩვენი ენის სულსა და გულს ბევრი არა ჰყოლია კონსტანტინე ლორთქიფანიძისთანად მკაცრი მომფერებელი, მიწყვიტურგაფაცვიცებული მიჯნური, ვინაც ქართული ენის ბუნებრივი მხატვრული მჩქეფარება თვისობრივად საქართველოსავე ყოვლის უფრო ანკარა, უჩვეულოდ მარგებელ და, ამასთანავე, მკურნებელ წყარო-ფვზელ დაამსგავსა, რომელ წყარო-ფშათა დანაფებაც (თუ ერთ არამშვენიერ დღეს, ბოთლ-ბოთლ უცხოეთში არ გავყიდეთ), უთუოდ საკეთილოდ ამხნევეს ყველა გულიან ქვეყნის ჭირისუფალ ქართველს.

აი, რატომ გადაწყვიტეთ დღეს მავანთაგან ძალდაძალ მივიწყებული ამ ქართული მაღლიანი სიტყვის ჭეშმარიტი დიდოსტატის გახსენება, რომელსაც თვით ნუმპუშიც კი ცით არეკლილი ვარსკვლავების დანახვა შეეძლო და რომლის კალმინდანაც, ვიცო, ბევრია ამ აზრისა, მხოლოდ ოქრო წვეთავდა.

უსამართლობას არასოდეს მოუტანია თუნდაც მცირედი სიკეთე, მაშ, ნურც ჩვენ ვიქნებით უსამართლონი, მით უმეტეს, თუ საამისოდ არანაირი საფუძველი არა გვაქვს. ძალით ნუ გავიღარებთ თავს. მომავალი სასტიკად მოგვკითხავს. ის თავისას მაინც იტყვის. ამიტომ, ბევრად აჯობებს, თუ ჩვენ დავასწრებთ.

P. S.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ჩინებული პროზის ანკარა სტილისტიკა კონსტანტინესავე პოეზიისეულია. ის ასევე ჩინებული პოეტიცა, რომლის სტრიქონის ფეთქვაც გონებამდე გულის გავლით მიდის:

**ჩუმად მივყვები ნანვიმარ ბილიკს
და თეთრი ვარდი მიჭირავს ხელში...
და ქვეყანაზე კაცმა არ იცის,
რომელი უფრო საცოდავია:
შენ — ვისაც გულზე ცივი ქვა გადევს
თუ ვისაც შენთან მოაქვს ეს ვარდი.**

**გული არ დაგწყდეს,
ო არ გეგონოს,
რომ შენზე მეტხანს ვიცოცხლე
თითქოს...
მე მხოლოდ შენზე მეტხანს ვიტანჯე.**

ეს თანამეცხედრისგან დაკენტებული პოეტის მწარე გოდებაა. ჩემი ნათქვამის თვალცხადლივი ნიმუშია აგრეთვე თუნდაც ერთი იაპონელი კლასიკოსის ტანკა, რომელიც ქართულად კონსტანტინე ლორთქიფანიძემ სიცოცხლის ბოლო წლებში გადმოაწერა, როცა ხანში შესულთ დროდადრო დედის შორეული ტკბილი ხმა უკვე სევდიანად ჩაგვესმის:

**ერთხელ ხუმრობით დედაჩემი
მხარზე შევისვი,
იგი ისეთი მსუბუქი იყო,
რომ უცხად ცრემლი მომერია
და ველარ ვზიდე...**

ასე ჩაუქრობელი ცისარტყელასავით ბზინავს პოეტის მართალი სიტყვა, და ამიტომ გვერა სიკვდილის ჯობრზე ნათქვამი ამ სტრიქონებისაც...

**მე არ მეყოფა სამი ფიცარი,
სიტყვა უთქმელი იმდენი მიმაქვს...**

მაგრამ რაც აქ დარჩა, ამქვეყნად, ისიც საკმარისზე მეტია სიკვდილისა და დავისწყების საბოლოოდ დასამარცხებლად...

1. ჭეშმარიტების უარყოფელი ჭეშმარიტების მონმეა.

ჭეშმარიტების აღმსარებელზე კი რა უნდა ითქვას?

2.

ამ კრებულის („საგალობლები უფლისთვის“) ავტორი გენო კალანდია, თავისი ძველი კოლხი წინაპრების კვალობაზე წამითაც არ არის დაქვებული უფლის არსებობაში და ყველგან და ყველაფერში ხედავს მას — ფლორასა და ფაუნაში, ბალღში, ქალში, კაცში, მზეში, ჯუშში, გაღში, ლებარდში, ცაიში, თბილისში, ცხუმში, სენაკში...

ანუ ღმერთს იმიტომ ვერ ვხედავთ, ვინც ვერ ვხედავთ, რადგან იგი ყველგან არის.

აინშტაინს უნდოდა ხელით შეხებოდა ღმერთს.

თავორმა უპასუხა: ხელით ვერ შეხები, ის უნდა გიყვარდესო.

დააგდეთ ყველა და ყველაფერი, მე გამომყევი-თო, მაცხოვარმა, ავკიცრძალა არჩევანი, რადგან სიყვარულმა არჩევანი არ იცის.

3.

არის წიგნები, მკითხველი რომ ბოლომდე არ მიჰყვება: „ილიადა“ და „ოდისეა“, „ღვთაებრივი კომედია“, „ათას ერთი ღამე“, „ვეფხისტყაოსანი“, დიდი სპარსი და არაბი პოეტების ვრცელი პოემები, „დონ კიხოტი“, უფრო აქეთ „ძმები კარამაზოვები“, „მოი და მშვიდობა“...

არათუ ბოლომდე, მკითხველი ამ ყაიდის წიგნებს მცირეზეც არ მიჰყვება. ზოგი მკითხველი არც გადაშლის. სამაგალითოდ: ამა და ამ გლეხიკაცმა იცის, რომ არსებობს „ვეფხისტყაოსანი“, რაც მას არ ნაუკითხავს და არც ნაიკითხავს, მაგრამ მაინც უფრო მეტი იცის ამ პოემის შესახებ, ვიდრე სხვა, ენოვანმა მკითხველმა, ის წიგნი რომ ნაიკითხა, — ასე ამბობს ერთგან ტომას სტერნზ ელიოტი, არ კითხულობს იმიტომ, რომ სჯერა და სწამს მისი არსებობა. ანუ არ ეჭვიანობს, სხვა კუთხით: ღმერთს კი არ ეძებს, არამედ სწამს.

იგივე შეიძლება ითქვას დავითის „ფსალმუნზე“. საკმარისია, ერთ-ერთი მათგანი ნავიკითხოთ, რომ მთლიან წიგნზე შეგვექმნას ჩვენი მყარი შთაბეჭდილებები. ასეც ხდება: კაცი მალაზიაში წიგნს შეიძენს, ჩახედავს, მოეწონება და წლების განმავლობაში არ ნაიკითხავს, არ მიუბრუნდება.

„ფსალმუნები“ ერთმანეთს ჰგვანან. ერთ ხატს ემსახურებიან. შევადაროთ ერთმანეთს რამდენიმე „ფსალმუნი“, ამაში რომ ცხადლივ დავრწმუნდეთ. ასევე ეხამებიან ერთმანეთს ოთხთავის ოთხივე სახარება. და როცა ქართველი პოეტი ერთ-ერთ საგალობელში ახსენებს მარკოზის სახარებას, სხვა სამივე სახარებაც იგულისხმება.

საით მიდის ჩემი საუბარი?


გენო კალანდიას ლექსების ეს კრებული (აღსარება-საგალობლები) ამ ესეის რომ ვწერ, დავითის „ფსალმუნებს“ მაგონებენ.

საკმარისია, გენო კალანდიას ერთ-ერთი საგალობელი წავიკითხოთ, რათა აზრი შეგვექმნას მთელ კრებულზე.

ასე იგულისხმება წვეთში ზღვა.

წვეთი — საქართველოა.

საქართველოში — სამყარო.



უფალო, მთვარე მოადგა საყდარს, შემოანათა მთავარი კარით, ასეთი შვება, ასეთი განცდა, ჯერ არ მქონია არც ერთი წამით.

გარეთ ვარდივით შრიალებს დაფნა, ახლო მაცხოვრის ლულუნებს მტრელი, ავდგები, გავშლი ადიშის ოთხთავს და აღსარებას გეტყვი...

ენამ უყვილაო, იტყვიან, — ამ ლექსების კრებულს „აღსარება“ უკეთ მიესადაგება, ვიდრე საგალობლები.

ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებას“ ნუ შევანუხებთ. ნურც ტოლსტოის „აღსარებას“. თუმცა ესეცაა, თუკი აღსარება დაერქვა, ნებისმიერი ადამიანის აღსარება იქნება საგულისხმო.

აღსარება — სიმართლის ნათესავია. უკეთ — ტყუპისცალია. ანუ, ერთიდაიგივეა.

„სადაც სიმართლე არ არის, იქ არ არის ქრისტე“ (არქიმანდრიტი რაფაელი).

4.

აქამდე პოეტი მამა-უფალს ხშირად არ ეხმიანებოდა. წერდა ლექსებს იმის თაობაზე, რასაც ხედავდა და განიცდიდა, მრავალნაირი რიტმითა და ზომით, ტემპითა და ჟღერადობით.

სიღინჯე და ფიქრიანობა ასაკმა მოიტანა.

ამ კრებულის ყველა ლექსი (საგალობელი) ერთნაირი წყობისაა, მსგავსია მათი ზომა და რიტმი.

ჯოჯოხეთის უღელტეხილი გამოიარა და გადარჩა. და ამაზე დაფიქრდა და იმას ჩაუღრმავდა, თუ რამ გადაარჩინა. რატომ შეიქნა დევნილი და რატომ უნდა გამოეარა ჯოჯოხეთის უღელტეხილი, რა უღელტეხილის გამოვლამიც ერთიანად გაჭაღარავდა. რამდენიმე დღეში თუ საათში, როგორც შეიძლება ეს მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ზღაპარში.

სამაგალითოდ:

ბარათაშვილი მოხუცებული გარდაიცვალა.

გალაკტიონი — ახალგაზრდა დაიღუპა.

მოხუცებული აღესრულა ლერმონტოვი.

Я думал: „Жалкий человек,
Чего он хочет!.. небо ясно,
Под небом места много всем,
Но беспрестанно и напрасно
Один враждует он — зачем?“

ან კიდევ:

Тамара: Нас могут слышать.

Демон: Мы одни.

Тамара: А Бог!

ბარათაშვილის გამონათქვამები არ მომაქვს, ყველამ იცის. ლერმონტოვსა და ბარათაშვილს, ასე მგონია, თვით მაჰათმა განდიც დაუგდებდა ყურს და მათი საუბარიც აენწყობოდა, მაგრამ განდისა და გალაკტიონის საუბარი თუ შედგებოდა? ალბათ ვერ შედგებოდა. სხვადასხვა ხნისანი იყვნენ და იმიტომ. ჩემს ამბავს ჩემხელა კაცი თუ გაიგებსო, ნათქვამია.

მე და გენო თითქმის ერთი ხნისანი ვართ.

ჩვენი მშობლები, როგორც ჩანს, არ შეუშინდნენ 37-ს, 38-ს, 40-ს. დიდი ომის დასაწყისს. და ჩანაფიქრიც განახორციელეს.

მე და გენო თითქმის ერთი ხნისანი ვართ-მეთქი. აქედან გამომდინარე, აქვე დასახელებულ პიროვნებებს კი არ ვუტოლებ თავს, ცხადია, მაგრამ, მაინც ვამბობ, მე და გენოს, საცა სამართალია, უფრო უკეთ უნდა გვესმოდეს ერთმანეთის, ვიდრე, ვთქვათ და, ახალგაზრდა შემოქმედსა და ხანიერ შემოქმედს. დედა-მინაზე თუ მხოლოდ ერთი თაობის ადამიანები იცხოვრებდნენ, ომი ალბათ არ ატყდებოდა.

ბარათაშვილისა და ლერმონტოვის ამბავი გამონაკლისია.

გენომ ჩემზე მეტი ნახა, ჩემზე მეტი მწარე ჭამა და ჩემზე ადრე დაფიქრდა მამა-უფალზე, ავი და ჯოჯოხეთი რომ აწვინია, მაგრამ მაინც რომ გადაარჩინა.

ვინც ბევრი ავი ნახა, იმან ბევრი კარგის შესახებ მეტი იცის, ვიდრე იმან, ვისაც ბევრი ავი არ უნახავს.

5.

მაგრამ რაკილა ღმერთი ყველგანაა — ყველგან სიმართლეა? ანდა როგორი სიმართლეა სიმართლე? სიმართლე, ცხადია. არაერთგვაროვანია და რადგანაც არაერთგვაროვანია, არსებობს მწარე სიმართლეც. გენო კალანდიას „საგალობლები“ უწინარესად მწარე სიმართლის მაუნყებელი არიან.

6.

უფლისაა დღე ყოველი და ღამე ყოველი, გვეუბნება პოეტი აღმსარებელი, — დილა ყოველი და შუადღე ყოველი და საღამო ყოველი. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. დარში და ავდარში. მჭმუნვასა და სიხარულში.

**უფალო, ვარდი მოუსხამს ჭინჭარს,
დილიდან ისე უცვლია ფერი,
როგორც ნიშანზე განოლილ ისარს,
ღრუბელზე უდევს კიპარისს წვერი.**

**ბაღში კალია გადადის ყირას,
ცრემლში იხრჩობა მაისის ია,
სოფელში მამლის ფრთხილს და ყვივს
ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია.**

„საგალობლების“ ავტორს არ სჩვევია შედარებების ხშირი გამოდევნება. შედარება სახიფათოა. სიზუსტეს მოითხოვს. დამაჯერებლობას. ერთი ასეთი ამბავი მაგონდება, ბუნინმა, სიცოცხლის ბოლო წელიწადში მეუღლეს სთხოვა თავისი ლექსებისთვის გადაეხედათ. ბუნინმა განსაკუთრებით შედარებებზე გაამახვილა ყურადღება და შეუდგა მათ გამორჩევა-დახარისხებას. ერთი ასეთი შედარება დამამახსოვრდა: „წვიმის წვეთები ისე ერჭობოდნენ მინაში, როგორც ლურსმნები“. წვიმის წვეთი მართლა იკეთებს მინაზე დაცემისას რალაც ლურსმნის თავისმავარს, მაგრამ ბუნინმა შედარება ლექსიდან ამოიღო. მინაში ლურსმანს ვინ ჩაარჭობსო. არადა, ჰგავს. მაგრამ არაა მართალი. „სარზე მამალმა ხმა ჩაწმინდა. მზე გადაყლაპა თოხლო კვერცხივით“. ცხოველები შოთა ნიშნიანისის ეს ლექსი, ეს „მხატვრული სახეობრიობის“ ნიმუში სხვა დროსაც გამხსენებია და ჩემი აზრი გამომიტყვამს. არცერთი სიტყვა არაა თავის ადგილას. მამალი სარზე არ შეფრინდება. ღობეზე კი შეფრინდება. მზეა ამოსული. დილაა. ხმა მამალს უკვე კარგა ხნის წინათ ექნებოდა ჩანმედილი. მზეს ვერ გადაყლაპავს. თანაც, მზე შედარებულია თოხლო კვერცხთან. თანაც, კვერცხის შემქმნელი თავად არის. აი, საით მივყავართ სახეობრივი აზროვნების გამოდევნებას.

მაგრამ, ნახეთ, რა კარგია იმავე პოეტის ასეთი შედარება: „ჩვენ შორის მოხტის ჩვენი გოგონა, როგორც მდინარე ნაპირებს შორის“.

გენო კალანდიას ლექსებში — შედარებები აუცილებლობითაა გამოხმობილი. აუცილებელი სიტყვებითაა განწყობილი საგალობლების კრებული. აქვე გავიხსენოთ ანა ახმატოვას გამოწვევა: „ლექსში უნდა იყოს მხოლოდ აუცილებელი სიტყვა“. ყველა ლექსში ვერ იქნება ყველა სიტყვა აუცილებელი, აუცილებელი სიტყვებისაგან შესდგებიან უმთავრესად ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ხოლო თვით შედარებას რაც შეეხება, კარგი იქნება თუ პოეტები (განსაკუთრებით, ახალბედა პოეტები) ყურად იღებენ დიდი ჩინელი პოეტის სიკუ ტუს გამოწვევას: შედარება დროს ართმევს ავტორს თავისი სათქმელის მოკლედ და სწრაფად გამოსახატავად. ნაკლებად, იშვიათად მიმართავენ შედარებებს პუშკინი, შევჩენკო, აკაკი...

გენო კალანდია ამრიგ შედარებას გვთავაზობს:

**როგორც ნიშანზე განოლილ ისარს,
ღრუბელზე უდევს კიპარისს წვერი.**

საგალობელი ხომ წავიკითხეთ. ისეთი დღეა, ისეთი სუფთა და ნათელი, და ია-ვარდით მოფარჩული, რომ აუცილებელი შეიქნა ღრუბლის გადანევა. „ვარდი გასწიე“, თუ „ბულბული გასწიე“, ამბობს ერთგან საიათნოვა. აქ ღრუბლის განევა შეიქნა აუცილებელი. თანაც, როგორი კარგი და კამკამა ქართულია, მკითხველო, „როგორც ნიშანზე განოლილ ისარს“, არა მიმართულს, დამიზნულს, არამედ „განოლილ“-ს, გვეუბნება პოეტი. მალე ამ ერთადერთ ღრუბელსაც გადასწევს კვიპაროსი და სურათიც გასრულდება:

**სოფელში მამლის ფრთხილს და ყვირის
ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია.**

ამ ორადორ სიტყვაზე, მამალსა და მამულზე გვმართებს დაფიქრება, არა დედა-სამშობლო მარტოოდენ, არამედ მამა-სამშობლო. ესე იგი, კაცების (მამლების) სამშობლო. მამული. ასე გვეუბნება პოეტი, რომელიც თავის თავს ასე გვიხასიათებს:

საყდრის ჩიტივით სუსტი და ფრია.

ქართულზე ვსაუბრობდით, ამ კრებულში ერთ-ერთი საგალობელი სწორედ ქართულს ეძღვნება. თუმცა ყველა საგალობელი იმავეს გვიდასტურებს. როგორია, საყდრის ჩიტი, სუსტი და ფრია. ეს „ფრია“ ან პოეტის მიერ ხელდასხმული სიტყვა ან გამოვლინებული „ძველი სიხალე“, გალაკტიონი რომ მოვიშველიოთ.

7.

გენო კალანდია, ქართული წყობილ-სიტყვაობის კორიფეებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ჩემი გაგებით, განსაკუთრებით, ესპანურენოვანი პოეზიითაა დავალებული (ბასკურით: მიგელ დე უნამუნო). არა-დავალებული, არამედ იგი გრძნობს ესპანურთან (ბასკურთან) მეტად მახლობელ ნათესაობას, თუმცა აქვე უნდა ვთქვა, რომ მან ზედმიწევნით იცის რუსული პოეზია, მრავალ რუს პოეტთან ჰქონდა წლების განმავლობაში ახლო-მეგობრული ურთიერთობა. ნიკოლაი რუბცოვს კი, რომელი პოეტიც ერთობ გამოირჩევა თავისი რელიგიური მრწამსით მისივე თანამედროვე მესიტყვეთაგან, გენო კალანდია არა-იშვიათად გაჭრილი ვაშლივით ემგვანება. კი არ ბაძავს, ცხადია, არამედ ერთ ცას შესცქერიან, მალე რომ ღრუბელი გადაინეწვს და ერთიანად განათდება და მამა-უფალი გამოისახება.

ხმამალალი ნათქვამიაო, იფიქრებს ალბათ ამ ესეის მკითხველი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ასე გამოკვეთილად, როგორც ამ კრებულში აისახა, ჩვენებური სარწმუნოება გრანელის აქეთ, ასე მასშტაბურად არ გამოხატულა. მთელი კრებული, ყველა სა-

გალობელი ეძღვნება უფალს, რწმენას, ქრისტიანობას. და ყველა საგალობელი იწყება ერთიანიძვე სიტყვით: უფალო.

ნ. რუბცოვი, ცხადია, ამიტომ ვახსენე. რომ ორივე ქრისტიანი პოეტი. გენომ იცის, და ვინც არ იცის, იმის გასაგონად ვიხსენებ, ერთ-ერთ ლექსში რუბცოვი დედას მიმართავს: ნუ მატან, დედა, ამდენ რამეს, თანაც, ამდენი პური გამოგიცხვიაო. რაზედაც დედამ უპასუხა: პურს, შვილო ჩემო, თავისი თავი თვითონ მიაქვსო. ანუ, არ დაგამძიმებსო.

ქრისტიანი პოეტი ქრისტიან პოეტს რომ დაემგვანოს რა გასაკვირია, მაგრამ მათი საფიქრალ-სალონარი მაინც განსხვავებულია. „Россия, храни себя, храни“ — აწერია რუს-პოეტის საფლავის ქვაზე. ნ. რუბცოვი, სამწუხაროდ, წუთისოფელს ადრე გამოეთხოვა (გამოათხოვეს). რუსი პოეტის ნაანდერძვეს კი, რუსეთი, როგორც ვხედავთ, არ ერთგულობს. იგი არამარტო თავის თავის შენახვაზეა მითვალთვალებული, არამედ სხვათა და სხვათა მინების მიტაცებაზეც. ვერ გაეგროპიელა პეტრე დიდმა რუსეთი. თავად-აზნაურებს კი დააჭრა წვერი და ფრჩხილები, მაგრამ თავად რუსი ხალხი ჯერჯერობით ბნელში ყურყუმელაობს. თუმცა, ესეც არის, თავისი სიბნელიდან გამომდინარე, მეზობელსა და ნათესავ უკრაინას ომს ასწავლის. ანუ იმას, თუ როგორ უნდა მართლა თავის შენახვა, უკრაინა დიდია და ომს ისწავლის, ჩვენ კი რა გვეშველება, ის ვიკითხოთ, იარაღით წართმეულ ტერიტორიებს იარაღითვე ვერ დავიბრუნებთ, ცხადია, რაც თვალსაჩინო გავვიხადა თვალაკრულმა წინარე ხელისუფლებამ და მისმა შიშნულმა მეთაურმა.

8.

გენო კალანდია ამ კრებულში ხშირად იგონებს თავის ძირძველ კუთხეებს და უფალს რომ ელაპარაკება, ბზიფსა და რინას, კოდორსა და ცხუმს ისე იხსენიებს, ნამითაც არ მეეჭვება, რომ უფალმა იცის ის ადგილები, და რომ უფალი იქვე არის, სადაც ის ადგილებია, სადაც აფხაზეთი და სამაჩაბლოა. რამეთუ უფალი ყველგან არის. თავორის ერთი საკვირველი ლექსი მაგონდება: გამოვიდა კაცი შინიდან, სახლის კარი გამოიკეტა და აი, ჭიჭირიდან რომ უნდა გავიდეს, უფალმა შეაჩერა და ჰკითხა, საით მიდიხარო. კაცმა უპასუხა: მე ამ ნერჩე დამელუპა ყველა ჩემიანი, დედ-მამა, და-ძმა, ცოლი, შვილები. არავინ შემრჩა, ნერჩი არ მწყალობსო, და ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ ადგილიდან აბარგება. ნება შენიაო, უფალმა. მე კი აქ ვრჩებიო.

ჩვენ ჩვენივე ნებით არ დაგვიტოვებია აფხაზეთი და სამაჩაბლო. ჩვენ ადრე ლტოლვილებს გვეძახდნენ. ნელ-ნელა სიმართლეს მივუახლოვდით და ახლა დევნილებს გვეძახიან. გამოდევნილები ვართ და არა ლტოლვილები. აი, რა უნდა გვახსოვდეს გამუდმებით, გვეუბნება საგალობლების მთქმელი, თავორის ლექსი კი ჩვენივე ვითარებას სრულიად არ ესადაგება. უფალმა იცის, რომ ჩვენ ჩვენივე ნებით არ მიგვიტოვებია ჩვენი საკარმიდამო, ამიტომაც, რა დღე, რა ხვალე, მისივე განგებით ჩვენსავე მამულს დავუბრუნდებით. ასე გვეუბნება პოეტი-ალმსარებელი. ჯერ კი:

**გამახსენდება ბზიფი და რინა
და ღამლამობით ბალღივით ვტირი.**

პოეტს ახსენდება ის ადგილები, სადაც:

**იზაბელას და კაჭიჭის მეტრფე
ვენახს ფურჩინდა აფხაზი გლეხი.**

9.

ნობელიანტი მწერალი ელიას კანეტი უბის წიგნაკში იწერს: „სამწუხაროდ, ლექსს ომის შეწყვეტა არ შეუძლია“. ომის გაჩაღება შეუძლია თუ არა, არ ამბობს.

გენო კალანდიას „საგალობლები“ არა ომის შეწყვეტა-გაჩაღებაზეა მიგულისყურებული, არამედ — შერიგებაზე, და სახარების კვალობაზე, ურთიერთსიყვარულზე.

10.

მე, როგორც ერთ-ერთი მკითხველი, ლექსებში მუდამ ვეძებ ისეთ სიტყვებს, რომლებმაც აი ეს წუთია გაიცინეს ერთმანეთი.

გავსინჯოთ ასეთი გამონათქვამი:

ბერ-მონაზონი ებრძოდა სიზმარს...

სიზმარი ვის არ სწევია. მაგრამ, ჩვენთან შედარებით სხვაა ბერ-მონაზონის სიზმარი. რა დაესიზმრა ნეტავ? ისეთი რა დაესიზმრა, რომ ომში ჩართვა მოუწია. აი, საკითხი და საკითხის კიდევ საკითხი. ან ასე ვთქვათ: აი, მიზეზის მიზეზი და კიდევ მიზეზი. მაგრამ ნუ გავუყვებით ბერ-მონაზონის სიზმარს ბოლომდე, ნუ ჩავეძიებთ.

პოეტმა მიგვანიშნა, ებრძოდაო, და მეტი არაფერი. მაგრამ ეს ერთადერთი სიტყვა (ებრძოდა) უზარმაზარ მასშტაბს მოიცავს. ანუ, მთელ ცხოვრებასა და ცნობიერებას. ბერ-მონაზონს არ ეპატიება ის, რაც გვეპატიება ჩვენ, თუნდაც ეს სიზმარი იყოს. მაგრამ, რაკილა ვთქვი, ნუ შევუდგებით-მეთქი ამ სიზმრის ამოხსნას, მართლა შევეშვათ. პოეტმა ერთადერთი სიტყვით გვითხრა, ის, რასაც ბევრი სიტყვითაც ვერ მივწვდებით, ანუ ერთით იწყება მილიონი, პატარით — დიდი.

ნაძვის კვარით იწვოდა რომი...

ახლა ვნახოთ, დიდიდან პატარამდე დასვლა, რაც, სხვათა შორის, იმავე საგალობელშია მოქცეული:

სამყარო, როგორც მდინარე ლომი, არის საშიში...

რა უნდა ვიღონოთ, რომ ლომი არ გამოვალვიძოთ? კაცი რასაც ხედავს, იმას ემგვანება. გენო კალანდია გამუდმებით ხედავს მშობლიურ პეიზაჟებს, რაზეც ერთმა მწერალმა თქვა: პეიზაჟი მოკვდაო! პეიზაჟი მამინ მოკვდება, როცა ლომი გამოიღვიძებს. ეკოლოგია მორალთანაა დაკავშირებული. სისუფთავით ფეთქავს ეს კრებული. სინათლითა და სხივებით. მზე მაცხოვარია, სხივები — მონაფეები. მზეს და მაცხოვარს ნუ შეადარებთო, როზანოვი ამბობს, მაგრამ უცთომელი ვინაა ამ ქვეყანაზე, „აღდგომის მზე ხარ“, — ეუბნება საგალობლების მთქმელი უფალს. ანუ სინათლე ხარო. სანთელი ხარო. სანთელი კი თავის დანიშნულებას სიბნელეში ავლენს. კიდევ რომ გავაგრძელოთ ამაზე ფიქრი და ციდან მინაზე ჩამოვიდეთ, ხომ მივხვდებით, რომ „ქართული ოცნების“ ხსნა-საშველი „ნაციონალური მოძრაობის“, ანუ სიბნელის არსებობაშია, რაც არ იციან „ოცნების“ მესვეურებმა.

როგორც მკითხველი ხედავს, შინ ვართ უკვე და ამითაც მოვრჩით.

P.S. ერთი ძველი ვიეტნამელი პოეტის (ნგუენ ზუს) პოემას ასე კითხულობენ: გადამლიან წიგნს, სადაც მოხვდებით და იქ რაც წერია, ის იქნება მათი ბედი და ილბალი. ამ წიგნის წამკითხველს არჩევანი არ მოეპოვება (სიყვარულმა არჩევანი არ იცის), ყველა საგალობელი ერთი მარშრუტით მიემართება — უფლისკენ მიდის. გზა ერთია, მაგრამ სიმართლე არაერთგვაროვანია.

გენო კალანდიას ლექსები უწინარესად მწარე სიმაღლის საგალობლები არიან.


კონსტანტინე ზ. გამსახურდია

ბიორგი სააკაძე

ძალიან სამწუხარო ის არის, რომ ბიორგი სააკაძის პიროვნებაზე მსჯელობა ხშირად იმ შაბლონების მიხედვით ხდება, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში დასტოვდა სტალინის მიერ შეკვეთილმა ფილმმა „ბიორგი სააკაძე“. მასში „დიდი ბელადის“ და „საბჭოთა ხალხების მამის“ რეზონია ასახული. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ერთი მხრივ მოლაღატე, ეგომან ფეოდალებზე (შადიმანი და სხვები) მეორე მხრივ კი შვილის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვაზე (ერთ შემთხვევაში პაატა, მეორე შემთხვევაში იაკო ჯულაშვილი.) დააკვირდით: ამის მერე „შადიმანი“ საღანძღავ სიტყვადაა ქცეული ჩვენს მეტყველებაში და არავინ კითხვასაც კი არ სვამს, იყო თუ არა ამ დონის უარყოფითი პირი და იეზუიტი შადიმან ბარათაშვილი, სხვათა შორის წმინდანად შერაცხული მეფის, ლუარსაბის აღმზრდელი.

იგივე რეზონი სრულიად გაითავისა ედუარდ შევარდნაძემაც, რომელიც იმთავითვე ოცნებობდა იმპერიის ცენტრში დანიშნულებაზე. სააკაძე მისი იდეალი ჩანს, რატომღაც მგონია, რომ სხვა შემთხვევაში თავის შვილსაც არ დაარქმევდა სააკაძის ვაჟის სახელს. ამიტომ საბჭოთა საქართველოშიც 1972-85 წლებში მის კულტს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. სააკაძე, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით „კაცი მწურჩნელი“ (ანუ ინტრიგანი) მონარქობასაც ფიქრობდა: იქამდეც კი მივიდა, რომ საკუთარი ფული მოეჭრა, რაც მეფობის პრეტენზიას ერთმნიშვნელოვნად ავლენს. იგი ბაგრატიონთა დინასტიას საკუთარი დინასტიით ჩაანაცვლებდა. ამ ფაქტისთვის ისტორიკოსებს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ.

შესაძლოა ბევრმა ასევე არ იცოდეს, რომ უაღრესად საინტერესო წიგნი დაწერა როსტომ ჩხეიძემ, სადაც წარმოჩენილია აქამდე არსებული დისკუსია სააკაძის თემაზე და არის მცდელობა, საკითხები გადაჭრას საბჭოური კონიუნქტურის მიღმა. ამ ტიპის ისტორიული პირების შემთხვევაში განსაკუთრებულიც არაფერია, რადგან მსგავსი კონდოტიერები და რენეგატები როგორც აზიური, ისე ევროპული ქვეყნების ისტორიაში არაერთია. ამიტომ მისთვის დაფინს გვირგვინის დადგმა ან მისი უკიდურესი დემონიზაცია ისტორიული სიმართლის დადგენას არ წაადგება ალბათ. იგი ისტორიული ანალიზისა და აზროვნებისკენ გვიბიძგებს, რათა გავარჩიოთ დადებითი უარყოფითისგან, და ეს სააკაძის სასარგებლოდ მეტყველებს მაინც.



მესმის მიხეილ ლანიშაშვილის სუბიექტურობისა, რომელიც უარყოფით ასპექტში ხედავს სააკაძეს. თუმცა ამ საკითხზე ლიტერატურაში საპირისპიროც გვხვდება, ასე მაგალითად კონსტანტინე გამსახურდიას 1918 წელს დაწერილ ლექსში არის ასეთი ფრაზა: „ვამბობ, სადაა სააკაძე, ქართლის ცეზარი“ — ეს დადებითი სუბიექტურობაა, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი მკვეთრად უარყოფითად აფასებდა ამ ისტორიულ პიროვნებას. ასევე ზვიად გამსახურდიას გლოსოლოგიურ ლექსში „მარაბდა“ ნახსენებია „გიორგის ელვანე გორდა“. აქაც დადებითი სუბიექტურობის გაცნობაა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამ სტრიქონების ავტორს მოურავი დადებით გმირად მიაჩნ-

და?! როგორც დადებით, ისე უარყოფით სუბიექტურობას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. ესა თუ ის ლექსიც, გამომდინარე მხატვრული შესრულებიდან და ეთოსიდან, შეიძლება მოგვეწონოს, შეიძლება არა.

საბჭოთა საქართველოში სააკაძე გორგასლის შემდეგ ერთადერთი გმირი იყო, ვისაც ძეგლი ედგა. ასეთი დამოკიდებულება ალბათ სამუდამოდ უნდა ჩაბარდეს წარსულს. თუმცა მასზე, ისევე როგორც გოეთესეულ გიოც ფონ ბერლიხინგენზე, ასევე შილერისეულ ვალენშტაინზე, ძალიან საინტერესოდ შეიძლება დაინეროს. მათი შეფასებისას გააჩნია შენ თვითონ რომელ ბანაკს ეკუთვნი. ესენი არ არიან ცალსახა პერსონაჟები, დამდეგი მორალური სამყაროს დიდი გზაგამკვლევენი და გეზის დამდგენნი, ისეთნი, როგორებიც იყვნენ ლიკურგე, დავით აღმაშენებელი, კარლოს დიდი, დიმიტრი დანსკოი, გოდფრუა ბულონელი, იოან სობიესკი, ფრიდრიხ შოპენშტაუფენი, ბრიტანეთის მეფე ჯეიმზ პირველი, შექსპირისა და ფრენსის ბეკონის მეგობარი და შთაბეჭდილებელი და ა.შ.

ქვეყნისადმი ერთგულების ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ამ ეპოქისა მე ასევე მგონია დამოკიდებულება ბაგრატიონთანა დინასტიის ისეთ წარმომადგენელთან, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობის გეზისთვის არ უღალატია — სიმონ პირველი იქნება ეს, ლუარსაბი თუ თეიმურაზი. რასაკვირველია, ასეთი ვერ იქნებოდა ხოსრო-მირზას, შაჰნავაზის ან აბდულა-ბეგის მსგავსი ვერცერთი გამაჰმადიანებული რენეგატი. თავად სააკაძე ორჯერ ისლამმინალები გახლდათ, ერთხელ შიიტურ-ირანულად, მეორეჯერ სუნიტურ-ოსმალურად.

არ დაგვავიწყდეს მეფე თეიმურაზი — აი კიდევ ერთი მსხვერპლი საბჭოური გაყალბებული ისტორიოგრაფიისა. რალაცნაირი დაცივნის ტონი ახლდა მის მოხსენიებას მეფეპოეტად, თითქოს ეს ყოფილიყო უმთავრესი მის ბრძოლასა და მოღვაწეობაში: გასაგებია ისიც, რომ რუსთველთან ახლოსაც ვერ მივიდა, როგორც პოეტი, ხოლო როგორც მონარქს, არც დავით აღმაშენებლის თუ გიორგი ბრწყინვალეს დარი მიღწევებით შეუმკია ისტორიის საკურთხეველი. მაგრამ ფაქტია, რომ მთელი სიცოცხლე ამ მეფემ ხმლით ხელში გაატარა, ხან ერთ, ხან მეორე მტერთან ომში, გამუდმებით დევნილმა და დაზარალებულმა. ვერც იმას უსაყვედურებ, რომ პოლიტიკური პრაგმატიზმი აკლდა. მან სწორედაც რომ მოგვცა სამშობლოს ერთგულების და მისი თავისუფლებისთვის ბრძოლის მაგალითი.

ისტორიასთან საბჭოურ მიდგომას ასევე გამორჩა ქეთევან დედოფალი. აი ვის მიმართ არ შეიძლება რაიმე კითხვა არსებობდეს. მას მერბო კოსტავამ თავის ერთ ლექსში „ქართველთა აგნესა“ უწოდა. რომ არა მისი მონამება, არანაირი მარტყოფის და მარაბდის გამარჯვებები არ იქნებოდა. აი ვისმა მაგალითმა იმოქმედა ჩვენი წინაპრების სინდისზე მე-17 საუკუნეში, რომელთა დიდი უმრავლესობაც ან უკვე გამაჰმადიანებულიყო, ან მზად იყო გამაჰმადიანებისთვის.

ქეთევან მეგრელიშვილი — დაიბადა 1991 წლის 24 მაისს. 2013 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტი. 2014 წლის სექტემბრიდან იმყოფება ჩეხეთში, საქართველოში ჩეხეთის საკონსულოს პროგრამით მოპოვებული გრანტითა და სტიპენდიით, მაგისტრატურაში სასწავლებლად. დროდადრო ინტერნეტსივრცეში აქვეყნებს ჩანაწერებს ევროპული ცხოვრების შესახებ. ამჯერად ჩვენს ჟურნალს პარიზში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უზიარებს.

ქეთევან მეგრელიშვილი

როგორ შევხვდი ჟაკს ანუ BONJOUR, MADEMOISELLE !

პარიზის პანთეონის ქვედა სართულზე, ჩაბნელებულ დარბაზში მარტო ვიჯექი და ალექსანდრე დიუმას ნეშტის გადმოსვენებას პატარა ეკრანზე ვუყურებდი. სიმართლე გითხრათ, ძალიან დაღლილი ვიყავი, თან მცინოდა და ამიტომ ვიფიქრე, ცოტა ხნით ჩამოვჯდები-მეთქი, მაგრამ ეს ცოტა ხანი საკმაოდ გაგრძელდა.

გვერდით შუახნის ფრანგი მამაკაცი მომიჯდა, ეკრანზე კი ქალი რალაცას ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ფრანგი შემომიტირალდა, რალაცას მეუბნებოდა, ქალის სახელი ახსენა და მივხვდი, რომ, სავარაუდოდ, ეკრანზე მოლაპარაკე მდებარე ამბობდა რალაცას. წინასწარ გაზეპირებული ფრაზით მოვუბოდიშე, რომ ფრანგული არ მესმოდა. უცებ გაჩერდა და შებრუნდა. კადრი მალევე შეიცვალა და ეკრანზე ჩემთვის ნაცნობი მამაკაცი გამოჩნდა, აი, საიდანაც რომ გეცნობა, მეტიც, ძალიან კარგადაც იცი, ვინც არის, და ახლა გონების ლაბირინთებში ეძებ მის სახელს სინათლის სიჩქარით.

ფრანგი ისევ მოტირალდა და ვიდრე რამეს იტყოდა, დავასწარი: — უაკ შირაკი?

გაეღიმა, თან გაუხარდა, თავი დამიქნია და მითხრა:

— უაკი! — ხელი კი გულზე დაიდო. მივხვდი, რომ ახლა უკვე საკუთარ თავს მაცნობდა. გაუფიქრებ ჩემი სათნო ღიმილით და ცხოვრებაში პირველად დავუფასე თავს, რომ ბავშვობაში, უფროსების გადაძვირებ, მინდოდა თუ არა, საინფორმაციო გამოშვებასაც ვუყურებდი.

ალბათ უკვე მიხვდით, რომ პარიზში ვიყავი.

კი, ნამდვილად პარიზში!

აი, იმ ბევრისთვის და, განსაკუთრებით, სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის საოცნებო ქალაქში, რომელიც ჩემთვის არასოდეს ყოფილა ის ერთადერთი და განუმეორებელი, ხშირად (ზე)აღმატებულსაც რომ ვუნდობთ ხოლმე.

ცნობისათვის: მეც გოგო ვარ!

ცხადია, უარს არც მე ვიტყვოდი პარიზის ქუჩებში გასეირნებაზე, დილაობით, ლუი არმსტრონგის სიმღერისა და ეიფელის კოშკის ფონზე, ფრანგული კრუასანისა და ყავის მირთმევაზე, ლუერისა და ვერსალის დიდებულებზე, ფრანგი ქალების დახვეწილი გემოვნებისათვის „ქართული კრიტიკული თვალის“ შევლებასა და, სულაც, ლამაზ ფრანგულ სახლში ცხოვრებაზე...

მაგრამ პარიზი მანაც ახალი ათასწლეულის გამონაბოლქვში გახვეული, თვითკმაყოფილი, უკარება და ცივი ადამიანებით სავსე და ქუჩებში მოსრიალე უამრავი „რენოს“, „სიტროენისა“ თუ, რა ვიცი, კიდევ რა მარკის მანქანებით ახმაურებული ქალაქი მეგონა, ცოტა მონაცრისფრო სივრცითა და ამ სივრცეში მოძრავი უამრავი დროებით თუ სამუდამოდ შეყვარებული წყვილით, „ვიქენდზე“ სამოპინგოდ ჩასული ელიტარული და სნობი სტუმრებითა და ჩემსავით ზურგჩანთამოკიდებულნი, არცთუ ისე ჯიბესავსე სტუდენტებისა თუ ტურისტების კომბინაციით.

მიუხედავად იმისა, რომ არც ეიფელის ფონზე მიჭამია კრუასანი — მონმარტრზე ვჭამე სამაგიეროდ — და არც ლამაზ ფრანგულ ბინაში მიცხოვრია, პარიზს კი მართლაც აქვს თავისი განსაკუთრებული სუნი და ცოცხალი ნაცრისფერიც დაპკრავს, ათასი ჯურის ადამიანით სავსე ქალაქმა ჩემზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მის ქუჩებში ხეტიალი, ლუერისა და ვერსალის მდიდრული დარბაზები ან ეიფელის კოშკის სიმალიდან გადმოხედვა სულაც არ არის საკმარისი —

პარიზი რომ შეიგრძნო, უნდა იცხოვრო ამ ქალაქში!

დილაობით ხალათში გამოწყობილმა ფანჯარა გამოალო, რაფაზე ჩამოჯდეთ, მონაცრისფრო ქალაქს შეხედო და ისწავლო მთავარი — როგორ შეიფერო ის, რომ აქ ყველასთვის მადმუაზელი ხარ — „BONJOUR, MADEMOISELLE!“

ჩასვლის დღესვე გაგაფრთხილეს, აქ თბილისი არ გეგონოთ, ღამე ფრთხილად უნდა იყოთო, ბარბესს — უბანია პარიზში — ნუ გაეკარებთ, თუ მაინც-დამაინც, ქართულად ნუ დაილაპარაკებთ, შეიძლება ვინმემ გაიგოს, მოვიდეს და, რაც უნდა გაგიკვირდეთ, ქართულად, ჩვენთვის ასე ჩვეული „ნათესაური“ უშუალოდ, არც მეტი, არც ნაკლები, და თანაც „ძმურად“, 3-4 ევრო გთხოვოს, ისიც კარგი არაფრისთვის სჭირდებაო.

არ ვიცი, ქართული სისხლის ყვირილი იყო თუ უცხოეთში გადახვეწილი ჩემი გზაკვალარეული თანამემამულეების ბედისწერა, მაგრამ ჩვენი ოტელი ზუსტად ბარბესზე აღმოჩნდა (მონმარტრსა და მულენ რუჟთან ახლოსაც, მაგრამ... ბარბესზე!). ღამით, დამფრთხალ-დაფეთებულები, ხმას არ ვიღებდით და ყურსასმენებით, უჩუმრად მივუყვებოდით გზას მეტროდან სასტუმრომდე.

არ ვიცი რატომ, მაგრამ უცხო ქალაქში ყოველთვის მიზიდავს მეტრო, მისი თვალიერება და... მთავარი — ბოლომდე ათვისება. შემიძლია მთელი დღე გავატარო ხაზიდან ხაზზე გადაჯდომასა და გზის გაკვლევაში. პარიზის მეტრო კიდევ ერთი დიდი და ახალი გამოწვევა იყო ჩემთვის — ეს ხომ კიდევ ერთი პარიზია პარიზიკეშ.

აქ ნამდვილად შეგანუხებთ სუნი. თქვენს ნერვებსაც „მოიკითხავს“ და დაგლით კიდევ ხაზების რაოდენობა; ისიც, რომ ბილეთის გატარება ერთ ჩასვლაზე შეიძლება 9-ჯერ დაგჭირდეთ; ისიც, რომ ფეხზე აუცილებლად გადაგივლიან, მაგრამ ამავე დროს შეიძლება გაგიკვირდეთ, რუკასთან დაბნეულად მდგომს ფრანგი თავისი სურვილით რომ დაგეხმარება;

მერე რა, რომ ფრანგულად აგისხნის ყველაფერს, ან შეიძლება თავისი ბარათითაც გაგატაროს, ან უბრალოდ რიგი დაგიტოვოს, ვაგონში მდგომს მოხუცმა მხარზე თითით დაგიკაკუნოს და გაგაფრთხილოს, რომ ჩანთის ჯიბე ღია დაგრჩა და შეიძლება ვინმემ რამე ამოგაცალოს — რა თქმა უნდა, ესეც ფრანგულად, მაგრამ ენას რა მნიშვნელობა აქვს, თუ ადამიანებს ისედაც ესმით ერთმანეთის?

რომ შემეძლოს, პარიზის მეტროს „რედისოკის“ მუსიკას შევადარებდი — მრავალფეროვანი, დრამატული და იდუმალი — აქ ყველაფერია: როკი, ჯაზი, ელექტრონული ელემენტები, კრაუტროკი... და კონტრასტი. გგონია, რომ ორ სამყაროში ხარ ერთდროულად: ერთი მოვლილი, მდიდრული, ღამაზი და ბედნიერია, მეორე — დაღლილი, ნატანჯი და ჭუჭყიანი, მაგრამ ამავე დროს, პირველზე უფრო თავისუფალი და თვითმყოფადი. ერთად კი ქმნიან მიწისქვეშა პარიზს. (ეს გადახვევა იმ „(ზე)აღმატებულისათვის“ იყო, ზემოთ რომ ვახსენე)

როდესაც რამდენიმე ადამიანი ერთად მოგზაურობს, რთულია შეადგინო ყველასთვის ერთნაირად მოსაწონი და მისაღები გეგმა, ამიტომ ბოლო დღეს გავიყავით, სხვები ვერსალის სანახავად წავიდნენ, მე კი „პარკ დე პრენსის“ ნახვა მინდოდა, SHAKESPEARE AND COMPANY-ში წიგნების დათვალიერება, ქუჩებში ხეტიალი და ჩვეულებრივ მოკვდავთა პარიზის გაცნობა.

დაახლოებით 26 სადგური გავიარე, სტადიონამდე რომ მივსულიყავი. იქ კი... ყველა კარი დაკეტილი დამხვდა.

გული უზომოდ დამწყდა, ვიფიქრე, შემოვუვლი, გარედან მაინც ვნახავ-მეთქი. სადაღაც 2/3 გაველი მქონდა, როცა ოდნავ შეღებული კარი აღმოვაჩინე და წამის მუასედში უკვე გისოსის მიღმა ვიდექი. არ ვიცოდი, რომ წინ მეორე დაბრკოლება მელოდა — ახლა უკვე მოედანზე გასასვლელი კარი, რომელიც ჩემთვის — ასე „მაღალი“ ადამიანისთვისაც კი — შეუწვდომელი იყო, ფეხის წვერებზეც კი ვერაფერს ვხედავდი. სამაგიეროდ, ხელი გადავყავი და სურათების გადაღება დაიწყო. ისე გავერთე, ვერც კი შევამჩნიე, როგორ მომიახლოვდა, სავარაუდოდ, ალჟირელი ტიპი და ფრანგულად მითხრა რაღაც. შემოვტრიალდი დამნაშავეის სახით, ავუხსენი, რომ არ მესმოდა, რას ლაპარაკობდა, თან ვიდრე დატუქსვას მოასწრებდა, აი, იმ ჩემი სათნო ღიმილით, ინგლისურად და შესტების დახმარებით დავუმატე:

- მხოლოდ შევავლებ თვალს და მალე წავალ.
- მარტო ხარ? — მკითხა ჩემთვის გასაგებ ენაზე, სერიოზული სახით.
- კი, — ვუპასუხე და უცებ გავიაზრე, რა ვთქვი, შემეშინდა, არ იფიქროს, რომ სულ მარტო ვარ-მეთქი და ცოტა რიხიანად ვუთხარი:



— მეგობრებთან ერთად ვარ, უბრალოდ ისინი არ წამოვიდნენ, აქვე არიან, ახლოს.

— ნამოდი, — ხელითაც მანიშნა და მოედანზე გამიყვანა. პარი სენ-ჟერმენის მიმართ არანაირი სიმპათია არ გამაჩნია (ბექჰემს და კაბაიეს თუ არ ჩავთვლით. აქ „გოგოსმაილს“ დავწერდი), მაგრამ ამ ემოციას — ცარიელ სტადიონზე — მხოლოდ კარგი თამაშის, უფრო კარგი გულშემატიკვირისა და სავსე სტადიონის განცდები თუ შეედრება (ჩემი ენ-ფილდი არ იცულისხმება, რა თქმა უნდა).

სურათები გადავიღე, ალჟირელს ველაპარაკე, ჩემი ფავორიტი „ლივერპულისთვის“ განკუთვნილი მისი ირონიული ღიმილი გავატარე და გეზი „შექსპირისკენ“ (ჯვარი მწერია, შექსპირის სახელობის მაღაზიისკენ) ავიღე.

ადვილად მივაგენი. გზაში სენის პირას სუვენირი ვიყიდე და მაღაზიაში შესასვლელ რიგში ჩავდექი. თვალწინ კი ყველა კადრი გაცოცხლდა ყველა ფილმიდან, სადაც კი ეს მაღაზია ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია.

როგორია? რა გითხრათ, წიგნებს რომ სახლი ჰქონდეთ, ალბათ ასეთი იქნებოდა. ის დღე თითქმის მარტომ, ხეტიალში გავატარე, ვერც ერთ ფეხს ვერ ვგრძნობდი (თითებზე ლაპარაკი ზედმეტია!). უზომოდ დაღლილი ვიყავი.

ცოტა მცოდნა... ცოტა მშობიარე... მაგრამ უზომო კმაყოფილების განცდა მქონდა.

...იცით? ხანდახან მგონია, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს არ ხდება და მიძინავს.

ახლაც, ამ ყველაფერს რომ ვწერ და ვიხსენებ, თითქოს ბურუსშია და ვცდილობ, ამოვკრიფო, ავკინძო და შევიწინა, იმ შემთხვევისთვის, უცებ რომ გამეღვიძოს...

აი, მაგალითად, ასე: „JOUR, MADEMOISELLE!“

ნატა ვარადა

ზაზა აზოიანიძე — ამბავი დე ლა მელასი ანუ ქართულ-ევროპული ზღაპრისა და მაშასადამე, ფსიქო დელია ვრანუნი

(„ჩვენი მხარე“, 2014, №26)

ავტორს უნდა ენდო.

**როცა თვითონ ხარ მელია,
მელაზე წერა ძნელია
და ადვილია ყველაზე
— წერა ერთ „არამელაზე“!**

საახალწლო ზღაპარი მხოლოდ პატარებისთვის არ გამოვიდოდა. ახალი წელი ყველას ერთნაირად უყვარს. ამიტომაც დიდებისთვისაც, მინაწერი გაუკეთებია ავტორს. თუ ავტორს ენდობი, მისივე გვერა.

ზღაპარი, საერთოდ, ისედაც ორივესთვისაა.

დიდ-პატარა თუ განასხვავებ და გამოაცალაქვე, რალა ზღაპარია?! დიახ, აქ ყველა თანაბარია. დიდიც და პატარაც. მთხრობელის მსმენელს სჯერა და პირიქით.

დამაჯერებელია, რომ ზღაპარს ერთი ბოლო აქვს, ეჭვგარეშეა, გნომები არსებობენ. თუნდაც ისეთი გნომები, თვალისთვის რომ შეუმჩნეველნი რჩებიან, ფარდის მიღმა დგანან და მინც მათ გამოცდილებას, წარსულს და ჭკუას აქვს ფასი. იმიტომ, რომ გნომები მშვიდობის მოყვარულები არიან.

ცეცხლი აინთო და ზღაპარი დაიწყო....

საახალწლო ზღაპარში ტექსტს გნომი კითხულობს. გნომს, ასე ვთქვათ, წამყვან-კონფერანსიეს როლი აქვს მინიჭებული. ტრაგიკულ-კომედიურად ეს გნომი უხილავია და თან ამ საგრაფოს კანონიერი მფლობელი, თუმცა დე ლა მელაებს გაიძვერული ხრიკებით წაურთმევიათ და, ნუ იტყვი, გრაფებისა და გრაფინების ჩვევებიც კი საგანგებოდ შეუსწავლიათ. გნომი განსაკუთრებული, თანდაყოლილი, სისხლისმიერი დიდგვაროვანი შემწყნარებლობით გვამცნობს, რომ მისი ღირსება აყრილია სწორედ მელიების მთავარი გრაფის დე ლა მელასა და მისი ბარონებისა და ფრეილინების დამსახურებით. თუმცა არ დაუშვებენ გნომები მათი მინა სისხლით მოინწყას, ომი ატყდეს და მათი ისტორიული ქვეყანა მოისპოს.

რატომ იწყებს მეზღაპრე სურათსა და მოქმედებას პიესაში იმ გმირით, რომელიც მთავარი მოქმედი გმირებისთვის ანტიგმირია, ხოლო მკითხველი, დიდ-პატარა, განურჩევლად ასაკისა, უკვე ეჭვის თვალს მიაღწევნებს სტრიქონებს.

აშკარაა, არ გვაქვს დადებით გმირებთან საქმე, თუმცა, უეცრად, არც მეტი და არც ნაკლები, პოეტურ ტურნირზე ანუ შეჯიბრზე მოგვახვედრებს მეზღაპრე.

დელია მელია ვრანუნი თხემით ტერფამდე ქართულია, ჭრელი პეპელა, ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდები, ოდელია ვრანუნი, მხიარულება და უდარდებობა, მაგრამ გავერობელებული, ნირშეცვლილი, „ღამურას კომპლექსით“ „ფრთხეშეს-ხმული“ ერთბაშად ტრაგი-კომედიური ელფერის ხდება.

ზღაპარი, როგორც იგავი და არაკი, ალეგორიაა ძირითადად. აქ, ჩვენი დაკვირვებული მეზღაპრე-ავტორი, საიმედოდ გადაიტანს დღევანდლობის სიმწარეს ზღაპარში, თანაც საახალწლო დიდ-პატარისთვის ერთობლივად საკითხავში. გადაიტანს მძიმე სოციალურ გარემოს, იმ გამეფებულ სიყალბეს, „საგრაფოში“ თვითმარქვიებისა და ხელოვნურობის სახელი რომ შქვია და გულწრფელობა და ნამდვილობა უხილავი და ძნელად შესამჩნევი გამხდარა.

პოეტური ტურნირით იხსნება ფარდა. ეს ხომ შუაგულ ევროპაში დიდად მიღებული რამ იყო. განა ტრუბადურებისა და მეფის კარის მასხარების მთავარი როლიც პოეტური ზემების მოწყობა არ გახლდათ?! ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, რაინდების და გმირების ეპოქაში, სწორედ რომ პოეტური პაექრობა ერთ-ერთ წამყვან შოუდ და სახელის მოხვეჭის საშუალებად ითვლებოდა. ვინ რუმბივით გაგორებულა, ტყეში გავარდნილა, აღმოსავლეთში გადასულა, იმის გამო, რომ სწორედ პოეტურ ტურნირებზე სახელი შეურცხვენია და სიტყვა სიტყვაში ვერ ჩაუჯენია?!

მეზღაპრემ, მგონი ჩვენი დღევანდელი პოეტური კონკურს-მართონები, რეალობაში ასე მწარედ ფესვადგმული და მარგინალიად ნაქცევი, ხელოვნურად კომიკურ შოუდ შემდგარი და სოციალური მძიმე გარემოსდა გამო, მხოლოდ ოქროების ჩხრი-ალის მომტანი, ასეთ ლამაზ სურათ-სცენის ინპირაციად გარდასახა. გააცოცხლა შუასაუკუნეების მეფის კარის მასხარაობა, პოეტური ტურნირი, ასერიგად დამამკირებელი და ერთბაშად, ტრაგი-კომიკური. მეზღაპრე სხვადასხვა ცხოველების ენით, პოეტურად დასცინის ასეთ კონკურსებს და მახვილსიტყვაობას არ იშურებს. თუმცა ადამიან-პოეტებისგან განსხვავებით, აი, მაგალითად, ხელიკი პოეტები, სიმღერ-სიმღერით აღიარებენ, როგორ მოიპოვებენ ხოლმე მართონებზე პირველ ადგილებს:

**ჩვენ, გულადი ხვლიკები,
მტერს ვჯობივართ ხრიკებით.**

...
**ასეთები ვიყავით,
ასეთები ვიქნებით.
(აპლოდისმენტები)**

სხვა რა ხდება იმ „საგრაფოში“, სადაც მელიები თვითმარქვია გრაფები არიან, ქათმების ნაცვლად თავგებს უგებენ ხაფანგებს და ერთმანეთის კუდებს ბღვენას ადენენ?!
მეზღაპრემ საახალწლო ზღაპარი ექვს სურათად დაყო. ექვსი სურათი. ანუ რამდენიმე სურათი ჩვენი აუტანელი თვითმარქვია დროებიდან. ოსტატურად ყველა ამბავი ერთმანეთს ებმის, ერთმანეთიდან გამომდინარეობს. როცა პოეზია, როგორც სულიერება, მატრაბახობად არის ქცეული, იქ უკვე თავისმომშენებაა საქმენი საგმირონია. როცა გარეშე მტერი მოახლოვდება, აი, მაშინ კი ძალით მიტაცებულ, სხვის კანონიერ მინაზე გაშენებული მელიების ქვეყანა მოიკუნტება, დაპატარავდება და ისევ სხვისი ხელით ცდილობს თავის გადარჩენას.

**ტყეში ატყდა დიდი ომი,
ტურას უნდა, გახდეს ლომი,
ლომს არ უნდა იქცეს ტურად
და იქცევა სადისტურად!**

ესეც ერთი სახე დღევანდლობისა. ფსევდოპოეზიის შეჯიბრზე გაუღერებული სიმღერა-მონოლოგიდან.

მელიების პრობლემა მაშინ იწყება, როცა მათ ციხე-გალავანს ალყა აქვს შემორტყმული, გარე საფრთხე ძლიერდება და მათ გრაფომანიას წყალი უდგება.

სასწრაფოდ ბრძენ ბუს, სოფის და ყვანჩალა ზიტას მოუხმობენ. მიდგებ-
მოდგებიან, საქმეს გაჩარხავენ. აქ, პიესის ამ მონაკვეთში, უნდა ითქვას, რომ
მართლაც რალაც საახალწლო ხდება, თითქოს სამხედრო კავალერიაც ნამდ-
ვილია, ეს ფუსფუსი, ჯარისკაცული და ერთგულების ფიცის მაგვარი ურთი-
ერთტყავის გადარჩენისა სახალისოდ არის განვითარებული და თუ ვინმე ნი-
ჭიერი და გამოცდილი რეჟისორი ხელს მოკიდებს, თავის სცენისკენ ნააცუნ-
ცულებს, გვარიან საახალწლო სპექტაკლსაც გამოკრავს ხელს. ვითომ პიესე-
ბი არ ინერებო, პიესები დადგით, პიესები, ამ, ჰამ, ასეთი სტატუსებიც გა-
ისმოდა აგერ ახლახან ჩამომდგარ წინასახალწლო აფიშების მიღმა. აი, ესეც
ერთი პიესა, ესეც საახალწლო და არა მხოლოდ ქართული. პირიქით, ზომიერ-
ად ევროპული, და მაშასადამე, ქართული ფსიქო დელიური დეტალებით.

სხვათაშორის, ეს ევროპულობა და მაშასადამე ქართველობა, რალაც
ფსიქოდელიურ-მელიური გარდასახვა განსაკუთრებული ოსტატურად
აისახა ზაზა აბზიანიძის პიესაში. როგორ ხდება, ისე, რომ — რაც არ არი,
არალიო, თუ როგორცაა.

წამიერად, დისნეის ფილმებმაც გაინკრიალეს. მეფის კარზე ბრწყინვა-
ლე კაბებსა და კოსტიუმებზე, ბალსა და მეფლისებზე გამართული ღურზა-
ური და სარკეებიან დარბაზებში გათამაშებული სასიყვარულო დრამების
მიღმა სოციალური ამბები. ყალბი და ნამდვილი, სიმდიდრე და სიღარიბე,
ბედნიერება და უბედურება — რა არის მაინც უპირატესი?! სიღამაზე და
სიმშვიდე, თუ ფუფუნება და მუდმივი ლალატის შიში?!

ჩვენს საგრაფოში სწორედ რომ, ქართულად მთავრდება ზღაპარი. ბო-
როტსა სძლია კეთილმან და სიყვარულის მუდმივი გამარჯვება სიძულვილზე.

გველემპაი კლარა, რომელიც თავგასაშენ მელიების საგრაფოს „ემტე-
რება“, მარტოხელა ქალია. როგორც ყველა მარტოხელა ქალს, მასაც სიყ-
ვარული აკლია. თავგასაშენს თუ გველემპაი გააჩანაგებს, იქნებ კეთილი
საქმეც ქნას. რადგან ერთხელ ერთ გვარიანად ქართულ ამბავში ვირთხე-
ბის განსაკუთრებული ჯიშის ვირთხეებისავე მჭამელი ჯიშის გამოყვანა ნა-
ვიკითხეთ. შეგვეშინდა, ეს თავგებზე ექსპერიმენტი ადამიანებზეც იქნე-
ბოდა გადატანილი. მელიებისგან კი ეს ამბავი არ იქნებოდა გასაკვირი. აქ-
ვე უნდა ვთქვათ, რომ ეს ზღაპარი ასოციაციურად კიდევ რამდენიმე „ად-
რეგანაგონ“ ამბავთან თუ არა, სახელთან მიგვიყვანს. მელკიადეს-ველას-
კესურ სიტყვების თამაშში ნებით ჩაგვითრევს და თავსაც შეგვაქცევინებს.

ქალბატონი კლარა მართალია გველემპაი ბრძანდება, თუმცა მასაც აქვს
ქალური ნაკლი, ბენვეული უყვარს. არც მეტი და არც ნაკლები, ოცდაათი
კუდბუთქუნა მელა სურს. ბრძენი უკვდავი ბუ სოფი და ასევე, მრავალწლო-
ვანი ზიტაც გამოსაგავს სწორედ რომ სიყვარულში იზოგინან. მოძებნიან სა-
სიძოს და ჩვენს გველემპას გაათხოვებენ. თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს, რომ
მელიებს მინიშნება, კლარას მელიების კუდები სურდა და არა მათი ხორციო,
სწორედ უხნესი გნომების ბიბლიოთეკაში ამოიკითხეს ალქიმიკოსებმა.

ნებისმიერ ისტორიულ კოლაფსის დროს გამოსავალი უთუოდ არსე-
ბობს. შინაბერა კლარას ჰენრიზე ათხოვებენ. მელიები ორ ჩიტს კლავენ -
სიყვარულის სახელით, კლარასაც თავიდან იშორებენ და თან კეთილ საქ-
მეს უკეთებენ ჰენრის — აოჯახებენ, ვალს ადებენ.

გველეს ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო. ესეც ძველი შა-
ირია. მართალია ქართული, მაგრამ იმ დროისაა, როცა საქართველო და
ქართველობა ევროპელობას დანეულებს იყო და მეტიც. ევროპული ჰუმან-
ურობის შუასაუკუნეების გარიჟრაჟზე საქართველოს ეს სიტყვები უკვე
ამოთქმული ჰქონდა გენიოსის ენით.

პიესა მეფლისით მთავრდება. სხვანაირად არც გამოვიდოდა. ფრთოს-
ნები ორდენებით დაჯილდოვდნენ. დელა მელა კვლავ ლობტარად რჩება,
ადგილსაც ინარჩუნებს და საგრაფოსაც.

თუმცა უხილავი გნომები ნამდვილად არსებობენ, თანაც განგების ნე-
ბით უკვდავების გენით არიან დაჯილდოებულნი. მათი ტექსტი ასეთია:

**ჩვენ, პატარა გნომები,
ვართ მრჩეველები ლომების,
— გვისმინეს და მიიღეს
სამშვიდობო ზომები!**

შეიძლება ერთ დღეს ზღაპარი სინამდვილედ იქცეს. იქნებ ყველა კე-
თილი ზღაპარიც ამიტომაც ინერება და იკითხება. მიუთმეტეს, თუ უხილა-
ვი გნომი უჩინრად, მაგრამ სიკეთის კეთებას მაინც ახერხებს და მშვიდო-
ბასაც მისი გონიერებით ედება ფასი. ამ საახალწლო ზღაპარს დიდებიც



მხატვარი ზაზა აბზიანიძე

და პატარებიც თუ გულდაგულ მოისმენენ, „ჭირი
იქა, ლხინი აქა“ მხოლოდ ცარიელ სიტყვებად არ
დარჩება.

საახალწლოდ გნომურ პატრიოტიზმს გისურ-
ვებთ.

სქოლიო განმარტებისთვის:

ჩრდილოეთის მხარეს, ბუხრისა თუ თოვლის ნე-
ბისმიერ მწმენდავს ისევე სჯერა ელფებისა და
გნომების, როგორც ბოროტი დედინაცვლის და კე-
თილი ხელმწიფის. ზღაპარში ყველაფერი ადვილია,
თითქოს მონამღული ვაშლი, ფამფალა ჯადოქრე-
ბის უკბილო წყევლა, გველემპაის ცეცხლოვანი ენა
და სხვა ერთბაშად არანამდვილია და შეგიძლია
არც გჯეროდეს მისი. ზღაპარს ამიტომაც არ ჰყავს
ავტორი, რადგან ავტორისა უნდა გჯეროდეს.

ყოფნა-არყოფნის ფასი ადევს გვერა-არგვე-
რას. და რადგან სქოლიოა, მოდი გავხსნათ ფრჩხი-
ლები, რწმენასთან გვაქვს საქმე. რწმენის ამბავია.

გნომები განა თავის რწმენას არ გვაშურებენ?!
სწორედ რომ ჩვენ თვალები მათ რწმენაზე გვებრი-
ცება, თორემ მაღაროში რომ მუშაობენ ჯუჯები, მა-
თაც კი დარწმუნებით იციან, რომ ოქროს იპოვნიან
და აუცილებლად აღმასვლას წააწყდებიან. ნეტავ რამ-
დენი წლის მაღაროში მუშაობენ ჯუჯები?! თუ ჯუ-
ჯების ასაკი 2 ან 3 ათასი წელია?! რა განა, რატომ არ
ანგრევენ ამ თავიანთ მაღაროს?! ჯუჯამაც კი იცის
განა, რომ დანგრევა და აფეთქება საშიში თამაშია?!
ცეცხლთან თამაშზე საშიში?!

სიტყვა გამეჭვა და ჯუჯისა რა იყო, და გნომე-
ბის რწმენის უნდა გვშურდეს, ორივე შურით, კეთი-
ლით და ბოროტით.

გნომს ისე უყვარს თავისი ტყე, თავისი ქვეყანა,
დამპყრობელთან თანამშრომლობას არ უკადრი-
სობს და ათასწლოვან სიბრძნეს აზიარებს, უხილა-
ვად, მაგრამ ჭკვიანურად მოქმედებს და რას აკე-
თებს?! ბოროტებას სიყვარულს ახვედრებს, თან
როგორ მარჯვედ. ამ სიყვარულს კი ჯადოქრობის
ძალა აქვს. არაფერი ინგრევა, არავინ კვდება. გვე-
ლემპაებზეც კი გამრავლების მოლოდინში არიან,
მელიები თავგებისკენ ხალისით იხედებიან, ხოლო
გნომები კვლავ ტყეში ცხოვრობენ. ტყე კი დიდია.
მოკეთეც და მტერიც ეტევა.

ზაზა აბზიანიძე, დიდ-პატარას მეზღაპრე,
იორიკისეულ მოსასხამში შუბს გადამალავს და სი-
მართლეს ყველას გასაგონად, ევროპულ ენაზე,
ოღონდ ქართული მხიარულობით, „მოგიჟიანებუ-
ლი“ ცეკვა-სიმღერით წინასაღმდეგსასწაულოდ, ოდე-
ლია-რანუნით გაახმოვანებს.

ასეთია ზღაპრის ბოლო.

გია ხოფერია

შემზარავი ქრონიკა

(ლაშა იმედაშვილის მოთხრობა „გასროლის ხმა“)



მხატვარი ბერდი არაბული

გასროლის ხმა მოთხრობასაც აქვს... იქ, იმ უალტამ დროში პაოლო იაშვილმა გული ამოირეცხა თვითმკვლელობით, თოფს ათქმევინა, რაც თვითონ ვერ თქვა, ვერ მოახერხა ცივად შეფოლადებული შუბლი შეემსხვრია და სიკვდილამდე არცთუ ისე დაშორებით მონანიედ ქცეულმა, დაასწრო მტერს განაჩენის გამოტანა. ის გასროლა ათასჯერ ანონილ-დანონილი გასროლა იყო. ამითაც იზვიმეს ბოლშევიკებმა, ქალაჩუნობად, მშიშრობად ჩაუთვალეს გასვლა წუთისოფლიდან, მაგრამ ზეიმი მერე გენახა, ერთიანად რომ ამოთითხნიდნენ ლაფით და მაინც მიაყენებდნენ კედელთან. პაოლო მიხვდა საითკენ ექაჩებოდა ჭაობი, რომ აუტანელი იყო სოციალისტური სულჩამქრალობისთვის მისი ადამიანური და პოეტური სანავი, ამასთანავე სანადირო თოფი ვერაფერს დააკლებდა მოძლიერებულ ურჩხულს, ამიტომაც არჩია „საკუთარი თავის დაკარგვა“. პაოლოს ტვინის ამონთხევა, რასაკვირველია, მემამბოხეობის უკიდურესი გამომჟღავნება გახლდათ, მაგრამ „დაკარგვასთან“ ერთად თავის შენახვაც. აუცილებელი შეიქნა კაცად და პოეტად დარჩენისათვის საკუთარ ემაფოტზე საკუთარი ფეხით ასვლა. სოციალისტური რეალიზმის მამამთავრებსა და მეთვალყურეებს მიზნად ჰქონდათ სწორედ ამგვარ ტრაგედიამდე მიყვანათ ადამიანი. პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი და არაერთი კიდევ, ზედმეტი აღმოჩნდნენ იმ ეპოქაში. ციხე-ქვეყნის მშენებლობას ისინი ნამდვილად ვერ წაადგებოდნენ.

ლაშა იმედაშვილის მოთხრობას „გასროლის ხმა“ (ჩვენი მწერლობა, 2015, №1) ოქმის ფორმა აქვს. ის მოთხრობა-ოქმია, მაგრამ არა ოქმური პედანტიზმით დანერგილი. შესაძლებელია ქობულთისა და გოგუბის მიერ დაკითხულ მწერლებს მართლაც არ გაუგონიათ პაოლო იაშვილის თოფის ხმა, მაგრამ ის მოთხრობაში წარამარა მოისმის. განსაკუთრებით იქ, სადაც წამოგელანდებათ „ბედნიერ“ პაოლოს სახე, რომელიც ვერ ხედავს ორი „მოციქულის“ მიერ აბუჩად აგდებულ მწერლებს, მართლმსაჯულების სახელით ვითომცდა ნამდვილი მაძიებლობისათვის თავგამოდებულ დახარჯვას. ირონია-სარკაზმია გარეული ამ „მოციქულების“ გამომძიებლურ საქმიანობაში. რაც მთავარია, მსხვერპლი მოხელთებულნი ჰყავდათ, თანაც „სუფთად“, თავად არ გაუხვრიათ ხელი, ან მისდგებოდნენ თითქოსდა ცხელ კვალზე მისწრებულ მოწმეებს, გამოსწურავდნენ, გააფთრებდნენ და ხალხის მტრის „საქმეც“ უმტკივნეულოდ გაილამბებოდა. ამ დაკითხვა-თამაშისას თუკი რომელიმე „კონტრასაც“ უმტყუნებდა ნერვები და გამოაშკარავებოდა, არ იყო გამორიცხული, საკუთარი ნებით აერჩიათ სამუდამო ქვეყნისკენ მიმავალი გზა.

მუშათა განვევით მწერალთა კავშირის წევრობამსურველ ჟანგოს რომ მოუსმენია, საკმარისზე მეტი „გულწრფელი“ აღიარება პაოლო იაშვილისა, დემეტრადე რომ კითხულობდა ტრიბუნადან, იმასაც კი ნამოუძახია — „რა ქნას ხელა ამ კაცმა, თავს ხომ არ მოიკლავს“. ეტყობა, რალაცამ გაიმწვანა ჟანგოშიც, მაგრამ პაოლოს აფორიაქებულ გონებას, როგორც იტყვიან, მეტი შესურება აღარ სჭირდებოდა. მოუხედავად იმისა, რომ ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადადგა პაოლომ, თვით მოსკოვშიც კი შეეძლო „საქმის ჩანყოფა“, ეხერხებოდა ურთიერთობების გაბმა, მოყვარე თუ არა, მტერიც არავის ყოფილა, ვერ აიტანა გამუდმებული ლანძღვა-გინება. როგორც ჩანს, ყველაფერი შეეძლო, საკუთარი თავის დაცვის გარდა, ათქმევინეს, გამოეხსნოდნენ, და არ იცოდა რისგან ან

როგორ გამოსწორებულიყო, ლანძღვს, ათრის, დააშორეს მეგობრებს, იძულებული გახადეს ფეხის წვერებზე ევლო სამშობლოში, ისეთ განცხადებებზეც მოაწერიეს ხელი (მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის შესაჩვენებლად), „ცისფერყანწელ“ რაინდს ნაღდად რომ არ ეკადრებოდა, ალბათ უარესიც მოელოდა, შემზადებული ჰქონდათ მისთვის ტყვია, მაგრამ თვითონ დაასწრო.

მოთხრობაში ცნობილ ამბავზეა საუბარი. ბუნებრივია, ეს მოხსენება მწერალს, მაგრამ ასეთი ფორმით შეზავებული საფიქრალ-სანუხარის ამოქმედებას ტრაგედიის საერთო ხედთან უფრო ახლოს მიყვავართ... სარაჯიშვილს თავის დროზე ოქრო ბლუჯად ჩაუტანებია იმ სახლის ბალავერში, სამომავლოდ მწერალთა კავშირს რომ უნდა დაედო ბინა. ოქრო ნამდვილად არაა ცუდის მანინასწარმეტყველებელი, სწორედაც გაამართლა, ამ ოქროსფერძიან სახლში მწერლებმა შეიყვანეს თავი 1917 წლიდან (უკეთესი ვინ უნდა შესულიყო!), მაგრამ სარაჯიშვილი კი არა, ცხრა გზის ეშმაკიც ვერ წარმოიდგენდა, კომუნისტი სატრაპების საბუდარი თუ გახდებოდა მისი სახლი, რომლის დარბაზშიც, მოთხრობაში თუ ჩავიხედავთ, ნიკო ლორთქიფანიძესა და მიხეილ ჯავახიშვილს (ამათი დასახელებაც საკმარისია) დავით დემეტრადე მოძღვრავს, ისეთ დოქტრინებს უკითხავს, თუ დაემორჩილებოდნენ მათ, „კეთილშობილი“ მონები გახდებოდნენ, თუ არადა, ფიზიკური განადგურება არ აცდებოდათ. ამ სახლში მიმდინარეობს გამოძიება. ბერიას მოციქულები, სერგა და ბახჩო, ძლიერნი ამა სოფლისანი, ყველა ხელოვანის, ყველა მწერლის მოძულენი, თუმცა თავიანთი იდეური საჭიროებისათვის თავგითხარიაშვილების მფარველნი, გველის თვალებით უყურებენ ტყვეებად ქცეულებს, ხელისგულები ექავებათ მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვისას, რომელიც რამდენადმე ცდილობს შეინარჩუნოს ვაჟკაცობა და ეროვნულობა.

ჯავახიშვილმა ხელი არ მოაწერა დაკითხვის ოქმს, რადგან იგი რუსულად იყო შედგენილი. შეიძლება ითქვას, ეს გახლდათ ერთადერთი წინააღმდეგობა, რასაც წაანყდნენ ჩეკისტები, თორემ ისიც ნაპირზე ამოგდებული თევზივით გამოიყურება, ერთი სული აქვს, როდის გაცელება იქაურობას და თავის გმირებთან საუბარს გააგრძელებს. თითქოს მართლა არ გაუგონიათ პაოლო იაშვილის თოფის ხმა. ვისაც როგორც შეეძლო, დაიყრუა თავი. საკუთარ ტყავზე ფიქრმა ბარეორი გააყურა და ისე იყვნენ დაზაფრული, ყოველ სიტყვას დიდი სიფრთხილით წარმოსთქვამდნენ. თითო-ოროლა ფრაზით ზუსტადაა მინიშნებული მოთხრობაში რამდენიმე ცნობილი მწერლის გამალიზიანებული თავისებურება, ზოგი მწერლობაზეა მიკვდლებული, ზოგი კომუნისტების პირწავარდნილი იდეოლოგია, ზოგიც თავისთვისაა გაყურუ-

ლი, ზოგიერთის ფიქრის ამოკითხვა გაგიჭირდება, თვალებით გეფერება, გულში კი სხვა ბალაში უდევს, ერთმანეთს ჩასაფრებული მზერით შეჰყურებენ, ეგოიზმითა და საკუთარი თავის ხიბლით არიან მოჯადოებულნი. უცნაურად გაგცრის ტანში ჯავახიშვილის უბის ნიგნაკიდან ამოწერილი: „ზოგი პოეტი ტაბიძე, ნითელ ლექსებს სწერს, მერე ჩუმად სტამბაში ათეთრებს...“

ნესიერ ქვეყანაში მწერალთა კავშირი (თუ მაინცდამაინც საჭიროა ეს კავშირი) ერის (და არა ხალხის) ტვინის ტოლფასი უნდა იყოს. მწერალს ყველა უნდა უსმენდეს. დიდი მწერლობა ელიტარული აზროვნებაა. ყველაზე მეტად ამ აზროვნებისადმი ყურისგდება ხელისუფლებას მართებს. იმათ, ბოლშევიკებმა, მწერალთა სასახლე მსტოვრების ბუდედ აქციეს. ჯარისკაცით სამწერლო სამსახურში განვეუღნი, მწერლები, და არა მარტო ესენი, საუკეთესო ყოფითი პირობების ფასად, ღმერთმა უწყის, რას ჯღაბნიდნენ ნამდვილი კოლეგების შესახებ, დაუფიქრებლად გზავნიდნენ გილოტიინისკენ.

ყველაფერი მშვენივრად მოეხსენებოდა პაოლო იაშვილს. აკი წერდა კიდევ შემთხვევით გადარჩენილ ბოლო პირად წერილში ცოლს: „ჩემი სიკვდილის მიზეზია პოეტის სახელის შეუთავსებლობა იმ შეურაცხყოფასთან, რაც მე მომაცყენეს იმ

ადამიანებმა, რომლებთანაც ვმეგობრობდი და რომლებიც სინამდვილეში, ამაში მე სრულიად დარწმუნებული ვარ, აღმოჩნდნენ ქართველი ხალხის მტრები.“

შემდეგაც ბევრჯერ გამოქუხებულა პაოლო იაშვილის თოფის ხმა... დიქტატორული სისხლით შეფერილი მწერლები თავიანთ პატრონებს მგლებივით მისუული ჰყავდათ მართლაც თვალსაჩინო დიდოსტატებისათვის (გასული საუკუნის მეორე ნახევარში ოთარ ჩხეიძის დასახელებაც საკმარისი იქნება). ოღონდ სული არ აღზევებულყო, არტახები არ დაწყვეტილიყო, ადამიანს არ ეადამიანა და ნებისმიერ ნათელ აზრს ჩააქრობდნენ, ამას აკეთებდნენ მაშინდელი ბახჩო და სერგო, მერმინდელი ბახჩო და სერგო, თანამედროვე ბახჩო და სერგოც იმავეს აკეთებენ — მიშვებულია თავის ნებაზე უსაბელო უნიჭობა, უსინათლობა და სიყრუე.

დღემდე ამომიყვანა ლაშა იმედაშვილის „გასროლის ხმამ“. მის მიერ მოთხრობილი დაუწინიყვარი ამბავიც საკმარისი იქნებოდა სისხლის მოწოდებისთვის, მაგრამ ვერანაირად მოვიცილე ის მრავალძარღვა ფიქრი, ყოველ დროებისას რომ შეიძლება წამოგენოს, მოთხრობის პირველ სტრიქონს კარგად თუ დაიმახსოვრებ: „სჯობს საკუთარი თავისთვის წერო და მკითხველი არ გყავდეს, ვიდრე მკითხველი გყავდეს და საკუთარი თავი დაკარგო“.

ლეილა მესხი

ფიქრის კრიალოსანი

ჭყვივი (აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე)

იმავე წელს, შემოდგომაზე, სოფელ ჭყვიში გალაკტიონ ტაბიძის იუბილე გაიმართა. ხალხმრავლობა იყო პოეტის ეზოში. ნამდვილი ზეიმი. ქუთაისიდან მწერალთა ჯგუფი გაემგზავრა: რუთა ბეროძე, ლილი ნუცუბიძე, დომენტი ახობაძე, დავით ხუროძე. ყველანი ერთად ვართ შეჯგუფებული. „ჩემს ქუთაისლებს სალამი!“ — ჩაგვესმა ხმა. მოვხედეთ. გიორგი ჯიბლაძე აღმოჩნდა. განათლების მინისტრი, აკადემიკოსი, თავადაც ქუთაისელი. რუთამ წარმადგინა: „ახალგაზრდა პროზაიკოსია, სულ ახლახან პირველი კრებული გამოსცა.“ თან მიბრძანა: „წარწერა გაუკეთე და ბატონ გიორგის მიართვი!“ აკანკალებული ხელით წაფურე... ბატონმა გიორგიმ ნიგინი შეათვალიერა, მერე უხმოდ ჩაიდო ჯიბეში.

უმშვენიერესი საღამო გაიმართა. გამომსვლელთა სიუხვემ, ლექსების კითხვამ ნაკლებად დაგვალა. დიდი პოეტის დიდებული პოეზია გვაბრუებდა და გვატკობდა. სამახსოვრო ნუთები იდგა. ჭყვიშის გრილი ჰაერი, შემოდგომის მნიფე სურნელთან ერთად, რითმების კორიანტელით გვაბრუებდა.

ყველანი ბანკეტზე მიგვიწვიეს. ქუთაისელები შესასვლელთან ჩამოვსხედით. საბანკეტო დარბაზიდან ხმები გარკვევით ისმოდა. სულ მალე დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები აიშალნენ და წასასვლელად გაემზადნენ. ბატონი გიორგი ჩვენთან მოვიდა, დაგვემშვიდობა. წასვლისას მომიბრუნდა და ყველას გასაგონად ხმამაღლა მითხრა: „უეჭველად ნავიკითხავ შენს წიგნს, თუ მომეწონა, წერილით შემოგეხმარებები, თუ არ მომეწონა და... დუმილით გიპასუხებ“. არ მესიამოვნა, გავიფიქრე, ესოდენ დატვირთული პიროვნება ჩემი წიგნისთვის ძნელად მოიცლის და ჩემს ირგვლივ მყოფთ რატომ უნდა დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ არ მოეწონა-მეთქი...

ამ ამბავზე კარგა ხანს ვფიქრობდი, მერე გადამაგინწყდა.

მოულოდნელად გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორმა, ბატონმა გივი მეფისაშვილმა თავისთან მიხმო. ღიმილით შემეგება. მოგძო კონვერტიდან კრიალა ფურცლები ამოიღო, გამომიწონდა. „მცირე შენიშვნები მცირე ნოველებზე“ — იკითხებოდა წარწერა... გიორგი ჯიბლაძის წერილი აღმოჩნდა. წარმატებებს მისურვებდა, თითოეულ ნოველს გულდაგულ განიხილავდა და მკაცრი ანალიზით შეფასებას მაძლევდა. (მოგვიანებით ის წერილი თავის ექსტრომულშიც შეიტანა) ბოლოს დასძინდა: „თუ ნიჭს უსაგნოდ არ გაფლანგავს, დროსა და სურვილს საამისოდ გამოიყენებს, ქართული მწერლობა მისგან ღირსეულ ბელეტრისტს მიიღებს.“

რამდენად გავამართლე მისი მოწოდება, არ ვიცი, მაგრამ იმ პირველმა ბარათმა (უფრო სწორად, რეცენზიამ) ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. შევეცადე იოლად და ხელაღებით არ მეცხოვრა... არც უდარდელად. სხვის ტკივილსა და გასაჭირს მრავალჯერ გულში გაუვლია. შევეცადე მოთხრობებშიც ამეხახა...

ჟურნალი „მნათობი“ (სტუმრად გიორგი ნატროშვილთან)

მწერლისთვის პერიფერიაში ცხოვრება ორმაგი სასჯელია. ჯერ ადგილობრივი ბარიერი უნდა გადალახო, მერე დედაქალაქში დაიკვიდრო სახელი, საკუთარი შემოქმედება გააცნო მკითხველს და მათ ღირსებაში დააჯერო, რათა საზოგადოებისთვის მისაღები გახადო. ეს კი ძნელია! იკითხვებზე მეტად რედაქციის თანამშრომლებისა თუ რედაქტორისთვის თავის მოწონება ჭირდა. საამისოდ ფორტუნა იყო საჭირო!

როგორც მოგახსენეთ, თუ ნაწარმოებს ჟურნალ-გაზეთებში არ გამოაქვეყნებდი, ისე წიგნად ვერ გამოსცემდი (დღეს ყველაფერი გაიოლებულია. ამიტომ მომრავლდა „წყალწყალა შედეგები“!). მხოლოდ ორი ჟურნალი გამოდიოდა, „ცისკარი“ და „მნათობი“. დამწყებ მწერლებს ეჭვის თვალით გვიმზერდნენ, უმეტესად უარით გვისტუმრებდნენ. ამიტომ იყო, განსაკუთრებით „მნათობი“ აუღლებელ ციხე-სიმაგრედ მიგვანჩნდა. ქუთაისში მცხოვრები მწერლები იშვიათად იბეჭდებოდნენ.

რამ გამაბედვინა, დღესაც არ ვიცი. თუმცა ვხვდები, იქ ნოდარ წულუისკირი და გურამ დოჩანაშვილი თანამშრომლობდ-

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №1,2

ნენ. ჩემთვის ნაცნობი მწერლები. თუმცა ეს არაფერს ნიშნავდა, მთავარი რედაქტორის აზრი იყო... თუ მოინებდა, მაშინ დაიბეჭდებოდა. მკაცრი, ნაომარი კაცი იყო გიორგი ნატროშვილი. მის შემოქმედებას კარგად ვიცნობდი. პროზა, პუბლიცისტიკა, კრიტიკული წერილები. პირადად არასდროს მენახა. კარებს მივადექი. ხელწინაში სამი მოთხრობა მიდევს: „ღამე ტაძარში“, „ბიჭს მამა ენატრებოდა“ და „ლუჩია“.

„მნათობის“ კარი გულისკანკალით შევალე. პროზის განყოფილებაში ნოდარ წულუისკირი და გურამ დოჩანაშვილი დამხვდნენ. თბილად მიმიღეს. ქუთაისის ამბები გამომკითხეს. მოთხრობები ამოვიღე ჩანთიდან, დიდად არ დაინტერესებულან. „ბატონი გიორგი როგორც გადანყვეტს, დაელოდე, მალე მოვა.“

კარი გაიღო და შემოვიდა. ჭაღარათიანი, მალაღობი ტანის კაცი, კოჭლობით შემოაბიჯა. ვილაცხვებ მიესალმა, ზოგიერთი კაბინეტში შეიყოლა და კარი მიხურა. კარგა ხანს მომინია ცდამ. შედიოდნენ და გამოდიოდნენ მწერლები. ნუთით არ ჰქონდა მოსვენება. არც არავინ მიხმობდა. ვიჯექი ჩემთვის... ვერ ვადამენყვიტა, წავსულიყავი თუ... ვერც კარის შეღება გავბედე, მდივანთან გასაუბრებაც გამიჭირდა. რედაქტორით ისიც მკაცრი ჩანდა. ფურცლებში თავჩარგული თავისთვის იჯდა. უძალო და უმაქნისი მეჩვენა საკუთარი თავი, საკუთარი მოთხრობებიც... არადა, ავტობუსზე მაგვიანდება. ბოლო რეისი სამ საათზე გადის. შინ შვილები მელოდებიან. მდივანს ჩემი გასაჭირი გავანდე. რედაქტორს მიაშურა. „შემოვიდესო“, არ უთქვამს, „დატოვოს მოთხრობები და წავიდესო.“ არ მება. მაგრამ ამდენი ლოდინის შემდეგ იძულებული გავხდი სამივე მოთხრობა დამეტოვებინა.

მესამე დღეს, ქუთაისში შემთხვევით კრიტიკოს სიმონ არველაძეს გადავეყარე. „სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობო, ამ დილით თბილისიდან ჩამოვედი, გუშინ მწერალთა ბაღში სხვებთან ერთად ვიჯექი, მოულოდნელად გიორგი ნატროშვილი შემოვიდა, რომ დამინახა, მკითხა: „სიმონ, ლეილა მესხს იცნობ?“ „კი-მეთქი“. გაქო. მოთხრობები მოიწონა, უახლოეს ნომერში გბეჭდავს...“

ყურს არ დავუჯერე... სამივე მოთხრობა დაბეჭდა. პირველად „ღამე ტაძარში“ (1975 წელს), შემდეგ „ბიჭს მამა ენატრებოდა“ და „ლუჩია“. სრულიად უცნობ ახალგაზრდას ერთბაშად გამიღო ჟურნალის კარი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამას მოჰყვა რომანი „დუმილის დედა“, რომელიც ორ ნომერში განათავსა.

უანგარო, გულითადი დამოკიდებულება სიცოცხლის ხალისით ავსებს ადამიანს, ძნელად ივიწყებს... არც მე დამვიწყნია! თუმცა საამო გახსენებას ხშირად ტკივილიანი, დამორუნევილი მოგონება ახლავს. ერთ დღეს „მნათობის“ რედაქციამი მივედი. ბატონი გიორგი არ დამხვდა. თანამშრომლები დაობლებული ნინილებით აბუზულეები ისხდნენ. მიზეზი ვკითხე. „მნათობში“ ახალი რედაქტორი გამოეგზავნათ, შედარებით ახალგაზრდა...

შესასვლელ კართან ხელნაწერები ენყო. ბატონი გიორგის ნივთები აღმოჩნდა. ახალმა რედაქტორმა კაბინეტის გამოთავისუფლება ბრძანა, გიორგის ველოდებით, წასაღებად უნდა მოვიდესო. ცუდად გავხდი. უხმოდ ვიბრუნე პირი. მეშინოდა კიბეზე არ შემხვედროდა. რუსთაველის პროსპექტი გავვჭერი და მეორე მხარეს გადავედი, ჩრდილში მივიმალე. როდის მოვიდა ბატონი გიორგი, არ დამინახავს, მაგრამ ხელნაწერებით ხელში კიბეს რომ ჩამოჰყვა, აშკარად დავინახე. ერთხანს გაჩერებასთან იდგა, მგონი, „ტაქსი“ ელოდა, არ გამოჩნდა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა პროსპექტს.

მძიმე ნაბიჯით მიდიოდა, ჭაღარა, ხმელ-ხმელი, ნაომარი მამაკაცი (მამაჩემს ჰგავდა!). ნაოჭებით დაღაროდა შუბლი. ხმელი, ხეშუბა თმის ღერები უჩანდა. ამობურცული საფეთქლები... პროსპექტის მეორე მხარეს მე მივყვებოდი, ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენოდი. რატომღაც ქუჩის გადაჭრა და

მასთან მიახლოება ვერ გავბედე. ვერც სამადლობლო სიტყვის თქმა მოვახერხე. გულგატეხილი და დაღლილი ჩანდა. მარტოდმარტო მიაბიჯებდა...

დღესაც ვნანობ ჩემს მაშინდელ გაუბედაობას, ქუჩის გადაჭრა რომ ვერ მოვახერხე. მაინც რა უნდა მეთქვა?! ასეთ დროს რას ეუბნებიან ადამიანები ერთმანეთს?! რით ამშვიდებენ?! თანამდებობის დაკარგვა, ალბათ, არ იყო მისთვის მთავარი... მთავარი რაც იყო, ჩვენც კარგად ვიცით!

მალულად მონურული ცხარე ცრემლის სიმწვავეს ვგრძნობდი...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

პირველი მოთხრობები დაიბეჭდა, პირველი წიგნი გამოიცა. რეცენზიები დაინერა, მკითხველთა გამომხმარებელ მოჰყვა. უკვე სამი წიგნის ავტორი ვარ. მწერალთა კავშირის წევრად მიმიღეს. ოდნავ თავდაჯერებული გავხდი... და რომანის დასაწერად მოვემზადე. დავწერე კიდევც. „დუმილის დედა“— ასე ჰქვია ჩემს პირველ რომანს. რაც ყველაზე კარგად ვიცოდი, იმაზე ვწერდი... ბავშვობა, მამის ტყვეობა, მძიმე, გაუსაძლისი ყოფა.

ადვილად იწერებოდა... თურმე ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა!

იმხანად ქუთაისში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ფილიალი გაიხსნა, ჟურნალი „განთიადი“ დაარსდა. თავდაპირველად ჟურნალს გურამ ფანჯიკიძე რედაქტორობდა, მერე კონსტანტინე ლორთქიფანიძემ შეცვალა. მკაცრი, მომთხროველი ლიტერატორი, საოცარი ალღოსა და უნარის მქონე პიროვნება აღმოჩნდა. ქუთაისის პრესის სახლში, სადაც ჟურნალის რედაქცია განთავსდა, ბატონმა კონსტანტინემ ნამდვილი „მასტერ-კლასი“ გამართა. ახალგაზრდებს თავისთან იბარებდა და მათ ნაწარმოებებს ყველას თვალწინ, მკაცრად და დაუნდობლად განიხილავდა.

ახალდამთავრებული რომანი გადავბეჭდე და ბატონ კონსტანტინეს მივუტანე. ერთი სული მქონდა, როდის წაიკითხავდა. რატომღაც მჯეროდა, რომ მოინონებდა... თურმე სიდი ხარ! თვე და რიცხვი დამინიშნა. ყველანი მაგიდას უხსდნენ: ავთანდილ ყურაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ზაალ ებანოიძე, თეიმურაზ ლანჩავა, როგორც რედაქციის თანამშრომლები და ახალგაზრდა ავტორები.

კონსტანტინე მაგიდის თავში იჯდა.

შემოსვლამდე მიამბეს, წინა კვირას თბილისიდან გურამ დოჩანაშვილი გამოიძახა და ახალი მოთხრობა გაურჩია. ფერმკრთალი, მღელვარებისგან დაძაბული ავტორი უხერხულად იწეროდა და ხმას ვერ იღებდაო. ეტყობა, მასაც ჩაუტარა „მასტერ-კლასი“!

მაგიდის უჯრიდან საქალაქე ამოიღო და გადაშალა. სქელი სათვალისგან ქვემ-ქვეშად მიმხერდა. დავხედე ნაწერს და გულზე შემომეყარა, წითელი მელნით ემუშავა... უკვე ცუდად ვიყავი! და დაინყო... მომდგა, მაგრამ რა მომდგა, სულ ბღღვირი მადინა, თითქოს სტრიქონი, აბზაცი, პერსონაჟი გამიჩნია. თან ხითხითებდა (ჩემს ცხოვრებაში არავის ამგვარი გაკვეთილი არ ჩაუტარებია!)... უსმენდნენ სხვებიც... არც ისინი იყვნენ კარგ დღეში. ტიკჭორა რომ გაიბეჭდა და საცაა გასკვებდა, ამგვარ დღეში ვიყავი. ცრემლები თვალელებს მიწვავდა. ეტყობა, შემატყო, ცუდად რომ ვიყავი, „ნადი, გაიარ-გამოიარე, წყალი დალიე და მერე მოდი“— მითხრა. ერთხანს ღია ფანჯარასთან ვიდექი, ხმაურით ვისუნთქავდი ჰაერს. „დამშვიდდი?!“— შემეკითხა. დედანი დაკეცა, ბაბთაც კი ჩასკვნა. „ახლა იმაზე ვილაპარაკოთ, რა აქვს შენს რომანს კარგი და ღირსეული.“ არაფერი მესმოდა... დასასრულ ერთ აზრს წავკარი ყური: „რომანს ისე წერ, თითქოს სიბნელეში ხარ და იმის იქით რა ხდება, ვერ ხედავ“.

ნამით შტეფან ცვაიგის წერილები გამახსენდა, იმ დღეებში ვკითხულობდი, წერდა: „თითოეულ ჩემს ნოველას თითქოს სიბნელეში ვწერ, ნელ-ნელა შემომყავს გმირები, იწყება მოქმედება და იქაურობა ნათდებაო“... მინდოდა შემეხსენებინა, მაგრამ ვერ გავბედე.

ხელნაწერი უხმოდ გამომიწოდა. წამოვდექი. იქაურობა მძულდა, საქალაქო ხელს მიწვავდა, სული მეხუთებოდა. მსურდა, დროულად გავცლოდი იქაურობას. არც მეგობრების ხილვა მენადა, მეჩვენებოდა, ზოგი ჩუმი იცინოდა. თუმცა შემდგომ შეხვედრებზე არც მათ დადგომიათ კარგი დღე! ორი კვირა რომანს არ მივკარებოვარ. უბრალოდ, არ გადამიშლია. წყენამ გამიარა, დავმშვიდდი, ძალა მოვიკრიბე და როცა ხელნაწერს ხელახლა ჩავუჯექი. სტრიქონ-სტრიქონ ჩავეძიე, გავოცდი... ქართული ლიტერატურის, მწერლობის, მიგნების თუ მიკვლევის ურთულესი გაკვეთილი ჩაეტარებინა.

რომანი ჩავასწორე და ხელახლა გადავბეჭდე. უფრო „მნათობში“, გიორგი ნატროშვილს მივუტანე. ბატონმა გიორგიმ უახლოეს ნომრებში გამოაქვეყნა. მოგვიანებით ავთანდილ ყურაშვილმა, ისე სხვათაშორის მითხრა: „კონიას ეწყინა, გიორგის რომ მიუტანე ის რომანი“. „თვითონ დაბეჭდავდამეთქი?!“ — ვკითხე. „არაო, „მნათობში“ რომ გამოქვეყნდა, ეს არ ეამაო“...

რას გაიგებ კაცის გუნებას!

პოეტი ქალი — ვენერა ჯაფარიძე

არაფერია თანაგრძნობაზე მძიმე. საკუთარი სატიკვარიც კი არ არის ისე მძიმე, როგორც თანაგრძნობით გაზიარებული სხვისი ტკივილი. ტკივილი სხვისთვის და სხვის გამო... ჩვენ ყველა თანაგრძნობისგან ვართ დაავადებული! პოეტ ქალს ვენერა ჯაფარიძეს პირადად არ ვიცნობდი. ბევრი რამ მსმენოდა მასზე. უიღბლო ქალი პოეტ არჩილ გურჯიძეზე იყო თავდავიწყებით შეყვარებული. სევდიან ლექსებს წერდა, შეტრფოდა ვაჟს. მთელი მისი პოეზია სულის ერთი ამოკენესა იყო. იმ წლების ქუთაისს უყვარდა პოეტი ქალი. თავისი მკითხველი ჰყავდა. უმეტესად ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, სტუდენტები. მის ლექსებს გადაწერდნენ, ზეპირად იმასვორებდნენ, მღეროდნენ აქცევდნენ, გიტარაზე უკრავდნენ, მღეროდნენ.

მალე არჩილი სხვა ქალზე დაქორწინდა. ვენერამ საშინლად განიცადა. უხმოდ გაეცალა ქალაქს. კარგა ხანს არაფერი გვსმენოდა მასზე. არც იბეჭდებოდა. მალე დაივიწყეს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე...

ერთ დღეს მწერალთა კავშირში (ქუთაისში) ამბავი მოვიდა, ვენერა ჯაფარიძე გარდაიცვალაო. დასაფლავებაზე წასვლა გადავწყვიტეთ. ავტობუსი ვიქირავეთ და თერჯოლაში გავემგზავრეთ. უმეტესად ახალგაზრდა მწერლები ვიყავით. მთელი გზის განმავლობაში, ლილი ქემოკლიძე (პროზაიკოსი), ვენერას მეგობარი და თანატოლი, მაგნიტოფონზე ჩანერილი მის ლექსებს გვასმენინებდა. ტკივილიან, ცრემლნარევი სტრიქონებს თავად ავტორი კითხულობდა. მისი ხმა ფეხდაფეხ აგვდევნებოდა: „გადაფენია ნისლი ვენახებს, ცისკრისას ალვამ დაიწურა, შენ კი ამქვეყნად ან არ მენახე ან არ მზვერავდე ასე ჩუმჩუმით. ან ჩოლაბურთან დაგეკრა დანა თუ მომარიდებ თვალებს საყვარელს, როგორც მთის წვიმა დაარტყამს ყანას და მალალ ლევებს ელვა გადარევს. იყავი სადა და გასაგები და მეც ამ ქვეყნად შენ ერთ გინატრებ, ვით ჩემი სოფლის საგვე ბალები ეტრფიან მალალ ცას და სინათლეს.“



ქუთაისელი მწერლები. სხედან: შალვა ტოკოზიძე, ლილი ქემოკლიძე, ლილა მესხი, ოტია იოსელიანი, მზია შენგელია; დგანან: დომენტი ახობაძე, დავით ხუროძე, თეიმურაზ აბულაძე, სიმონ არველაძე, ნოდარ გედენიძე (1965 წ.)

სოფელში შევედით.

წამოსვლის წინ შემთხვევით ბატონ არჩილს გადავეყარე. ცისფერთვალეობა, ტანმალა, სოლიდურ მამაკაცს. მივესალმე. ვენერას გარდაცვალება ვამცნე. მაინტერესებდა, რას იტყვოდა, როგორ იმოქმედებდა. ოდნავ ალელდა, შეწუხდა (მგონი იცოდა!). თუმცა წამოსვლაზე თავი შეიკავა. „მეუღლე... უხერხულია“. თავჩახრით ჩაილაპარაკა. ყოველივე სასაცილო და თან საწყენი მეჩვენა.

უხმოდ გავეცალე.

სოფლის ბოლოს, ღარიბულ ქოხში მივაკვლიეთ ვენერას ცხედარს. ჭირისუფალი ცოტა ჰყავდა. შაოსანი დები თავდახრით ისხდნენ. მეზობლებს ნაკლებ შეეწუხებინათ თავი. თითო-ორთა მომსვლელი ჩანდა. ჩვენმა გამოჩენამ ყველა გააოცა... მსუბუქი მანქანიდან დავით კვიციანიძე, ლილი ნუცუბიძე, რუთა ბერიძე და სიმონ არველაძე გადმოვიდნენ. ავტობუსიდან ახალგაზრდები გადმოიშალნენ: ავთანდილ ყურაშვილი, ზაალ ებანიძე, დოდო ჭუმბურიძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ირაკლი ბაზაძე, ელდარ მიქაძე, გენო კლდიაშვილი, ფრიდონ ფხაკაძე. მეც მათ შორის...

უმალ გამოცოცხლდა ხალხი, უკვე მორბოდნენ ორღობეებიდან, ჭიშკრებიდან. გაცოცხლებული გვიმზერდნენ. კოლმეურნების სტუდენტობამ პატივი შემატა საბრალო ქალს (ამდენხანს სად ვიყავით)! ტირილი უნდა გენახა, პოეტი ძმების ღვარჯიშის ცრემლები ვის არ აუჩუყებდა გულს! უხერხულად იშმუშნებოდნენ მეზობლები...

ღარიბულ ქოხში შევედით, ყვავილებსა და სანთლებში, მოტირალ დებთან ერთად, ვენერას გადიდებული სურათი შეგვეგება. თვალეზციმციმა, ლამაზი, მომღიმარი პოეტი ქალი. უბედნიერესი ჩანდა! კუბოს ჩავხედეთ და... თავზარი დავგეცა. გამხდარი, გაავებული, თამაყერეჭილი, გაჭალარავებული (აღმოჩნდა რომ ბოლო წლები სულთა ავადმყოფთა საავადმყოფოში გაეტარებინა „ნინკილაზე“). ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით, დები მალავდნენ მის უბედურებას. არადა, სულ სხვა ადამიანი იწვა კუბოში. სხვა პიროვნება... სურათში ღიმილად იღვრებოდა, ბედნიერი იყო, აქ კი!

თავდაზარდაცემულები ვიდექით. ძრწოლატანილინი. ვტიროდით...

ტიროდნენ ბიჭები, მისი სულიერი ძმები, ღვარჯიშად სდიოდათ ცრემლი... თვალეზციმციმად დასწითლებოდათ. უმძიმესი წუთები იდგა. მეჩვენებოდა, თითოეული ჩვენგანი საკუთარ

თავს დასტიროდა. საკუთარ უიღბლობას, წარუმატებლობას, ოცნებების მსხვერველს...

„კუბოს მწერალი ქალები ნავილები!“ — თქვა ლილი ნუ-ცუბიძემ. დავთანხმდით. მხარი შევაშველეთ და აღმართს შევყევით. ამგვარი მტანჯველი სიმძიმე ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძენია, ეს სუსტი, გამდნარი ქალი თითქოს გვსრესდა ოთხივეს... სველი ხისგან შეჩორკნილი, უღიმღამოდ შეკრული კუბო იყო ასე მძიმე თუ მიცვალებულის ფარატიან სხეული დაგვწოლოდა უმძიმეს ტვირთად. სუნთქვა მიჭირდა (არც სხვები იყვნენ კარგ დღეში!), მაინც წინ მივიწვევდით.

აღმართი ავიარეთ. მინდვრის ყვავილებით მოხატულ ველზე გაეთხარათ საფლავი. მოუფლელი ჩანდა სასაფლაო. მორღვეული ღობე, გადაფერდებული ჭიშკარი. მხოლოდ ყვავილებს ეხარა, მინდვრის ფერად-ფერად ღიღილოებს, გვირილებს, შროშანებს, ლურჯ კესანებს... ბიჭებმა ყვავილები დაკრიფეს, სახე და მკერდი დაუფარეს მიცვალებულს. სამარადისო სასუფეველს მიაბარეს მისი ტანჯული სხეული. ირგვლივ რცხილა და ცაცხვი, ვერხვი და ცირცელი შრიალებდა. ფოთლებს შრიალი სამგლოვიარო მუსიკად ჩაგვესმოდა.

ტკივილი კარგა ხანს შემორჩა სულს.

ამიტომაც, ზოგჯერ მოგონება უფრო გიძნელდება ადამიანს, ვიდრე დავინწყება...

„ცისკარი“

მკითხველმა არ იფიქროს, მწერლობაში ჩემი გამორჩენა იოლად მოხდა. თითქოს ადვილად ვიბეჭდებოდი, რომ ფორტუნა მსდევდა! არაფერი შეგეშალოთ!

ჟურნალ „ცისკარში“ ახალი მოთხრობა მივიტანე — „სახლი, რომელიც ხვალ უნდა გაიყიდოს“. ძველ, პაპისეულ ოდასახლს ვიგონებ, ჩემი ბავშვობის სასახლეს, რომელიც გავყიდეთ და ახალმა მეპატრონემ სხვაგან უნდა გადაიტანოს. ხის ძველი შენობა დასაშლელად გამაზადეს, შუქი გამორთეს, დილით ლერალერა დაშლიან ფიცრებს და წაიღებენ. მოთხრობაში გმირის განცდებია ასახული. ღამით უძილოს რაც გაახსენდა, რამაც განსაკუთრებით შეძრა.

გულწრფელი ვიყავი, არაფერს ვიგონებდი...

იმ ხანებში რეზო ჭეიშვილი პროზის განყოფილებაში მუშაობდა, მივუტანე, თუმცა ისე წავიდა „ცისკრიდან“, მოთხრობა არ გამოქვეყნებულა, კარგა ხნის შემდეგ მივაკითხე. ჟურნალის რედაქცია მარჯანიშვილის მეტროსთან იყო. შუადღისას მივედი. მაგიდას მწერლები უსხდნენ. არცერთს პირადად არ ვიცნობდი. ჭადრაკს თამაშობდნენ... ამკარად ცუდ დროს მივედი. ჩემი გამოჩენა არ ეამათ. არც სკამი მომანოდეს, არც ვინაობა მკითხეს.

ვდგავარ კედელს აკრული, ბენვის პალტოთი, ქუდიოთ. ოთახში ცხელა. მაინტერესებს წაიკითხეს თუ არა მოთხრობა, როგორია მათი შთაბეჭდილება. არ მპასუხობენ. ამკარად ჩანს, წაკითხული არ აქვთ. მაშინ ხელნაწერი დამიბრუნონ. თაროებზე შემოწყობილ საქალაქლებში უნდა იპოვონ მოთხრობა, რაც არ სურთ. მე კიდეც, ჯიუტად ჩემსას მოვითხოვე. წყენას ბოლომდე ვინარჩუნებ... ჯგუფს დაბალ-დაბალი, ხიოჭა, ცქციტი კაცი გამოეყო, ღიმილით წამოვიდა ჩემკენ. მომიახლოვდა. მოთხრობის სათაურს მეკითხება. ვპასუხობ — „სახლი, რომელიც ხვალ უნდა გაიყიდოს“. „რუსული კალკა!“ — ქირქილებს. სათაურს მინუნებს. შეიძლება ასეცაა, მაგრამ ყველას თვალწინ ამის მოსმენა არ მსიამოვნებს...

დანარჩენები იცინიან. უდავოდ მწარე ენა აქვს! არადა, ვიცანი. „ცისკრის“ ძველი თანამშრომელია, ცნობილი პოეტი. წინა კვირას, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მის ლექსებს მთელი გვერდი ეკავა. შედეგებზე მეტი, მცდელობები იყო (ასეთი იყო ქუთაისელების შეფასება...).

ყველაზე აუტანელი მაინც მისი ქირქილი მერყენა... ამხედ-დამხედა. მოჭუტული თვალებით მიმზერს, სახეზე ეშმა-

კური ღიმილი დასთამაშებს. ამკარად ეტყობა, ჩემი მწერლობის არაფერი სჯერა... მაგრძობინებს კიდეც (მაშინდელი დაეჭვება კარგა ხანს გამყვია). ვდგავარ, კედელს აკრული... „ქუთაისელების რძალი“ — ხელჩანთით, ჩექმებით, შავი „ციციეის“ ქურქით (დედამთილის გემოვნებით ვარ ჩაცმული. ქურქი ნაცნობმა გადაამყიდველმა ჩამოუტანა მოსკოვიდან), ამკარად ნებიერ ქალბატონად მიმიჩნევს, მოცლილობის ჟამს, გასართობად, მოთხრობებს რომ წერს... სინამდვილეში ასე არ არის, მაგრამ ახსნა-განმარტებას ხომ არ დავინყებ.

სუნსულა სახე ახლოს მოაქვს, მეჩურჩულება:

— ერთ რჩევას მოგცემ...

— რა რჩევას?

— ხშირად სასამართლოში უნდა იარო...

— სასამართლოში რატომ?!

— რომ ცხოვრება ისწავლო...

დანარჩენები ხმამაღლა იცინიან. ამკარად პერიფერიიდან ჩამოსული ქალბატონის გამაყირება სწადიათ. ერთობიან ბიჭები!

— თქვენს ლექსებზე წინა კვირას, მთელი ქუთაისი იცინოდა — ხმამაღლა ვამბობ.

— რომელ ლექსებზე?

— თვითმფრინავზე. ტუ... პუ... პუ... ნუ... თუ რაღაც სისულელებზე, პოეზია რომ გგონიათ და სინამდვილეში ხალტურაა.

უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა, ღამის თვალებით შევეჭამე...

ოთახში სიჩუმე განვა... ყველა სდუმს. სხეული მიკანკალებს... უხმოდ ჩამოვდივარ კიბეზე. ერთხანს სკვერში ვზივარ, არაფერზე არ ვფიქრობ. ამგვარი მღელვარების შემდეგ, ბევრი დამწყები ლიტერატორი საერთოდ დაანებებს წერას თავს. არც მე ვიყავ კარგ დღეში. ამიტომ იყო, ვიდრე ჯანსუღ ღვინჯილია არ მივიდა „ცისკარში“ რედაქტორად, იქაურობას არ მივეკარებოვარ. ზედიზედ სამი მოთხრობა დაბეჭდა: „თავდავინწყება“, „ოქრომჭედელი არს კვეთის ხურო“ და „მეოთხე მგზავრი“ უსაზღვროდ მაღლიერი ვიყავი!..

წლები გავიდა. წარსულიდან ბევრი რამ გადამავიწყდა, ალბათ იმ დღესაც დავივიწყებდი, რომ (მიშას ხელისუფლების დროს), 26 მაისს ბიჭები რომ ჩახოცეს მოედანზე, ხალხს „დუბინკებით“ თავები დაუხეთქეს, მერე ზეიმი გამართეს და კულტურის მუშაკები დააჯილდოვეს (ბევრმა სახელოვანმა პიროვნებამ უარი განაცხადა, ცერემონიალს არ დაესწრო), დაჯილდოებულთა შორის ის „ცისკრელი“ პოეტიც შევნიშნე, წინა რიგებში იდგა. თავმომწონედ ილიმოდა. ამკარად ჩანდა, პრეზიდენტის ჯილდო ესიამოვნა.

„ვისაც ნდობა აქვს დაკარგული, იგი მეტს ვერაფერს დაკარგავსო“, ზოგიერთზე იტყვიან.

ამ შემთხვევაშიც ასეა...

დედაშვილობა

დედისადმი შვილის სიყვარული ან პირიქით, დედის სიყვარული შვილისადმი უსათუთესი განცდაა... იგი მარადიული თემაა და სიცოცხლის საგალობელია. „დედა მიყვარსო, რომ უთხრა ვინმეს, შემოგხედავს და დაინყებს სიცილს“, შემცველი განცდა ძნელად მგეულება. შვილთან ერთად ვმგზავრობ. ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნა მიდგას გვერდით. ტროლეიბუსი მგზავრებითაა გაჭედული. ძლივს მივუსწარი. ღია კარებში ჯერ ბავშვი შევსვი, შემდეგ მე უნდა ავიდე. უცებ კარი მიიხურა. და დაკეტილ კარებში ხელები მომყვა. ტროლეიბუსი დაიძრა, ფეხდაფეხ მივსდევ. დაძახებას ვერ ვახერხებ. ეტყობა, ბავშვმა მოიხედა და... დედის ნაცვლად მისი ხელები დანახა. მისმა ყვირილმა იქაურობა შესძრა. ტკივილს ვერ ვგრძნობ, მხოლოდ შვილის ტირილი მესმის. მგზავრები ფეხზე წამოიშალნენ. მძლოლს ტროლეიბუსი გააჩერებინეს. კა-

რი გაილო... არასდროს დამავინწყდება შვილის ნამტირალეები თვალეები, ხელეებს მიკოცნიდა, სულს მიბერავდა, „გტკივაო,“ — მეჩურჩულებოდა.
სასახლო კაცი გაიზარდო, ლოცავენ მგზავრები...
ძნელად დასავინყი წუთები იდგა.

შობა ლამე

1973 წელი.

შობა ლამით დედა გარდაიცვალა. ჩემმა სიძემ, დევი ბარაბაძემ, (უმცროსი დის მეუღლემ), სასწრაფო დახმარების მანქანა მოაყენა საავადმყოფოს კარს. მშობლის ჯერაც თბილი სხეული შინ წავასვენეთ (მათხოვჯი).

მე და ჩემი უფროსი და, ლალი, სასთუმალთან ვზივართ. მანქანაში სიბნელეა. მძღოლის გვერდით მამაკაცები სხედან.

ვდუმვართ.

გზა გაგრძელდა და გაიწელა . ბნელა. ნანვიმარ მიწაზე უხმაუროდ მიიწევა მანქანა. თეთრი ქსოვილი აფარია დედის სხეულს, სულ ახლოს მის მკლავს ვგრძნობ. ოდნავ ვეხები. ვკანკალებ. ჯერაც სითბო შერჩენია... მერე მისეული სითბო თითქოს ჩემში გადმოდის. რალაც დამთრგუნველი ახლავს ამ განცდას, მის სიახლოვეს. არცერთი ხმას არ ვიღებთ. ყველაზე მეტად დედის სიახლოვე მაშფოთებს... დაჩეხილი ვენები, ნანემსარი მკლავები, სისხლ-ჩაქცევების კვალი (გაუნელებელი ტკივილი ახლავს ამ შესხენებას!).

და ყველაზე მთავარი!

ვიზვარ დედის ჯერაც თბილ სხეულთან და თავს ვიჭერ იმაზე ფიქრში, რომ ვცდილობ დავიმახსოვრო ყოველი წუთი. წვიმიანი ღამე, მანქანის ყრუ გუგუნე, სიგარეტის კვამლში გახვეული მამაკაცები და მიცვალებულის გვერდით მჯდომი ორი თავდახრილი ქალი, დები, ნამტირალევი თვალეებით და აკანკალებული სხეულით. და ჩემდა გასაოცრად, ყოველივე ამის ფურცელზე გადატანის მოჭარბებულ სურვილს ვგრძნობ. რაც მიუღებლად მიმანჩია, მიგრამ... სხვაგვარად არ ძალმიძს!

არადა, ესოდენ განვლილი გზა არასდროს მინახავს, არც მიგრძვინია, თითქოს არ დაილია... ქუთაისიდან მათხოჯამდე არც ისე დიდი მანძილია, ოცდაათი კილომეტრი იქნება. არ ჩამთავრდა ტანჯვის კილომეტრები! მეჩვენება, რომ განუწყვეტლივ ვილაც ტირის ჩემში, მოთქვამს (დას გავხედე, თავდახრილი ზის, სახეს მალავს). კვლავ საკუთარ თავს მოვხედე, ვილაც ტიროდა ჩემში, პატარა გოგონას თუ მოზრდილი ქალის... სული მოტიროდა. გამახსენდა: სიკვდილის წინ, სიცოცხლის ბოლო წუთებში, დედამ ვილაცას უთხრა: „რა გინდა, რას იციანი?!“. „დედა, ვის ელაპარაკები?!“ ჩავკითხეთ. „მარუსია ჩინჩა-ლაძეა, აგერ ზის საწოლზე, იცინის... მე მიცდის.“ ვერ მივხვდი ვინ იყო, მერე დამ გაიხსენა: დედის სიყმაწვილის მეგობარი, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა — ოცი წლისა. ახლა ჩვენს ჭაღარა დედიკოს სიყმაწვილის დობილი გამოცხადდა და წასაყვანად ემზადება...

გამოვერკვიე.

ფანჯარაში შემოქროლილ ნიავს აკაცის, თხმელის, ეკა-ბარდების თუ შამბნარის მძაფრი სუნი მოჰქონდა, ამას ემატებოდა წვიმის წკაპუნე მანქანის სახურავზე, თითქოს ვილაც დააბიჯებდა... არ გამიგია, როდის შევედით სოფელში.

და უცებ! დამ იკივლა:

— მოვედით, დედა! სახლში დაბრუნდით... ჩამოდი დედა! — მომეჩვენა, თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში სულმეგუბებული იჯდა და ახლა ამოითქვა სული... ამოიხავლა.

„ღამე ტაძარში“

დარწმუნებული ვარ, მკითხველს ყოველთვის აინტერესებს, როგორ დაინერა ესა თუ ის მოთხრობა. მიზეზი, რამაც წარმოშვა, მისი დაწერის სურვილი გააჩინა. რომელმა წუთმა მოიტანა... ამგვარი სამახსოვრო წუთები ყველა მწერლის ცხოვრებაში არსებობს. ისინი სიცოცხლის შეუცნობელ ნაწილად გვესახება, როცა საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი, სხვა განზომილებაში გადადიხარ.

ერთ ამგვარ საღამოზე მინდა გიამბოთ.

თბილისიდან სტუმრები გვეწვივნენ, კონფერენციის მონაწილენი (იშვამად ქუთაისის ისტორიული არქივის დირექტორი ვიყავი!). ჩვევად გვექონდა, ღონისძიების დასასრულს მცირე გასეირნებას მოეწყობდით სტუმრებს. ისტორიულ ადგილებს მოვინახულებდით და სუფრასაც გავმლიდით.

გელათს ვეწვიეთ. ათი-თორმეტი კაცი ვიყავით. დავათვალიერეთ ტაძარი, ახლომახლო ადგილები. ექსკურსიამძღოლები დაგვხვდნენ. ხანშიშესული ისტორიკოსი და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი. ორივე გელათში, ბერების ყოფილ სენაკში ცხოვრობდა.

ტაძრის ეზოში, მწვანე მოლზე გავშალეთ სუფრა. მასპინძლებიც მოვიპატიჟეთ, თანდათან ჩამოხსენდა, მთვარემ სივრცე გაანათა. ღვინის სმაზე მეტად საოცარი გარემო, ერთად ყოფნა და საქართველოს ისტორიულ წარსულზე საუბარი სიამოვნებდათ. ისინი ისტორიკოსები იყვნენ. იყო აზრების გაზიარება, წარსულის შესხენება, ფაქტების კვლევა. გელათის მშენებლობა, თითოეული ქვა, ფრესკა, სამრეკლო, აკადემია გაიხსენეს. მეფეთა განსასვენებელს ესტუმრნენ, დავით აღმაშენებლის საფლავი ინახულეს. „გალობანი სინანულისანი“ ზეპირად წარმოთქვეს. სანთლები აანთეს, ილოცეს, საოცარი წუთები იდგა...

ირგვლივ სიჩუმე იყო. ყრუ, იდუმალი ხმები ისმოდა. სოფელი განაბულიყო. ტყე შრილებდა (სადაც შაში ქაჩაჩახებდა!), ქვემოთ წყალნითელას მოსარკული ზედაპირი მოჩანდა. შორს, სივრცეში გაჩახახებული ქუთაისი ანათებდა. რძიანი ბალახის დამათრობელი სუნი ვიგრძენი... მთვარის სხივებში გახვეული ჩანდა გელათის დიდებული ტაძარი. საოცარი სანახავი იყო. აღფრთოვანებული შეეჩერებოდი.

— ზღაპრული სამყაროა, ნეტავი თქვენ... — გულისწყევტით ჩავილაპარაკე.

— ღამით უნდა ნახო, — მპასუხობს გელათის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელი — გაღებული ახალგაზრდები რომ მოგვადგებიან კარზე. ვითომ ისტორიული ძეგლების მოყვარულები, მანქანის საყვირის ხმაურით, კარზე ბრაზუნს ატეხენ... — დახშული ხმა აქვს ვაჟს, სახეზე წყენა აღბეჭდვია.

— მერე უღებთ კარს?!

— აბა რას იზამ, ღამის შემოანგრიონ. ქალებთან ერთად მოდიან. ზოგიერთს ვიცნობ... ერთმანეთის წინაშე თავმომწონებენ, თავხედობენ... — ჩამესმის ვაჟის ხმა.

წამით მომეჩვენა, თითქოს სივრცე განათდა... რალაც ძალამ ფეხზე წამომაგდო. ტაძრისკენ წავედი, ღია კარს მივადექი. ირგვლივ სიჩუმე იყო. მოციმციმე სანთლებმა, კედლიდან მზირალმა დიდებულმა ფრესკებმა თუ გრილმა, ნოტიო ჰაერმა სხვა სამყაროში გადამიყვანა, სხვა სივრცეში აღმოვჩნდი, სხვა განზომილებაში... უცებ გალობის შორეული ხმები ჩამესმა (დედათა მონასტერში მონაზვნები გალობდნენ!), ცხენების თქარათქურც ისმოდა. დავით აღმაშენებლის რემა, ბედაურებზე ამხედრებულ ლაშქარსაც ვხედავდი, მათი ყოყინაც მესმოდა. ძველი და ახალი ყოფა, არსებული თუ არარსებული სამყარო ერთმანეთში არეულიყო. ამას ერთოდა ქვის საფეხურზე გახმაურებული ნაბიჯები, ტაძრის მცველის ომახიანი ხმა... „მოვდივარ! მოვდივარ!“

საოცარ გაორებას ვგრძნობდი... სანთლით ხელში მოჩვენებასავით ვუვლიდი ტაძარს. მალლა და მალლა, უსასრულობაში მიიწევა ჩემი სხეული. ასეთი რამ არასდროს განმეცადა. განუმეორებელი წუთები იდგა.

მოგვიანებით, როცა შინისკენ ვიბრუნეთ პირი, გზას დავადექით, მანქანაში ყველაზე უკან ვიჯექი. თავჩახრილი. მდუმარე.

ვცდილობდი, თან ადევნებული საოცარი ხილვა არ დამეფრთხო (მოთხრობის მთელ სიუჟეტს თავიდან ბოლომდე ვხედავდი, შევიგრძნობდი), როგორმე შინამდე უნდა მიმეტანა...

და მივიტანე კიდეც.

უმალ სანოლს მივაშურე, რვეული და ფანქარი თან შევიყოლე. ქუჩიდან შემოსულ შუქზე, ნახევრად მძინარე, ცახცახით ვწერდი (მთელი სხეული მიკანკალებდა!)... მეჩვენებოდა, ვიღაც სასთუმალთან მიჯდა და სიტყვა-სიტყვა მკარნახობდა. რას ვწერდი, ან როგორ, არ ვიცოდი, მთავარი იყო, რიტმი არ შემეწელებინა და დროულად მომესწრო ჩანერა...

მოვასწარი!

დიდამ მტრედისფერი ფარდები რომ ჩამოაფარა ფანჯარას და პირველმა სხივებმა ოთახში შემოანათა, მოთხრობა დავამთავრე. სათაურიც შევურჩიე — „ღამე ტაძარში“. მოწყვეტით ჩამეძინა. მოგვიანებით გადავათეთრე და, ჩემდა გასაოცრად, სიტყვა არ შემეცვლია, არც სტრიქონი გადამიადგილებია. ერთი ამოსუნთქვით დაწერე. სულ მალე ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა.

აქვე მინდა დავძინო, იმ უცნაურმა ღამემ, ახალი მოთხრობის დაწერამ, დაძაბულმა სიუჟეტმა თუ ძნელად შესაცნობმა განცდამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, სულ სხვა თვალთ დაფუნყე სამყაროს ცქერა... თითქოს ყველაფერი გადასხვაფერდა. მოთხრობის გმირებიც შეიცვალნენ. ყოველივე იმ უცნაურმა ღამემ მოიტანა. გელათის დიდებული ტაძრის, უჩვეულო ფრესკების ხილვამ, შორეული გალობის მოსმენამ, უხილავი წლების თუ სამყაროს გაცოცხლებამ... მაღლობა უფალს!

სტუმართმოყვარე მასპინძლები

1978-79 წლებში გამოცოცხლებაა ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციაში. მწერალთა ახალი ძალები შეემატა, ახალი სურვილები და მისწრაფებები გაჩნდა. ლიტერატურული საღამოები გაიმართა. ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში, ბიბლიოთეკებში. მკითხველებთან შეხვედრებს ვანყობთ. ახლომახლო რაიონებში, ქალაქებში მივემგზავრებით.

სტუმრებიც ჩამოდიან. აფხაზი მწერლები გვესტუმრნენ, ქუთაისის თეატრში დიდი საღამო გაიმართა. საპასუხოდ მიგვიწვიეს. გადაწყდა, სოხუმში მივემგზავრებით. ქალაქკომის მდივანი ნაწული კაკაურიძე მოგვყვება. შეხვედრა მაღალ დონეზე ხდება. დავით კვიციანიძე (ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციის მდივანი) და ივანე თარბა (აფხაზეთის ორგანიზაციის მდივანი) მეგობრები არიან. ეს კი ბევრს ნიშნავს! ივანე თარბამ და გენო კალანდიამ (აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარემ) გვიმასპინძლა. აფხაზი და ქართველი მწერლები გავიცანით, ერთმანეთს დაეუახლოვდით. პოეტმა ნელი თარბამ საოცარი გულთბილობა გაამჟღავნა... მოგვიანებით თბილისშიც ვხვდებოდით ერთმანეთს (სანამ ქვეყანა არ აირია და ერთმანეთის მტრები არ გავხდით!). საოცარია ცხოვრება, არადა როგორ საამოდ მახსოვს იქ გატარებული ერთი კვირა... ახლომახლო კუთხეები მოვიარეთ. გაგრა, გულრიფში, გუდაუთა. ყველგან საღამოები გავმართეთ. ასწლიან მომღერალ აფხაზებს შევხვდით. ერთს გუდაუთის მთიან სოფელში ვენვით. ღირსეული აფხაზის (ასწლიანი მოხუცის) ოჯახმა მიგვიპატიჟა. პატივისცემის ნიშნად ხბო დაგვიკლეს. ნამდვილი აფხაზური ლხინი გაიმართა. იყო სიმღერები, ცეკვები. გასაოცარი სტუმართმოყვარეობა ვიხილე.

მახსოვს, სუფრაზე აფხაზმა მასპინძელმა დამიჩემა, სადღეგრძელო თქვიო... წამოვდექი. ცოტა მოხატრებულად წარმოვთქვი, ჭიქა პირთან მივიტანე, უნდა მოვსვა, რომ ყველამ ერთხმად მომადხა: „ჰე“, „ჰე!“ ვერ მივხვდი რას ნიშნავდა. თურმე, დალიეო, მანიშნებენ, ბოლომდე შესვიო. ცოტა მოვსვი და კვლავ მესმის: „ჰე!“ „ჰე!“ მამხნევენ... ძალას მმატებენ.

უმშვენიერესი დღეები გავატარეთ. არავითარი დაძაბულობა არ იგრძნობოდა!

მოგვიანებით აჭარაში მიგვიწვიეს. ჟურნალ „განთიადის“ რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე გვახლდა. ფრიდონ ხალვაში, აჭარის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, აჭარელ მწერლებთან ერთად გზაში შემოგვეგება... ჩავედით ბათუმში. პატივით მიგვიღეს, სასტუმრო „ინტურისტში“ დაგვაბინავენ. გაზეთის სპეციალური ნომერი გამოსცეს, რომელშიც თითოეული ჩვენგანი, სურათით და ანოტაციით იყო წარმოდგენილი... კონსტანტინეს წერილი მესამე კვირადზე განეთავსებინათ. განაწყენდა... სულ კვინტები ჰყარა! მობრუნდა და ცოლთან ერთად უკანვე წავიდა (ხუშტურიანი ბერიკაცი!). მოგვიანებით გავიგეთ, ქობულეთში შეჩერებულა და მთელი თვე იქ დარჩა. საუკეთესო სანატორიუმში დაისვენა. არაფერი შეშლია!

დიდად არ გვიდარდია მისი წასვლა. დაიწყო შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები გაიმართა მთიან სოფლებში, საზღვრისპირა რაიონებში. სარფს ვენვით, მანდარინების ბაღებში ჩაფლული მთიანი კუთხე აღმოჩნდა. ორსართულიანი სახლები ედგა. მანქანებით, მოასფალტებული გზებით დამშვენებული. ესეც თავისებური პოლიტიკა იყო! საბჭოთა წყობილება საუკეთესო პირობებს უქმნიდა ხალხს.. თურქებს ანახებდნენ. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იქვე კომპურა იდგა და რუსი მესაზღვრე ყოველ ჩვენგანს უთვალთვალებდა. საზღვრისკენ გახედვის უფლება არ გვქონდა.

არც გამიხედავს.

იმ ღამეს სარფში დავრჩით. ერთ ოჯახში მოგვასვენეს. დილით მასპინძელ ქალბატონთან ერთად აივანზე ვიდექი. გაღმა სივრცეს გაცვქეროდი. ღელის მეორე მხარეს ლაზური სოფელი მოჩანდა. იქ ამ ოჯახის ახლობლები, მამიდა-ბიძაშვილები ცხოვრობდნენ. საზღვარმა მათი ახლობლობა შუაში გახლიჩა. მიახლოების კი არა, გახედვის უფლება არ ჰქონდათ. მასპინძელმა გამაფრთხილა, ხელი არ გაიშვირო, არაფერი ანიშნო, თორემ მესაზღვრეები გესვრიანო... ასიოდე ნაბიჯის იქით მისი ახლობელი ადამიანები მიმოდიოდნენ, ფუსფუსებდნენ, საქმიანობდნენ. მხოლოდ შორიდან თვალთვალა შეეძლოთ, სხვა ყველაფერი აკრძალული ჰქონდათ.

ისიც მიაბზო, მოპირდაპირე სახლში მამიდა ცხოვრობს, როცა მამა ცუდად გახდა, ღამის სიკვდილის პირას იყო მისული, რალაც საშუალებებით მამიდას შევატყობინეთ. ძმის სანახავად წამოვიდა. ჯერ ანკარაში ჩავიდა, იქიდან მოსკოვში გადაფრინდა, მოსკოვიდან თბილისში, იქიდან ბათუმში და ასე გაჭირვებით, ერთი კვირის შემდეგ მოაღწია ჩვენამდე. მთელი თვე დარჩა. დის მოვლა-პატრონობამ ძმა ფეხზე წამოაყენა. ყველაზე სასაცილო ის იყო, იმ დღეებში სამზადი სახლის სხვა ადგილას გადატანა ნდომებია მის ოჯახს, ქმარსა და შვილებს. დეიძის დაბრუნებას არ დაელოდნენ, ხის ჯარგვალი, არ დაურღვევიათ ისე, სხვაგან გადაიტანეს. ქალი ყოველივე ამას აქედან ხედავდა, ეტყობა, ადგილი არ მოეწონა, დაიჩემა, ჯარგვალა მზეს რატომ არ უყურებსო, გაგიჟდა, გაავდა. ქოქოლას აყრიდა. თუმცა ხმას ვერ იღებდა. ვერც ხელით ანიშნებდა, მალე იმავე გზით წავიდა მამიდა. ათი წუთის სავალს მთელი კვირა მოანდომა.

ნამბობმა გამართო, თუმცა ხინჯი ჩამიტოვა გულში. ამიტომ იყო, მეორე საღამოს, ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეხვედრის დროს, ძალზე მტკივნეული სიტყვა წარმოვთქვი. მე თვითონ გავვოცდი. დიდი მჭევრმეტყველი არ გახლავართ, მაგრამ დარბაზში მსხდომ, მზეზე დამწვარ, ნაშრომ-ნაწვალზე ლაზებს რომ ვუცქერდი, შავგვრემანებს, ეშხიანებს, მღელვარება მეძალებოდა, ისინი ხომ ძველი ქართველები იყვნენ, ზღვისპირა ხალხი, ზღვის შვილები... გახლენილი სოფელი, დაცილებული ახლობლები. წყენა თუ ტკივილი სახეებზე აღბეჭდოდა...

დასასრული შემდეგ ნომერში

ლევან ბრეგაძე

კარლო ფაჩულია

(ციკლიდან „მხატვრები და ჭადრაკი“)

„კარლო ფაჩულია იმ მხატვრებს მიეკუთვნება, წიგნს ჭემ-მარიტი კრიტიკოსებივით რომ კითხულობენ და კარგად იციან თითოეული ნიუანსის ფასი... რატომ ვერიდებით ამ რანგის შემოქმედთ, სიცოცხლეშივე ვუნოდით დიდი“, – წერს როსტომ ჩხეიძე შესანიშნავ გრაფიკოსზე, არაჩვეულებრივად კოლორიტულ პიროვნებასა და შემოქმედზე, ქართული ლიტერატურის, საზოგადოდ, ქართული წიგნის, გამორჩეულ ილუსტრატორსა და გამფორმებელზე, რომელიც ყველა ამ ღირსებასთან ერთად ჭადრაკის დიდი მოყვარულიც გახლავთ.

ჩვენს თხოვნაზე, მოეთხოვოთ ჭადრაკთან თავისი დამოკიდებულების შესახებ, მხატვარმა გაიხსენა:

„ბიძაჩემმა, შოთა ქუთათელაძემ მიმიყვანა ქუთაისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის წრეში. მასწავლებელი იყო ცნობილი მწვრთნელი დავით ჩირაძე. დიდხანს არ მივლია. შევასრულე მესხეთე თანრიგის ნორმატივი, შემდეგ – მეოთხე და უკვე მესამე თანრიგისაც. პარალელურად დავდიოდი ტანვარჯიშზე (მასწავლებელი იყო ნინა იოსელიანი). ამ დროს ჩავირიცხე ქუთაისში ახალდაარსებულ სამხატვრო სკოლაში, რომელიც საშუალო სკოლასთან ერთად დავამთავრე.

1964 წელს მოვეწყვე თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ფიზკულტურის მასწავლებელი იყო ძველი ტანმოვარჯიშე ლევან გაჩავა. ერთ დილით ადრე მივედი აკადემიაში. ბატონი ლევანი ჩემთვის უცხო კაცს ეთამაშებოდა ჭადრაკს. ერთი სვლის გამო ბატონ ლევანს ვუთხარი, ეგ არ უნდა გეთამაშათ-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა: შენ აქ დაჯდები და, რა მოჭადრაკეცა ხარ, გავიგებო. მოუგო იმ კაცს და დავჯექი სათამაშოდ. დავინყეთ თამაში და ვუგებ. რა გვარისა ხარო, მეკითხება, – ვუპასუხე. სახელი რა გქვიაო, – ესეც ვუთხარი. იმ კარლო ფაჩულიასი რა ხარო (მამაჩემზე მეკითხება). შეიღიმეთქი. წამოდგა, გადამეხვია, მაკოცა. მამაშენი და მე ომის დროს ჯარში ერთ ნაწილში ვმსახურობდით, მანქანის ბორტზე ყირების გაჭიმვაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მერე ის სხვაგან გადაიყვანეს. ამბავი მოვიდა, დაბომბვაში მოყვაო...


სამხატვრო აკადემიის ნაკრებს უნდა ეთამაშა კალინინის რაიონის პირველობაზე. ბატონმა ლევანმა აკადემიის ნაკრებში შემიყვანა, სადაც ჩემ გარდა იყვნენ: თენგიზ (ჩუბჩიკა) მირზაშვილი, რენო თურქია, თეიმურაზ ყუბანეიშვილი და დათო გრიგოლია. პირველი ადგილი დავიკავეთ. დამაჯილდოვეს ბაკურიანის საგზურით და ასე მოვხვედი ჭადრაკის წყალობით პირველად ბაკურიანში.

მხატვართა კავშირის წვერი ვარ 1974 წლიდან, ჟურნალისტთა კავშირისა – 1982 წლიდან. დამირეკეს ჟურნალისტთა კავშირიდან, ბიჭვინთაში მივდივართ, ხომ არ წამოხვიდოდით. წავედი. ჩატარდა ჟურნალისტთა პირველობა ჭადრაკში და მე გავიმარჯვე, პირველი ადგილი დავიკავე. ფინალში ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი პაატა ნაცვლიშვილი დავამარცხე. დამაჯილდოვეს ძალიან ლამაზი შუშის თასით.

ერთხელ გვეწვივნენ ჩემი ვაჟის, ირაკლის, ბიძაშვილები დედის მხრიდან: სოსო და გიგა ზაალიშვილები. დაინყეს დიდ ოთახში ფეხბურთის თამაში. ბურთი მოახვედრეს ჩემს თასს, რომელიც ისე დაიმსხვრა, რომ მისგან მხოლოდ მოგონებალა დამრჩა“.

ჩემს არქივს კარლო ფაჩულიასთან ნათამაშები ორი პარტიის ფრაგმენტები შემოუნახავს. ერთი, რომელიც 1981 წლის ოქტომბრის თვით არის დათარიღებული, ეს გახლავთ:

კარლო ფაჩულია



ლევან ბრეგაძე

პაიკი მაკლია, თუმცა პოზიციური უპირატესობა ჩემ მხარეზეა. შეიძლება, მაგალითად, 1. a4 სვლით შავების პოზიციაზე ზენოლის გაძლიერება. მაგრამ მე 1. d:c6 ვითამაშე. შორიდან მომიჩვენა, რომ ამ კომბინაციით მატერიალურ უპირატესობას მოვიპოვებდი.

1. ... d:c6 2. d:c6+ bc 3. ♖:c6+ ♔e7

ახლა რა ვქნა? თუ ეტლი მოვკალი (4. ♖:a8), მაშინ 4. ... ♜:c3+ და ფიგურას დავეკარგავ. ამიტომ:

4. ♖b7+ ♔f6 5. ♜f3+ ♔e7


შავები ზუსტად იცავენ თავს. არ ვარგა 5. ... ♗f5 6. ♗f4 ♗d6 7. ♗:d6 ♗hd8 8. ♗e5+ ♔e7 9. g4 და თეთრები მოიგებენ. ხოლო თუ 5. ... ♜f5, მაშინ უკვე შემიძლია ეტლის აყვანა ლაზიერით.

6. ♖b7+♔f6 7. ♜f3+

და ყაიმი მუდმივი ქიშით.

ეს პოზიცია კი 1982 წლის 26 ივლისს ნათამაშები პარტიიდან არის:

ლევან ბრეგაძე



კარლო ფაჩულია

ჩემს კუს დაფის ცენტრში გაბატონებული მდგომარეობა უკავია, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ თეთრებს მისი თავიდან მოშორების სურვილი გაუჩნდათ:

1. ♖b2

მე კი კუც დარტყმის ქვეშ დავტოვე და დამატებით ლაზიერიც დავუსვი თეთრების ეტლს ასაყვანად:

1. ... ♣f2!

ამ სვლით ჩემი ლაზიერი მტრის ბანაკში მამაცურ რეიდს ახორციელებს!

ეს არის ილეთი, რომელსაც „კონტრდარტყმას“ ეძახიან.

რა უნდა ქნან ახლა თეთრებმა? თუ 2. ♖:f2, მაშინ 2. ... e4

3. ♣f3 ♖e1+ 4. ♕h2 f1 ♖+ (ლაზიერის გაცოცხლებაც შეიძლება) 5. ♣:f1 ♖:f1 6. ♕:d4 ♖e8 7. c3 f4 და შავებმა უნდა მოიგონ. ჩემმა მეტოქემ ლაზიერის აყვანა ლაზიერით არჩია:

2. ♣:f2 e4 3. ♕:d4 ♖e1+ 4. ♕h2 f1 ♖+ 5. ♖:f1 ♖:f1

ზედმეტი ხარისხი დამრჩა პაიკში. პოზიციაც ისეთია, რომ შავებმა უნდა მოიგონ. ანუ ლაზიერის შეწირვა კორექტული გამოდგა.

მინდა მკაფიოდ და დაბეჯითებით განვაცხადო ლაზიერის შეწირვის კორექტულობის თაობაზე, ვინაიდან... ეს პარტია წავაგე.


დააკვირდით: თეთრებს ლაზიერის ფრთაზე ორი ზედმეტი პაიკი დარჩათ. ამ გარემოებით და ჩემი რამდენიმე არაზუსტი სვლით კარგად ისარგებლა მეტოქემ, ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკი შექმნა და მომიგო. (პარტიის ფრაგმენტის ჩემი ჩანაწერი 3. ♕:d4-ით მთავრდება. იქვე იმავე პასტით მიმინერია: „მოვიგე ხარისხი, მაგრამ შემდეგ პარტია წავაგე“).

ნუგემად ეს ლამაზი წყნარი სვლა 1. ... ♣f2! – უძლიერესი ფიგურის უხმაუროდ (ქიშის ან ფიგურის მოკვლის გარეშე) შეწირვა დამრჩა, რაც (კიდევ უნდა გავიმეორო!) კორექტული გახლდათ, – წაგებას მას ვერ დავაბრალებთ, – მარცხი მეტოქის შეუპოვარმა თამაშმა და ჩემმა დაუდევრობამ გამოიწვია.

რაკილა როსტომ ჩხეიძე და კარლო ფაჩულია მრავალი წელია ერთად მუშაობენ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში (როსტომი ჟურნალის მთავარი რედაქტორია, კარლო კი – მხატვრული რედაქტორი), ბუნებრივია ყველაზე ხშირად ერთმანეთთან უნევეთ ჭადრაკის თამაში. არც ის არის მოულოდნელი, რომ ოსტატობის კანდიდატი როსტომ ჩხეიძე ამ ორთაბრძოლებიდან უფრო ხშირად გამოდის გამარჯვებული.

გთავაზობთ ორ საშამათო კომბინაციას, რომლებითაც როსტომ ჩხეიძემ დააგვირგვინა შეტევა კარლო ფაჩულიასთან ნათამაშებ პარტიებში.


როსტომ ჩხეიძე



კარლო ფაჩულია

1. ... de 2. ♣:e4 ♣:f2+! 3. ♖:f2 ♖:d1+ და გარდუვალი შამათის გამო თეთრები დანებდნენ.

როსტომ ჩხეიძე



კარლო ფაჩულია

1. ... e4! 2. ♖:e6 f2+ 3. ♕h2 f1 ♖x!

შამათი მხედრის გაცოცხლებისა და ორმაგი ქიშის მეშვეობით – ერთობ იშვიათი რამ პრაქტიკულ პარტიაში!

თბრობას როსტომ ჩხეიძის ერთი ჩანაწერით (ნაკვესით) დავამთავრებ, რომელიც ჟურნალ „ჩვენი მწერლობაში“ გამოქვეყნდა:

„თენგიზ მირზაშვილი და კარლო ფაჩულია – თქვენს თვალში მხოლოდ ორიგინალური, გამორჩეული მხატვრები.

ახლობლებისათვის – ჭადრაკის თავგადაკლული მოტრფიალნიც.

პარტნიორის დანახვაზე (არადა, მათთვის ყველა პარტინორია, ვინც ფიგურების გადაადგილება-გადმოადგილება იცის) ისეთი კანკალი აუტყდებთ ხოლმე, როგორც ლოს ღვინიანი ხელადის დანახვისას.

ფუნჯსაც კი მაშინვე გვერდზე გადადებენ და საჭადრაკო ფიგურებს ამოალაგებენ.

ან გადადებენ და ან – არა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ასე ითქმის.

ერთხელაც თენგიზ მირზაშვილი პარიზში მიემგზავრება ექვსი თვით, იქ ელოდება შეხვედრები, გამოფენები, ხელოვნების მექაში ცხოვრების დაუვიწყარი ხანა.

წინა დღეს გამომცემლობა „მერანში“ შეივლის და კარლო ფაჩულიასთან შერკინებისას მარცხს იწვევს საჭადრაკო დაფაზე.


ის ექვსი თვეც გაივლის სისხლსავსე ცხოვრებითა და ამალეღვებელი შთაბეჭდილებებით, მისი გამოფენა დიდ ინტერესსა და მონონებას გამოიწვევს ხელოვნების ჭეშმარიტ დამფასებელთა წრეებში და თენგიზ მირზაშვილი ისევ დაუბრუნდება თბილისს.

ჩამოსვლის მეორე დღესვე ქუჩაში გადაეყრება კარლო ფაჩულიას და ჯერ სალამიც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, შორიდანვე მიაძახებს:

– მაშინ შენ როქის გაკეთების უფლება არა გქონდაო.

– როგორ თუ არა მქონდაო.

– ახლავე გაჩვენებ, ნამოდი, დაფა მოვნახოთ“.



ეკატერინე ტუკვაძე

ესპანელი ექიმები

მრისხანე 90-იანმა წლებმა ჩვენს ოჯახს თავი დედას მიძიმე დამწვრობითაც დაამახსოვრა. ნოემბრის სუსხიან საღამოს, როცა ის სკოლიდან დაბრუნებული შვილებისათვის ლობიოს ხარშავდა, ნავთქურა მოულოდნელად გადაუბრუნდა და მოთუხთუხე, მღულარე მასა ფეხებზე მთლიანად გადაეველო. დამწვრობის ცენტრმა სხეულის 10-პროცენტის, პირველი-მეორე ხარისხის დამწვრობის დიაგნოზი დასვა და საკმაოდ ძვირადღირებული მკურნალობაც დანიშნა, რაც ჩემი უმუშევარი მშობლებისათვის ერთიორად ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა.

ჩვენდა ბედად, საქართველოში მაშინ ჰუმანიტარული მისიით უცხოელი ექიმები იმყოფებოდნენ. ჯერ სამხედრო გადატრიალებით, შემდეგ აფხაზეთის ომით სისხლდამრეტილ ქვეყანას დევნილებისა და გადატყვევებული, უმუშევრად დარჩენილ ადამიანთა დასახმარებლად მისია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ სტუმრობდა. გულისსმეირი მეზობელი ქირურგის, დიანა ობოლაძისაგან შევიტყვეთ, რომ ჩვენი უბნის, მუხიანის პოლიკლინიკასთან ესპანელი ექიმები მიემარებინათ და დასახმარებლად სწორედ მათ მივმართეთ. იმავე დღეს შინ ორნი გვეწვივნენ: მომცრო ტანის შავტუხა მამაკაცი — ანტონიო პერეს პადილა, უფრო ღია ფერის სახის ახალგაზრდა ქალი კი — ჩუს ლუკას რუისი. ანტონიო მალაგელი იყო, ჩუსი — ბარსელონელი. მათ ქართველი ექთანი, ესპანური ენის ერთი და ინგლისური ენის ორი თარჯიმანი ახლდათ. ესპანურის თარჯიმანი რუსულენოვანი ქალბატონი იყო, ინგლისურისა — ქართველები. ლიფტგაძარცვული კორპუსის მე-9 სართულზე ქოშინით ამოსული ექიმები მოკლედ მოგვესალმნენ და მაშინვე პაციენტის სასთუმლისკენ გაემართნენ. სტუმრები ევროპული სიცივნარევი თავაზიანობით იქცეოდნენ. შეკითხვებს ლაკონიურად, ზედმეტი განმარტებების გარეშე პასუხობდნენ. ესპანელთა საქმიანი სახეები მხოლოდ აივანზე გაკიდებულმა ცოლიკაურის აკიდობმა შეცვალა. ყურძნის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდათ და: „კახეტი, კახეტი“ — მხიარულად შესძახეს. — არა, ბატონო, იმერეთიო, უკმაყოფილოდ შეუსწორა მამაჩემმა და თარჯიმნებს მაშინვე გადაათარგმინა, რომ ეს ყურძენი მისი მამისეული ვენახებიდან, შუა იმერეთიდან, თერჯოლიდან გამოგვიგზავნეს, რომელიც ესპანელებისათვის ნაცნობი ქუთაისიდან სულ რაღაც 26 კილომეტრითაა დაშორებული (თბილისში ჩამოსვლამდე ისინი თურმე ქუთაისში იმყოფებოდნენ და ეს ქალაქი კარგად იცოდნენ).

ჩვენს ოჯახში ესპანელთა სტუმრობა ორიოდე კვირა გაგრძელდა. მოვიდოდნენ, მოგვესალმებოდნენ, დედას ჭრილობებს ნარბეშუხრულად დაუშუშავებდნენ, საშინელი ტკივილისაგან ცხარედ ატირებულს „ტრანქილა“ (დამშვიდდელი), ეტყოდნენ და ნავიდოდნენ. უფრო სწორად, ჭრილობის დამუშავება-შეხვევაში ჩუსი მონაწილეობდა, ანტონიო კი უმცროს კოლეგას მეთვალყურეობდა. სხვათა შორის, ეს „ტრანქილა“ (რაც მაშინ „დანქილა“ ჩამესმოდა), ერთადერთი ესპანური სიტყვა იყო, რომელიც მათი საუბრებიდან დამამახსოვრდა...



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

მკურნალობის დასრულების შემდეგ დედამ და მამამ მადლიერების ნიშნად ესპანელების, მათი თანმხლები ქართველი ექთნების, თარჯიმნებისა და ჩვენი მეზობელი ქირურგისათვის (რომელიც დედას მკურნალობაში ერთვულად, დაუზარელად მონაწილეობდა) გამოსამშვიდობებელი საღამოს გამართვა გადაწყვიტეს. პოლიკლინიკის მედპერსონალმა გვიჩრია, ზედმეტად ნუ დაიხარჯებითო, ეგენი მაინც ევროპელები არიან და ფინჯან ყავასა და ნამცხვარზეც იოლად „გადავლენო“. ჩვენი ოჯახი, როგორც ტრადიციული ქართული ოჯახი, ცხადია, ამ რჩევას არ დაჰყვება, გაჭირვების მიუხედავად, უცხოელი სტუმრების პატივსაცემად ზამთრის სასურსათო მარაგიდან ერთი გრამიც არ დაიშურა. ღორის კუპატიდან დანყებული შემწვარი იმერული კვახით დამთავრებული — ყველაფერი ესპანელი სტუმრებისა და მათი თანმხლები ქართველების პირის ჩასაგემრიელებლად იყო გამზადებული. სუფრას აკუმულატორზე შეერთებული ნათურა დანათოდა და ერთგვარად რომანტიკულ ელფერს ანიჭებდა. 1993 წლის 5 იანვრის საღამოს ჩვენს ოჯახს ესპანელებისათვის ღირსეულად უნდა ემასპინძლა.

ანტონიო და ჩუსი დათქმულ დროს ევროპული სიზუსტით მოვიდნენ და, იგრძნობოდა, სუფრიდანაც ასეთივე ევროპული სიზუსტით აპირებდნენ ამოღებას. თუმცა პირველ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, იმერეთიდან ბაზუდას (მამის გაუთხოვარი, ძმისშვილებზე თანაგდაყოლილი მამიდის) გამოგზავნილი ყველი გატენილ ხაჭაპურს — იქიდანვე გამოგზავნილი საშობაო გოჭის მწვადი, ჩურჩხელას — გოზინაყი და... ესპანელებმა კარგა გვარიანად მოუღვინეს. ჯერ სასმელისგან ლოყებშეფაკლული ჩუსი მოიხიბლა ქართული გოგრის გემოთი, ამას ჩვენებურად „კალბასა“ ქვიანო, გვითხრა და სიტყვა „კვახი“ ჩიქორთული ქართულით, კისკის-კისკისით რამდენჯერმე გაიმეორა. მერე შეზარბოშებული ანტონიო დაინტერესდა, ეს გოჭი ნადირობისას ხომ არ მოკალითო, და მამას თავისი დიდი მანქანით (დიდი მანქანა მყავსო, გვითხრა) სანადიროდ და სათევზაოდ ერთად წასვლა შესთავაზა — თანაც, მუხიანიდან პირდაპირ მის მშობლიურ მალაგაში. მამას, თითქოს მაშინ გაახსენდაო, ანტონიოს სიხარულით გაუმხილა, მამაჩემიც თქვენი სეხნა იყოო. მერე კი თარჯიმანს ხმადაბლა წასჩურჩულა, მაგრამ მამაჩემი ანტონიო ტანად იმხელა კაცი იყო, ამ ანტონიოს ჯიბეში ჩაისვამდაო. თუმცა ეს სიტყვები მხოლოდ თარჯიმნის გასაგონად და სუფრის ქართულენოვან წევრთა გასამხიარულებლად წარმოთქვა. თან დააყოლა, არიქა, არ დამლუპოთ, ესეც არ თარგმნოთ, თორემ ევროპაში თავი მომეჭრებოო.

ქვეყნის ბედით დაზაფრულმა, სამშობლოს გულშემატკივარმა მამამ ესპანელთა სტუმრობა ევროპელებისათვის მაშინდელი საქართველოს მდგომარეობაზე სწორი ინფორმაციის მისაწოდებლადაც გამოიყენა და საქართველოს რიგითი მოქალაქის თვალთ დაინახული, 1991-92 წლების სისხლიანი პუტრის დეტალები ხან ინგლისურენოვან, ხანაც ესპანურენოვან თარჯიმნებს სტუმრებისათვის სიტყვა-სიტყვით ათარგმინა. ყელში ბოლმასავით მონოლოლ სიტყვებს ისე მგზნებარედ, გატაცებითა და სხაპასხუპით წარმოთქვამდა, რომ მათ გადათარგმნას სამი თარჯიმანი ერთმანეთის მონაცვლეობითაც კი ძლივს ასწრებდა. დღესაც ვერ გეტყვით, რა დაიმახსოვრეს და რით დაინტერესდნენ მამის მონათხრობიდან ესპანელები, მაგრამ მაშინ მთელ ოჯახს გულწრფელად გვჯეროდა, რომ მნიშვნელოვან, ეროვნ-

წულ საქმეს ვაკეთებდით და პუტჩისტებისა და მათი გა-
კონტროლებული საინფორმაციო არხებისგან გავრცე-
ლებული დეზინფორმაციის ნაცვლად, ზვიად გამსახურ-
დიას ხელისუფლების დამხობის შესახებ უტყუარ ინ-
ფორმაციას ვანვდიდით ევროპას. ვინ იცის, სამშობლო-
ში დაბრუნებულ ექიმებს თანამემამულე კოლეგებსა ან
პაციენტებთან მაინც გაეხსენებინათ შეულამაზებლად
პირველი ქართველი პრეზიდენტის ძალადობრივად დამ-
ხობის სეგდანი ამბავი — სახალხო აჯანყებად რომ ნათ-
ლავდნენ მაშინდელი უზურპატორები.

ესპანელ ექიმთა სტუმრობა სამახსოვრო სლაიდ-
ების გადაღებითა და მათთვის თამარ მეფის ეპოქის ამ-
სახველი, ქართულად და ინგლისურად შესრულებუ-
ლი წიგნების ჩუქებით დასრულდა. ეს წიგნები საგან-
გებოდ შევარჩიეთ. გვინდოდა, მათაც გაეგოთ, რომ
საქართველო ოდესღაც ძლიერი, აყვავებული, წელგა-
მართული და განმტკიცებულ საზღვრებში გალალე-
ბული სახელმწიფო იყო და არა ისეთი დაკნინებული,
დაბეჩავებული და ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა,
როგორსაც ისინი მაშინ სტუმრობდნენ.

ექიმებმა კი თავინათი მისამართები დაგვიტოვეს,
გულთბილი მიღებისათვის მაღლობა ქართულად გა-
დაგვიხადეს და დაგვირდნენ, რომ ესპანეთშიც ასევე
გულუხვად გვიმასპინძლებდნენ.

მათი წასვლიდან სულ რაღაც 10 წუთში დენიც მო-
ვიდა. მაშინვე მონატრებული ტელევიზორი ჩავრთეთ
— თუმცაღა სიმართლის გაგების ნაკლები იმედი
გვქონდა. უცებ, თითქოს მეხი გავარდაო, დიქტორმა
დევნილობაში მყოფი ზვიად გამსახურდიას გაურკვე-
ველ ვითარებაში გარდაცვალების ამბავი გადმოსცა.
ამ ცნობამ ესპანელებისთვის განუული მასპინძლობის
სასიამოვნო დადლა და სიხარული, იმ საღამოს მიღე-
ბული ნანატრი დადებითი ემოციები ერთბაშად გადა-
ფარა... დედამ და შვილებმა ვიშვიში ავტეხეთ — ეგ
სანჯარა რა უბედური ყოფილაო.

მამას კი სიტყვა გაუწყდა, სახეზე მიწისფერმა გა-
დაჰკრა, ერთხანს მდუმარედ იდგა, მერე უცებ მეორე
ოთახში გავიდა, სანოლის კუთხეში მიყუდებული სანა-
დრო თოფი აივანზე გაიტანა და ჩაშავებულ, ზამთრის
სუსხისაგან გარინდულ სივრცეში გაისროლა. თითქოს
გული იმ ჭახანით მოიხზა, თითქოს დარდი თოფის სას-
ხლეს ღრუბლებისკენ გააყოლა... გაისროლა და
ოთახში დედმარედვე შემობრუნდა. უთქმელად მიგხვ-
დით, ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ამბავმა გააღი-
ზინა ასე ძლიერ, მაგრამ დედამ მაინც ჰკითხა, თოფი
რატომ გაისროლეო. ამ ახალ წელს არ მისვრიაო, მამამ
ოდნავ დამშვიდებული ტონით უპასუხა...

იმ საღამოს შემდეგ ესპანელი ექიმებისა და საქარ-
თველოს პირველი პრეზიდენტის მოგონებანი განუწყრე-
ლად გადაეჯაჭვა ერთმანეთს. პირველის სასიამოვნო
გახსენებას უმაღ მეორის ცრემლიანი გახსენება შეცე-
ლის ხლომე. და ამ მოგონებაში ტრაგიკული უფრო მეტია
— უცხოელი ექიმები საქართველოს დასახმარებლად
ხომ სწორედ იმ უბედურებამ მოავლინა, რაც ჩვენს ქვეყა-
ნას ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემ-
დეგ დაატყდა თავს. უკვე 21 წელია, ესპანელ ექიმთა მისა-
მართები სათუთად და მათთან კიდევ ერთხელ შეხვედ-
რის იმედით ინახება ჩემს დღიურში. ამდენივე წელია,
პირველი პრეზიდენტის ფოტოებს, მისი მოღვაწეობის ამ-
სახველ პუბლიკაციებსა და წიგნებს ასევე ფაქიზად აქვს
მიჩენილი საპატიო ადგილი ჩემს სამუშაო კუთხეში. გულ-
ში არ კვდება იმედი, რომ დადგება დრო და ესპანეთსა და
სხვა ქვეყნებს სტუმრები უკვე ზვიად გამსახურდიას ნა-
ოცნებარი, ფეხზე დამდგარი საქართველოდან ეწვევიან...

ლორდ ბაირონი

ლონდონისაკენ

(მათი თავი „ლონ ჟუანიდან“)

როს ნიუტონმა ვაშლის ვარდნა იხილა, ფიქრთაგან ოდნავ გამო-
ერკვა და აღმოაჩინა — ამბობენ, თორემ მე რა ვიცი დედამინაზე ნე-
ბისმიერი ბრძენის კრედო თუ კალკულაცია — ხერხი იმის დასამტკი-
ცებლად, დედამინა რომ სწორედ ასე ტრიალებს და ამას ჰქვია „გრა-
ვიტაცია“; და ეს ერთადერთი მოკვდავია, ვინც ეს შეძლო მოეხელთე-
ბინა ადამს აქეთ — დაცემითა თუ ვაშლით.

და თუ ეს მართალია, რომ ადამიანები ვაშლით ეცემიან და ვაშ-
ლითვე აღსდგებიან; მამ უნდა ჩავეღრმავდეთ მეთოდს, რომელშიც
სერ ისააკ ნიუტონმა შეძლო ამოეხსნა იმ დროისათვის მოუკირწყ-
ლავ, ვარსკვლავიან, ხერგილებიან გზაზე ის, რაც ანონასწორებს ჰუ-
მანურ ტანჯვას: რადგან მას შემდეგ უკვდავი კაცი აღენთო ყველანა-
ირი მექანიკით და ძალიან მალე ორთქლის მანქანები გააქროლებენ
მთვარისაკენ.

რაში დამჭირდა ეს შესავალი?
რალა ახლა, ამ გაცრეცილ ფურცელს! რომ დავენვი, აღინთო გუ-
ლი ჩემი ყოვლისმომცველი მგზნებარებით და სული ჩემი აღტაცებამ
მოიცვა; და თუმც დიდად ჩამოვრჩები მათ, ვინც ლინზეებისა თუ ორ-
თქლის მეოხებით იკვლევენ ვარსკვლავებს და დაჰქრიან ქარში,
მსურს იმავს ვენიო პოეზიის ძალმოსილებით.

ქარში კი ვისრიალებდი, მაგრამ ვარსკვლავთათვის ჩემი ტელეს-
კოპი ცოტა ლიბრინია; ოლონდ საერთო ნაპირს ხომ ავცილდებოდი
და შორს მოვიტოვებდი თვალსანიერიდან მიწას, მარადისობის ქაფს
შეგნვდებოდი, დამაბრკოლებელთა ღრიალი ოდნავადაც ვერ დათრ-
გუნავდა ჩემს კოხტა ორჩხომელს, რომელიც სხვა მრავალი ზღვის
შესაფერისი ნავის მსგავსად იცურებდა იქ, სად გემები იძირებიან.

ჩვენი გმირი, დონ ჟუანი, მაშინ დავტოვეთ, როს გაიფურჩქნა ვით
ფავორიტი, მაგრამ ჯერ არ განითვლებულა; ხოლო ჩემი მუშები (მე
ხომ არაერთი მუზა მახვევია) შორს არიან იქიდან, რომ ივარაუდონ ან
თან გაჰყვინენ სასტუმრო ოთახს მიღმა: საკმაოა, რომ ილბალმა უხვად
დააბერტყა სიჭაბუკე, ძალა, მხნეობა, სილამაზე და ისეთი რამაც, რაც
წუთით შეკრავს ხოლმე ტკბობის ფრთებს. მაგრამ შემდეგ ისინი
კვლავ იშლებიან და ტოვებენ ბუდეს.


„ოჰ! იტყვის მეფსალმუნე, მტრედის ფრთები რომ მქონდეს და
გავფრინდე და დავისვენო!“² და იგი, ვინც გაიხსენებს სიჭაბუკის
წლებსა და სიყვარულს, — თუმცა მცხით მოსილია და მკერდი ჩაჰქ-
რობია და წარმოსახვა დაჩლუნგებია და ველარ გასცხლებია ლიბრით
მოსილი თვალის სანიერს — ამჯობინებს ამოიხროს თავისი ვაჟი-
ვით, ვინემ ახველოს პაპამისივით.

მაგრამ ოხვრა ქრება და ცრემლები (ქვრივისაც კი) იწრეტება.
მდინარე არნოსავით, ზაფხულობით, წყალმარჩხი ხდება და ისეთი
ვინრო, სირცხვილით გაჰყურებს ზამთრის ნაპირებს, ღრმა და ყვითე-
ლი წყალდიდობით რომ იმუქრებიან! ასეთი განსხვავებაა, მიუხედა-
ვად რამდენიმეთვიანი მანძილისა.

ტანჯვა მდიდარი მინდორი ნუ გგონიათ, რომელიც აროდეს გადა-
იხენება; და თუ არ იხენება, იმიტომ, რომ ბიჭები გუთანს იცვლიან და
ახალ მიწას ფარცხავენ, რათა დათესონ თავშესაქცევად.

მაგრამ ოხვრა რომ თავდება, ხველა იწყება — ხანდახან მანამდეც,
სანამ ოხვრა დასრულდებოდეს; რადგან პირველს ხშირად მოაქვს მეო-
რე, მანამ, სანამ ტბასავით კრიალა შუბლს ნაოჭები აამღვრევენ ან სი-
ცოცხლის მზე მიუახლოვდებოდეს ათ საათს; და სანამ გზნება, ფიცხე-
ლი და ხანმოკლე, აავარდისფერებდეს ლოყას, რომელიც მეთისმეტად
კრიალა მიწისათვის გასამეტებლად, ათასობითაა მათი რიცხვი, ვინც
ინებს, უყვარს, იმედოვნებს, კვდება, — რა ბედნიერი არიან!

მაგრამ ჟუანი ასე მალე სიკვდილს სულაც არ აპირებდა. იგი ისეთ
დიდების ყოფაში დავტოვეთ, რაც მთვარის ფავორიტობასა და ქალ-
ბატონთა მოწონებას თუ მოაქვს, თუმც წარმავალს, მაგრამ ვინ დაი-



წუნებს ივნისის თვეს, იმიტომ, რომ დეკემბრის ყინვიან-თოვლიანი სუნთქვა წინ უდევს?

უმჯობესია მზის სხივს დაუფურგურო და სითბო მოიმარაგო ზამთრის დღისათვის.

ამასთან, ჟუანს ისეთი თვისებებიც ჰქონდა, რაც შუა ხნის ქალებს უფრო იზიდავს, ვინემ ახალგაზრდებს: იმათ იციან თუ რა როგორაა, მაშინ როს ახალშებუბლულმა ვარიკებმა იმაზე ცოტა მეტი თუ უწყინარ სიყვარულზე, რაც ნამდვირად ლექსებში, ან ნაოცნებარია (ფანტაზიამ ოინები იცის) იმ ზეცათა ხილვებში, საიდანაც სიყვარული ამოფრინდება.

მავანნი ქალებს მათი მზეებითა და წლებით აფასებენ, მე კი ვფიქრობ, მთვარეებით უნდა აღვზუსხოთ ამ საყვარელ არსებათა ასაკი.

რატომ? იმიტომ, რომ ქალი ცვალებადია და კეთილგონიერი. სხვა მიზეზი არ ვუნცი, რაც უნდა ეჭვიანობდეს ხალხი, ვინც ჩქარობენ და ნაკლს მიძებნიან, და შესაძლოა დამაჯარიმონ კიდევ; ვერ არიან სამართლიანი და ვერც მათ „ზნესა და გემოვნებას მოვიწონებ“, თუნდაც ჩემი მეგობარი ჯეფრისნაირს;³

და მაინც მიპატიებია და მჯერა, თვითონაც აპატიებს თავის თავს, თუ არადა მე მევალება ვაპატიო.

ძველი მტრები რომ დამეგობრდებიან, მეგობრებად უნდა დარჩნენ, ეს ხომ ღირსების საქმეა; და არ ვიცი თუ რამ უნდა დააბრუნოს მტრობა, ქალს, რომელიც ამას მოინდომებდა, ისე მოვერიდებოდი, ვითარცა ნიორს, თუნდა ასი ხელი და ასი ფეხი ესხას, გავექცეოდი თავქუდმოგლეჯილი.

ძველი ალები ცეცხლისა და ახალი ცოლები ჩვენი უსასტიკესი მტრები ხდებიან — გარდაქმნილი მტრები კი ზიზღით აისხლებენ და არ შეუერთდებიან მათ.

ეს ყველაზე უარესი დეზერტირობაა — რენეგატები, თვით ცვალებადი საუთიც კი, ეს ხორცშესხმული ცრუპენტელობა, ძნელად თუ შეუერთდებიან „რეფორმატორთ“,⁴ რომელნიც მიატოვია, რათა ლაურეატის გობს მიჯდომოდა; პატიოსანი კაცები ისლანდიდან ბარბადოსამდე, კალედონიასა თუ იტალიაში, ყოველ წამობერვაზე არ ტრიალდებიან და ტკივილსაც აიტანენ, როს თქვენ განცხრომაც ვერ გაკმაყოფილებთ.

ვექილი და კრიტიკოსი მხოლოდ მდაბალ მხარეს ხედავენ ლიტერატურასა თუ ცხოვრებაში, და არაფერი რჩება უხილავი და, მეტიც, უთქმელი, მათ მიერ, ვინც გადარეცხავენ ორმაგ ველს შებრძოლებისა. უბრალო ადამიანები უფიცებად ბერდებიან, ვექილი კი მოკლე ხანში ქორუგის დანასავით ჭრის, ჩაკაფავს და ჩანვდება საკითხს და ამასთან საჭმლის მონელების პროცესსაც.

კანონის ცოცხი ზნეობის ბუხრის მწმენდავიცაა, და ამიტომაცაა ასეთი ჭუჭყიანი; სულ ჭვარტლში ტრიალი ისეთ ღრმა ლაქას დაგიტოვებს,⁷ პერანგის გამოცვლა ვერას გიმშველის; და ზედ დაგრჩება შავფერა ზოლები, ბნელი მცურავებივით განოლილი, ოცდაცხრა მაინც დაგრჩება ოცდაათიდან, მთელი თავისი ჩვეულებებით; — იმდენად შენ არა, რამდენადაც მე მემართება ასე; შენ ისე ატარებ შენს მოსასხამს, ვით კეისარი ტოგას.

და ჩვენი მცირედი მტრობა, ბოლოს და ბოლოს ის მაინც, რაც მე გიმტრე, ძვირფასო ჯეფრი, ოდესღაც ჩემო მრისხანე მტერო (რამდენადაც რითმასა და კრიტიკას შეუძლია ამგვარ მდაბალ თოჯინებად გვაქციოს), დასრულდა: და ვსვამ სადღეგრძელოს „ძველი გზისა!“⁸ მე შენ არ გიცნობ და შეიძლება ვერც ვეროდეს განახო, მაგრამ ისე კეთილშობილურად მოიქეცი, სულითა და გულით შენი მოვალე ვარ.

და როს ამ ფრაზას მოვიშველიებ, „ძველი გზა!“ შენ ვერ მოგმართავ, ჩემდა სამწუხაროდ, რადგან მერჩინა შენთან დამელია ღვინო, ვინემ სხვასთან (გარდა სკოტისა) შენს ამაყ ქალაქში.

და მაინც, ეგებ ეს საბავშვო ღვინოა და, თუმც არც დიდობასა და არც მახვილგონიერებას ვიჩემებ, მაინც სანახევროდ სკოტი ვარ დაბადებითა და აღზრდით და მთელი ჩემი გული ჩემს თავში გადაფრინდება, ვითარცა ძველი გზა აერთიანებს მთელ სკოტლენდს, სკოტლენდურ მოსასხამს, სკოტლენდური თმის ბადეს ქალისათვის, ლურჯ მთებსა და კამკამა წყაროებს, დიის, დონს ბალგონის ხიდის შავ კედელს,⁹ ჩემს ყმანვილურ გრძნობებს, ჩემს მაშინდელ კეთილშობილურ ოცნებებს, რომ ვოცნებობდი ოცნებებშივე გამოხვეული, ვით ბანქოს ნაშიერი; ჩემს წინ ჩავლილი ბავშვობა ჩემს ბავშვობობას განსაზღვრავს, მერედა რა, ეს ხომ „ძველი გზის“ გაეღვებაა.

და თუმც ვითარც გემახსოვრება, თმახუჭუჭა ჭაბუკმა, სიბრაზე და რითმები შეეახამე და მივმართე სკოტთა წინააღმდეგ, გადმოვანთხიე ჭკუა და სიბრაზე, გრძნობაც ჩავხლართე და ვანრისხებაც, ამაო იყო და უნებართვო ამისთანა ოხუნჯობანი, ისინი ვერ ჩააქრობდნენ ცინცხალსა და ადრეულ ახალგაზრდულ გრძნობებს; მე „დავჭერი მხოლოდ, კი ვერ მოვკალი“¹⁰ ჩემივე სისხლის სკოტლენდელი, მე ხომ მიყვარს „მთა და მდინარენი“ ამ მიწისა.¹¹

დონ ჟუანი, რეალური იყო თუ იდეალური — რადგან ეს ორივე ხომ ერთი და იგივეა, ვინაიდან, როს კაცი ფიქრობს, რომ რაიმე არსებობს, მაშინ, როს მოფიქრალი ნაკლებ რეალურია, ვინემ ის, რაზეც იგი ფიქრობს, ამ დროს სული აროდეს დამდაბლდება და ყოველთვის მტკიცედ დაუპირისპირდება სხეულს; და მაინც მეტად დამაბნეველია, იმის ზღვარზე, რასაც მარადისობას ვუნოდებთ, ვუმზიროთ და მეტი არა ვიცოდეთ იმაზე, რაც აქ არის, ვინემ იმაზე, რაც იქ არის —

დიახ, დონ ჟუანი ძალზე დახვეწილ რუსად გადაიქცა; არც იმის თქმაა საჭირო თუ ვითარ და არც იმისა — თუ რატომ;

ყმანვილკაცთაგან მცირეოდენის გონება თუ შეძლებს გადაიტანოს თვისი ცხოვრების გზაზე მძიმე თავზარდაცემა და დასუბუქი ცდუნებანი; მაგრამ ამჯერად დონ ჟუანის გზა გადამლილი იყო ფუმფულა ბალიშებითი მონარქის ტახტზე; მხიარული ქალწულები, ცეკვები, ქეიფი, ფული თავგზისაყრელი ყინულს სამოთხედ აქცევდა და ზამთარს — მზიან დარად.

იმპერატრიცას ფავორიტობა სასიამოვნო გახლდათ, თუმც მოვალეობის შესრულება კი ცოტა საძნელო, მაგრამ დონ ჟუანი-სებრ ჭაბუკს შეეძლო მოხდენილად გაერთვა თავი. იგი ახლა იზ-

რდებოდა ვითარცა მწვანე ხე, შექმნილი სიყვარული, ომი, და ამ საქმეებში იღბალი სწავლობდა, მანამდე, სანამ ხანშიშესულს მოხერხდებოდა და ამჯობინებდა მშვიდობიან წრეში ეტრიალა.

ამ დროისთვის, ვით მოსალოდნელი იყო, საყმანვილო ცდუნებებმა და ცუდმა მაგალითებმა დონ ჟუანი დაბნია და გარყვანა; რაც სამწუხაროა, და არამარტო ფეხით თელავს ჩვენს ცინცხალ გრძობებს, მაგრამ — რაკი მონაწილე ვიქცივით მერყევი ადამიანის ყველანაირი გამოსწორებელი ქცევისა — თავკერძანიც ვხდებით, და ისე გამოვიკეტებით საკუთარ თავში, ვით ნიჟარაში. ამას გამოვტოვებთ.

ეჰ, რას იზამ, არათანაბარ წყვილთა შორის წარმოქმნილი ჩვეულებრივ ინტრიგათა განვითარებასაც გამოვტოვებთ.

ჭაბუკი ლეიტენანტი ჯერ მოუხუცებელ დედოფალთან, მაგრამ არც ისე ახალგაზრდასთან, ვითარცა მთელი სამეფო დიდებულებით უტკბილეს ჩვიდმეტი წლის ასაკში გახლდათ. მეფეებს ხელთ უპყრიათ მასალები, მაგრამ არა მატერია, და ნაოჭები — ეს წყეული დემოკრატები! — მლიქვნელობას ვერ ახერხებენ.

და სიკვდილი, მეფეთა მეფე, ვითარცა დიადი გრაჟუსი მოკვდავთა შორის, ათანაბრებს აგრარული კანონებით დიდ მამულთა მფლობელთ,¹² მათ, ვინც ქეიფობს, იბრძვის, ღრიალებს და ბობოქრობს, და ყველას ბალახით დაფარულ გოჯ მინას უწყალობებს (სად ჩათესილ თესლს ლპობა მოელის) იმ პატარა არამზადებთან, ვისაც გოჯი მინაც კი აროდეს ჰქონიათ, — სიკვდილი რეფორმატორია, ყველა ადამიანი უნდა დაემორჩილოს.

იგი ცხოვრობდა (სიკვდილი კი არა, ჟუანი) ფაციფუცში უქნარობისა, ფორიაქისა, კამკაშისა, ბზინვისა, ამ მხიარულ კლიმატში შვი და ბანჯგვლიანი დათვის ტყავებისა — რომელნიც (თუმც ენამწარეობა არ მიყვარს) ხანდახან გამოიჭყიტებოდნენ ხოლმე აურზაურისას იმ „მშვენიერი მენამული საცვლებიდან“, ბაბილონელთ უფრო რომ შეჰფერით, ვინემ რუსეთის სამეფო კახას — და ანეიტრალდნენ მის ალისფერ სამოსს.

და არც ამ ყოფას აღვწერთ; ასე ხომ გაგონილსა და მოგონებებს უნდა დავყრდნობოდით; არამედ მივუახლოვდებით პირქუში დანტეს „უსიერ ტყეს“, იმ შემზარავ ბუნობას, იმ სადაველ ნაწილს ადამიანური წლებისა, სახლს — მდგარს ნახევარგზაზე, იმ უმწი ქოსს, საითაც ბრძენ მოგზაურთ ფრთხილად მიჰყავთ სევდიანი საფოსტო ცხენები ასაკის მგლოვიარე საზღვრის გავლით და უკან იხედებიან ახალგაზრდობისაკენ, და ობოლი ცრემლი ჩამოუფორდებათ; —

არ აღვწერ, თუკი შევძლებ, რომ თავი შევიკავო, და არ ვიფიქრებ, თუკი შევძლებ, რომ დავეხსნა ფიქრს, რაც, როგორც ლეკვი ეკვრის საწოვარას, ისე მენებება უფსკრულში ამ უცნაური ლაბირინთისა, ვით ხავსი ეკვრის კლდეს, ანდა ვით საყვარლის კოცნა ენაფება ტურჩებს, მაგრამ არ მინდა ვიფილოსოფოსო, სჯობს ისე დავეწერო, რომ ნაიკითხონ.

ჟუანს, ნაცვლად იმისა, ეკარისკაცა, იქით ეკარისკაცებოდნენ; ასეთი რამ იშვიათობა და ასე იმიტომ მოხდა, რომ ჭაბუკი გახლდათ და განათქმულიყო მისი სიმამაცი;

იმის გამოც, რომ კეთილშობილი სისხლი ეტყობოდა დოლის ცხენით;

იმის გამოც, რომ ლაზათიანად იმოსებოდა, რაც კიდევ უფრო ამშვენებდა მის სილამაზეს, ვით მენამული ღრუბლები ახავდებდნენ მზეს, მაგრამ მთავარი მიზეზი ხნიერი ქალბატონი და თვით მისი მდგომარეობა გახლდათ.

ესპანეთში ბარათი აფრინა და ყველა მისმა ახლო ნათესავემ შეიტყო, ჟუანი შესანიშნავად გრძობდა თავსო და ნარმატებისათვისაც მიუღწევიაო და ბიძაშვილებისათვისაც შეუძლია ადგილის შოვნაო, და დაუყოვნებლივაც უპასუხეს.

რამდენიმემ მზადებაც დაიწყო საემიგრაციოდ; და ამბობდნენ, ბენვიანი მანტილიის მომარაგებასთან ერთად, ყინულის ჭამაც კი დაიწყესო — მადრიდისა და მოსკოვის კლიმატები ხომ განსხვავდება.

დედამისმა კი, დონა ინესმა, ისიც ურჩია, რომ — ნაცვლად თავისი ბანკირისათვის მიმართვისა, სადაც ბევრი არაფერი

ჰქონდა დარჩენილი — სჯობდა ზღვარი დაედო ხარჯებისათვის, და მისწერა:

„მოხარული ვარ, იმ სიამოვნებით მოცული რომ მეგულები, რაც სანატრელია მჩქეფარე ახალგაზრდისათვის. და ერთადერთი, რაც კაცის გონიერებას დაადასტურებს, ისაა, ბლომა ხარჯი შეზღუდოს.

„და ვავედრებ შენს თავს ღმერთს და ვაჟს მისას და დედას მისას და გაფრთხილებ, მოერიდო ბერძნულ აღმსარებლობას, რაც მიუღებელია კათოლიკური თვალისათვის; მაგრამ გარეგნულად ნუ გამოამჟღავნებ, მანდ ცუდად გამოჩნდება“.

აცნობებდა, პატარა ძმა გყავსო, მეორე ქორწინებაში შემეძინაო; და ყოვლის უფრორე, ადიდებდა იმპერატრიცას დედობრივ სიყვარულს.

ცხადია, ვერ მოუწონებდა იმპერატრიცას ყმანვილკაცთა სიყვარულს, რომელთა ასაკსა და, მეტიც, ქვეყანასა და კლიმატშიც სკანდალები მოხდებოდა (დროდადრო): და შინ რომ ყოფილიყვნენ, უსიამოვნებას ვერ გადაჩრებოდნენ; მაგრამ იქ, სად თერმომეტრი ათზე დაბლა ჩამოდის და მეტიც — ხელზე, ერთსა და ნულზე დაბლაც, ვერ წარმოიდგენდა, რომ სათნოება მდინარეზე უფრო ადრე გადნებოდა.

ოჰ, ორმოცპასტორიანო სიმძლავრეე გალობისა,¹³ შენ ადიდებ ფარისევლობას! ოჰ, შენ უგალობ ხმამალა და ადიდებ სიქველეს, მაგრამ ცხოვრებაში არ მისდე! ოჰ, ანგელოზთა საყვირის ხმა! ან ყურის საყვირო ჩემი კეთილი, მოხუცი მამიდისა, ვისაც ეგონა, სათვალე ჩაბნელოდა, და მშვიდად გადაიტანა ეს ამბავი, მეტად რომ ვეღარ ნაიკითხავდა წმინდა წერილს.

ბოლოსდაბოლოს ფარისეველი მაინც არა ყოფილა საბრალსო ლული, და ისეთი პატიოსანი გზით აღვიდა ზეცად, ვითარცა რომელიც გნებაზე გვამი ასარჩევი გრანგილიდან,¹⁴ საიდანაც წილები ნაწილდება ღვთის სამსჯავროზე წარდგომის დღისათვის, ზეცაში მამულთა ჩამოსარიგებლად, რალაც განკითხვის დღის ჯილდოს მსგავსი, ისეთი, დაპყრობელმა უილიამმა რომ გადაუხადა თავის რაინდებს, სხვათა საკუთრებიდან, სამოცი ათასი რაინდის ჯამაგირად.

არა ვწუნუნებ, ჩემი წინაპრები არიან: ერნისი და რადულფუსი, ორმოცდარვა კარმიდამო რომ ერგოთ (თუ მესხიერება არა მღალატობს) ჯილდოდ ბილის დროშების გაყოლისათვის; და თუმც მაინც ვფიქრობ, რომ უსამართლობა იყო საქსონთათვის მინის წართმევაც და ტყავის გაძრობაც დაბალივით;¹⁵ და რადგან შემოსავლები ეკლესიათა ასაგებად გაიმეტეს, იფიქრებთ, კარგი საქმე აღასრულესო.

ნორჩი ჟუანი გაიფურჩქნა, თუმც დროდადრო თავს ისე გრძობდა, ვით ის მცენარენი, მგრძობიარეს რომ ეძახიან და ხმებიან ისე, ვითარცა მონარქთ ემართებათ რითმათაგან, გარდა იმ რითმებისა, საუთის რომ შეუძლია შეთხზვა.

ჟუანს ალბათ ენატრებოდა იმ გამოთხვე ყინვებში ისეთი კლიმატი, ნევის ყინულს რომ გააღებოდა მისის დადგომამდე; და ალბათ, მიუხედავად მოვალეობისა, მონარქის მკლავებში მშვენიერება ენატრებოდა.

ალბათ, მაგრამ უალბათოდ ვთქვათ, რა საჭიროა მიზეზები ვეძიოთ სიყმანვილისა თუ სიბერისა; ჭიას სწორედ ნორჩი და მშვენიერი ღანვები სჭირდება დასახრავად და ამოსაწოვად, რომ დაფრთიანდეს; მზრუნველობას — დიასახლისივით — ყოველ კვირა ქვითრები მოაქვს გასანაღებლად და, რაც უნდა აღვმოვთხედოთ, უნდა გავანაღოთ, რადგან ექვსი დღე სწრაფად გაიარებენ და მეშვიდე დღეს დარღის გამჩენი მოგადგება და დაჟინებით მოგთხოვს გადახდას.

არ ვუნცი ვითარ, მაგრამ ჟუანი ავად შეიქნა; იმპერატრიცა შეშფოთდა, მისმა ექიმმა (ვინც პეტრეს ექიმიც გახლდათ)¹⁶ დაასკვნა, ჟუანის აჩქარებული პულსი მანიშნებს მდგომარეობაზე, რომელიც სიკვდილს წინასწარმეტყველებსო, და თუ რაოდენ მსწრაფლ მიიცილებოდა, ამაზე ციებ-ცხელება მიუთითებდა;

ამან მთელი სამეფო კარი მეტისმეტად დაამწუხრა, მბრძანებელს თავზარი დაეცა, წამლები გააორმაგეს.

ყველგან ჩურჩულებდნენ, ქორები გამრავლდა; ზოგნი ამ-
ბობდნენ, პოტიომკინმა მოწამლაო;¹⁷ სხვები განსწავლულობას
იჩენდნენ და რალაც სიმსივნეზე ლაპარაკობდნენ, გადალასა
და ამგვარ რალაცებზე; სხვანი ამბობდნენ, განწყობილებათა აღ-
რევაო, რაც სისხლში ცვლილებას იწვევს; სხვები კი დაჯინებით
ირწმუნებოდნენ, „ბოლო კამპანიისაგან გადაღლის შედეგიაო“.

აი, ინებოთ, მრავალთაგან, ერთი რეცეპტი: „Sodæ-Sulphat.
3vj.3fs. Mannæ optim. Aq. fervent. f. /3ifs. 3ij. tinct. Sennæ
Haustus“ (აქ, ექიმი მოვიდა და კოტოშები გაუკეთა) „Rx Pulv.
Com. gr. iij. Ipecacuanhæ“ (დიდი გვერდითი მოვლენები გაუჩ-
ნდებოდა ჟუანს, მიღება რომ არ შეეწყვიტა). „Bolus Potassæ
Sulphuret. sumendus, Et haustus ter in die capiendus.“¹⁸

ესაა საშუალება, რითაც ექიმები მოგვარჩენენ ხოლმე ან
ბოლოს მოგვიღებენ, *Secundum artem*: და თუმცა ვქირქი-
ლებთ მათზე, როს ჯანმრთელი ვართ, ავად რომ ვხდებით,
ვუხმობთ და შევლასა ვთხოვთ და სასაცილოც აღარაფერი
გვერება, როს „hiatus maxime deflendus“¹⁹ ამოიგება ბართა
და თოხით, ნაცვლად იმისა, რომ მოხდენილად დავეყვეთ ლე-
თას დინებას, საბრალო ბელიისა და მოკრძალებულ აბერენე-
თის ვაჯავრებთ,²⁰ ჟუანი პირველივე ნიშნების გამოჩენისთა-
ნავე შეენიანაღმდეგა გარდაცვალებას; და თუმც სიკვდილი
გაქრობით ემუქრებოდა, სიჭაბუკემა და აგებულებამ გააძლე-
ბინა, და ექიმებმაც ახალი მიმართულება აირჩიეს. და თუმც
ყოფა მისი სათუო იყო: გამოჯანმრთელების ანარეკლი მცი-
რედლა მოჩანდა მის ჩავარდნილ ღანვებზე და ექიმებისადმი
ნდობაც ბუნებე ეკიდა, ვილაცამ თქვა, უნდა იმოგზაუროსო.

თქვეს, მისთვის მეტისმეტად ცივი კლიმატიო, სამხრეთ-
ში დაბადებული იქვეც უნდა გაფურჩქნულიყო. ამ მოსაზრე-
ბამ ცოტა გააბრაზა კეთილგონიერი ეკატერინა, ვისაც სრუ-
ლებითაც არა სურდა რჩეული დაკარგვა: მაგრამ როს ხედე-
და თუ ვით ჩაუცვივდა და ჩაუშავდა თვალის უპენი, და მისა-
ვათდა ვით დაჭრილი არნივი,²¹ გადაწყვიტა დიპლომატიური
მისიით გაეგზავნა, ოლონდ იმ პირობით, რომ მოხედავდა.

იმ დროს ერთგვარი დისკუსია გაჩაღებულიყო, რალაც მო-
ლაპარაკებისა თუ ხელშეკრულებისა გამო, ბრიტანეთის მი-
ნისტრთა კაბინეტსა და რუსეთს შორის მთელი თავისი შეუსა-
ბამობანიო, რითაც გამოირჩევიან ასეთ დროს დიდი სახელმ-
წიფონი; ეს რალაც ბალტიკური ნავიგაციასავითაა, საფლობე-
ბით, სანავის ნარჩენი ზეთითა და თეტიდას წესებითურთ,
რაც ბრიტანელთ თავიანთ „uti possidetis“ მიაჩნიათ.

ასე რომ, ეკატერინამ, ვინც მშვენივრად უწყობდა თვის ფა-
ვორიტთა მორთვა-მოკაზმვა, საიდუმლო ხარჯი გამოჰყო ჟუ-
ანისათვის, რათა, ერთი მხრივ, ეჩვენებინა თავისი სამეფო
ბრწყინვალება და, მეორე მხრივ, ჟუანი დაეჯილდოვებინა გა-
ნეული სამსახურისათვის.

ჟუანმა მეორე დღესვე ხელები დაუკოცნა, მიიღო დარიგება
თუ წარიგ ემოქმედა, და დაიჭვირთა ყველანაირი საჩუქრითა და
წოდებით, რაც მბოძებლის დიდ ყურადღებას ადასტურებდა.

ეკატერინა იღბლიანი გახლდათ და იღბალი ყველაფერიო.
თქვენი დედოფლები საზოგადოდ წარმატებულნი არიან
მმართველობაში; რაც თავსატეხს გვიჩენს იმის გასაგებად თუ
რას ნიშნავს ბედი.

მაგრამ განვაგრძოთ:

თუმც ეკატერინას წლები ეძალებოდა, კლიმაქსი ისე
ჩხველედრა, ვით სიყმანელი; და თუმც ღირსება წუნუნის უფ-
ლებას არ აძლევდა, ჟუანის ამბავმა მაინც გააანზილა, რადგან
მისი შემცველი მაშინვე ვერ მოიძებნა.

მაგრამ დრო მოდის და ყველაფერს აწესრიგებს; ოცდა-
ოთხ საათში ორმოცდარვა კანდიდატი გამოჩნდა ადგილის
დასაკავებლად, რამაც მომდევნო ღამეს ტკბილი ძილი მოუფ-
ლინა ეკატერინას: ის კი არ იფიქროთ, აჩქარებით ვინმეზე შე-
უვარდა გულიო, არც ფავორიტთა რაოდენობის ზრდას ესწ-
რაფოდა, მაგრამ ყოველთვის დინჯად არჩევდა და საშუალებ-
ას აძლევდა თავი გამოეჩინათ.

და ვინემ ეს მაღალი ადგილი ფავორიტისა ჯერაც გაურკ-
ვევლია, ერთი-ორი დღე, მკითხველო, გთხოვთ ჩვენს გირ-
თან ერთად მოთავსდეთ ეტლში, რომელმაც იგი გააქროლა
პეტერბურგიდან: ეს საუკეთესო ბარუმი გახლდათ,²² ცნობი-
ლი იმით, რომ მასში ერთდროს ცარინას აუტოკრატიული არ-
სება მჯდარა, როს ეს ახალი იფიგენია თავრიდში გამგზავრე-
ბულია; ახლა ფავორიტისათვის დაეთმო და ჟუანს ატარებდა.²³

ბულდოგი და გულნითელა და ყარყუმი დონ ჟუანის საყვა-
რელი არსებანი იყვნენ, რადგან (დაე უფრო ბრძენკაცთ ნამდ-
ვილი მიზეზი არკვიონ) მიდრეკილება ჰქონდა, უფრო სისუს-
ტე, იმათადმი, რასაც ადამიანთა უმრავლესობა პარაზიტებს
უნოდებს, ანუ ცოცხალი ცხოველებისადმი: ისეთი მიდრეკი-
ლება, მოხუცებულ, სამოცნელგადაცილებულ ქალბატონებს
რომ უწინდებთ ჩიტებისა და კატებისადმი და, თუმც არც მო-
ხუცი გახლდათ და არც ქალი, ზემოთნახსენებ ცხოველთ მა-
ინც დაიპყრეს მისი სამყოფელი: მეორე ეტლში ისხდნენ პაყე-
ბი და მდივნები; მის გვერდით კი იჯდა ლეილა, კაზაკთა მახ-
ვილებს გადარჩენილი იზმაილის ხოცვა-ჟლეტისას.

თუმც ჩემი ურჩი მუზა იცვლის ნოტებს, ის პატარა გოგო-
ნა მაინც არ დავიწყებია, ჟუანმა რომ იხსნა, ეს კრიალა და
ცოცხალი მარგალიტი.

საბრალო არსება! ისეთივე მშვენიერი იყო, ვითარცა მორ-
ჩილი; ისეთი ნაზი და დინჯი ხასიათისა, ძველმოდურ კაცებშიც
რომ ვერ შეხვდებით; ისეთი, თვით შენს ყალიბებშიც რომ ვერ
ვნახავთ მამონტისა, „დილო კუვიე!“ სრულიად მოუმზადებელი
— შებმოდა ამ ყოვლისმომცველ მსოფლიოს, სადაც ყველა
ცდება; მაგრამ ჯერ ხომ მხოლოდ ათი წლისა გახლდათ, და ამი-
ტომაც არა შფოთავდა, თუმც არ იცოდა — ვითარ და რატომ.

დონ ჟუანს უყვარდა იგი და მასაც უყვარდა დონ ჟუანი, არა
ისე, ვით ძმას, მამას, დას და ქალიშვილს უყვართ. არ ძალმიძს
გითხრათ თუ ეს რა იყო; ჟუანი არც ისე ხნიერი გახლდათ, რომ
მამობრივი გრძნობა გასჩენოდა, და, მეორე მხრივ ძმური
გრძნობებიც არ გაჰკარებია მის გულს, რადგან და აროდეს
ჰყოლია, და რომ ჰყოლოდა, ალბათ, რარიგ მოენატრებოდა!

და ამიტომაც იყო, გრძნობა რომ არა ჰქონდა. ამასთან, სუ-
ლაც არა ყოფილა ბებერი მუსუსი (ვისაც უყვარს მკვახე ხილი,
ძარღვებში მლაშე ნაკადის დინება, აი ისეთი მყავას, რომ მო-
აქვს მდორე, ტუტე სითხე), თუმც (ვითარცა ჩვენს პლანეტაზე
ხდება) უმანკო არ გახლდათ, მაინც პირწმინდა პლატონური-
ბით გამსჭვალულიყო მისი გრძნობები, ოლონდ აღარ ახსოვდა.

ამჯერად არავითარი საფრთხე არ არსებობდა ცდუნებისა;
უყვარდა მის მიერ გადარჩენილი პატარა ობოლი, ვით პატრიო-
ტებს (დროდადრო) უყვართ სამშობლო; ღირსება ნებას არ მის-
ცემდა, ლეილა მონად ან საკუთრებად ეგულისხმბა; მისი ხსნა კი
სურდა მასაც და ეკლესიასაც, მაგრამ უცნაური რამ მოხდა და
უნდა ითქვას — პანია თურქმა უარი თქვა მონათვლაზე.

უცნაურია, რომ შეხედულმა არ შეცვლია ასეთ ცვლილე-
ბათა, უბედურების, ხოცვა-ჟლეტის მიუხედავად; და თუმც
სამმა ეპისკოპოსმა აუხსნა, თუ რა სასჯელი ემუქრებოდა, მა-
ინც უკიდურესი ზიზღი გამოამყლავნა ნაკურთხი წყლისადმი
და არც აღსარების სურვილი გასჩენია, ალბათ არც არაფერი
ჰქონდა სააღსარებო; და რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, ეკლე-
სიამ ვერაფერი გააწყობ, კვლავაც სწამდა, მუჰამედია წინას-
წარმეტყველიო.

ერთადერთი, ვისაც იტანდა, იყო ჟუანი; ვინც შინაურთა და
მეგობრების ადგილი დაიკავა ლეილას გულში. ჟუანს, ბუნებრი-
ვია, უყვარდა იგი, ვისაც იცავდა, და ამრიგად, ძალზე უცნაური
წყვილი გამოდიოდა, მეურვე ჯერაც ყმანვილი, სამეურვეო კი
არ უკავშირდებოდა არც ადგილით, არც დროით, არც სისხლით;
და მაინც, ეს იყო მეტად კეთილმოზობლური შეკავშირება.

განვლეს პოლონეთი და ვარშავა, სახელგანთქმული მარი-
ლის საბადოებითა და რკინის უღლით:²⁴ კურლანდიაც გაია-
რეს, რომელსაც თავს მოახვიეს ცნობილი ფარსი, როს მის
ჰერცოგად უგვანო სახელი „პირონი“ გამოაცხადეს.²⁵

ეს სწორედ ის ადგილია, თანამედროვე მარსმა რომ დათესა, მოსკოვისაკენ როს მიეშურებოდა, და წინ მიუძღოდა სირინოზი, სახელად დიდება! და ერთი თვის ყინვამ დააკარგვინა ოცი წლის დაპყრობანი და გრენადერთა გვარდია.

განა დაცემას არა ჰგავს ეს სცენა?

— ოჰ! ჩემი გვარდია! ჩემი ძველი გვარდია,²⁶ — წამოიძახა იმ თიხის ღმერთმა.

ან თუნდ მეხისმტყორცნელის ძირს დაცემა, საძილე არტერიის მჭრელი კასლარი! ეჰ, ის დიდება თოვლმა გააცია! ჩვენ კი გვასურს გზა გავითბოთ პოლონეთში, სად კოსციუშკოს²⁷ სახელი ცეცხლს გააჩენს ყინულში, ჰეკლას ალებივით.²⁸

პოლონეთიდან პრუსიის ტერიტორიაზე გადავიდნენ, გაიარეს მისი დედაქალაქი კენიგსბერგი, თავს რომ იწონებს — გარდა რკინისა, ფოლადისა და ბრინჯაოსი — ანგარდაცვლილი პროფესორი კანტიტ. ჟუანმა, ვისაც თამბაქოს მნიკვადაც კი არ უღირდა ფილოსოფია,²⁹ გზა განაგრძო გერმანიისკენ, სად პრინცი უდრტ-ვინელ მილიონებს ფოსტის მხედრებზე მეტად ჰკრავენ დეზებს.³⁰

განვლეს ბერლინი, დრეზდენი და სხვა ქალაქები და მიადგნენ ციხე-კოშკებით მორთულ რაინს;

რა დიდებული გოთიკური სანახაობაა!³¹ როგორ აფორიაქებს არა მხოლოდ ჩემს, არამედ ყველა ფანტაზიას; რუხი კედელი, მწვანითმოსილი ნანგრევი, დაჟანგული პიკი ჩემს სულს წონასწორობას აკარგვინებს, გააბრუებს და გადააღახვინებს წარსულისა და აწმყოს საზღვარს.

ჟუანმა გაიარა მანჰაიმი, ბონი, რომელს წარბეჭვრით გადმოჰყურებს დრატენფელსი ძველი, კეთილი ფეოდალური დროის მოსაგონებლად, რის შესახებაც ახლა ლექციას ვერ წავიკითხავ, მას მერე კიოლნს ჩავიდა, ქალაქს, რომელიც დამთვალიერებელს წარუდგენს თერთმეტი ათასი ქალწულის ნემსს, გვამთა უდიდეს რაოდენობას, რაც კი სმენილა.³²

აქედან ჰოლანდია, ჰააგა და ჰელევეცლუი გაიარა; იქაური მინა-წყალი და არხები გადასერა, სად ღვიის შესანიშნავ ნევნს ამზადებენ უქონელი, ღარიბი კაცის გასამხიარულებლად. სენატი და ბრძენი გმობენ მის ყლურწვას, მაგრამ ძნელია აუკრძალო ბრბოს ის, რაც აცემვს, აჭმევს თუ ათბობს; ამიტომ კეთილმა მთავრობამ არ ისასტიკა და დაუთმო.

აქ გემზე ავიდა და მოტყლაშუნე აფრებით გაეშურა თავისუფლების კუნძულისაკენ, საითკენაც ძლიერი ქარი უბერავდა, ტალღებს აღლევებდა, გემს არწევდა, ზღვის სნეულებით შეპყრობილთ ფერი დაეკარგათ, ხოლო ჟუანი, წინა მოგზაურობებში გამოჯეკილი, იდგა და უყურებდა გვერდით მცურავ ბრტყელძირიან ნაგებს და აჰა, თვალი მოჰკრა კლდეებს.

შორიდანვე წამოიძვრა, ვით თეთრი კედელი ლურჯი ზღვის საზღვარზე; და ჟუანმა იგრძნო, რასაც ჭაბუკი უცხოელნი მძღავრად შეიგრძნობენ ალბიონის ცარცის ქამრის ხილვისას; ესაა ერთგვარი სიამაყე ამპარტავან მედუქნეთა, ვინც მკაცრად ავრცელებენ თვის საქონელსა და ბრძანებულებათა პოლუსიდან პოლუსამდე, და ტალღებსაც კი ბაჟს ახდევინებენ.

დიდი არაფერი მიზეზი მაქვს მიყვარდეს დედამიწის ეს კუთხე, სად ბინადრობს ერი, უკეთილშობილესი რომ უნდა ყოფილიყო, და რასაც მხოლოდ ამქვეყნად გაჩენას ვუმაღლი, და მაინც ვგრძნობ შერეულ წუხილსა და მონინებას მისი დამდაბლებული დიდებისა და წარსული ღირსების გამო.

შვიდწლიანი (განდევნისათვის გავრცელებული ვადაა) არყოფნა ამშვიდებს ძველ აღმოფთვებას, მაშინ როს კაცის სამშობლო ჯანდაბისაკენ მიექნება.

ეჰ, ნეტა თუ ძალუქს სრულად და მართლად იცოდეს თუ რარიგ დაცვა და რარიგ შეიზიზღეს მისი დიადი სახელი; თუ რარიგ ნატრობენ იმ დარტყმას, მის სხეულს მახვილზე რომ წამოაგებს; თუ რარიგ მიიჩნევს ყველა ერი მტრად, ყველაზე საძულველ მტრად მტერთა შორის, ერთ დროს მეგობარს, ვინც უღალატა, კაცობრიობას თავისუფლების გზას ვინც უჩვენებდა და ახლა კი ბორკილებში ჩასვა სულიანხორციანად.

განა შეიძლება იამაყოს და თავი მოიწონოს, თავისუფალი ვაბრო, ვინც პირველია მონათა შორის? ერები საპყრობილში გა-

მოუმწყვდევია, და ვინ არის ზედამხედველი? ისიც მსხვერპლია, ცხაურებში გამოკეტილი. ნუთუ საცოდავი უპირატესობა, გასაღების გადატრიალებისა და ტყვის გამოშვების თავისუფლებაა? ისიც ისევე შორსაა იმისაგან, რომ დატყვეს ცითა და მინით, ბორკილებს ვინც ადებს, ვითარცა ბორკილებს ვინც ატარებს.

შესცქეროდა დონ ჟუანი ალბიონის პირველ მშვენიერ სანახაობებს, კლდეებს საყვარელი დუფრისა! ნავსადგურსა და ფუნდუქს; საბაჟო სახლს, მისი დახვეწილი წესრიგით; აქეთით მორბენალ მოხელეთ, თავგზას რომ უბნევინებდა ყველას, უზარმაზარ შეკვრებს, მინასა და წყალზე მოგზაურთათვის წართმეულით სავსეს; დაბოლოს, არ დაგვაგინცდეს, ახალბედა უცხოელთათვის მომზადებული გრძელი საგადასახადო ქვითრები, სად არაფერზეა შეღავათი დანესებული.

თუმც ახალგაზრდა იყო ჟუანი, დაუდევარი და ქედმაღალი, უხვად ებადა რუბლები, ალმასები, ნალდი ფული და კრედიტები, რაც შეაძლებინებდა არ შეეზღუდა ყოველკვირეულ ვექსილთა რაოდენობა, მაინც დააკვირდა მცირე ხნით ყოველივე ამას და, თუმც გადაიხადა (მისმა მათარცა გამყოს ელვის ნათება, ბერძენმა სწრაფად შეკრიბა ეს შემზარავი ქალაქები და ნაიკითხა); უეჭველია აქ ჰაერი, თუმც იშვითად იყო მზიანი, უფასო იქნებოდა, მაგრამ სუნთქვაში კი ფული უნდა გადაგეხადა.

ცხენებზე და ჰე! კენტერბერისაკენ! ჭახ-ჭახ ქვაფენილზე და ტყლამ-ტყლუმ გუბებში; ვიშ! რას მიჰქრიაან საფოსტო ცხენები! გერმანულებით კი არ მიზონინებენ გზაზე, თითქოს გასვენებაში უხდიდნენ საზღაურს; და გარდა ამისა „შნაპსსაც“ ყლურჭავენ მწუხარე ძაღლები! ვისაც რომც შეუძახო, „არამზადავ“ ან „ჯანდაბა“, ისე შეანუხებს, ვითარცა გამყოს ელვის ნათება.

ვერაფერი მიანიჭებს კაცს ასეთ გზებზე, ვერ აუღლებს სისხლს ისე, ვით კაიენური პილპილი კაზმავს კერძს, ვითარცა სრული სისწრაფით ჭენებაა, — საითაც უნდა მიეშურებოდეს, მაინცა ჩქარობს, და ალბათ ჩქარობს, რათა იჩქაროს, და ეს ნაკლები მიზეზია ამგვარი ქროლვისა, უფრო მეტი მიზეზი კი მოგზაურობის დასრულება და ადგილამდე მიღწევაა.

მოინახულეს კენტერბერის ტაძარი, შავი ედვარდის მუზარადი და ბეკეტის სისხლით შეღებილი ქვა, ეკლესიის დარაჯმა უჩვენა და უთხრა ყოველი, უცნაური და განყენებული ხმით, რომ დიდება წარმავალია, კეთილო მკითხველო! ყველაფერი მთავრდება მტკრიანი თავის ქალითა და საეჭვო წარმოშობის ძვლებით, ნახევრად რომ მოჩანს ამ სოლისა და მაგნეზიის ხსნარებში, მწარე სამსალას რაც წარმოშობს ადამიანური მოდგმისა.

ჟუანზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა: თავის ქალას რომ შეჰხედა, კრესის ბრძოლის³³ ჰაერი შეისუნთქა, ეს ის თავი გახლდათ, რომელიც მარტოდენ დრო-ჟამის წინ დაეშვა.³⁴ ოხვრა აღმოხდა ეკლესიის მსახურის აკლდამის წინაშე, ვინც დიდად შეეცადა წინ აღდგომოდა მეფეებს, და ვინც, სხვა თუ არაფერი, კანონს იშველიებდა, ვიდრე დაჩეხავდნენ.³⁵

პატარა ლეილამ აჰხედა და ჰკითხა:

— ეს ნაგებობა რისთვის ააგეს?

და როს უთხრეს:

— ღვთის სახლია.

თქვა:

— კარგად მოწყობილა, და მხოლოდ ის მაცოცხებს, თუ ვით ითმენს ურწმუნოთ თვის კარმიდამოში, წყეულ ნაზარეველთ, რომელთაც დააქციეს წმინდა ტაძრები იმ მინაზე, ჭემმარიტ მორწმუნეთ რომ კვებავდა.

და მწუხარებით შეჰყარა ბავშვური წარბები იმის საჩვენებლად, რომ მუჰამედმა ასეთი ტაძარი დატოვა, მარგალიტები დაუყარა ღორებს.

წინ! წინ! ზაღებივით მოვლილი მინდვრების გასწვრივ, ალაოს სამოთხისა და მდიდარი ჭირნახულის გასწვრივ; როს ბარდი ნლობით იმოგზაურებს უფრო ცხელ ქვეყნებში, ამ ნაყოფიერი მწვანე მინდორთა დანახვისას შეუნდობს, აქ რომ არ არის ისეთი დიდებული მრავალფეროვნება, ვითარცა სამხრეთის ქვეყნებში, ღვინო, ზეთისხილი, ხეობები, მყინვარები, ვულკანები და ყინული.

მაგრამ ოდეს ვფიქრობ ლუდის კათხაზე, წუნუნით არ ვიწუნუნებ! ასე რომ, გააჭენეთ მეეტლეებო! დეზები ამოსცხეთ და გააფიცხეთ ცხენები, ყოჩალო ბიჭებო! ჟუანი მოიხიბლა შარავზეთით თავისუფალი მილიონებისა; ქვეყნით, რომელიც ყოველმხრივ ძვირფასია, ვითარცა უცხოელის, ისე ადგილობრივისათვის, გარდა ზოგიერთი სულელისა, „ტლინკებს რომ აჰყრიან ხოლმე ხუმრობაზე“³⁶ ამგვარ შემთხვევებში, და ტკივილის სანაცვლოდ ახალ ჩხვლეტას განიცდიან.

რა სასიამოვნო რამ არის ეს ხერგილებიანი გზაშარა! ასეთი სწორი, ასეთი ბრტყელი, გადაკრიალებული გრუნტი, და ისე სწრაფად მგზავრობ, არნივი ვერ გაფრინდება უფრო მსწრაფლ ფართო ფრთათა ქნევით ასეთი რამ რომ არსებულებო ფაეტონის დროს, ღმერთი ეტყოდა თავის ვაჟს, ჟინი იორკის საფოსტო ეტლით დაიკმაყოფილეო, მაგრამ წინ გავენით, „Surgit amari aliquid“³⁷ და ფულიც გადავიხადოთ.

ეჰ, რა მწვავედ მტკივნეულია ყველანაირი გადახდა! წაიღეთ სიცოცხლეები, წაიყვანეთ ცოლები, ყველაფერი წაიღეთ კაცის ქისის გარდა: ვითარცა მაკიაველი გვეუბნება, ეს ყველაზე მოკლე გზაა საზოგადო წყევლის მოსახვეჭად.³⁸ ადამიანებს სძულთ მკვლელები, მაგრამ კიდევ მეტად სძულთ მომჩივანი, ვინც ითხოვს იმ ძვირფას ლითონს, რასაც ყველა უფრთხილდება; ამოუწყვიტე კაცს ოჯახი და გამოიტირებს, მაგრამ ხელები შორს მისი შარვლის ჯიბისაგან.

ასე ამბობს ფლორენციელი, და, მონარქებო, ყური დაუგდეთ თქვენს დამრიგებელს.

ოდეს დღე მიიწურა და დაბინდდა, ჟუანი აიყვანეს მალალ ბორცვზე, რომელიც ამაყად თუ ათვალწუნებით გადაჰყურებს დიად ქალაქს — თქვენ ვისაც ძარღვებში კოკნის სისხლი გიჩქევთ, ილიმებით თუ ილუშებით, როს საქმე ან კარგად ან ცუდად მიდის — უშოშარო ბრიტანელნო, ჩვენ უკვე შუთერის ბორცვზე ვიმყოფებით.³⁹

მზე ჩავიდა და კვამლი ამოინვერა, ვითარცა ნახევრადჩამქარალი ვულკანიდან, იმ სივრცის თავზე, რომელიც სავსებით გამოდგებოდა „ეშმაკის სასტუმრო ოთახად“, ვით უკვე უწოდეს ამ განსაცვიფრებელ ადგილს;⁴⁰ მაგრამ ჟუანი ისე გრძნობდა თავს, აჰადა შინ ვბრუნდებო, იმ კაცით, თუმც სულ სხვა მოდგმისა გახლდათ, ეს მინა რომ უყვარს, დედის იმ ჭეშმარიტი შვილებით, ნახევარი დედამინა რომ დაჩეხეს და დანარჩენი დაამინეს.

უზარმაზარი გროვა აგურისა და კვამლისა და გემებისა, ჭუჭყიანი და ნისლიანი, მაგრამ სადაც კი თვალი გასწვდება, აქაიქ გამოკრთება იალქანი და ჩაიკარგება ანძათა ტევრში; ნანვეტებული სახურავები ცერებზე დგებიან, რომ ამოიჭვრიტონ ნისლიანი-კვამლიანი საფარიდან; დიადი ნაცრისფერი გუმბათი მასხარას ქალაქის ჩაჩვიით მოჩანს — აი, ესეც ლონდონი.⁴¹

მაგრამ ჟუანს ეს არ დაუნახავს; კვამლის თვითიული ბოლქვი ალქიმისკოსის ღუმელიდან ამოსულ ჯადოსნურ ორთქლად ეჩვენებოდა, საიდანაც ამოფარქვეოდა მსოფლიო სიმდიდრე⁴² (სიმდიდრე ქვითართა და გადასახადთა): ბნელი ღრუბლები თალივით რომ გასდებია თავზე და მზეს ასუსტებენ, ბუნებრივი ამინდია აქაურობისათვის, უკიდურესად სალი, თუმცა იშვიათად — ნათელი.

იგი შეჩერდა და მეც შეჩერდები; ვით ეკიპაჟი ჩერდება, როს ხომალდის ცალ მხარეს დაცლის.

თანდათანობით, ჩემო კეთილო თანამემამულენო, ჩვენ განვაახლებთ ძველ ნაცნობას; და, სხვა თუ არაფერი, შევეცდები გაუწყნოთ სიმართლენი, რასაც სიმართლედ არ ჩათვლით, რადგან სიმართლეა; მამრობითი მისის ფრია⁴³ გამოგვის თქვენს დარბაზებს ახალი ცოცხით და ჯაგრისით ჩამონმენდს ორიოდე ობობას ქსელს თქვენი კედლებიდან.

ეჰ, მისის ფრია! რისთვის მიეშურები ნიუგატის ციხეში? რისთვის უქადაგებ საბრალო არამზადებს? და რატომ არ შეუდგები საქმეს კარლტონიდან⁴⁴ ან სხვა რომელიმე სასახლიდან? გამოსცადე შენი თავი უფრო მძიმე იმპერიულ ცოდვებთან. ხალხის გამოსწორება ფუჭი სურვილია, ჟარგონი, უბრალო ფილანტროპუ-

ლი ნამოძახილი, ვიდრე მათ შორის საუკეთესოთ გააუკეთესებდე, ფუჭ! მეგონა უკეთ ერკვეოდით რელიგიაში, მისის ფრია.⁴⁵

ასწავლეთ თუ ვითარ უნდა იქცეოდეს სამოცი წლის კაცი;⁴⁶ განკურნეთ მოგზაურობის, ჰუსარობისა და მთიელთა სამოსის ჩაცმის სურვილისაგან; უთხარით, რომ წასული ახალგაზრდობა უკან აღარასოდეს ბრუნდება, რომ დაქირავებულთა ვაშა ვერ განკურნავს ამქვეყნიურ გასაჭირს; უთხარით, რომ სერ უილიამ კურტისი მუდოა,⁴⁷ მოსაწყენზე მოსაწყენი არსება, უჭკუო ფოლსტაფი მცხოვანი ჰალისათვის,⁴⁸ მასხარა, რომლის ზანზალაკებიც აღარ წკარუნობენ.

უთხარით, თუმც ალბათ ძალზე გვიანია, რომ ცხოვრება ხანმოკლეა, დამქანცველი, დამსიებული და მომყირჭებული საიმისოდ, რომ ამოდ ესწრაფოდე დიდებას, და ამოება არ არის, გასურდეს იყო კეთილი; და შევთანხმდეთ, რომ ყველაზე ღირსეულ მეფეთ ყველაზე ნაკლებ ძალაუფლება უყვარდათ; და უთხარით — მაგრამ არ ეტყვიტ, საკმარისია, ტყუილად ვიყებდე, მაგრამ დროდადრო მინც უნდა ვიყვირო, ვითარ საყვირმა როლანისა როსსეველის ხეობაში.

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

კომენტარები:

„დონ ჟუანის“ ეს თავი დასრულდა გენუაში 1822 წლის 5 ოქტომბერს, გადაათურა მერი შელიმ, დაბეჭდა ჯონ ჰანტმა მეცხრე და მეთერთმეტე ქებებთან ერთად 1823 წლის 29 აგვისტოს.

1. მეათე ქების დასაწყისი მართლაც შელანძღულ ფურცელზე იყო დაწერილი.
2. ფსალმუნი 55, 11.
3. ფრენსის ჯეფრი გახლდათ რედაქტორი და მონიწივეების ავტორი ჟურნალ „ედინბურგის მიმოხილველისა“. ბაირონი მცდარად მიჩნევდა, რომ მის პირველ ნიგზე დაწერილი კრიტიკული წერილის ავტორი ჯეფრი იყო. ფრენსის ჯეფრი გამოუსარჩლა საუთის და დაცვა ბაირონის გამანადგურებელი კრიტიკისაგან. როგორც ჩანს, ბაირონი ჯეფრის ურიგდება და სთხოვს, საუთის მეტად აღარ გამოუსარჩლო.
4. „რეფორმატორები“, ან, უკეთ, „რეფორმირებულები“. ბაირონი ბრედფორდინი, „უევერლიდან“, გახლავთ ავტორი ამ სიტყვისა.
5. ჯეფრი ადვოკატიც იყო და ლიტერატორიც.
6. broom ინგლისურად ცოცხია და ბაირონი კალამბურს გვთავაზობს ჰენრი ბრაუმის გვარზე.
7. ჭვარტლის (soot) ნაცვლად კოსტიუმი (suit) უნდა იყოს? ქარგალის შეცდომაა.
8. „Auld Lang Syne!“ სკოტლენდური სიმღერაა, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ძველ კეთილ დროს“, მიენერება რობერტ ბერნსს; თამარ ერისთავის მშვენიერ თარგმანშია „ძველი გზა“ და ჩვენც ასე დავტოვეთ.
9. დონის ხიდი, ძველი ქალაქის აბერდინის ახლოს, თავისი ცალი თალით და მის ქვეშ მუქი, ორაგულით სავსე მდინარით, გუწინდელივით მახსოვს. მახსოვს, თუმც შეიძლება არასწორად მაცონდება უშნო ანდაზა, რომელსაც ვერ გამოვთქვამდი, და მაინც გადავეყუდებოდი ხოლმე ბალღური სიხალისით; მეც ხომ დედისერთა ვიყავი. ანდაზა ასეთი მახსოვს, და აღარც მსმენია მას შემდეგ, ცხრა წლისა რომ ვიყავი: „ბალღონის ხიდი, შაკვედლიანო, დედისერთა და ფაშატის ერთა არ ჩამოაგდო, არ დააზიანო“.
10. დი და დონი მდინარეებია, რომლებიც ზღვაში აბერდინის ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩაედინებიან; აქ ბაირონი სამი წლისა ჩამოიყვანეს და ათ წლამდე ცხოვრობდა. ბალღონის ხიდი რობერტ ბრუსს აუშენებია 1320 წელს. ამ ხიდიდან მოჩანს, როგორ ჩაედინება დონი ზღვაში. ხიდი არასოდეს დანგრეულა, თუმც დიდი წყალდიდობები გადაუტანია.
11. სახალხო ტრიბუნა ტიბერიუს გრაკუსუსა, ხალხის სახელით მოიხიბოვა აგრარული კანონის გატარება, რის ძალითაც მიდრდა მიწათმფლობელებს უნდა ჩამოერთმეოდათ მიწების ნაწილი და გადასცემოდათ ღარიბ მოქალაქეებს.
12. ტიბერიუს სემპრონიუს გრაკუსუსი (168-133 ქრისტეს შობამდე) კლასიკური გამთანაბრებელი იყო და ცდილობდა აემოქმედებინა ძველი კანონი, რომელიც მიდრდებდა აიძულებდა ზედმეტი მიწის ნაკვეთების გადაცემას ღარიბთათვის. მის წინააღმდეგ აამხედრეს ხალხი და იგიც და მისი სამასი მიმდევარიც ამოხოცეს.

13. ეს მეტაფორა „ორმოც ცხენისძალიანი“ ორთქლის მანქა-ნიდან ავიღე. იმ გადარეულმა მასხარამ, ღირსმა სიდნი სმიტმა, სადღლის დროს მოძმე სასულეირო პირთან რომ იჯდა, მოგვიანებით აღნიშნა, ჩემს მოსაწყენ მეზობელს „თორმეტპასტორიანი სიმძლავრე“ ჰქონდა საუბრისათვის.

14. ორმაგი სატირა: ერთი მხრივ ჯოანა საუთოკოტის ბეჭედი გა-შარუებული, რომლითაც ხსნისათვის არჩეულნი უნდა აღნიშნულიყვნენ; მეორე მხრივ უილიამ დამპყრობელი გამოყვანილი ღმერთის როლში.

15. დარწმუნებული ვარ, რომ მიწის წართმევა შესაფერისი ტერმინია, და შარიანი გადასახადის შედეგად განხორციელდა.

16. ეკატერინას ექიმი იყო სკოტლენდელი დრ. ჯონ როჯერსონი; არაფერი ამტკიცებს, რომ იგი ესწრებოდა პეტრე მესამის მკვლელობას.

17. ჟუანის სწეულება და განუღებელი მკურნალობა დაფუძნებულია ეკატერინას ფავორიტის ლასკოს სწეულებასა და სიკვდილზე. ამ-ბობდნენ, პოტიომკინის მისი ამბროდა და ამიტომაც მონამლაო. ლან-სკოი საზარელი ტკივილებით მიიცვალა.

18. პირველი რეცეპტი: „ექვსი დრამი სოდის სულფატი და ნახე-ვარი დრამი საუკეთესო მანანა“ (აქ, ცხადია, არ იგულისხმება ბიბ-ლიური ციური მანანა, არამედ წვენი მცენარისა, რომელიც კალაბ-რიასა თუ სიცილიაში მოჰყავთ და სასაქმებლად ხმარობენ). ერთი-ხევარი უნცია ადულებული წყალი და ორი დრამი სინამაქის ფოთო-ლის ნაყენი, დასალევად. მეორე რეცეპტი: „შერეული ფხვნილი, სა-მი მარცვალის იპეკაკი“ (იპეკაკი, სამხრეთ ამერიკული ipecacuanha, მცენარე, რომელიც პირღებინებას იწვევს. ერთი დიდი აბი გოგირ-დოვანი პოტაშისა მიიღოს სამჯერ დღეში.“ ეს ნამლები გამოიწვე-დნენ პირღებინებასა და ოფლის დენას.

19. Secundem Artem — როგორც სწვევით, ... that „hiatus maxime defendus“ — დიდად საგლოვი ბზარი.

20. ჯონ აბერნეთი (1764-1831) — ქრისტე ჰოსპიტალის ქირურ-გი, ანატომის და ქირურგიის პროფესორი ქირურგიის კოლეჯში, ნმ. ბართოლომეოს სრული ქირურგი; ცნობილი იყო ექსცენტრიუ-ლობითა და უხეშობით.

21. „უკანასკნელი ფრინველი, რომელიც ტყვიით დაჭერი იყო არწივი; ეს მოხდა ლეპანტოს ყურეში, ვოსტიტზასთან ახლოს. შევე-ცადე მომერჩინა; ისეთი გიზგიზა თვალებით იყურებოდა! მაგრამ ჩაიფრებოდა და რამდენიმე დღეში მოკვდა. მე აღარც მომიკლავს და აღარც მოგვკლავ რომელიმე ფრინველს“ (ბაირონის დღიური, 1814 წ. 20 მარტი).

ეს სტრიქონი აღნიშნავს, რომ ბრიტანეთი უხეში ძალით დაეუფ-ლა ზღვასა და მართავს.

22. მდიდრული ოთხადგილიანი ეტლი, ნახევრად გადაფარებუ-ლი, წვიმისაგან დასაცავად.

23. იმპერატრიცას ყირიმში უმოგზაურია, ავსტრიის იმპერა-ტორ იოსებთან ერთად — არ მახსოვს რომელ წელს.

ეს იყო 1787 წელი, როცა პოტიომკინმა ახალდაპყრობილ ყირიმში ამოგზაურა და თავის მიერ აშენებული გზები და სოფლები აჩვენა.

24. ბაირონი მიანიშნებს, რომ პოლონეთის ძირითადი სიმდიდრე მარილის საბადოებია, და აგრეთვე პოლონეთის მხეცურ დაგლეჯა-დანაწილებაზე.

25. იმპერატრიცა ანამ მიანიჭა სახელი და გერბი ფრანგი „ბი-რონებისა“ თავისი ფავორიტ ბირენს. ამ თვითმარქვია ოჯახის ნასხლეტები ჯერაც შემორჩნენ ინგლისში. და კურლანდის გვარს ატარებენ. ერთ-ერთი მეც გამაცნეს მოკავშირეობის იმ დალოცვილ წელს (1814); სომერსეტის ჰერცოგინამ წარმოიძღ-ვინა როგორც მოგვარე.

იმპერატრიცა ანამ 1737 წელს თავის ფავორიტს, მდაბიო ერნსტ იოჰან ბიურენს, მიანიჭა კურლანდიის ჰერცოგის ტიტული.

26. ნაპოლეონმა ეს წუხილი — რუსეთის ექსპედიციაში ძველი გვარდიის დაკარგვის გამო — 1815 წლის 23 ივნისს, ელისეს სასახ-ლეში გამოთქვა.

27. თავდემ კოსციუშკო (1746-1817) პოლონელი პატრიოტი; გმირულად იბრძოდა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ 1792 წელს. პოლონეთის დამარცხების შემდეგ, რაც ძირითადად სუვოროვის დამსახურებაა, გადასახლდა შვეიცარიაში. ბაირონმა მას ხოტბა შე-ასხა „ბრინჯაოს ეპოქაში“.

28. ჰელა ვულკანია ისლანდიაში.

29. აქ კანტის რთული და ძნელად ჩასაწვდომი ფილოსოფია შედ-არებულია მძიმე ლითონებთან. თვითონ ბაირონს, როგორც ჩანს, დონ ჟუანზე სულ ოდნავ მეტად აინტერესებდა კანტის ფილოსოფია.

30. ბაირონის აზრით, გერმანია სავსე იყო ყველანაირი წვრილ-მანი დესპოტიზმით.

31. ბაირონმა, ვინც არასოდეს ყოფილა პრუსიასა და ჩრდილოეთ გერმანიაში, რაინზე იმოგზაურა 1816 წლის მაისში. ამის შესახებ იგი სწერდა ჰობსოუსს: „მშვენიერი იყო რაინზე მოგზაურობა, გადაჭარ-ბა ჩემს მლოდინს, თუმცა ჩემი შეხედულებანი გამართლდა.“ იგი რაინის ველს ადარებს პორტუგალიას და საბერძნეთს და ისეთი ალფრ-თოვანება არ გამოუხატავს, როგორსაც „დონ ჟუანში“ ვხვდებით. ასეთი ალფრთოვანება გვხვდება „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე ქებაში.

32. წმიდა ურსულასა და მისი თანმხლები თერთმეტი ათასი ქალწულის ნემსები ჯერაც შემორჩენილია და ალბათ მარადიუ-ლადაც შეინახება.

კიოლის ქალწულთა ნემსები სინამდვილეში რომაულ საფლავთა გახსნისას იპოვეს და რაოდენობაც მეტისმეტად გაზვიადებულია.

33. კრესის ბრძოლა (1346) იყო პირველი, სადაც გაიმარჯვა შავ-მა პრინცმა, მაშინ თექვსმეტი წლისა გახლდათ. შემდეგ იყო პუატიე (1356) და ნავარა (1367).

34. შავი პრინცის სიკვდილი გამოიწვია მრავალრიცხოვანმა ჭრილობებმა, რომელთა გამოც სიცოცხლის ბოლო წლები აგონიაში გაატარა; გარდაიცვალა 1376 წელს.

35. არქიუპისკოპოს ბეკეტის უთანხმოება მეფესთან არც დემოკ-რატული რეფორმების გამო მომხდარა და არც კორუფციის წინააღ-მდეგ გალაშქრებისა. იგი იცავდა რომის პაპის კათოლიკურ ეკლესიას.

36. აქ ბაირონი დასცინის იმ რადიკალებს, რომელთაც არც მო-ლაპარაკება შეუძლიათ და არც კომპრომისი.

37. „Surgit amari aliquid“ — ლუკრეციუსი, „ბუნებისათვის“ IV, 1133; Surgit amari aliquid quod in ipseis floribus angat — სიმწარე, რომელიც ნამლავს ყვავილთა სურნელებს.

38. მაკიაველი წერს „მთავარის“ მეორე წიგნში, რომ მთავარმა თავი უნდა შეივასოს საკუთრების წართმევისაგან, რადგან კაცი მამის სიკვდილს უფრო იოლად აპატიებს ვინმეს, ვიდრე ქონების წართმევას.

39. ეს იყო შემალბებული ადგილი ლონდონ-დუერის გზაზე, სა-დაც ხშირად დათარეშობდნენ გზის ყაჩაღები.

40. ფრაზა ტობიას სმოლეტის „როდერიკ რენდომიდან“: „ლონ-დონის ეშმაკის სასტუმრო ოთახია“; ეს ციტატა მიგვიანიშნებს, რომ — ბაირონის აზრით — ლონდონი ჯოჯოხეთია, საითკენაც მიისწრა-ფის დონ ჟუანი.

41. ბაირონი წმიდა პავლეს ტაძრის გუმბათს გულისხმობს.

42. აქ ბაირონი კიდევ ერთხელ იხსენებს ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრეს“ (ქართულად თარგმნილია ფილიპე გოგიჩაიშვილის მი-ერ ამ სათაურით, ალბათ აჯობებდა „ერების სიმდიდრე“)

43. ელიზბეთი ფრია (1780- 1845) ნორფოლკელი კვაკერი გახლ-დათ, იმ დროისათვის ძალზე ცნობილი და გავლენიანი ინგლისელი ფილანტროპი; მისი ვიზიტები ციხეში და შედეგად განხორციელე-ბული რეფორმები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ინგ-ლისური ფილანტროპიისა. მისი გაშარუება არ გახლდათ მომგებიანი ბაირონისათვის და ერთ-ერთ მიზეზადაც იქცა, რის გამოც სამ-შობლოში ვეღარ ბრუნდებოდა.

44. კარლტონის სასახლე პელ მელში პრინც რეგენტის (შემდეგ ჯორჯ IV) საცხოვრებელი იყო; სასახლე იყიდა ჯორჯ III-ის მამამ, უელსის პრინცმა ფრედერიკმა, ჯორჯმა, თავის მხრივ, თავის შვილს გადასცა, ვინც განაახლა, გაამდიდრა და მორთო-მოკაზმა; ორი სა-ხელგანთქმული ბალი გაიმართა ამ სასახლეში: 1811 წელს — რეგენ-ტობის დაწყებისადმი მიძღვნილი, და 1814 წელს ველინგტონისადმი მიძღვნილი. თუმც, როცა ჯორჯ IV ტახტზე ავიდა, მიიჩნია, რომ სასახ-ლე საკმარისად დიდი არ იყო და დაანგრია. მისი ნაწილები გადარჩა, ვთქვამთ: სვეტები და პორტიკი ამშვენებს ეროვნულ გალერეას.

45. ბაირონს მიაჩნია, რომ მისის ფრია ვერ ერკვევა იმ უბრალო ქრისტიანულ საკითხში, რომ ქრისტე უფრო მეტად მონყალე იყო კრიმინალებისა და განკიცხულთა მიმართ, ვიდრე მდიდრებისა და ძალაუფლების მპყრობელთადმი; მისის ფრია მართლაც ქადაგებდა მდიდრულ სასახლეებში, კერძოდ კარლტონში.

46. ჯორჯ მესამე სამოცი წლისა შესრულდა 1822 წელს.

47. სერ უილიამ კურტისი (1752-1829) სხვადასხვა დროს ლონ-დონის ლორდ მერი და პარლამენტის წევრი, ლონდონიდან. ჯორჯ მეოთხესთან დაახლოებული პირი, გარეგნულადაც ჰგავდა და შე-ხედულებებითაც. ედინბურგში ერთად იყვნენ და ორივე კოლტში იყო გამოწყობილი.

48. ბაირონი საკუთარ თავს სთავაზობდა, როგორც ჭკვიანი ფოლსტაფი.

ვის სიცოცხლე მნარი ჰქონდა...

„შემოგიარეთ სვეტო ცხოველო ღვთივ აღმართებულო, მოვედით კარსა თქვენსა და ლაღადებით შენგან შენეენა ვითხოეთ“, — ეს სიტყვები დამონმებულია როსტომ ქართლის მეფის ერთი გუჯრიდან, რომელიც თარიღდება 1648 წლით და გადმოგვცემს სწორედ იმ წელს მომხდარ ამბებს, რომელთაც უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართლის ცხოვრების შემდგომ მსვლელობაში.

მართლაც რომ უცნაური და უჩვეულო სურათი წარმოგვესახება თვალწინ — გამაჰმადიანებული ქართველი მეფის შვილი, სეფიანთა ირანში დაბადებული და გაზრდილი, ბავშვობიდანვე მაჰმადიანურ რჯულსა და ყიზილბაშურ ადათ-წესებს შეჩვეული „ტიპიური რენეგატი“ და „ყაენის ფერხთა მცვერი“, სიბერეში ქართლის გამგებლად დანიშნული როსტომი მცხეთას ჩასულა, ქრისტიანულ ტაძარში მიბრძანებულა და უფალს ევედრება შემწეობას. ქართველებთან მომავალ ომში მფარველობას ითხოვს, თითქოსდა ყიზილბაშთა მძლეთამძლე ლაშქარი ეცოტავებოდეს გამარჯვების მოსახვეჭად.

იღგა 1648 წელი. სეფიანთა ირანის სამეფო ტახტზე იჯდა შაჰ-აბას II, შვილთაშვილი მრისხანე შაჰ-აბას I-სა, ქართლში მეფობდა მაჰმადიანი როსტომი (ყოფილი ხოსრო-მირზა), კახეთში — ქრისტიანი თეიმურაზ პირველი.

უკვე თხუთმეტი წელიწადი იქნებოდა, რაც თეიმურაზი თითქმის განუწყვეტილივ ექიშებოდა და ებრძოდა ქართლის მეფეს, რომელსაც ყიზილბაშთა სამხედრო ძალა უმაგრებდა ზურგს. მაგრამ თეიმურაზი არავის ეშუებოდა, არა ცხრებოდა და მომხრეებს პოულობდა ქართლის დაუდევარ ფეოდალთა შორის. შეთქმულებას შეთქმულებაზე აწყობდა და სიცოცხლეს უმწარებდა მშვიდობისა და განცხრომის ტრფიალ როსტომს. ქართლის მეფე ამაოდ უთვლიდა კახეთის შფოთისთავ მეფეს: ღვთის გულისათვის, დანყნარდი, ჩვენც მოვისვენოთ და ჩვენი ნაომარ-აოხრებული მამულიც მოვასვენოთ.

მცირე საბაბმა კიდევ ერთი ომი გამოიწვია მრავალ ომგადახდილ საქართველოში. სეფიანთა სამეფო კარი ისედაც აქეზებდა როსტომს თეიმურაზის წინააღმდეგ საბრძოლველად და აჰა, დადგა ჟამი საბოლოო ანგარიშსწორებისა.

როსტომ მეფეს კახეთში გალაშქრებამდე ულოცია მცხეთის სვეტიცხოველში. მანამდე, ალბათ, თბილისის მეჩეთში შეივლიდა, ალაჰისგან ითხოვდა გამარჯვებას და მერე ქრისტიანულ სალოცავსაც მიადგებოდა.

უცდომელია ათას განსაცდელსა და ინტრიგებში გამობრძმედილი მაჰმადიანი მეფის ჭკუა-გონება. ჯერ ირჯებოდა ისპაანის ტარულად (დღეს რომ ქალაქის მერს ვეძახით), მერე სეფიანთა ირანის ყულარალასი (შაჰის გვარდიის სარდალი) გახდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა შაჰ-აბასის შვილიშვილის საამ-მირზას გახელმწიფებაში, ტახტზე ასულს შაჰ-სეფი რომ უწოდეს.

გამაჰმადიანებულ ქართველ ბატონიშვილს ბეჯითად დაუზეპირებია დიდი შაჰ-აბასის გაკვეთილები. სეფიანთა სამეფო კარზე განვრთნილს მშვენივრად მოეხსენებოდა დანიშნურებული კაცის ბედ-იბლისი ცვალებადობაც და საწუთროს უკუღმართობასთან შეგუების ხელოვნებაც. თვალთმაქცობისა და ორპირობის უმაღლესი სკოლა ჰქონდა გავლილი. კარგად იცოდა ფასი ღიმილისა თუ რისხვისა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი რომ აფრქვევენ ხან მიზეზითა და ხანაც უმიზეზოდ. ხელქვეითის თვალეში ჩამარხული შურის ამოკითხვაშიც დაოსტატებულა, არც ღალატი გაუკვირდება მოკავშირისა და არც ძალღური ერთგულება დამორჩილებული მეტოქისა. ოცი წლის წინათ მაჰმადიანურ სამოთხეში ნაბრძანებული თავისი აღმზრდელი მბრძანებლისა არ იყოს, მოწყალეც არის და დაუნდობელიც. ერთ ხელში ხაჭაპური უჭირავს, მეორეში — მათრახი. ყოველთვის ზუსტად აქვს ნაანგარიშევი, როდის წარმოთქვას ტკბილი სიტყვა და როდის — სასტიკი განაჩენი.

ქართველი მემამულეანი თავისებურ ქებას არ იშურებენ მისი მისამართით: „ესე როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდე-



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

ლი საქმისა“ ანდა: „საქმით ხვანჯიანი, სოფლის ფრიად ჭკვიანი, მორჭმულ-მდიდარი“.

ძველადვე თქმულა, რომ ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად, მაგრამ როსტომისთანა ხვანჯიან-ილათიანები, როგორც ჩანს, ახერხებენ ამ ქრისტიანული შეგონების გაქარწყლებას და საქმით ამტკიცებენ, რომ გონიერსა და გაქნილ კაცს ამქვეყნად ყველაფერი ხელეწიფება.

როსტომ მეფის დროს საქართველოში მეჩეთებშიც შენდებოდა და დანგრეული ეკლესიების აღდგენაც მიმდინარეობდა.

როსტომ მეფის პოლიტიკა მშვიდობას ჰპირდებოდა სისხლდაცლილ ქვეყანას. შორსმჭვრეტელმა სახელმწიფო მოღვაწემ, როგორც ახასიათებს მას ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ ლენგი, მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია იქით მიმართა, რომ მოეშუშებინა მრავალგზის დარბეული მიწა-წყლის ჭრილობები. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში, გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა, შეუდგნენ გზების დაგებასა და ხიდების აგებას. „როსტომმა ყველგან დაამყარა მშვიდობა და ნესრივი, დიდი მოწყალეობითა და სამართლიანობით მართავდა ქვეყანას“, — წერდა ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართველი ხალხის აღტაცებას არ ინევედა ეს კაცი, რომელიც ისპაანიდან გამოგზავნეს ქართლში საბატონოდ, იყო მონამორჩილი ირანის შაჰისა, მის დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა და გულმოდგინედ ნერგავდა ყიზილბაშურ ზნე-ჩვეულებებს საქართველოში.

ქართლის ბაგრატიონთა ნამიერს, სახელოვანი ლუარსაბ პირველის შვილიშვილს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი უფლებანი ჰქონდა ქართლის სამეფო ტახტზე, ვიდრე თეიმურაზს, რომელსაც ცოლად ჰყავდა უძეოდ გადაგებული ლუარსაბ მეორის დაი, მაგრამ მხოლოდ უპირატესი უფლებანი ვერ უზვეჭდა ხალხის სიყვარულს. აკი ფარსადან გორგიჯანიძეც შენიშნავს: „ზოგს კაცს ქრისტიანობის რჯულისათვის ბატონი თეიმურაზ ერჩივნათ“.

დახს, როსტომმა მშვიდობა მოუტანა ქვეყანას. თეიმურაზის პოლიტიკას ომი ერქვა და როსტომისას — მშვიდობა, მაგრამ მშვიდობის ნიღაბს ამოფარებული ისპაანი ამჯერად ხმლით კი არა, ტკბილი სიტყვითა და ოქროთი ლამობდა საქართველოს „გათათრებას“.

„ახალი ქართლის ცხოვრება“ ასე აღწერს როსტომ მეფის დროინდელ ვითარებას ქართლში:

„და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არანმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა... განძლიერდენ თათარნი და კანდიერებდენ ქართველთა ზედა. და რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყვარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილნების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხვებდა და უსმენდა მათსა, და რომელნიცა იყვნენ სიმართლისმოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახდენ და შეუძლებელსა. და იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდენ“.

დროებასა და განგებას როსტომ მეფის მხარე ეჭირა.

ვინ უწყის, რომელ ტაძარში ილოცა თეიმურაზ მეფემ ომში წასვლამდე. ისტორიას ჩვენთვის შემოუნახავს მხოლოდ მაჰმადიანი მეფის ლოცვის ტექსტი. მაგრამ შემდგომში იმერეთს გახიზნული თეიმურაზი დანერს ლოცვაზე არანაკლებ შთამბეჭდავ სტრიქონებს, აღსავსეს სასონარკვეთითა და ბედისადმი უზომო საყვედურით: **„რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადავე? გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად ავე! დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად ავე? სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად ავე?“**

როგორ არ შეიპყროს მეფე-პოეტის გული აღმფთვების მწვავე ტკივილმა, როდესაც წუთისოფელი უღირსად უმასპინძლებდა ღირსეულ სტუმარს?

მაგრამ 1648 წელს ჯერ კიდევ ბუფტავს იმედის ნალვერდალი. სამოც წელს მიღწეულ მეფეს ბრძოლებში დაღლილი მკლავის იმედი თუ აღარა აქვს, აგერ სიმამაცით განთქმული ვაჟიშვილი ეგულება სანაქებო მემკვიდრედ. დათუნა ბატონიშვილმა ყიზილბაშებთან ომში უნდა გააცოცხლოს თეიმურაზის სახელდიდება.

კახეთის მეფემ ორად გაჰყო თავისი ჯარი. თავად თიანეთს დადგა, ხოლო დათუნა ბატონიშვილი ქიზიყს წარგზავნა. როსტომი თავს დაესხა თეიმურაზს ქართლის სპით, რომელსაც სარდლობდნენ ვახტანგ მუხრანის ბატონი (მომავალი მეფე ქართლისა) და ზაალ ერისთავი.

ბრძოლა გაიმართა სოფელ უღლისთან და დამთავრდა თეიმურაზის დამარცხებით. მძიმედ დაჭრილი რევაზ ჩოლოყაშვილი ასე გამოეთხოვა კახეთის მეფეს: მე მოვკვდარვარ შენის სამსახურისა და ერთგულებისათვის, ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო.

სარდლის დაღუპვამ აშალა კახნიო, გვამცნობს მემატინე. გამარჯვების სასწორი როსტომ მეფის მხარეზე გადახრილა.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი გვაუწყებს, რომ დათუნა ბატონიშვილმა დაინდო მამის სიბერე და ბრძოლის ველზე გასვლის ნება არ მისცაო. ყიზილბაშთა ლაშქარი (ჯამალ-ხანის სარდლობით) თურმე იმყოფებოდა ალავერდის ტაძრის მიდამოებში, ერთი ნაწილი კი გაუყვანიათ ჩასასაფრებლად — მილანელის მხარეს. რას უნდა ნიშნავდეს ეს „მილანელის მხარე“?

მარი ბროსე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ქანაქერცის თხზულება, შენიშნავდა, რომ სახელწოდება „მილანელ“ არ გვხვდება არცერთ სხვა წყაროში. მ. დარბინიან-მელიქიანის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში აღნიშნული ტოპონიმი საერთოდ გამოტოვებულია.

თუკი გავითვალისწინებთ ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს მეორე ბრძოლის ადგილის შესახებ, „მილანელის“ ამოცნობაც გახდება შესაძლებელი. ე.წ. „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, ბრძოლა გამართულა „ქისიყის ბოლოსა, ძველ

ანაგს“. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით — სოფელ მაღაროსთან. როგორც ცნობილია, ეს სოფლები ერთიმეორის მეზობლად მდებარეობენ. საფიქრებელია, რომ ზაქარია ქანაქერცის „მილანელ“ უნდა ნიშნავდეს სოფელ მელანს, რომელიც იმავე რეგიონს მიეკუთვნება. მაშასადამე, ყიზილბაშთა ლაშქრის ერთი ნაწილი მელანის მიდამოებში ყოფილა ჩასაფრებული. ბრძოლის დაწყებისთანავე დათუნა ბატონიშვილი მამაცურად შეჭრილა ყიზილბაშთა რიგებში. საომარი ნალარის ხმის გაგონებაზე მელანთან ჩასაფრებული ყიზილბაშნი ზურგიდან დაესხნენ თავს კახთა ჯარს. ბრძოლაში დაღუპულა დათუნა ბატონიშვილი და მისი ჯარიც დამარცხებულია.

უკანასკნელი ძე თეიმურაზისა შეენირა მამის უკანასკნელი ომს. და ეს დამარცხებაც უკანასკნელი იყო კახეთის მეფის ცხოვრებაში. მას აღარც გამარჯვებანი ეწერა მომავალში და აღარც დამარცხებანი. მაგრამ თეიმურაზმა ჯერ არ იცის, რომ უკანასკნელი დამარცხება განიცადა. ჯერ არც ის იცის, რომ მისი უკანასკნელი ძე — დათუნა ბატონიშვილი აღარ არის ცოცხალთა შორის.

კმაყოფილი როსტომ მეფე თავის გუჯარში მადლობას უხდის უფალს: „კურთხეულხარ ძლიერო და უძლეველო ყოვლისა მპყრობელო ღმერთო, რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველსა კაცსა დაანახვე. შევიბენით და გავიმარჯვებთ“.

გასჭრა მაჰმადიანი მეფის ლოცვა-ვედრებამ. განგებამ კეთილი თვალთ გადმოხედა რენეგატს და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, ზურგი შეაქცია ქრისტიან თეიმურაზს, რომელიც, ოცდაათ წელიწადზე მეტი იქნება, დაულალავად იბრძვის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

გამარჯვებული და ბედისგან განდევრებული როსტომ მეფე იშვიტა დიდსულოვნებას იჩენს, ძვირად არც უღირს სიკეთის განწევა დამარცხებული და შვილმოკლული თეიმურაზისათვის. უტყუარი გუმანით, ცხადია, ხვდება, რომ კახეთის მეფე ვედარაფერს დააკლებს, რომ ეს იყო უკანასკნელი ომი თეიმურაზისა.

ხოვრემან დედოფალი, მეუღლე თეიმურაზისა, ეახლება თავის ბიძაშვილს როსტომ მეფეს და შეევედრება: ჩემი შვილი ყაენთიან გაუფხავნათ, შემენიე, ეგებ უშველოთ რამეო.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როსტომ მეფეს იმედი მიუცია, მოგეხმარებითო. ყაენის კარზე თქვენს შვილს სიკეთის მეტი არა დააკლდების რაო, მაგრამ თქვენ მებრალებით, რომ შეყრამდისინ ტირილი და ნალველი შეგანუხებსო.

როგორ მოგწონთ?! ქართული ფესვები ტყუილად როდი მოსდგამს ქართლის მაჰმადიან მეფეს. ქართული გენი ასე იოლად არა ქრება და მუდამ თავს იჩენს.

ხანდაზმულმა თეიმურაზმა ხმალი განზე გადადო. მისი ჯანგატეხილი მკლავი ახლა კალამსა მორეოდა. იმერეთის მეფე ალექსანდრე, სიძე თეიმურაზისა, სარწოდ რაჭას მიუჩენს და შვიდი წლის მანძილზე „მოწყენით ცუდად გდებაში“ ინერება უბედური მეფე-პოეტის უკანასკნელი თხზულებანი.

თეიმურაზი ჯერ ბერად შედგება, მერე ისევ ჩაითრევს ამქვეყნიური ვნებანი და სამოცდაათ წელს გადაცილებული ყოფილი მეფე კახეთისა ისპანის გზას დაადგება, რათა თავის შვილიშვილს ერეკლეს მაინც მოუპოვოს კახეთის სამეფო ტახტი.

სეფიანთა სამეფო კარზე სახვეწრად ჩასულ თეიმურაზს ავად მოეპყრობიან და საბოლოოდ ასტრახადის ციხეში გამოამწყვდევნენ, საიდანაც ცოცხალს აღარ ეღირსება გამოსვლა.

თეიმურაზი ჯერ კიდევ რაჭაში ყოფნისას ნატრობდა სიკვდილს, რომელიც ნერტილს დაუსვამდა მის უბედურებათა და გასაჭირთა წყებას. დიდებულ წინამორბედს იმონებდა: **„ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს — სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად“**.

სიკვდილი უფრო სამართლიანი გამოდგა, ვიდრე სიცოცხლე. ირანში აღსრულებულ თეიმურაზს ანდერძი არ გაუწილეს და საქართველოში ჩამოასვენეს. სულ მისი მიწისათვის იბრძოდა და ერთი პანია ნაგლეჯი მაინც დაისაკუთრა სამარადისოდ. აღარავინ შეეცილება, აღარავინ წაართმევს...